# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

№ 22 (215) ◆ 31 მაისი — 6 ივნისი. 1999 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


### 1 ივნისი — წმიდა ნინოს შემობრძანება საქართველოში



უნათლისმცემლე ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეჰკრიბენ და მიჰგვარენ ქართველნი ღმერთსა მართალსა, დედაო, წმინდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა.

გვ. 4

### ძალიან ძლიერი შეთქმულება გახლდათ და ნურავინ იფიქრებს, რომ დამთავრდა...



— ქვეყნებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ჩემი მონაცემებით, იგორ გიორგაძის გვერდით დგანან ოთხი-ხუთი ქვეყნის გარკვეული რეაქციული ძალები...

— შემიძლია გითხრათ, რომ პრეზიდენტობის ერთ-ერთი „კანდიდატის“ გვარია — გიორგაძე...

— ბოლო დროს, არძინბა გამუდმებით გამოთქვამს სურვილს შევარდნაძესთან შესახვედრად, მას რაღაც აქვს სათქმელი პრეზიდენტისათვის...

— გუჯარ ყურაშვილზე არსებული ყველა ინფორმაცია აბსოლუტურად დადასტურებულია.

გვ. 3

### ქალაქში მეხივით გავარდა ხმა...

ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტი იყიდებაო... შენობა კაზინოდ და გასართობ სახლად უნდა გადაკეთდესო... მელიქიშვილზე არსებული ბავშვთა საავადმყოფო კი ამ ცენტრში გალაღებული სტუმრის მოსასვენებელ სასტუმროდო... მთელი ეს მონაკვეთი ფილარმონიის ჩაყოლებაზე თბილისური ლასვეგასი იქნებაო... უკეთეს შემთხვევაში, ინსტიტუტის პირველ სართულზე კაზინო იქნება, ზემოთ სამშობიაროო...



გვ. 8

### მანანა არჩვაძე: მღებრიშვილს ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხყოფას არ ვაპატიებ...



მანქანებს შუა მომიქციეს და მაიძულებდნენ, მათ ნებას დავყოლოდი. რომ არ დავემორჩილე, ხელითა და ფეხებით დამიწყეს ცემა... გამეტებით მირტყამდნენ... მთელ სხეულზე სისხლჩაქცევები მაქვს... თბილისიდან 200 კმ-ის დაშორებით, უკიდეგანო მინდორში დამტოვეს... ოთხი საათი ფეხით ვიარეთ...

ამათ ზვიად გამსახურდია არ დაინდეს და გიორგის დაინდობენ?

გვ. 7

ადამიანები ყველაზე მტკივნეულად ჯანმრთელობის დაკარგვას განიცდიან

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

გვ. 27



ჩვენს სიამაყეს, კავკასიურ ნაგაზს მსოფლიო კინოლოგია რუსულ ძაღლად იცნობს!!!

...როგორმე უნდა მივაღწიოთ, საერთაშორისო სტანდარტებში ამ ძაღლს არ ერქვას „რუსკაია ავჩარკა“...

...გული უნდა გვეტკინოს, როცა რაიმეს გვართმევენ...

გვ. 8

უნიათობით ახლა ქართულ ნაგაზსაც ვკარგავთ?

### ვერსია

### ინტერპოლის შეფასებით, ასეთი დანაშაულის მომზადება მხოლოდ KГБ-ს შეეძლო

კარლოსი-მუსტაფა-ტურა-ს მსოფლიოს მოუხელთებელ პირველ ტერორისტს, რომელსაც უძლიერესი სპეცსამსახურები მეოთხედი საუკუნე ეძებდა, პანიკური შიშით ელოდნენ ევროპასა თუ ისრაელში...

მისი შესაძლებლობები ფანტაზიას აღემატებოდა.

გვ. 10

### ინტერვიუ „აჭარის ლომთან“

— საბრძოლო ტექნიკა უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე საქართველოს სასაზღვრო ჯარებს...

გვ. 12

— ჩვენი სანაპირო დაცვის სწრაფმავალი კატარღები სამხედრო მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აღჭურვილი.

— მათ საქართველო ჩიხში შეიყვანეს... არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვთ, თუ არ გააყალბეს ან საგანგებო მდგომარეობა არ შემოიღეს.

— ერისა და ქვეყნის ბედი

საიდუმლო ვიცი,

ფრთხილად ვიყო,

ფრთხილად ვიყო,

არ გავტეხო ფიცი...

გვ. 27

ფოტოპალიტრა

### „ყოფით უზნეობათა ენციკლოპედია“

დიდ ბრიტანეთში გამოვიდა წიგნი, რომლის ბოლომდე წაკითხვას ბევრი ვერ ახერხებს — გულისრევის შეტევა ეწყება. ეს წიგნი „ყოფით უზნეობათა ენციკლოპედია“ გახლავთ და შიგ თავმოყრილია უამრავი უმსგავსი ფაქტი ცნობილ პიროვნებათა თუ ერების ცხოვრებიდან.

გვ. 24

### ჩემზე წარდგენილი ბრალდება შეიძლება შევიდეს გინესის წიგნში

— 1991 წლის დეკემბერში, თქვენ რომ „ბუნკერს“ ეძახით, იქ პრეზიდენტის წინაშე დავსვი საკითხი ნოდარ გიორგაძის, ბესიკ ქუთათელაძის და მურმან ომანიძის მიერ დავალების შეუსრულებლობის შესახებ...




— 9 თებერვლის ტერაქტის მთავარი ორგანიზატორის ვინაობას სასამართლო პროცესზე გაიგებთ.

გვ. 5-12


შეავსეთ სპორტპროგნოზი „მესამე ტაიმი“ და მოიგეთ

ვინც არ თამაშობს, ის ვერც იგებს


### საკვირაო



გვ. 14-15

ტელე-კინო-აფიშა 31 მაისი — 6 ივნისი

Неделя · КОММАНДОС · Частная жизнь · Телохранитель · За рубежом · Московские новости · Newsweek · Focus · Общая газета · Der Spiegel · Комсомольская правда · МК · stern · Сегодня · Клюква · Известия · Труд · Совершенно секретно · Аргументы и факты · Иностранец · Le Figaro Magazine · Paris Match · ТВ Парк · Лица · Огонёк · daily · Le Nouvel Observateur · Итоги

„სიტყვა და საქმეში“ კვირაში 11.000-ზე მეტი განცხადებაა

## კვლავ ახალი შეთქმულება, კვლავ ახალი ტერაქტი...

არ წყდება მითქმა-მოთქმა პრეზიდენტის წინააღმდეგ არშემდგარი ტერაქტისა და სახელმწიფო გადატრალების მცდელობის შესახებ და, თუმცა ოფიციოზი, ჯერჯერობით, კვლავაც თავს იკავებს შეთქმულების ორგანიზატორთა პირდაპირი დასახელებისაგან, „კვირის პალიტრისთვის“ პრეზიდენტთან დაახლოებული წყაროებისაგან ცნობილი გახდა, რომ კვლავაც რუსეთის სპეცსამსახურებში დაიგეგმა შეთქმულება, რომლის განხორციელებასაც იგორ გიორგაძესთან დაახლოებულ და მასთან კავშირში მყოფ ადგილობრივ პირთა ხელით აპირებდნენ.

მართალია, უკვე დაპატიმრებულია 15-მდე ეჭვმიტანილი, ვარაუდობენ, რომ შეთქმულთა რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს...

საგულისხმოა, რომ აღნიშნული შეთქმულების გახსნაში ქართულმა სპეცსამსახურებმა გამოიყენეს უახლესი ტექნიკა და სპეცაღჭურვილობა. დაფიქსირებული და ფირზე ჩაწერილია ეჭვმიტანილთა სატელეფონო და, წარმოიდგინეთ, არასატელეფონო საუბრებიც, რომლებიც იმის ერთ-ერთ მამხილებელ ფაქტორს წარმოადგენს, რომ ეს ადამიანები მართლაც გეგმავდნენ პრეზიდენტზე თავდასხმას და სახელმწიფო გადატრალებას. იმასაც ამბობენ, რომ ამ ჩანაწერთა წყალობით შეიძლება ბევრი ისეთი ცნობილი პიროვნებაც ამხილონ შეთქმულებაში, რომელიც საზოგადოებრიობის შოკს გამოიწვევს...

მომხდარის გამო კი პრეზიდენტის დაცვა, როგორც არასდროს, გაძლიერდა. დაცვას ამერიკელი ინსტრუქტორები ხელმძღვანელობენ.

## ესაა „დიდი პოლიტიკა“

ძიებისას ყველა ძალოვანი სტრუქტურა ცივ უარს აცხადებს პრესისთვის რაიმე ინფორმაციის მიწოდებაზე და მხოლოდ იმის განცხადებით იფარგლებიან, რომ ეჭვმიტანილთა ძებნა გრძელდება. გენერალური პროკურორი კი, სამართლიანად მიიჩნევს ინფორმაციათა ამგვარ კონსპირაციას და აცხადებს, რომ საგამოძიებო მასალების ნაადრევად გამომზეურება საქმეს წაახდენს და რომ, ქართველ ძალოვნებს ჰყავთ უაღრესად სერიოზული მოწინააღმდეგენი...

ბაბილაშვილის თქმითვე, იგორ გიორგაძე „მოგზაურობს“ იმ ქვეყნებში, სადაც მას მხარდამჭერნი ჰყავს და იგი მთლიანად გაშიფრულია (სხვათა შორის, ძალოვნებს გააჩნიათ მამა-შვილ გიორგაძეების მობილური სატელეფონო კავშირით განხორციელებული საუბრების ჩანაწერები), შეთქმულებაში მისი აქტიური მონაწილეობის ფაქტები ცნობილია, მაგრამ საუბედუროდ, გიორგაძე „სვაბოდაზე“ კვლავ რჩება მხოლოდ იმიტომ, რომ ამ საქმეში ჩარეულია „დიდი პოლიტიკა“... ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსეთ-საქართველოს გაუგებარი და ბუნდოვანი ურთიერთობები.

## რადიკალური რემინისცენციები

მაისი პოლიტიკური აქტივობით რომ გამორჩეული თვეა, დიდი ხანია დავრწმუნდით. განსაკუთრებულ კულმინაციას ეს აქტივობა 26 მაისს ვლინდება, როცა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და მერაბ კოსტავას დაბადების დღე აღინიშნება ხოლმე. მართალია, წლევანდელ 26 მაისს ვერეს პარკში მერაბ კოსტავას ბიუსტის გახსნამ მშვიდობიანად ჩაიარა, ხოლო პრეზიდენტმა შევარდნაძემ და სხვა ოფიციალურმა პირებმა მთაწმინდის პანთეონში ყვავილებით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირის საფლავი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, დიდი ზედახორა გაიმართა მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრე ზვიადისტებსა და მათ მუდმივ „ოპონენტ“ ქართულ „ომონს“ შორის. მანიფესტანტებს რესპუბლიკის მოედანზე სურდათ მიტინგის გამართვა, მაგრამ ექს-პრეზიდენტის ქვრივი პოლიციამ დროულად „გააუვნებელყო“...

უპატრონოდ დარჩენილ ზვიადისტთა დიდმა ჯგუფმა პროტესტის „უკიდურეს ზომას“ მიმართა და თავიანთი წინამძღოლის გათავისუფლების მოთხოვნით პირდაპირ ფოსტამტის კიბეზე დაიწყო შიმშილობა, მაგრამ ისინი ჯერ კიბიდან წამოყარა პოლიციამ, შემდეგ კი რესპუბლიკის მოედნიდანაც გარეკა.

ბუნებრივია, მთელ ამ ბატალიებს თან აქტიური მუშტი-კრივი, წიხლი, ხელკეტი და ალიყურიც ახლდა. განსხვავება, ვთქვათ, შარშანდელი ანალოგიური სპექტაკლისაგან გახლდათ ის, რომ წელს სალებავები არ გაუშვიათ საქმეში... *(იხ. გვ. 7)*

## რა უნდა არქივს პარლამენტში?

ამასობაში, როგორც ჩანს, მწიფდება ახალი სკანდალი, რომელიც პარლამენტარ გურამ შარაძის სახელს უკავშირდება. საქართველოს სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელი ზურაბ მახარაძე კატეგორიულად მოითხოვს ჰარვარდის უნივერსიტეტიდან ჩამოტანილ 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის გადატანას სახელმწიფო არქივში. როგორც ცნობილია, აღნიშნული ისტორიული დოკუმენტაცია გურამ შარაძემ ჩამოიტანა ამერიკიდან ამ ორი წლის წინ და მას დღემდე პარლამენტში ინახავს(!).

ზურაბ მახარაძის თქმით, შარაძემ არქივი არასპეციალისტების ხელში ჩააგდო, არადა, მისი ადგილი არის არა პარლამენტში, არამედ სახელმწიფო არქივში...

იქნებ მართლაც არ არის არქივის ადგილი პარლამენტში? ცნობილია, რომ არსებობს პრეზიდენტის 1998 წლის განკარგულება, რომლის თანახმადაც, საქართველოში არსებული ყველა საარქივო დოკუმენტი სახელმწიფო არქივში უნდა ინახებოდეს!

## მაგნატების უკან პოლიტიკური ძალები დგანან

არც ბიზნესის ფრონტზეა სიმშვიდე და, როგორც ჩანს, მალე ისეთი „მძიმე წონის“ მაგნატებიც დაეჯახებიან ერთმანეთს, როგორებიც არიან „ბორჯომის“ შეფი მამუკა ხაზარაძე და ქართული ლუდის „ყაზბეგის“ მამა-მარჩენალი გოგი თოფაძე. ჯერ იყო და, ხაზარაძემ აღძრა სარჩელი თოფაძის წინააღმდეგ ცილისწამებისა და შეურაცხყოფის მოტივით, ახლა კი „ბორჯომის“ სარჩელს თოფაძემ „ყაზბეგის“ სარჩელი დაუპირისპირა. მოტივი: რატომ წაილეს უცხოურმა კომპანიებმა უზარმაზარი საექსპორტო პოტენციალის „ბორჯომის“ წყალი...

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ამ ორი მაგნატის უკან პოლიტიკური ძალები დგანან — „მოქალაქეთა კავშირი“ და „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, ხოლო ვინც გადასწონის და მოწინააღმდეგეს გააკრავს ბეჭებზე ამ ომში, მნიშვნელოვან პოლიტიკურ ქულასაც დაიწერს.

საგულისხმოა, რომ ხაზარაძე აპირებს, ინიციატივით შევიდეს პარლამენტში, რათა „ბორჯომს“ აქციზური მარკები დაეკრას. ეს კი, ავტომატურად გამოიწვევს აქციზური მარკების დაკვრას „ყაზბეგზეც“, რისი კატეგორიული წინააღმდეგიცაა თოფაძე. მოკლედ, წინ მართლაც რომ საინტერესო პოლიტიკურ-ეკონომიკური ბატალიები გველის...

## საბჭოური ტრადიციის აღორძინება

25 მაისს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე, წითელ ხიდთან, გაიმართა ქართველი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდების შეკრება „მშვიდობიანი კავკასიის“ ეგიდით, რომლის ინიციატორებიც ქვემო ქართლის მხარის და აზერბაიჯანის ახალგაზრდული დეპარტამენტები იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შეხვედრები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და, განსაკუთრებით, სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის პერიოდში არ ეწყობოდა. როგორც ახალგაზრდული დეპარტამენტების თავმჯდომარეები შეკრებილ ხალხს შეჰპირდნენ, გაისად შეხვედრა საბჭოურ პერიოდს იმით დაემგვანება, რომ მასში სომხეთის მხარეც მიიღებს მონაწილეობას, რომელიც წელს „მიზეზთა და მიზეზთა“ გამო ვერ ჩამოვიდა.

## რუსთავშიც ტერორისტები?!

თბილისში ტერორისტთა ორგანიზებული ჯგუფის აყვანამ რუსთავშიც „ჰპოვა გამოხმაურება“ — იქ 5 ეჭვმიტანილი დააკავეს, რომელთაგან ორი ნივთმტკიცების და სამხილის უქონლობის გამო მეორე დღესვე გაათავისუფლეს. დაკავებულთა შესახებ რუსთავის პოლიციის უფროსი თემურ ანჯაფარიძე არ საუბრობს და კომენტარებისგანაც შეძლებისდაგვარად იკავებს თავს.

## დამტკიცდა ქალაქის კოჭლი ბიუჯეტი

პოლიტიკური ბატალიებით „ქანცგაწყვეტილმა“ თბილისის საკრებულომ კვლავ შეგვახსენა თავი, როცა აქეთ-იქით ნათრევ-ნაწამები დედაქალაქის ბიუჯეტი დაამტკიცა, რომელსაც „სახალხომ“, ედპ-მ და ტრადიციონალისტებმა არ დაუჭირეს მხარი.

ქალაქის მერმა დიდი მადლობა მოახსენა საკრებულოს და კიევისაკენ გასწია, სადაც უკრაინის დედაქალაქის მერის არჩევნებში დამკვირვებლის სტატუსით მიიღებს მონაწილეობას...

## ედპ — გულუას წინააღმდეგ

პარლამენტში ედპ-მ მორიგი ანტიკორუფციული კამპანია წამოიწყო და ამჯერად მიზანში გაპოლიტიკოსებული სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა ამოიღო. ედპ-მ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება — მიემართათ პრეზიდენტისათვის ბაკურ გულუას პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ უმრავლესობამ საკითხი ჩააგდო და გულუა გადაარჩინა. ყოველივე ეს, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ იმით ახსნა, რომ მოქალაქეთა კავშირს თავისი სატელიტი გულუას პარტიისთვის დარტყმის მიყენება არ სურს. ედპ გულუას პასუხისმგებლობას რეზო შავიშვილის სამსახურის მასალებზე დაყრდნობით ითხოვს, სადაც მინისტრს ბრალი მატერიალური ბაზის განიავებასა და სახელმწიფო სესხების არამიზნობრივად გამოყენებაში ედება. ვარაუდობენ, რომ გულუას მოულოდნელი გაპოლიტიკოსებაც სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია.

ედპ გულუას პასუხისმგებლობის საკითხს მიმდინარე კვირაშიც გამოიტანს პარლამენტში...

## კონტროლის კონტროლი..

დიდი ხნის მანძილზე გაჭიანურებული კონტროლის პალატის შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი კი, დადებითად გადაწყდა და ამ პოსტზე „მოქალაქე“ თემურ კოპალეიშვილი მოგვევლინა. ამ დანიშვნით კმაყოფილმა პარლამენტარმა განაცხადა, რომ კომისია სულაც არ შეუშლის ხელს რეზო შავიშვილს პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რომ შავიშვილი სუფთა კაცია, მაგრამ აი, მის მოადგილეებს კი, შესაძლოა ჰქონდეთ რაღაც დარღვევებიო... კომისიამ პირველ სექტემბრამდე უნდა დაასრულოს კონტროლის პალატის შემოწმება. ვნახოთ, რას აღმოუჩენენ „ახალი კონტროლიორები“ „ძველ კონტროლიორებს“, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ თუ საქმე გამწვავდა, „ძველმა კონტროლიორებმა“ მმართველი ძალის მაგარ-მაგარი საქმეები ამოსწიონ და კუდით ქვა ასროლინონ კონტროლის პალატის „ბედით დაინტერესებულთ“.

## ...სამაგიეროდ საზღვარგარეთ პატივს გვცემენ

რამდენადაც არეულ-დარეულია ჩვენი შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრება, იმდენად თანდათან სტაბილური და გამოკვეთილი ხდება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი და ტენდენცია. მალე საქართველო გაწევრდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, ჩრდილოატლანტიკური ასამბლეის ასოცირებული წევრიც გავხდებით. ამ ფონზე არ არის გასაკვირი, რომ საქართველო, ფაქტობრივად, შორდება დსთ-ს.

ამის დასტურად გამოდგება ჩვენი ხელისუფლების კიდევ ერთი დემარში. კერძოდ, გადაწყდა, რომ საქართველოს დელეგაცია არ მიიღებს მონაწილეობას დსთ წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მთავრობათა მეთაურების მინსკში დაგეგმილ სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმებების განხილვისთვის დანიშნულ სხდომაში. ეს იმიტომ, რომ ქართულ მხარეს განსახილველად წარდგენილი თითქმის ყველა შეთანხმების მიმართ აქვს შენიშვნები და წინადადებები და მხოლოდ მათი გათვალისწინების შემთხვევაში მოაწერს ხელს თითოეულ ხელშეკრულებას. ეს შენიშვნები კი, უწინარესად, აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად დსთ-ის ლიდერთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეუსრულებლობასთანაა დაკავშირებული.

## თურმე ხელფასებს მოგვიმატებენ

არჩევნების წინ ხელისუფლებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დივიდენდი მოიპოვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის წარმატებული ვიზიტის შემდეგ, რის შედეგადაც რეალობად იქცა საქართველოსთვის სავალუტო ფონდის მორიგი ტრანშის გამოყოფა 46 მლნ დოლარის ოდენობით, 28 მაისს ხელისუფლებისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მსოფლიო ბანკი 100 მლნ დოლარის კრედიტს გამოგვიყოფს. ეს თანხა, რომ იტყვიან, მისწრებაა გაძვალტყავებული სახელმწიფო ბიუჯეტისათვის და მთავრობა მას გაუცემელი ხელფასებისა და პენსიების დავალიანების დასაფარად მიმართავს.

მოელიან, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ეს პრობლემა „მოიხსნება“, რაც მმართველი პარტიის წისქვილზე დაასხამს წყალს... მეტიც, სახელმწიფო კანცელარიიდან ერთი ფანტასტიკური ინფორმაციაც გამოვიდა, კერძოდ, თურმე ივლისიდან ხელისუფლება აპირებს... ხელფასების მომატებას(!). რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

## „მერ ქერი“ — საქართველოში გაიმართება

2000 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში გაიმართება ქართულ-ამერიკული ფართომასშტაბიანი სამხედრო-სამედიცინო ხწავლება კოდური სახელწოდებით „მერ ქერი“. ამის შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს თბილისში პენტაგონის დელეგაციის ვიზიტისას. ქართველ სამხედროთა განცხადებით, თუ ამერიკის მხარე თურქეთისაგან მიიღებს ნებართვას დარდანელის სრუტეში თავისი უზარმაზარი მცურავი ჰოსპიტლის გატარებასთან დაკავშირებით, მაშინ იგი ფოთის პორტში შემოვა და აღნიშნულ სწავლებაშიც მიიღებს მონაწილეობას. ასეთი მასშტაბის სამხედრო-სამედიცინო სწავლება არამცთუ საქართველოში, არამედ დსთ სივრცეშიც არ გამართულა...

მაშინ, როცა ქართული შეიარაღებული ძალები ლამის მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანასთან თანამშრომლობენ (შარშან საქართველომ საფრანგეთისაგან საჩუქრად მიიღო სამხედრო-საველე ჰოსპიტალიც), საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზების ხელმძღვანელები იმით არიან დაკავებულნი, რომ გაცხარებით უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ტერაქტები და შეთქმულებები სწორედ ამ ბაზებზე მზადდებოდეს...

ალბათ, მალე დადგება დრო, როცა არათუ რაიმეს უარყოფა-მტკიცება მოუხდება რუსეთს, არამედ ამ ბაზების არსებობაც არავის გაახსენდება. უკვე სერიოზულად მუსირებს აზრი, რომ მოსკოვი ფიქრობს ამ ბაზების გატანას საქართველოდან...

## ქართულ-აფხაზურ საქმეში ანკარა ერევა

თურქეთის არაერთგზისი ინიციატივა, რომ მზადაა უმასპინძლოს, უშუამავლოს მოლაპარაკებაზე ქართულ და აფხაზურ მხარეებს, როგორც ჩანს, რეალურად ისხამს ხორცს.

7 ივნისს სტამბულში გაიმართება ვლადისლავ არძინბას და ვაჟა ლორთქიფანიძის შეხვედრა. ამასთან, გაიმართება ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება, მაგრამ არძინბა დელეგაციათა მუშაობაში მონაწილეობას არ მიიღებს. დელეგაციებს კი, ხელმძღვანელობენ ვაჟა ლორთქიფანიძე და სერგეი ბაღაფში. არძინბას მხოლოდ ლორთქიფანიძესთან შეხვედრა სურს და, როგორც ამბობენ, რაღაც მნიშვნელოვანი აქვს სათქმელი სახელმწიფო მინისტრისთვის...

## „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და...

როგორც იქნა, მრავალჯერადი გადატანის შემდეგ, გასულ კვირას რუსთავში ჩატარდა მოსწავლეთა საგნობრივი ტესტირება, რომელმაც 191 დიპლომანტი გამოავლინა.

„კვირის პალიტრისთვის“ ცნობილი გახდა, რომ გამარჯვებულ მოსწავლეებს სტიპენდიას გადაუხდის მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“.

## მურმან ლებანიძემ მეგრელები გაანაწყენა

**(კავკას-პრესი)** „მოწმენდილ ცაზე გავარდნილი ჭექა-ქუხილი“ უწოდა 28 მაისის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ ქართველი პოეტის, მურმან ლებანიძის ლექსს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, საზოგადოებრივი მოძრაობის „კოლხეთი — ერთიანი საქართველოსათვის“ თავმჯდომარის მოადგილემ ვახტანგ ყოლბაიამ; ჩვენი ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი თავის ლექსში საკმაოდ არასახარბიელოდ ეხმაურება მეგრელებს.

ყოლბაიას თქმით, მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო ნებისმიერი სეპარატისტულად განწყობილი პიროვნებისაგან, მაგრამ არა იმ პოეტისაგან, ვისი სიტყვაც საქართველოში ყოველთვის დიდად ფასობდა.

ყოველივე ამას ყოლბაია აფასებს, როგორც უმსგავსოს, რამეთუ ეს სამეგრელოში სეპარატისტულად განწყობილ ფენას ახალ ბიძგს მისცემს.



## NATO უძლიერეს დარტყმას ამზადებს

**ლონდონი; (კავკას-პრესი)** ხუთი დღის მანძილზე **NATO**-ს ავიაცია განახორციელებს იუგოსლავიაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან ყველაზე ძლიერ სარაკეტო რეიდებს.

დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ტონი ბლერმა ლონდონის პრესაში გამოქვეყნებულ სტატიაში განაცხადა, რომ ეს რეიდები ყველაზე ძლიერ საჰაერო კამპანიას წარმოადგენენ ომების ისტორიაში. მისი აზრით, მილოშევიჩს სხვა გზა არ დარჩენია, გარდა იმისა, რომ აღმოჩნდეს ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალის ბრალდებულის სკამზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ჩემთან ოპერატიული ინფორმაციები იყრიდა თავს, არ დაგიმალავთ, საშინლად ვღელავდი...

ნიკოლო მაკიაველის მოწაფე და შემდგომ თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე ბალთაზარ გრასიანი ამბობდა, რომ „ყველაზე დიდი ცოდვა არის მკვლელობა, მაგრამ დანაშაული განუზომელი ხდება, როცა ადამიანს კლავენ ბინძური პოლიტიკური მიზნებისათვის და ეს პრინციპი დამნაშავეებს აჰყავთ მოჩვენებითი სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესების რანგში...“

„მინდა გამოვთქვა ზიზღისა და უკიდურესი შეშფოთების გრძნობა ტერაქტების მოწყობასთან დაკავშირებით. შეკვეთილი მკვლელობები მშვიდობის მტრების სასოწარკვეთილი მცდელობაა, რათა ჩაკლან პროგრესის ყველა წანამძღვარი ამა თუ იმ რეგიონში და უკეთესი მომავლის შანსი მოუსპონ ადამიანებს...“ ეს სიტყვები კი, მადლენ ოლბრაითს ეკუთვნის. ამ გამონათქვამებს შორის ასწლეულების ინტერვალი დევს, მაგრამ ფაქტია, რომ მათში ჩადებულ აზრს და პოზიციას იზიარებს მთელი ცივილიზებული სამყარო, სადაც სიტყვა ტერაქტის ხსენებაც კი, დაუყოვნებლივ რეაქციას იწვევს საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების მხრიდან... ასეა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მაგრამ დემოკრატიის გზაზე მდგარ საქართველოში რიგ პოლიტიკურ ძალებს და საზოგადოების ნაწილს, რატომღაც, სალაღობოდ და სალაყბოდ აქვთ გადაქცეული ტერორიზმის თემა, რისი მოწმენიც გავხდით ახლახან, როცა მორიგი ტერაქტისა და შეთქმულების გახსნა პრეზიდენტის წინასაარჩევნო „ტრიუკად“ მოინათლა...

ამ სტრიქონების ავტორს დღევანდელი ხელისუფლების მეხოტბეობას რომ ვერავინ დასწამებს, ამას „კვირის პალიტრის“ მკითხველებიც დაადასტურებენ, მაგრამ, როცა საქმე ეხება ტერაქტს, სახელმწიფო გადატრიალებას, ქაოსსა და მათ თანმხლებ ყველა უბედურებას, რომელმაც შეიძლება თითოეული ჩვენგანის ოჯახის კარსაც „მოუკაკუნოს“, აქ ნებისმიერი ქილიკი და ირონია თითქმის დანაშაულის ტოლფას კვალიფიკაციას იმსახურებს და საუბედუროდ, ის მარაზმი, რისი მოწმენიც გავხდით პარლამენტსა და მის გარეთ, კიდევ ერთხელ მიუთითებს როგორც ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტის, ისე საზოგადოების ნაწილის არასრულფასოვნებასა და პოლიტიკურ სიბეცეზე...

და კიდევ: ამ თემაზე მუშაობისას ჩემთვის ცნობილი გახდა ძალოვან სტრუქტურათა ხელმძღვანელების გადაწყვეტილება, რომ არც ერთ მათგანს ინტერვიუ არ მიეცა პრესისთვის გამოძიების გარკვეული ეტაპის დასრულებამდე, მაგრამ დაჟინებული თხოვნის შემდეგ, დაზვერვის დეპარტამენტის შეფი **ავთანდილ იოსელიანი**, როგორც იქნა, დამთანხმდა ინტერვიუზე (რისთვისაც მადლობას მოვახსენებ) და იმთავითვე გამაფრთხილა, რომ მხოლოდ იმას იტყოდა, რაც ძიების ამ მომენტშია დასაშვები. თუმცა ისიც კი, რაც ბრძანა, ვფიქრობ, მრავალმხრივი განსჯისა და დაფიქრების საბაბს იძლევა...

— **ბატონო ავთო, არშემდგარ ტერაქტზე მსჯელობისას აშკარა გაუგებრობას იწვევს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ინფორმაციათა დაპირისპირება. მაგალითად, ამტკიცებენ, რომ პირველი ცნობა-გაფრთხილება მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ საზღვარგარეთიდან მოვიდა, ხოლო, ქალბატონი ელენე თევდორაძე აცხადებს, რომ ამის შესახებ პირველად საპატიმროში შეატყობინეს, ანუ, უნდა ვიფიქროთ, რომ მას ეს ინფორმაცია ქურდებმა მიაწოდეს(!). ამასთან, იგივე ქალბატონი ელენე და სხვებიც ამტკიცებენ, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები ჩამოფრინდნენ თბილისში და სწორედ მათ დააჩქარეს ტერორისტთა ჯგუფის აყვანა და ა.შ...**

— ქალბატონ ელენეს ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მინდა ვურჩიო, რომ სჯობს ოპერმუშაკობას თავი დაანებოს და თავის საქმეს მიხედოს... რაც შეეხება ოთხი ამერიკელი აგენტის ჩამოსვლას, აბსოლუტური ტყუილია, არარსებული ფაქტია და კვლავ დავადასტურებ, რომ საქმის გახსნა არის უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და დაზვერვის სამსახურის ერთ მუშტად შეკვრისა და მრავალთვიანი მუშაობის უშუალო შედეგი...

> როცა სამტრედიაში ვმუშაობდი, იგორის ბებიასთან ვცხოვრობდი და ბატონ კაკოსთან, ასე ვეძახდი პანტელეიმონს, შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ძალიან მწყინს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, შესაძლოა იგი მონაწილეც კი იყოს შეთქმულებისა...

— **ე.ი. იგორ გიორგაძის მუქარა და „ბაქიბუქი“, რომ საქართველოს არა ჰყავს უშიშროებისა და დაზვერვის სამსახურები და, რომ ის განახორციელებს თავის ჩანაფიქრს, შეიძლება უკვე ვთქვათ, რომ ჩაფლავდა?**

— არა, ჯერ არ ჩაფლავებულა. საქართველოში არსებული გიორგაძის დასაყრდენი თანამოაზრე ჯგუფები და პიროვნებები ჯერ მთლიანად არ დაგვიდგენია. ძალიან სერიოზული შეთქმულება გახლდათ და ნურავინ იფიქრებს, რომ დამთავრდა ყველაფერი...

— **როგორ ფიქრობთ, ვის დასჭირდა იმ ინფორმაციის გავრცელება, თითქოს ამერიკელმა აგენტებმა გახსნეს შეთქმულება?**

— არ ვიცი. ალბათ, ვიღაცას აწყობს მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება. როგორც დაზვერვის ხელმძღვანელს, შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან აქტიური კონტაქტები გვაქვს როგორც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან, ასევე ისრაელის „მოსადთან“, რუსეთის, გერმანიის, საფრანგეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის ანალოგიურ სამსახურებთან, სომხეთთანაც არა გვაქვს ცუდი კავშირები და ბუნებრივია, გამოვიყენეთ ჩვენი უცხოელი კოლეგების შესაძლებლობები ზოგიერთი ინფორმაციის გადასამოწმებლად. დაზვერვა მუშაობს ქვეყნის გარეთ და ჩვენი ურთიერთკოლეგიალობა იმითაც გამოიხატება, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ ტერორიზმთან ბრძოლაში და ბუნებრივია, ჩვენი კონტაქტები ამ ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან გამოგვადგა...

— **ითქვა, რომ შეთქმულება რამდენიმე ქვეყანაში მზადდებოდა და თუ ერთ-ერთ ქვეყნად რუსეთს მოვიაზრებთ, ხომ არ არის მასთან ერთად, ვთქვათ, სომხეთი, ბელორუსი?**

— ქვეყნებს ვერ დაგისახელებთ, რადგან ჩემგან ამისი თქმა არ შეიძლება... მაგრამ გეტყვით, რომ იგორ გიორგაძის გვერდით, ჩემი მონაცემებით, დგანან ოთხი-ხუთი ქვეყნის გარკვეული რეაქციული ძალები, როგორც ესენგეს ნევრ, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული ქვეყნებისა...

— **ე.ი. ოთხი-ხუთი ქვეყნის სპეცსამსახურებზეა საუბარი, რომლებიც ცდილობდნენ შეთქმულების განხორციელებას?**

— დიახ, სპეცსამსახურებზეც და იმ რეაქციულ ძალებზეც, რომლებიც იმ ქვეყნებში არიან და „წესრიგის დამყარებას“ აპირებენ ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში. მთავარი უბედურება არის ის, რომ ამ ძალებს და მათთან ერთად ზოგიერთ ვაიპოლიტიკოსს, სურთ ცხვარივით გვატარონ, — როგორც მათ მიაჩნიათ, ისეთი უნდა იყოს საქართველო... აქ მხოლოდ შევარდნაძის ფაქტორზე არ კეთდება აქცენტი. მოგეხსენებათ, არჩევნების შემდეგ შეიძლება სხვა მოვიდეს პრეზიდენტად, ვინც გააგრძელებს შევარდნაძის კურსს და უნდა იცოდეს ყველამ, რომ მასაც მოუწყობენ ტერაქტებსა და შეთქმულებებს, რადგან ქვეყანამ საერთაშორისო ფუნქცია შეიძინა და საქართველო გლობალური დაპირისპირებების არეალად გადაიქცა. აქ მძაფრად იკვეთება როგორც სხვადასხვა ქვეყნის, ისე რეგიონალური ინტერესები. ეს ქვეყნები საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის მრავალგზის აპრობირებულ მეთოდებს იყენებენ საქართველოში, კერძოდ, ესენია ეთნოკონფლიქტების ინსპირირება და მართვა, რელიგიური, კულტურული და ეკონომიკური ექსპანსია, ტერაქტები და ა.შ. ანუ საქართველო უნდა არსებობდეს იმ „ჩარჩოებში“, როგორც ჩვენი ქვეყნის მტრებს სურთ. მათ არ აინტერესებთ, რომ ჩვენ ერი ვართ, გვაქვს უძველესი ისტორია და სახელმწიფოებრიობა... არა, მათი აზრით, ჩვენ მათ ჭკუაზე უნდა ვიაროთ. ეს არის უბედურება, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება არის ის, რომ მათი გეგმები ქართველი კაცის ღალატით და სულმდაბლობით ხორციელდება...

— **პრეზიდენტობის „კანდიდატებიდან“ ვინ აღმოჩნდებოდა შევარდნაძის პოსტზე შეთქმულების განხორციელების შემთხვევაში? როგორც ბატონმა კახა თარგამაძემ ბრძანა, მათ თურმე ცხარე კამათიც ჰქონიათ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი...**

— რაც შეეხება პრეზიდენტობის „კანდიდატებს“, გეტყვით, რომ ჩემმა კოლეგებმა ცოტათი იჩქარეს, როცა ამის შესახებ საუბრობდნენ. შემიძლია გითხრათ, რომ ერთ-ერთი „კანდიდატის“ გვარია — გიორგაძე!

— **ერთ-ერთის? როგორ გავიგოთ, გიორგაძეები ბევრნი არიან...**

— დიახ, ერთ-ერთი მათგანის... დანარჩენს ჯერ ვერ გეტყვით... სამაგიეროდ, ერთ საინტერესო ფაქტს მოგახსენებთ. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ აფხაზებთან მქონდა საუბარი და ისინი მიესალმნენ დანაშაულის დროულად აღკვეთას.

— **ვინ მიესალმა, არძინბას ხალხი?**

— დიახ, არძინბას ხალხი, ჩემი ყოფილი კოლეგები, უშიშროების თანამშრომლები.

— **და რა არგუმენტებით? რატომ უნდა აინტერესებდეთ მათ საქართველოს სტაბილურობა?**

— შემიძლია განვაცხადო, რომ ასეა თუ ისე, აფხაზებს მაინც დიდი იმედი აქვთ შევარდნაძისა. ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ პრეზიდენტი, პროგრესულად მოაზროვნე აფხაზ მოსახლეობაში, ნდობით სარგებლობს. მათ სჯერათ, რომ შევარდნაძე ყველაფერს გააკეთებს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისთვის. ეს განწყობილება კი, განპირობებულია საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტით და ეკონომიკური განვითარების რეალური პერსპექტივით, რასაც აფხაზები მშვენივრად გრძნობენ.

— **მაგრამ, თავად არძინბა რა ჭკუაზეა?**

— ვფიქრობ, რომ არძინბაც ნელ-ნელა მოდის ჭკუაზე. ბოლო დროს, იგი გამუდმებით გამოთქვამს სურვილს შევარდნაძესთან შესახვედრად და ჩემი აზრით, მას რაღაც აქვს სათქმელი პრეზიდენტისთვის. ვიცნობ რა მის ხასიათს, იგი ამას ტყუილად არ გააკეთებდა.

— **კვლავ არშემდგარ შეთქმულებას დავუბრუნდეთ და იქნებ გვითხრათ, პირველმა ვინ მოიპოვა ინფორმაცია მოსალოდნელი უბედურების შესახებ? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ერთობლივი პრესკონფერენციისას ამ ინფორმაციაზე თითქოს ერთგვარი მონოპოლია გამოაცხადეს თარგამაძისა და ქუთათელაძის სამსახურებმა და იყო მომენტი, როცა დაზვერვის დეპარტამენტი არც კი დაასახელეს ამ ინფორმაციის მომპოვებელ სტრუქტურებს შორის... ვინ გახსნა შეთქმულება?**



> არძინბაც ნელ-ნელა მოდის ჭკუაზე. ბოლო დროს, იგი გამუდმებით გამოთქვამს შევარდნაძესთან შეხვედრის სურვილს და, ჩემი აზრით, მას რაღაც აქვს სათქმელი პრეზიდენტისთვის. ვიცნობ რა მის ხასიათს, იგი ამას ტყუილად არ გააკეთებდა.

— მე მგონი დაასახელეს და უფრო ზუსტად ამას გამოძიების დამთავრებისთანავე გაიგებთ. ერთი კი მინდა იცოდეს მოსახლეობამ, რომ დაზვერვის დეპარტამენტი ძალიან მყარად და სოლიდურად დგას ამ საქმეში, მთლიანად ფლობს სიტუაციას და კიდევაც მოიპოვებს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინფორმაციებს. საერთოდ კი, არა აქვს მნიშვნელობა, თუ პირველმა ვინ მოიპოვა ეს ინფორმაცია. თუ სამივე სტრუქტურა არ გამოიჩენდა იმ ერთსულოვნებას, რაც ამ შეთქმულების გახსნის შემთხვევაში მოხდა, მერწმუნეთ, რომ არაფერი გამოგვივიდოდა...

— **დაზვერვის დეპარტამენტის საქმიანობას ქვემოთ შევეხოთ, ახლა კი ერთ კითხვაზე გთხოვთ პასუხის გაცემას: უცნაურად არ გეჩვენებათ ის საშინელი ვნებათაღელვა, რომელიც პარლამენტში ატყდა შეთქმულების გახსნის შემდეგ? რა აღარ თქვეს, მაგრამ ერთი კრიტიკული სიტყვაც კი არავის წამოსცდენია, თუნდაც იმავე იგორ გიორგაძის მისამართით. რატომ? თქვენი აზრით, რასთან გვაქვს აქ საქმე?**

— სწორედ, ეს არის დამაფიქრებელი... ამ კაცის წინაალმდეგ, რომელიც ეჭვმიტანილია ტერორიზმში, ეძებს ინტერპოლი, საკმაოდ იმედიან პრეტენზიას აცხადებს პარლამენტში მოსვლაზე, შემდეგ საქართველოს პრეზიდენტობაზე, არც ერთი პოლიტიკური პარტიის, მათი ლიდერების, არც მემარჯვენეებისა და არც მემარცხენეების, ერთი გამოსვლაც არ მომისმენია და არ წამიკითხავს. ზოგჯერ იმასაც ვფიქრობ, რომ იქნებ ამ ხალხს მართლაც აწყობს იმ ბნელეთში დაბრუნება, საიდანაც ძლივს გამოვძვერით? დამისახელეთ რომელიმე პარტია, რომელიც იგორ გიორგაძეზე ამბობდა აუგს. ეს გარემოება მართლაც დამაფიქრებელია...

— **არის ეჭვი, რომ შეიძლება მმართველ ძალაშიც იყოს ხალხი, ვინც მოუთმენლად ელის იგორ გიორგაძის შემოსვლას „თეთრი ცხენით“...**

— არ არის გამორიცხული... გიორგაძე სულელი არ არის, საკმაოდ ძლიერი პროფესიონალია და კარგად იცის, რომ გადატრიალება განწირული იქნებოდა, თუ მას დასაყრდენი არ ექნებოდა ფართო ფენებში. ამიტომ, სავსებით რეალურია, რომ მას შეიძლება ჰყავს აქ დასაყრდენი მრავალი მიმართულებით... ამის თქმის უფლებას მაძლევს ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია და მისი ანალიზი. ყველა კონკრეტულ ფაქტზე სერიოზულ მონაცემებს ვფლობთ. თუნდაც, პრესასთან გიორგაძის ურთიერთობას რომ დავაკვირდეთ, ძალიან საინტერესო სურათი იხატება, ანუ ხალხი ნელ-ნელა მიაჩვიეს თითქოსდა გარდაუვალ ფაქტს, რომ „აი, გიორგაძე მოდის, სადაცაა მოვა, უკვე მოვიდა და ა.შ.“ გიორგაძის გვერდში მდგომი ანალიტიკოსები კი, ყველა ამ ინფორმაციას, აქ არსებულ განწყობილებას ამუშავებდნენ, აანალიზებდნენ... წარმოიდგინეთ, გიორგაძის ჯგუფში პოლიტიკოსებიც არიან, ეკონომისტებიც, სპეცსამსახურების თანამშრომლებიც, სამხედროები ხომ არიან და არიან და ამიტომ, გაქილიკება იმისა, რაც თავიდან ავიცდინეთ, ძალიან მიკვირს. კანონის თანახმად, არ შემიძლია დღესვე ყველაფრის თქმა და გამოქვეყნება, მაგრამ მოვა დრო, როცა დავწერთ, გამოვაქვეყნებთ და ნახავთ, თუ რაოდენ საინტერესო და იმავდროულად, როგორი შემზარავი წასაკითხი იქნება ის წიგნი...

— **დღეს კი, რას გვეუბნება ეს „წიგნი“, თუნდაც შეთქმულებაში მხილებულ ყველაზე ცნობილ პიროვნებებზე, გენერალ გუჯარ ყურაშვილსა და პანტელეიმონ გიორგაძეზე?**

— ყურაშვილზე არსებული ყველა ინფორმაცია აბსოლუტურად დადასტურებულია, უტყუარი მასალებია მის შესახებ. იგი ნამდვილად მონაწილეობდა შეთქმულებაში და როგორც ვიცი, ოფიციალურადაც აღიარა ყველაფერი... რაც შეეხება პანტელეიმონ გიორგაძეს, გეტყვით, რომ ამ ოჯახთან ძალიან ახლოს ვიყავი. როცა სამტრედიაში ვმუშაობდი, იგორის ბებიასთან ვცხოვრობდი და ბატონ კაკოსთან, ასე ვეძახდი პანტელეიმონს, შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა. ძალიან მწყინს, რომ ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით შესაძლოა იგი მონაწილეც კი იყოს შეთქმულებისა...

— **როცა მავანნი აქილიკებენ მომხდარს, იმასაც ამბობენ, რა თქმა უნდა, ირონიით, — საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე მსგავსი შეთქმულებები და ტერაქტები იმატებს და ტემპს აიღებსო...**

— რომ გაიძახიან დაცინვით, ოთხი-ხუთი ავტომატი ამოიღესო, ასე იოლად არაა საქმე. ეს არის ადამიანის სალიკვიდაციო სპეციარალი და თუ ჰგონიათ, მაინც და მაინც, 500-600 ავტომატი უნდა ამოგვეღო, ეს არ ცვლის სიტუაციას. გეტყვით, რომ ყველა ავტომატი არ გვინახავს და, ჯერჯერობით, არ ვიცით ზუსტად, კიდევ ვინ უნდა ჩართულიყო შეთქმულებაში. ვიცით მათი შტაბის შემადგენლობა, ვიცით ორგანიზატორთა ვინაობა, მაგრამ ვინც ჩახმახს გამოჰკრავდა თითს, ამ ეტაპზე ყველას უვნებელყოფა გვიჭირს და ახლა, ავტომატიანი ხალხის მონახვაა გამოძიების მთავარი ამოცანა... არჩევნები კი, ჩატარდება კიდეც და არც არაფერი მოხდება, თუ ერი დადგება თავის სიმაღლეზე!

— **მოარული ხმები, რომ იგორ გიორგაძე საქართველოში რუსეთის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში იმყოფებოდა, დადასტურდა?**

— არ არის გამორიცხული. ხოლო ის, რომ იგი აქ ჭრიალებს და ქუჩებში დასეირნობს, სიცრუეა. ძიება გვიჩვენებს, სად იყო, ან საერთოდ, იყო თუ არა აქ...

— **ე.ი. შეიძლება უკვე თამამად ითქვას, რომ ჩვენმა ძალოვანმა სტრუქტურებმა დამოუკიდებლად გახსნეს შეთქმულება? თუ ეს ასეა, რა როლი და წვლილი მიუძღვის ამ საქმეში დაზვერვას? ალბათ საინტერესო იქნება მკითხველისთვის იმისი გაგებაც, შეესაბამება თუ არა ჩვენი დაზვერვის დონე თანამედროვე სტანდარტებს?**

— მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით (რათა მოსახლეობამ იცოდეს), მადლობა გამოვუცხადო დაზვერვის სამსახურის ძალიან მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელმაც გასაოცარი პროფესიონალიზმი, თავდადება და კონსპირაციის უმაღლესი დონე გამოამჟღავნა მუშაობისას. პრაქტიკამ, კონკრეტულად კი, ამ მაგალითმა, ნათლად დაგვანახა იმ გადაწყვეტილების სისწორე, რომელიც წელიწადნახევრის წინ მიიღო პრეზიდენტმა, როდესაც უშიშროების სამინისტროს გამოეყო ერთ-ერთი დიდი დანაყოფი და, მსოფლიოს ცივილიზებული სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოშიც შეიქმნა საგარეო დაზვერვის სამსახური. ჩამოყალიბების გზაზე მდგარმა ჩვენმა სტრუქტურამ მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოიპოვა ის საჭირო ინფორმაცია, რომელმაც ხელი შეუწყო სამართალდამცავ ორგანოებს მათ ხელთ არსებული მასალების რეალიზაციაში. როცა ოპერატიული ინფორმაციები იყრიდა ჩემთან თავს, სიამაყესაც ვგრძნობდი, გაოცებასაც და არ დაგიმალავთ, საშინლად ვღელავდი. იმიტომ, რომ, როცა შეთქმულების სცენარს ხედავ და აანალიზებ, მრისხანება და სინანული გიპყრობს — რატომ უნდა გააკეთოს ქართველმა კაცმა ეს? სისხლით რატომ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში? თუ პრეზიდენტობისთვის სისხლის ღვრა და უბედურება გავაჩაღეთ, ეს ქვეყანა აღარ იარსებებს. ამ უძველეს ერს და ქვეყანას, მე-20 საუკუნის მიწურულს, რატომ უნდა სჭირდეს ეს სინდრომი? ხალხს მშვიდი ცხოვრებისა და უსაფრთხოების გარანტიები უნდა და კი არ უნდა ვიქილიკოთ, არამედ ყველანი ფხიზლად უნდა ვიყოთ, რადგან უაღრესად სერიოზულ მოვლენებთან გვაქვს საქმე. ამასთან, უნდა გვქონდეს ჩვენი დამოუკიდებელი პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისადმი. დიდი ყურადღება გვმართებს, რომ არც არაფერი შეგვეშალოს და არც ვინმეს დავაჩაგვრინოთ თავი!

— **გმადლობთ საუბრისთვის.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# 1 ივნისი, წმინდა ნინოს შემოსვლა საქართველოში



1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია აღნიშნავს წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებლის საქართველოში შემოსვლის დღეს.

წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლისას ქართველი ერისთვის უცხო არ იყო ქრისტიანული აღმსარებლობა, რადგან აქ ნაქადაგები ჰქონდათ ქრისტეს მოციქულებს.

IV ს-დან დადგა ქრისტიანული სამყაროს „ოქროს ხანა", როდესაც საბერძნეთში კონსტანტინე დიდის მიერ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა და მომზადდა დრო საქართველოს გაქრისტიანებისა. ამ მიზნით, ღვთისმშობლის კურთხევით, საქართველოში იგზავნება წმინდა ნინო.

წმ. ნინო იყო ღრმადმორწმუნე აღმსარებლების ზაბულონისა და სუსანას შვილი, ტომით კაბადოკიელი. 12 წლის ნინო მშობლებმა დევნილ სომეხ ქალს ჩააბარეს აღსაზრდელად და თავად მონასტერს მიაშურეს. წმ. ნინომ ერთ დღეს აღმზრდელისაგან შეიტყო, რომ მაცხოვრის კვართი წარმართულ საქართველოში ინახებოდა. ამ დღიდან წმ. ნინო მხურვალედ შესთხოვდა უფალს, ღირსი გაეხადა ამ ქვეყნის ხილვისა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ისმინა მისი ლოცვა, ძილში ეჩვენა და უთხრა, რომ წასულიყო და ექადაგა საქართველოში, თავად კი მუდმივად მასთან იქნებოდა.

წმ. ნინომ რომ გაიღვიძა, ხელში ვაზის რტოს ჯვარი ეკავა. თავდაპირველად იგი ეფესოში გაემგზავრა სალოცავად, სადაც წარჩინებულ ქალებს საღმრთო სჯულსასწავლიდა. მალე იძულებული გახდა, აქედან, სხვა ქალებთან ერთად, სომხეთში წასულიყო, სადაც მისი სულიერი დები წამებით დახოცეს. ამ დროს იგი ვარდის ეკალთა შორის დაიმალა, რომელიც ჯერ არ აყვავებულიყო და იხილა ზეცად აღმავალი წმინდა მოწამეთა სულები. ამის მხილველმა ასე შეჰღაღადა უფალს: „უფალო, უფალო, რად დამიტევებ მე ასპიტთა და იქედნეთა შორის". მაშინ ხმა მოესმა ზეციდან: „ასე წაგიყვანენ, როცა ეგ ეკალი, რომელიც შენს გარშემოა, სურნელოვანი ვარდის ფურცლად იქცევა, ადექ და ჩრდილოეთისაკენ წადი, სადაც სამკალი ფრიად არს და მუშაკი არა".

წამოვიდა იქიდან წმინდა ნინო და მიუახლოვდა სომხეთის საზღვარს, სადაც მრავალი გასაჭირით დაიზამთრა. შემდეგ მივიდა ჯავახეთში, ფარავნის ტბასთან და, როდესაც ჩრდილოეთის მთები იხილა ზაფხულის დღეებში თოვლითა და ყინულით დაფარული, ძლიერ შეწუხდა, მაგრამ უფალმა აუწყა: „არცა მამაკაცებაა და არცა დედაკაცებაა, არამედ თქვენ ყოველი ერთ ხართ", „ნათელი გამობრწყინდება წარმართთა ზედა და დიდებად უფლისა, ერისა შენისა ისრაელისა".

## ვაზის ჯვარი

*„მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,*
*თან მოჰქონდა ნანატრელი ვაზის ჯვარი"...*
*ანა კალანდაძე*

წმინდა ნინოს ჯვარი — ქართული ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე ტრადიციულად ინახება სიონის საკათედრო ტაძარში. მას წელიწადში ორჯერ გამოაბრძანებენ — 27 იანვარს — ნინობას და 1 ივნისს, როდესაც აღინიშნება ნინოს შემობრძანება საქართველოში.

ძველ ბერძნულ ქრონიკებში ნინო მოხსენიებულია ტყვედ. დიახ, ის ყოფილა ტყვე მაგრამ არა რომელიმე მპყრობელისა, მოკვდავისა, არამედ უფლის, ქრისტეს მიმართ სიყვარულისა.

ანტიკურ სამყაროში არსებობდა წესი: ბატონი ნაყიდ მონას აკვეცდა თმას და ინახავდა იმის დასტურად, რომ ეს ადამიანი მისი საკუთრება იყო. ეს ჩვეულება სიმბოლურად გამოხატულია ნინოს სადღესასწაულო მონათვლასა და მონაზვნად აღკვეცაში. წმინდა ნინომ ქალწულ მარიამისგან მიიღო ჯვარი და მას თავისი ნაწნავები შემოახვია, დასტურად იმისა, რომ ის უარს ამბობდა ყოველივე ამქვეყნიურზე, თავის თავზე და სიცოცხლეს უძღვნიდა უფალს.

დედოფალ შუშანიკის მოწამებრივი სიკვდილის შემდეგ წმინდა ნინოს ჯვარი სომეხთა ხელში აღმოჩნდა. ჯვარი გადაარჩინეს ქალაქ [illegible] და დადეს საგანგებოდ აშენებულ ტაძარში. შემდეგ წმინდა ნინოს ჯვარი ქრისტიანებმა გადაარჩინეს ქალაქ ანისში. 1124 წ. დავით აღმაშენებელმა, სომეხთა თხოვნით, გაათავისუფლა ანისი ამირა აბულ სუვარის ბატონობისგან და წმინდა ნინოს ჯვარი, როგორც ივერიის ეკლესიის საკუთრება, დიდი პატივით გადმოასვენა საქართველოში.

შემდგომში, არეულობის დროს, მეფე თეიმურაზ I-ის ბრძანებით, ჯვარი გადაიტანეს ანანურში, ღვთისმშობლის ტაძარში. 1709 წელს წმინდა ნინოს ჯვარი აღმოჩნდა რუსეთში, ბატონიშვილ ბაქართან. მისმა შვილიშვილმა, გიორგიმ, 1801 წელს იგი უძღვნა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომელმაც ეს სიწმინდე დაუბრუნა საქართველოს ეკლესიას. წმინდა ნინოს ჯვარი დაასვენეს თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში, სადაც დღესაც ბრძანდება.

ვაზი საქართველოს სიმბოლოა. ჯვარი გზაა ქართული ეკლესიის.

წმინდა ნინოს ჯვრის მკლავები დაშვებულია, მოდრეკილია თითქოსდა იმ სიმძიმით, განსაცდელით, რომელიც ჩვენს სამშობლოს და ეკლესიას არაერთხელ დასტყდომია თავს.

უდიდესი სიწმინდე — წმინდა ნინოს ჯვარი ივერიისა და ქართული ეკლესიის ძალა და იმედია.

*გალაქტიონ ტაგანაშვილი*




brother
HL P2000
Multifunction Printer
Windows 98 compatible
კომპასი

ბრაზერის ერთადერთი ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში გთავაზობთ: Brother HL P2000-ს
ლაზერულ პრინტერს, კოპიერს, სკანერს ერთად

PRINT
Up to 10ppm | True 600x600 dpi | Windows and DOS | Network option | Starting Paper Path Technol. | Low Runing costs

COPY SCAN
Photo/ text copy mode | Auto doc. feed | 50-200% Zoom functions | Up to 600 dpi interpolated | Xerox OCR software | Twain compatible

ფასი 470 ლარი
კომპიუტერები, პრინტერები და მრავალი სხვა...
ვაჟა-ფშაველას 16-ში: ტელ: 939103; 370235


## ჩვენ გვწერენ!

*პატივცემულო რედაქცია!*

თქვენს გაზეთს დიდ პატივს ვცემ კარგი ქართულის გამო. ამიტომ მოგაწვდით ერთ მოსაზრებას. აღმოვაჩინე, რომ გურამ ფანჯიკიძე თავის რომანებში „სანთებელას" მაგიერ ხმარობს „კვესს".

„კვესი", გარდა იმისა, რომ შესანიშნავად გამოხატავს „სანთებელას" დანიშნულებას, ნამდვილი, ძველი ქართული სიტყვაა, სანთებელაზე გაცილებით ადვილი სათქმელი და ლამაზიც.

იქნებ, თქვენმა გაზეთმა დაამკვიდროს ეს სიტყვა?

*დ. ჩიჯავაძე*

*რედაქცია ეთანხმება მკითხველის მოსაზრებას და ამიერიდან ნაცვლად „სანთებელისა", იხმარს „კვესს".*

# თბილისური ხიდები



ავლაბრის ხიდი

თბილისს მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. იგი გაშენებულია მტკვრის ვიწრო ხეობაში, რომელიც მთებითაა ჩაკეტილი. V ს-ში მტკვრის ეს ღრმა და ვიწრო კალაპოტი მეტად მოხერხებული ადგილი გამოდგა ხიდის ასაგებად. ამ ხიდით უკავშირდებოდა ერთმანეთს ქართლი და კახეთი, საქართველო და ალბანები (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხი).

VI საუკუნეში აქ არსებობდა ორმალიანი ხიდი. მის ქვეშ თავისუფლად დაცურავდნენ პატარა სავაჭრო გემები. როდესაც მტკვარი იკლებს, მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი მეტეხის ხიდიდან 25 მ-ზე, მოჩანს ქვითა და აგურით ნაგები უძველესი ხიდის ნანგრევები. ეს ხიდი აღწერილი აქვს იოანე საბანისძეს თხზულებაში „წამება წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესა ჰაბოისა". იგი მოწამეთა ხიდის სახელით არის ცნობილი, რომელსაც შემდგომში შეურაცხმყოფელი — „ვირის ხიდი" შეარქვეს. აქვე უნდა ითქვას, რომ ავტორი ბაღდადსა და კონსტანტინოპოლს „დიდ ქალაქს" უწოდებს, ხოლო თბილისს უბრალოდ „ქალაქს".

ეს პირველი ხიდი იყო თბილისში. არაბი ალ-მუკადასის (Xს.) ცნობით, „თბილისი მტკვრის ორივე ნაპირზეა გადაჭიმული და ხიდითაა შეერთებული". ამასვე იმეორებს ატტაბარი (Xს.), მისი თქმით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშენებულია უბანი, რომელსაც სოლდებილი ეწოდება.

1226 წ. თბილისი აიღო და ააოხრა ხვარაზმის შაჰმა ჯალალედდინმა. მისი ბრძანებით, მტკვრის მხრიდან, სიონის ტაძრამდე ააგეს ხის კიბე. საყდარს გუმბათი მოანგრიეს და იქ დადგეს ჯალალედდინის ტახტი. ტახტზე წამომჯდარი მტარვალი ტკბებოდა თბილისელთა წამებით. სასტიკად უსწორდებოდნენ მისი მეომრები ქრისტიანებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მუსლიმანობის მიღებაზე. მოწამეთა ხიდიდან ქალაქელთა გვამებს მტკვარში ყრიდნენ.



მუხრანის ხიდი

მე-18 საუკუნის დამლევის თბილისისა და მისი შემოგარენის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი — ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკუარი კალას, ტფილისს და ისნს. არს ხიდი".

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტფილისს უკავია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია. ქალაქი შემდეგი უბნებისაგან შედგებოდა: ვერე, მთაწმინდა, გარეთუბანი, სოლოლაკი, ხარფუხი, ორთაჭალა, გერმანული კოლონია, ახალი კუკია, ძველი კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი, ნავთლუღი, მოლოკანთა და ნოვოტროიცკის (ახალი სამების) დასახლებები. ქალაქის ეს ნაწილები, რომლებიც მტკვრის მარცხენა და მარჯვენა ნაპირებზე იყო განლაგებული, ბორნებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ცივილიზებულ ქალაქს ხიდები სჭირდებოდა. ავლაბრისა და მეტეხის ხიდები კი საკმარისი არ იყო. მეტეხის ხიდზე ქვეითნი და საპალნიანი საქონელი გადადიოდნენ, ხოლო ავლაბრის ხიდი ურმებისა და ეტლებისთვის გამოიყენებოდა. ხიდები ხისა იყო და ადვილად ინგრეოდა. მაგალითად, 33 წლის განმავლობაში (1795-1828 წწ.) მეტეხის ხიდი ოთხჯერ ალადგინეს.

1870 წელს ინჟინერმა ორდიშმა აქააშენა იმ დროისთვის დიდი ლითონის ხიდი, რომელიც XX ს. შუა ხანამდე მოქმედებდა. 1951 წელს გ. ჩომახიძისა და ს. დემჩინელის პროექტით აშენდა თანამედროვე მეტეხის ხიდი.

ახლანდელი ბარათაშვილის ხიდის ადგილას XVII საუკუნეში არსებობდა არაგვის ხიდი, რომლის ბურჯები ააფეთქეს 90 წლის წინ, მუხრანის ხიდის (1909-1911 წწ.) მშენებლობის დროს. იგი აგებული იყო ინჟინერ ე. პატონის მიერ. მისი მასიური კონსტრუქციები დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში, მუხრანის ხიდის ნაცვლად, 1965 წელს შ. ყაველაშვილმა, ვ. ქურთიშვილმა და ინჟინერმა გ. ქარცივაძემ ააგეს ახალი ბარათაშვილის სახ. ხიდი. ამ ორიარუსიანი ნაგებობის სიგანე 26 მეტრია.

მიხეილის ანუ ვორონცოვის ხიდი აშენდა 1849-53 წწ. არქიტექტორ ჯოვანი სკულიერის პროექტით. მისი ერთი ნაწილის ქვის მალის სიგრძე იყო 32 მ და ყველაზე გრძელ ხიდად ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში. კომუნისტების პერიოდში ხიდი მთლიანად გადაკეთდა; მის ერთ ნაწილს ჰქვია „მშრალი". მის ქვეშ მტკვარი მიედინებოდა და თანამედროვე ჩოგბურთის კორტების ადგილას ორბელიანის ანუ მადათოვის კუნძულს ქმნიდა. 30-იან წლებში გაშენდა სანაპირო. მტკვარმა შეიცვალა კალაპოტი და გაჩნდა სახელი — „მშრალი ხიდი".

ვერეს ხიდი არქიტექტორ უმანსკის პროექტით 1885 წელს აიგო. 1952 წელს ამ ადგილას გაიხსნა სამმალიანი სტალინის სახელობის (შემდეგ ელბაქიძის) ხიდი. მისი ავტორები არიან არქიტექტორი მ. მელია, ინჟინერი გ. ჩომახიძე.

XVII ს-ში ამჟამინდელი ორთაჭალის ანუ 300 არაგველების ხიდის ადგილას იყო კახეთის ხიდი, რომელიც მალე (1866 წ.) დაიშალა. 1882 წელს აიგო ლითონის ხიდი. მან იარსება 1954 წლამდე, ვიდრე აშენდებოდა ორთაჭალჰესი. ეს კაშხალი-ხიდი არაჩვეულებრივი კონსტრუქციისა იმიტომ, რომ ერთდროულად ასრულებს სამ ფუნქციას: ჰესის, კაშხალისა და ხიდისა. მისი ავტორები არიან ა. მენაბდე, ო. ბაგრატიონი, თ. მარგველაშვილი, გ. წილოსანი, გ. ქარცივაძე.

30-იან წლებში გადაწყდა, გაჭრილიყო ბორცვი და აგებულიყო ხიდი, რომელიც დააკავშირებდა თანამედროვე გმირთა მოედანს პლეხანოვის გამზირსა და რკინიგზის ვაგზალთან. 1935 წელს კ. ზავრიევის, ნ. სლობინსკის, ვ. სალუქვაძისა და ნ. სევეროვის პროექტით აშენდა ჩელუსკინელების ხიდი, რომელიც შესანიშნავად ერწყმის გარემოს.

თბილისი იზრდებოდა. ფართოვდებოდა ახალი რაიონი დიღომიც. ისევ დადგა მტკვარზე ხიდის აშენების საკითხი. 1953 წელს კ. დოლიძის და ა. ქურდიანის პროექტით აიგო დიდუბის ხიდი.

1960 წელს გ. ჭუბაბრიასა და გ. მელქაძის პროექტით აშენდა ხიდი, რომელიც აკავშირებს გორგასლის ქუჩას თბილისის აღმოსავლეთ რაიონებთან. აშენდა კიდევ ერთი ხიდი, რომელმაც დააკავშირა საბურთალო დიდუბესთან. ახალი, ანუ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდი აწყობილია ლითონის კონსტრუქციებისგან. ამან დააჩქარა მისი მშენებლობა. ვახუშტის ხიდის ავტორები არიან გ. ბრეგვაძე, ი. კოშკაძე, ნ. ლომიძე.

თბილისის ხიდებზე საუბრისას უთუოდ უნდა გავიხსენოთ ხიდი, რომელიც არსებობდა მდინარე ვერეზე თანამედროვე გმირთა მოედნის ტერიტორიაზე. ეს ხიდი იყო მცირე ასლი ცნობილი გატეხილი ხიდისა მდინარე ხრამზე და აგებული იქნა XVII საუკუნეში. აქ გადიოდა ძველი დიღმის, შემდგომში საქართველოს სამხედრო გზა. ვერეს ხიდი ასრულებდა დიდ როლს თბილისის ურთიერთობაში დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიასთან. ამ ხიდის შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა ინჟინერ-პოლკოვნიკმა ვ. ჩერნიშევმა, რომელიც მსახურობდა ტფილისში, XIX ს. 60-იან წლებში.

*გენადი ლომიძე*



ნიკოლოზის ხიდი

უკვე ერთი კვირაა, გრძელდება დაპატიმრებები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით. 22 მაისის შემდეგ ტერაქტის მზადების ბრალდებით, 15 პიროვნებაა დაკავებული. ამათგან რვას უკვე ბრალი აქვს წარდგენილი, ნაწილი ეჭვმიტანილთა სიაშია, ნაწილისთვის კი ბრალდებულის „სტატუსი" ყოველ წუთსაა მოსალოდნელი. საქმეს უშიშროება იძიებს. ბრალდების მხარის განცხადებით, მოსალოდნელ ტერაქტთან დაკავშირებით, ცნობა ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში ჰქონდათ მიღებული. გასაიდუმლოებულ ინფორმაციას შსს ცალკე ამონმებდა, უშიშროება — ცალკე. ცნობილ ღამის პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ მიღებული ინფორმაციის გადაკვეთის შემდეგ ძალოვნებმა ერთად გააგრძელეს მუშაობა და მტკიცებულებების გამო, 24 აპრილს სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. დანაშაულის მოხდენამდე საქმის გახსნით მოხიბლულ მინისტრებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ შსს და უშიშროების სამინისტროს ფუნქციები მკვეთრად გამიჯნულია, ანუ სახელმწიფო-გადატრიალების მზადება თუ ასეთი სახის მძიმე დანაშულობათა გამოძიება და ინფორმაციის გადამოწმება მხოლოდ და მხოლოდ უშიშროებისა და დაზვერვის კომპეტენციაა. ამგვარი პარალელიზმები კი ექსპერტების აზრით, ოპერაციის ჩაშლის დიდ შანსს იძლევა.

22 მაისის შემდეგ ჩვენი სამართალდამცავები რიხიანად აცხადებენ, — უტყუარი დოკუმენტაცია გაგვაჩნია, თუ ვის მიერ და რატომ მზადდებოდა ტერაქტიო. ჩვენი ინფორმაციით, ეს უტყუარი დოკუმენტაცია მხოლოდ და მხოლოდ სატელეფონო მოსმენები და უშიშროების სამსახურის ზოგიერთ თანამშრომელთა ჩვენებებია. თუმცა, კვირის ბოლოს გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯამლეთ ბაბილაშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე თავისუფლებააღკვეთილ პირს აღიარებითი ჩვენებაც „უჩუქებია" გამოძიებისთვის. ყოველ შემთხვევაში, ბრალდების მხარე მათ ხელთ არსებულ მტკიცებულებებს თვალისჩინივით უფრთხილდება და არ ახმაურებს იმ მოტივით, რომ მტკიცებულების გახმაურება გამოძიების განიარაღებას ნიშნავს.

დღეს რა ინფორმაციაც არსებობს სამართალდამცავების მხრიდან, ის არის, რომ ტერაქტის დამკვეთი უცხოური სპეცსამსახურები და, რა თქმა უნდა, იგორ გიორგაძეა, ხოლო შემსრულებლები — ქართველები.

დანაშაულში მონაწილეებს საზღვარგარეთ უნდა გაევლოთ სამხედრო მომზადება, თავად ტერაქტი კი ივნისის დასაწყისში იყო დაგეგმილი. ჯერჯერობით, ძიება ამგვარი ზოგადი განცხადებებით იფარგლება, სწორედ ამიტომაც, საზოგადოების დიდმა ნაწილმა არშემდგარი ტერაქტი მორიგ ფარსად აღიქვა. თუმცა, უნდობლობის ფესვები ჩვენი სამართალდამცავების წარსულში გამოძიებულ საქმეებში უნდა ვეძიოთ, რომელთა უმრავლესობა დაკავებულთა ცემა-ტყეპით მიღებულ ჩვენებებზეა აგებული და სხვა მტკიცებულებებით ნაკლებად არის გამაგრებული. მაგალითად, ე.წ. „რატიანის საქმეც" იკმარებდა, რომელიც 29 აგვისტოს ტერაქტის მცდელობის ბრალდებით 4 წელი ტყუილუბრალოდ აყურყუტეს ციხეში.

ამ შემთხვევაში ალოგიკურია გამოძიების დამთავრებამდე და საქმის მასალების გაცნობამდე ამტკიცო, რომ ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი ან მორიგი სპექტაკლია. ერთადერთი, რაც ეჭვს იწვევს, ის არის, რომ დაკავებულები, ასე ვთქვათ, იგორ გიორგაძის „წრის" ხალხია, ანუ ისინი, ვინც იგორ გიორგაძის გვერდით მუშაობდა თავის დროზე. თუ ვარაუდებს დავეყრდნობით, ბრალდებულ თემურ პაპუაშვილის ადვოკატის, ხათუნა სალუქვაძის თქმით, არსებობს ინფორმაცია, რომ სექტემბრამდე მუხროვანის ყოფილი სადესანტო მოიერიშე ბრიგადის წევრებისა და ასევე ყოფილი „ალფელების" აყვანა უნდა მომხდარიყო, რადგან ეს ხალხი დღემდე იგორ გიორგაძის ფრთად აღიქმება.

მოსალოდნელია, იგორ გიორგაძეს სამი პარლამენტარიც „შეეწიროს". ასეთი შედეგი ალბათ განთქმით ჩვენებებზე იქნება დამოკიდებული. მათ გვარებს გამოძიება ოფიციალურად არ ასახელებს, არაოფიციალურად კი უკვე ყველასთვის ცნობილია. თუმცა ჩვენი ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, „სხვებს" მოჰკიდონ ყურში ხელი და სანაგვეზეც მოისროლონ, რასაკვირველია, თუ სახელმწიფო ინტერესი (და არა კანონი) მოითხოვს... რაოდენ კომიკურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, კულისებში ტერაქტის თანამონაწილედ ქართლოს ლარიბაშვილის გვარიც დასახელდა. სხვათა შორის, 22 მაისს ბრალდებულ თემურ პაპუაშვილის დასაცავად მისული ლარიბაშვილი შსს-ში 3 საათი არ შეუშვეს.

## ტერაქტის თანამონაწილედ ქართლოს ლარიბაშვილიც დასახელდა...

ქართლოს ლარიბაშვილი: „ზურაბ ჩხაიძის მიერ ჩემთვის და ხათუნა სალუქვაძისთვის საშვი იყო დაშვებული. მითხრეს, — ხათუნას შევუშვებთ, შენ არაო. ხათუნასთვის ეთქვათ ჩემზე, უნდა დავკითხოთო... ვიდექი სამ საათზე მეტ ხანს სამინისტროს წინ და სკამიც კი არ მომიტანეს. მე ვუთხარი, რომ შევარდნაძის შემდეგ მათი მომავალი პრეზიდენტი ვარ და სკამი მომიტანეთ-მეთქი. არ მომიტანეს. ერთ-ერთმა მითხრა, — ქვაზე ჩამოჯექიო... რა უნდა მექნა, მეც, აღმაშენებელივით, ქვაზე ჩამოვისვენე და პატარა ბრიფინგი მოვუწყვე პოლიციის თანამშრომლებს. მერე ტელეკომპანია მოვიდა და შემიშვეს. ეს კანონის უხეში დარღვევაა. წესით, ეჭვმიტანილს სამი საათის განმავლობაში ადვოკატი უნდა წარუდგინო, მე კი სამი საათი გარეთ ვიდექი..."

მიუხედავად იმისა, რომ ლარიბაშვილზე ხმა აღარავის ამოუღია და გავრცელებული ხმები გავრცელებულ ხმებად დარჩა, ბატონმა ქართლოსმა, ალბათ ძველი, ორთვიანი პატიმრობით შეშინებულმა, ტერაქტთან დაკავშირებით თავისი პოზიცია „კვირის პალიტრასთან" საუბრისას მაინც დააფიქსირა: „დღევანდელ ხელისუფლებასთან, ქვანიათი დაწყებული, დამთავრებული სხვა პარტიებით, ყველასთან კარგი, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ეს ადამიანები ყველა გვერდში დამიდგა, როცა ტოტალიტარიზმის ნარჩენებმა დამაპატიმრეს. ასე რომ, მორალური უფლებაც კი არ მაქვს, არათუ შეთქმულებაზე ვიფიქრო, არამედ კერძო საქმეშიც კი დავუპირისპირდე... რაც შეეხება პაპუაშვილს, თუ გამოძიება მტკიცებულებას დამიდებს და დამარწმუნებს, რომ ის მართლაც ტერაქტს ამზადებდა და შეთქმულებაში მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მიზნით, მე მას აღარ დავიცავ..."

ლარიბაშვილის თქმით, არსებობს უშიშროების სამინისტროს 3-4 თანამშრომლის ჩვენება, სადაც პაპუაშვილზეც არის საუბარი, თუმცა ადვოკატი ამ საბუთებს ზედმეტად უსუსურად მიიჩნევს და აცხადებს, — თუ გამოძიებას სხვა სერიოზული მტკიცებულება არ გააჩნია, რამდენიმე თვეში თავის დაცვის ქვეშ მყოფს შინ გაუშვებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ხათუნა სალუქვაძემ და ქართლოს ლარიბაშვილმა პაპუაშვილის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლა პირადი თავდებობის შეცვლით მოითხოვეს. უზენაესი სასამართლოს საკასაციო საქმეთა პალატამ ბრალდებულ პაპუაშვილს 3-თვიანი დაპატიმრების სანქცია ორ თვემდე შეუმცირა. იგორ გიორგაძის ყოფილ მოადგილეს, თემურ პაპუაშვილს ბრალდება ტერაქტის, შეთქმულების მცდელობასა და იარაღის უკანონო შენახვაში ადანაშაულებს.

ქართლოს ლარიბაშვილი: „იარაღი, რომელიც პაპუაშვილის ცოლის მშენებარე, მიტოვებული სახლის ფარდულიდან ამოიღეს, ჩემოდანსა და ორ ჩანთაში იყო მოთავსებული. იმ სახლს არც ჭიშკარი აქვს, არც ფანჯარა, არც ღობე... ჩხრეკის დამსწრე მეზობელ ქალებს ველაპარაკე. მითხრეს — არც კი უძებნიათ, მივიდნენ და პირდაპირ გამოიტანესო... გვინდოდა, იარაღზე ლუქები დაგვეთვალიერებინა. პოლკოვნიკმა სალაყაიამ გვითხრა, — უკვე ექსპერტიზისთვის გავგზავნეო. ის იარაღი რომ ამოიღეს, რომელს რა გაუკეთეს, ჩვენ არ ვიცით. ასე რომ, ის უკვე ნივთმტკიცება აღარ არის... ამბობენ, იგორ გიორგაძის პლაკატებიც ამოიღესო. მე


იარაღის ამოღების ადგილი

პლაკატებით არც დავინტერესებულვარ, იგორ გიორგაძე პლაკატზე ტრუსიანი იქნება, გენერლის ფორმით, შლაპით თუ უშლაპოდ, მაგ პლაკატებს არანაირი მტკიცებულებითი მნიშვნელობა არ აქვს... ვეუბნები, მაჩვენეთ მტკიცებულება-მეთქი, არ მიჩვენებენ. თუ აქვთ და დამიმალავენ, მაშინ ის მტკიცებულებად აღარ ჩაითვლება".

ადვოკატ ხათუნა სალუქვაძის განცხადებით, პაპუაშვილს დაკავებისას „ჯიპი" და მობილური ტელეფონი ჩამოართვეს, რომელიც მისი ოჯახისთვის არ დაუბრუნებიათ. აღსანიშნავია, რომ პაპუაშვილს, თურმე, ერთი თვის განმავლობაში აშკარად უთვალთვალებდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ.

აშკარა თვალთვალი, რომელსაც თურმე უშიშროება აწარმოებდა, ბრალდებულ აჩიკო ფანჯიკიძესაც შეუნიშნავს.

ირმა ფანჯიკიძე (აჩიკო ფანჯიკიძის მეუღლე): „მას სამთავრობო დაცვაში სამსახურის დაწყება უნდოდა. 1998 წლის ნოემბრის თვეში განცხადებაც ჰქონდა დაწერილი. როდესაც თვალთვალი შეამჩნია, გახარებული იყო, — მგონი, სამსახურში მოწყობასთან დაკავშირებით მითვალთვალებენო... როდესაც აქ მოვიდნენ და უთხრეს, — შსს მინისტრი გიბარებსო, მაშინაც ეს გაიფიქრა და კმაყოფილი სახით გაჰყვა მათ".

აჩიკო ფანჯიკიძე თავის დროზე ოთარ ფაცაციას პირადი მცველი იყო. შემდეგ მოსკოვში 3-თვიანი სპეცკურსი გაიარა და იგორ გიორგაძის პირად დაცვაში მუშაობდა. ბოლო დროს უმუშევრად დადიოდა.

აჩიკო ფანჯიკიძის ბინიდან, მისი მეუღლის თქმით, 1916 წელს გამოშვებული ნაგანი და ხელყუმბარა ამოიღეს, ამოიღეს ის, რაც ჩადეს. მეზობლებმა, რომლებიც ჩხრეკას ესწრებოდნენ, პროტესტი გამოთქვეს და იარაღის ამოღებას ხელი არ მოაწერეს. ფანჯიკიძის ბრალდებები პაპუაშვილის ბრალდებების იდენტურია.

ადვოკატი თამუნა კაპანაძე: „ბრალდების საფუძველი ის ყალბი ინფორმაციაა, რომელიც ერთ-ერთმა პირმა შეგნებულად მიაწოდა აჩიკო ფანჯიკიძის შესახებ".

ირმა ფანჯიკიძე: „ამ პიროვნებას პირადი ინტერესი ჰქონდა, რომ თავად ერთიორი საფეხურით ზევით ასულიყო... აყიოტაჟის ატეხვას ვაპირებთ, მაგრამ ჯერ არ გვინდა."

სახელმწიფო ღალატის, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და იარაღის უკანონო შენახვის ბრალდება აქვს ასევე წარდგენილი ბრალდებულ გია გიორგაძეს. იგორ გიორგაძის დროს მუხროვანის ტერიტორიაზე სპეცრაზმში ნამუშევარი, აფხაზეთის ომგამოვლილი გია გიორგაძე დაახლოებით ბოლო ორი წელი „კოკა-კოლას" დაცვაში მუშაობდა. ადვოკატ ნიკა გორდეზიანის განცხადებით, პერანგის ამარა წაყვანილ გიორგაძეს შსს-ში, ე.წ. თანამონმეების თანდასწრებით, ქამრიდან ნაგანი ამოუღეს, როცა ყველა აცხადებს, რომ წაყვანისას მას იარაღი არ ჰქონდა. დაკითხვის დროს ავად გამხდარა. რას ვეუბნებოდი, აღარც მახსოვსო, — უთქვამს გია გიორგაძეს ადვოკატისთვის. ნიკა გორდეზიანი ფიქრობს, რომ მის დაცვის ქვეშ მყოფს №5 იზოლატორში ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ჩამოართვეს ჩვენება. ამჟამად ბრალდებული 3-4 კაცთან ერთად იმყოფება საკანში.

ნიკა გორდეზიანი: „ეს ყველაფერი 1937 წელს მაგონებს. მაშინაც ყველა ბრალდებული სამშობლოს ღალატით და ტერორისტული აქტების ბრალდებით იყო რეპრესირებული. დღეს კი ყველა მათგანი რეაბილიტირებულია. გია გიორგაძეს არანაირი შეხება ტერაქტთან არ ჰქონია, მერე რა, რომ გიორგაძეა?!"

დაკავებულთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გენერალ გუჯარ ყურაშვილის გვარია. მას სამშობლოს ღალატის ბრალდება აქვს წარდგენილი. გავრცელდა ხმა, რომ იგი დანაშაულს აღიარებს, თუმცა, კვირის ბოლოს, გუჯარ ყურაშვილის ხელნაწერი — მე არა ვარ სამშობლოს მოღალატე, — ტელევიზიის საშუალებით მისმა ადვოკატმა თემურ გოქსაძემ აუფრიალა საზოგადოებას. გამოძიების დამთავრებამდე დიდი დროა. ერთადერთი, რაც მანამდე შეიძლება ითქვას, ის არის, რომ გუჯარ ყურაშვილი გალის მოვლენების უშუალო მოწმე და იმავე იგორ გიორგაძის პერიოდის „დიდი ინფორმაციების" მფლობელია. სამწუხაროა, მაგრამ დაკავებულთა შორის ყოფილი პარტიზანებიც არიან. გამოძიება დაკავებულთა დანარჩენ გვარებს არ ასახელებს.

გენერალური პროკურორის, ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადებით, არც ერთი ტერორისტული აქტის დროს უცხოეთის სპეცსამსახურების იმდენი სამხილი არ ყოფილა, როგორც ახლა, იმდენი ზუსტი ინფორმაცია, როგორც ახლა... ყოველ შემთხვევაში, სენსაციური კვირის ფონზე ყველაზე ღიმილიან გაკვირვებას ის იწვევს, რომ დღეისთვის არსებული ინფორმაციით, დაკავებულებზე ფიზიკური ზეწოლა არ ხდება. რას მივაწეროთ ეს — ჩვენი სამართალდამცავების პროფესიონალიზმის მომატებას თუ...

*მარინა მამისაშვილი*

## «საკანში ორი «ტერორისტი» ვართ და ახალი ტერაქტის გეგმას ვაწყობთ»...

22 მაისამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე გენერალურმა პროკურატურამ 9 თებერვლის ტერაქტის 73-ტომიანი საქმე უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. ბრალდებამ ტერაქტის დაფინანსებასა და ორგანიზებაში გურამ აბსანძე დაადანაშაულა. ყოფილი ფინანსთა მინისტრი თავს დამნაშავედ არ ცნობს და სიმართლის გამოაშკარავებას სასამართლოზე აპირებს. ჯერჯერობით კი იგი №5 იზოლატორშია...


გურამ აბსანძე

**— ბატონო გურამ, თქვენი საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა. თქვენს მიერ საქმის გაცნობისას იყო თუ არა თქვენი უფლებები დარღვეული და საერთოდ, გაეცანით საქმეს?**

— ხელისუფლების სცენარით და კარნახით ჩატარებული „გამოძიების" მიერ ჩემზე წარდგენილი ბრალდება შეიძლება შევიდეს გინესის რეკორდების წიგნში, როგორც სისხლის სამართლის საპროცესუალო კოდექსის უამრავ და არნახულ დარღვევათა ნიმუში. კანონისა და მორალის კატეგორიებს პროკურატურის მუშაკებისთვის არავითარი ფასეულობა არა აქვთ. მათ დიდი ხანია ჩამოუყალიბდათ მლიქვნელური მსოფლმხედველობა. გავეცანი საქმის მხოლოდ 26 ტომს. არ ვიცი, როგორ უნდა განიხილოს სასამართლომ, როდესაც ბრალდებულის მხარე საქმეს არ იცნობს (მე კი არა, ჩემი ადვოკატებიც კი არ გასცნობიან საქმეს). ასეთ შემთხვევაში, როგორ ჩააყენებს სასამართლო თანაბარ პირობებში ბრალმდებლისა და ბრალდებულის მხარეს? ასე რომ, კომიკურ სიტუაციაში ვიმყოფებით.

**— რამდენად კანონიერად მიგაჩნიათ, რომ თქვენი საქმე განიხილოს უზენაესმა სასამართლომ და არა საოლქო სასამართლომ?**

— ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ საქმის დამთავრება როგორმე 1999 წლის 15 მაისამდე მოესწროთ, რათა გადაგზავნილიყო უზენაეს სასამართლოში. საბრალდებო დასკვნაც წინასწარ დაიწერა, ის კი არა, კანონში საგანგებო ცვლილებები შეიტანეს ჩემს საქმესთან დაკავშირებით, რათა იგი უზენაესი სასამართლოს განსჯადობის საქმედ ექციათ. მიაღწიეს კიდეც; ჩვენც არ გვძინავს. ვფიქრობ, დავამარცხებთ უზნეოთა ხროვას.

**— თქვენი დაკავების შემდეგ საქართველოს ტელევიზიამ გაიმეორა თბილისის ომის დროს პარლამენტის ბუნკერში გადაღებული კადრები. თქვენ და მურმან ომანიძე ერთმანეთს თანხის მითვისებაში ადანაშაულებთ... იყო თუ არა თქვენს შორის ასეთი საუბარი: ომანიძე გეკითხებათ — გაიტანე? თქვენ პასუხობთ — ორი მეშოკი მწვანე უკვე გავიტანეო (დოლარზეა საუბარი)...**

— არ ვიცი, რა გაიმეორა საქართველოს ტელევიზიამ, მაგრამ მოგიყვებით იმას, რაც 1991 წლის დეკემბრის ბოლოს უზენაესი საბჭოს სასადილოს შენობაში მოხდა: მოვიწვიეთ მთავრობისა და უზენაესი საბჭოს ერთობლივი თათბირი, მას ესწრებოდა პრეზიდენტიც. იქ დავსვი საკითხი სამი პიროვნების (ნოდარ გიორგაძე, ბესიკ ქუთათელაძე და მურმან ომანიძე) მიერ პრეზიდენტის დავალების შეუსრულებლობის შესახებ, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ მათ არ წარმოადგინეს იარაღის შესაძენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯვის ანგარიში. ომანიძეს რამდენიმე შეკითხვა დავუსვი. იქ არავითარ მწვანეებსა და ყვითლებზე ლაპარაკი არ ყოფილა, ხოლო თუ ასეთი კადრი მართლაც უჩვენეს, ვთხოვ ჩემს ადვოკატებს, სასწრაფოდ შეიტანონ სარჩელი ტელევიზიის წინააღმდეგ სასამართლოში, ვინაიდან დეგრადირებულ ხელისუფლებას შეუძლია ყველაფერი იკადროს... ვერ მივიღე ომანიძისგან ამომწურავი და ობიექტური პასუხი, ამიტომ პრეზიდენტს ვთხოვე, იგი დაეკავებინათ. მართლაც, პრეზიდენტმა ამის შესახებ ბრძანება გასცა და თანამდებობიდან გადააყენა, მაგრამ გვიან ღამით, ჩემთვის უცნობი მიზეზით, გაათავისუფლა და ომანიძე გაიქცა თბილისიდან. იმ დღის თათბირთან დაკავშირებით, ვთხოვ, თათბირის მონაწილე დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, გამოთქვან აზრი. რაც შეეხება „მეშოკებით" „მწვანეების" გატანას, ასეთი ზღაპრები მესმის 1992 წლის 7 იანვრიდან, ამიტომ ამაზე კომენტარს არ ვაკეთებ. ყველაზე დიდი კომენტარი სასამართლო პროცესზე იქნება. ისე კი ზოგადად გეტყვით, რომ კანონიერ ხელისუფლებას არც „მეშოკით" და არც „კაშელოკით" არავითარი თანხა არ გაუტანია და არ გაუტაცია. იმიტომ ჩამოვედი საქართველოში, რომ ის ბინძური ცილისწამებები, რომლებსაც ავრცელებდა და ავრცელებს ქართველი ერის ინტერესების გამყიდველთა ხროვა — დღევანდელი ხელისუფლება — ვამხილო. ამას ნახავთ სასამართლო პროცესზე.

**— თქვენ ბრალად გედებათ ფოთის ბანკიდან ფულის გატაცება...**

— დიახ, ბრალად მედებოდა ათეულ მილიონობით დოლარის გატაცება, მაგრამ საქართველოში ჩემი ექსტრადიციის შემდეგ ეს მილიონები გაქრა და დღევანდელი ხელისუფლების პროკურატურამ წარმიდგინა მხოლოდ 128,8 ათასი ამერიკული დოლარის გატაცების სასაცილო ბრალდება. ეს თანხა ფოთის ბანკიდან ინკასირებულ იქნა არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით. მხოლოდ ორი „შეცდომა" დავუშვით: 1) აღნიშნული ვალუტის ფოთის ორი ბანკიდან ინკასირებისა და შემდეგ მისი ხარჯვის შესახებ წინასწარი „შეთანხმება" არ გვქონია საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და ამერიკის ადმინისტრაციასთან; 2) ვალუტის ინკასირებისა და ხარჯვის შესახებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების პროექტები არ შეგვითანხმებია ხუნტასთან. ამაზე ვუხდი მათ ბოდიშს.

**— ამბობენ, რომ ამ ფულის წყალობით რუსეთში დიდი ბიზნესი დაატრიალეთ...**

— პროკურატურას აქვს ყველა მასალა ჩემს ბიზნესზე და გამოაქვეყნოს. რა ბიზნესსაც ვეწეოდი, იმით შეიძლებოდა მხოლოდ ოჯახის შენახვა. ასეთი იგავ-არაკების გავრცელება დღევანდელ ხელისუფლებას იმისთვის სჭირდებოდა, რომ 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზებასა და დაფინანსებაში ვემხილებინე, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

(გაგრძელება იხ. გვ. 12)

# ჩვენ საზარბაზნე ხორცი არა ვართ, — აპროტესტებს დაკარგული თაობა

დილიდან გეზი საინფორმაციო სააგენტოებისკენ ავიღე — გავიგებ, ვინ ვინ გალახა, ვინ ვის კვანტი გამოსდო, ვინ ვის პოლიტიკურ სარეცელში გადაკოტრიალდა, ვინ ვისი რისი მცნობი და მგმობი შეიქნა და სწორედ ახლა ჩემნაირ მოცლილს ელოდება, რომ გაზეთის პირველი გვერდიდან ან ცისფერი ეკრანიდან გაუღიმოს მონატრებულ ცოლშვილს და შეახსენოს, რომ ცოცხალია და მძიმე პოლიტიკურ უღელს ჯერ არ დაუტანჯავს მისი კაცობრიობაზე ზრუნვით გადაღლილი პერსონა. არ დამცალდა! შენობაში შესულს, რომლის ფანჯრები პარლამენტს გაჰყურებს, უჩვეულო გამოცოცხლება დამხვდა, მაგრამ სიტუაცია მეუცხოვა და იქ შეკრებილ ახალგაზრდებს — ვინ ხართ-მეთქი, — გაოცებულმა ვკითხე. ჩვენ ის დაკარგული თაობა ვართ, რომელიც მამებმა საზარბაზნე ხორცად გაგვიმეტა და არაერთგზის აგვიფარა ფარად, თავისი უმნიფარი პოლიტიკური თამაშების დროსო.

ახლა რას აპირებთ-მეთქი?

დაუნდობელ ბრძოლასო, — იყო პასუხი.

ჩემს დაფეთებულ თვალებს რომ წააწყდნენ, დამამშვიდეს — ჩვენ, მართალია, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ვუცხადებთ მამათა თაობას, მაგრამ ეს უფრო მენტალური ბრძოლა იქნება. ჩვენ მათ ცნობიერებას ვუცხადებთ ომს და სწორედ მის გამოსწორებას შევეცდებითო.

ცოტა ძნელი ამოცანა ხომ არ დაგისახავთ-მეთქი?!

თქვენ სწორად ვერ გაგვიგეთ, მათი პიროვნულად შეცვლა გამორიცხულია, რადგან ეს ის საბჭოთა პროდუქტია, რომელიც, აბრაამის სამწყსოსი არ იყოს, ხოხვისთვის იყო გაჩენილი, ხოხვისთვის ნაშობს კი, მოგეხსენებათ, ფრენა არ ძალუძს. ერთადერთი, რაც მათ ფრიადზე იციან, ეს არის, როგორ წაართვან ქვეშევრდომს, როგორ ასიამოვნონ უფროსს, საქმე კი ამ უკანასკნელისთვის გააკეთონ მხოლოდ, ისიც ქაღალდზე! დღეს ისევ მათი დროა, ასეთებს თანამდებობებს და სკამებს ლამის ქოთნებივით გულმოდგინედ უმარჯვებენ გადაყენების შემდეგაც — გამოცდილია, ამიტომ გადასაგდებად ცოდვააო.

გამოცდილი და გამობრძმედილი კი ნამდვილად არიან „ვერტიკალურ ერთგულებაში" და ზემოთ ჩამოთვლილ საქმიანობაში, — განაცხადა ერთ-ერთმა „დაკარგულმა", რომელიც სმაკ-ის ყოფილი პრეს-მდივანი **ლევან ვეფხვაძე** აღმოჩნდა. ვინ ხართ, ვის დაკარგვიხართ, რომელ პარტიას ეკუთვნით, ვინ დგას თქვენს უკან, ვინ მიგიძღვით წინ და, საერთოდ, რა გინდათ, რას გვერჩით-მეთქი, — ისევ ვიკითხე.

მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერი არა გვყავს და არც გვეყოლება — აქ ყველა თანაბარია. ვის დავეკარგეთ და, დღეს საქართველოში მოქმედ თითქმის ყველა პარტიას. უკან და გვერდით კი ისევ ჩვენი თაობის ბიზნესმენები და მეწარმეები გვიდგანან, რომლებიც ჩვენი ზეპარტიული მოძრაობის, რომელსაც „ახალი ქართული ალტერნატივა" დავარქვით, ფინანსურ მხარდაჭერასა და თანადგომას გვპირდებიანო.

თანდათან რაღაც გამოიკვეთა. დავმშვიდდი, რაკი თურმე კიდევ ერთი ექსტრემისტული საფრთხე არ ემუქრება ჩვენს „პოლიტმატიმარ" სამშობლოს. კი ბატონო, მაგრამ რა გინდათ, რას ითხოვთ-მეთქი!

ჯერ იმას მოგახსენებთ, რა არ გვინდა, — ჩაგვერია საუბარში **დავით ხოფერია**, — ჩვენ არ გვინდა კულტურა, რომელიც სტაგნაციაშია, მეცნიერება, რომელიც ჩამორჩა, ბიზნესი, რომელსაც უჭირს და პოლიტიკა, რომელიც არ ვარგა; რაც შეეხება მიზნებს, ჩვენ შეგვიძლია, შევცვალოთ მთავარი — გამრუდებული ცნობიერება, რათა სახელმწიფო




სახელმწიფოს დავამსგავსოთ, დაობებულ რეტროგრადებს კი ალტერნატივად მოვევლინოთ და ნელ-ნელა გამოვდევნოთ ყველა სფეროდან. მიგვაჩნია, რომ ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას ამის პოტენცია გააჩნია. დღეს კი მისთვის არავის სცალია. გადახედეთ თუნდაც ჩვენს პრესას, — ჩაერთო ერთ-ერთი ახალგაზრდა, — საწყენად არ ვამბობ, მაგრამ თვით ის გაზეთებიც კი, რომელთა სახელწოდებაც პირდაპირ კავშირშია ახალგაზრდობასთან, იმავე რეტროგრადების დაძენძილ იდეებს ქადაგებენ და მათვე უწევენ რეკლამას. ჩვენ თითქოს არც ვარსებობთ, მხოლოდ მაშინ გავახსენდებით, როცა მათ ვიწროპარტიულ და ფართოპირადულ ინტერესებს დამრტყმელ ძალად ვჭირდებით. გვეყო, ჩვენ ველარავისი ფარი ველარ ვიქნებით!

— ჩვენი მეგობარი მართალია, — ჩამოართვა სიტყვა მას **ლევან ვეფხვაძემ**, — ჩვენ ვერც ერთი პარტიის ფრთები და ფეხები ვერ ვიქნებით, უჩვენოდ იფრინონ და აფრინონ. ჩვენ საწვევი უკვე ვიწვნიეთ ლაგოდეხში, — თქვა და სიცილი ვერ შეიკავა, — მე და დათო ხოფერია, რომელიც მაშინ სოციალისტების პატარა იმედი იყო, ბარიერის სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით...

— და მუშტებიც გაცვალეთ? — აქ მეც გულიანად ავხარხარდი. — საბედნიეროდ, არა, დღეს კი, როგორც ხედავთ, აქ ვართ და სხვასაც იმავეს ვურჩევთ.

ჩვენი, ჟურნალისტების ნილი ეშმაკი არ მასვენებს და პროვოკაციულ კითხვას ვუსვამ, — არჩევნების წინა პერიოდში უამრავი საზოგადოებრივი ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც შემდეგ გზადაგზა პანტაპუნტით გასკდა და წვრილ-წვრილ პარტიებად გამოიჩეკა (იმის მაგივრად, არსებულნი გაერთიანებულიყვნენ და გაძლიერებულიყვნენ), თქვენც იმავეს ხომ არ გვიპირებთ და არჩევნების წინ რომელიმე პარტიის პოლიტიკური პანჩურის როლში ხომ არ მოგვევლინებით, რაღაც ნამეტანი კარგად ჟღურტულებთ-მეთქი, თან მშვენივრად გარემონტებული ოფისიც დავაყვედრე.

ეტყობა, კაკალ გულში გავარტყი, რომ ყველა ერთად ფიცს მოჰყვა — ჩვენ იურიდიულადაც კი არ ვფორმდებით, რომ ამ ხელისუფლების წინაშე პასუხისმგებლობისგან სრულიად თავისუფლები ვიყოთო, მომავალ არჩევნებში კი ეს სრულიად შესაძლებელია, რადგან იმ დროისთვის, შესაძლოა, სრულყოფილ პოლიტიკურ ძალად ჩამოვყალიბდეთ და მაშინ კი გვერიდონო.

სრული სერიოზულობით დავინტერესდი, რა ხერხებით და საშუალებებით იმოქმედებენ, რომ მათი კოლოსხელა ნაკბენი ისეთ კან და ძარღვმაგარ სპილოს, როგორიც ჩვენი ისტებლიშმენტია, სასიამოვნო ღიტინად არ მოეჩვენოს. შიმშილს არ ვაპირებთ, პირიქით, ვფიქრობთ თავად ისინი ვაშიმშილოთ და ურგები ლუკმა დავატოვებინოთ, თორემ რა გამოდის, კაცი საქმეს გააფუჭებს და მიდის, პასუხს კი არავინ არაფერზე აგებს. ჩვენი ბრძოლის ხერხები მრავალფეროვანი იქნება — საპროტესტო აქციებით დაწყებული, პოლიტიკური და მუსიკალური შოუთი დამთავრებული, ჩვენ ყველა მოვლენას პოლიტიკურ შეფასებას მივცემთ და ალტერნატიულ გადაწყვეტილებასაც შევთავაზებთ მთავრობას. საამისოდ მძლავრ და მოქნილ პრესსამსახურს შევქმნით, I-II კურსის სტუდენტებს გამოცდილ ჟურნალისტებს მივამაგრებთ, რათა მათ უკეთ შეძლონ ჩვენი პრობლემების გაშუქება. სწორედ ამიტომ მოვაწყვეთ ეს თავშეყრის ადგილი (რომელსაც ჩვენ, უბრალოდ, სახლს ვუწოდებთ) პარლამენტის შენობის წინ, შორს წასვლა აღარ დაგვჭირდება, პირდაპირ ფანჯრებში გადმოვუფენთ პლაკატებს...

**თუ თქვენს მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ და თქვენს აზრებს არ გაითვალისწინებენ?**

— ისეთ ხმაურიან დისკოთეკებს მოვაწყობთ, იძულებულნი იქნებიან დათმობაზე წავიდნენ, — დამპირდნენ ბიჭები. მე კი, არც ვაციე, არც ვაცხელე, იქით დავპირდი... პროვოკაციებს, რომელსაც შესაძლოა, თქვენი ორგანიზაცია გადააყოლონ, რადგან თავახსნილი ახალგაზრდების შიში ყველა ჯურის და მასტის მთავრობის თანამდევი დაავადებაა და მას სხვადასხვაგვარად, სამწუხაროდ, ხშირად ქირურგიულადაც კი მკურნალობენ,

— **მზადა ხართ ამგვარი გამოწვევისათვის? — ვკითხე ბიჭებს.**

ჩვენ საკმაოდ ბევრი ვითმინეთ და აღარანაირ დათმობაზე აღარ წავალთ, მათ ჩვენით მანიპულირების უფლება მივეცით, აფხაზეთის უაზრო ომში ცხვრებივით წინ გაგვირეკეს და ქართულ გენოფონდს უზარმაზარი დარტყმა მიაყენეს, დღეს კი მათ პირად კეთილდღეობას და თითო კაცის ამბიციებს ვეწირებით, კმარა, ჩვენ საცდელი ბაჭიები არა ვართ!

ეჭვის მწვანეთვალება დემონს ბოლომდე ვუხდი ხარკს და პარტიებიდან დენადობის საკითხს ვუბრუნდები. აქ კი გამიმართლა და მაინც აღმოვაჩინე „გარღვევა ბიუჯეტში" — „ლტოლვილთა" სიაში უმეტესობა „ორმანდატიანი" აღმოჩნდა და პარალელურად, ისევ განაგრძობს პარტიულ საქმიანობას. სიტუაციის გადარჩენა დავით კამიკაძემ, უკაცრავად, ხოფერიამ იკისრა და, — თუნდაც ამბის მიმტანებად იყვნენ ჩვენთან გამოგზავნილი, მაინც მოხარულები ვიქნებით, მათი ჩვენთან ყოფნის და ფართოდ გავულებთ კარსო, — ჩაარაკრაკა.

ჩვენი დევიზია, ყველას გულღიად შევეგებოთ, ვინც ახალგაზრდაა და ვინც თავს ახალგაზრდად მიიჩნევსო, — მიპასუხეს და მეორე დღეს პრეზენტაციაზე დამპატიჟეს.

აქ კი ყველას სასიამოვნო სიურპრიზი ელოდა — ერთ-ერთ ოთახში გამოფენილმა მოქმედი პოლიტიკოსების ფოტოშარჟებმა, რომლებსაც გონებამახვილური წარწერები ამშვენებდა, სტუმრების აღტაცება დაიმსახურა. იქვე, ყოფილი კოლეგა, გიორგი ახვლედიანი დავლანდე. ვიცოდი, მტკიცე სოცდეკი იყო, ეჭვი არაფერზე ამიღია, სტუმრად მივიჩნიე და ტელევიზიაში მიმდინარე რეფორმებზე გავუბი საუბარი; აღმოჩნდა, რომ გიორგი საყოველთაო ახალგაზრდული მოძრაობა „ახალი ქართული ალტერნატივის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელია, პარტიას კი, როგორც თავად გამანდო, ლიდერის მიმართ პირადი სიმპათიების გამო, ჯერჯერობით, არ ტოვებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელობა არც სახელს აქვს, გინდა ალტერნატივა დაირქვან და გინდა გაქცეულთა პარტია!

მთავარი, ვფიქრობ, ისაა, რომ ჩვენი უნიჭიერესი და არეული დროისგან ბევრ რამეზე გულნაკლული თაობა თვითდამკვიდრებას ცდილობს, ისევ თავად ეძებს თავის წილ ღირსეულ ადგილს საზოგადოებაში და ღმერთმა ხელი მოუმართოთ!

*P.S. ერთიცაა, ეიფორიაში მყოფს ყურადღება აღარ მიმიქცევია, რომ პრეზენტაციაზე წარმოდგენილი სტენდი მთლიანად „კვირის პალიტრის" ფოტომასალით იყო გაფორმებული და როგორც გვიან გავარკვიე, სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე ეს სტენდზე აღნიშნულიც უნდა ყოფილიყო, რაც არ მოხდა.*

*გულდასაწყვეტია, რომ ახალგაზრდები თვითდამკვიდრებას, როგორც თავად ამბობენ, „ანტირეტროგრადული" ხერხებით აპირებენ. რედაქცია იმედოვნებს, რომ ეს მექანიკური შეცდომა იყო და მომავალში მსგავსი არაფერი განმეორდება.*


ANADOLU & IBERIA

ანადოლუ & იბერია

მის: წინამძღვრიშვილის ქ. 65ა
ტელ: 95-24-11; 94-09-16

ჩვენთან თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ:

80 დასახელების ნებისმიერი
კონფიგურაციის მინები,
მათ შორის
მინა ტრიპლექსი,კარებები,
ჩარჩოები, ვიტრაჟები, სარკეები

დეკორატიული, აჟურული, ლამინირებული და სარკისებური მინები. ELIT GLASS, YORGLASS, სარკეები. ყველა სახის მინა პაკეტები. მინის ზომა 6-მდე. შენობის ფასადის მინით მოპირკეთება, თბოიზოლაციური ალუმინისა და მეტალოპლასტიკის ვიტრაჟები, ჩვეულებრივი და ავტომატური კარები, მინის სახურავები, ფინური წარმოების მეტალოკრამიტი, 1კვმ - 9$, თაბაშირის მუყაო (ე. წ. გიბს კარდონი) და სხვა სამშენებლო მასალები.




# წინასაარჩევნო ალილო?..

წინასაარჩევნო ნიავმა ფეხდაფეხ ჩამოიარა ალილოზე და პირწმინდად წამოკრიფა წითელ-ყვითელი კვერცხები, რომლებიც, ღმერთმა დაგვიფარა და, ხვალ შეიძლება პრეზიდენტად და მინისტრებად მოვლენოდნენ ქვეყანას. ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს! წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო და დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილოთა საალილო კვერცხებში, ვინ იცის, კიდევ ვის ვიხილავთ.

ცხოვრება ბრძენია და ისიც დაგვანახა, რომ არც ტერორისტები იჩეკებიან შემთხვევით — მათ წინ მთელი მოსამზადებელი სამუშაო უძღვის, რომელსაც, სხვათა შორის, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, თვით მათი ავი ზრახვების ადრესატიც დიდად უწყობს ხელს (საინტერესოა, რა შორს მიმავალი მიზნით?!). სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ტერორისტად აღიარებული პირის და ხელისუფლების ლამის იარაღით დამხობის მომხრე მომწოდებელი, უამრავი ექსტრემისტული პარტიის თუ დაჯგუფების მხარდამჭერი უზარმაზარი იდეოლოგიური მანქანა შეუჩერებლად მუშაობს დღესაც, მაშინ, როცა ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის ყველა მომხრე ცივილიზებულ სამყაროში კანონგარეშეა და სათანადოდ ისჯება, ჯერ კიდევ სიტყვისთვის და არა უკვე ჩადენილი საქმისთვის.

შორს გათვლილი მიზანი ვახსენე და თუ ვინმეს ახლა უკვე ყველაფერზე აცრილი მოსახლეობის შეშინება აქვს განზრახული, ტყუილად და შვრება, რადგან იმ ხალხს, რომელსაც საკუთარი ფირალიც დაუდის ტყეში, განდგომილი თავადიც ბლომად ჰყავს და სხვა სახელმწიფოებიც — საკუთარში, თავის პრეზიდენტ-ავანჩავანიანად, იმგვარი იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული, რომ, მინდა ყველა დავარწმუნო, წარბიც არ შეუტოკდება.

ამ საკითხებზე სასაუბროდ მამუკა გიორგაძეს ვეწვიე და ჩემი ეჭვები გავუზიარე.

**— იყო თუ არა ეს შეთქმულება და რამდენად უკავშირდება ის მომავალ არჩევნებს?**

— იურიდიული კუთხით, ეს შეთქმულება იყო თუ სხვა რამ, სპეციალისტების გასარკვევია, მაგრამ ანტურაჟი, რომლითაც გაშუქდა ეს ტერაქტის მცდელობა, უამრავი ქვეტექსტის საბაბს იძლევა და ეს ყველაფერი საეჭვო ელფერს იძენს. სახელმწიფო გადატრიალების, როგორც ასეთის, ჩარჩოებში იგი ვერ ჯდება, რადგან შეუძლებელია „კოკა-კოლას" დაცვის დონეზე იგეგმებოდეს ამგვარი რამ. გუჯარ ყურაშვილი კი არ არის იმ დონის ფიგურა, რომ ამ თამაშში, თუნდაც ამგვარი როლი შეესრულებინა, მით უფრო, რომ თავად აცხადებენ, ის იარაღით უზრუნველყოფაზე იყო მხოლოდ პასუხისმგებელიო. როგორ აღმოჩნდა ეს იარაღი „კოკა-კოლას" დაცვის ხელში, ან ეს ის იარაღია თუ სხვა, რომელსაც სულ სხვა მიზნებით იყენებდნენ, ისიც საკითხავია?! ტერორისტულ აქციებზე ფოტოსურათებით და პლაკატებით არ დადიან. ის კი არ იწვევს ეჭვს, რომ ამგვარი რამ მართლაც ხდებოდა ან შეიძლებოდა მომხდარიყო — ჩვენს სინამდვილეში ეს სულაც არ არის გამორიცხული, ეჭვს იწვევს ის, როგორ შეაფასა სახელმწიფომ ეს მოვლენები. ეს არის პროპაგანდა პროპაგანდისთვის, თუმცა, დიდი მცდელობის მიუხედავად, დღევანდელმა ხელისუფლებამ მაინც ვერ მოახერხა ვინმესგან მტრის ხატის შექმნა. საზოგადოება გადაიღალა და ვერაფერს ირწმუნებს, როცა ქვეყნის №1 ფირალი ძალოვნებთან ერთად რესტორანში ქეიფობს, ქვეყნის მთავარი ტერორისტი კი — რუსთაველზე დასეირნობს...

*გვერდი მოამზადა ქეთევან ჯაყელმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისმა თბილისელების მნიშვნელოვან ნაწილს საზეიმო განწყობა ვერ შეუქმნა. განსაკუთრებით ზვიადისტები და შს სამინისტროს თანამშრომლები იყვნენ გაწამაწიაში. ისინი ერთმანეთს დღესასწაულს წყევლა-კრულვითა და გინებით ულოცავდნენ. თუმცა, მასმედიამ 26 მაისის თბილისის სპეცდანიშნულების სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი დღის „გმირად“ შერაცხა.

ზვიადისტების მიერ თემურ-ლენგად და ფაშისტად სახელდებულ თემურ მღებრიშვილს „კვირის პალიტრა“ 27 მაისს „მაკდონალდსთან“ შეხვდა — ის, თავის ბიჭებთან ერთად, მერაბ კოსტავას ეზოში შეკრებილ ექს-პრეზიდენტის მომხრეებს შორიდან უთვალთვალებდა. მალე კოლონა, ქ-ნი მანანა არჩვაძის მეთაურობით, მამადავითისკენ დაიძრა. ბუნებრივია, მას კვალში თემური და მისი რაზმი ჩაუდგა. „სპეცნაზის“ შეფი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პარალელურად, ჟურნალისტებისადმი კეთილგანწყობის აფიშირებასაც ახდენდა, კითხვებზე დაუზარლად გვპასუხობდა.

# „თავიანთი ცოლ-შვილი გაასეირნონ ისე, როგორც მე გამასეირნეს“

— ***ბატონო თემურ, გუშინდელი დღე როგორ აღნიშნეთ?***

— საერთოდ ჩემთვის ყველა დღე ზეიმია, მაგრამ 26-ში ცოტა მძიმე დღე გვქონდა. არ მოგვცეს საშუალება, მაგრამ გულით მაინც ვზეიმობდით. თავიდან ყველაფერი ნორმალურად დაიწყო. ვერის ბაღში ჩვენი უსაყვარლესი პიროვნების მერაბ კოსტავას, ძეგლი გაიხსნა, ჯერ იქ ვიყავით. მერე ქალაქში დავდიოდით, ოპოზიციონერები, ე.წ. ზვიადისტები (ზოგი „მანანისტებს“ ეძახის) „ივერიასთან“ შეიკრიბნენ და ატეხეს წივილ-კივილი.

— ***წესრიგის დარღვევის გამო ფსიქიატრიულში წაყვანით რატომ ემუქრებოდით?***

— ღირსები იყვნენ და იმიტომ დავემუქრე. ვერ გავიგე, რა უნდათ. ვთხოვეთ, ფილარმონიაში შებრძანდითო, უარი გვითხრეს. ოპერა დავუთმეთ, შიგ არ უნდათ შესვლა. სად გაგონილა, ქალები ქვასა და ასფალტზე წვებოდნენ? ქალს ქალობა უნდა ეტყობოდეს. რომ ვეუბნები, არ გიხდებათ, ქალბატონო, ქუჩაში წამოწოლა-მეთქი, — არ მიჯერებენ. როცა წესიერი სიტყვით ვერაფერს გააგებინებ ადამიანს, მიხვდები, რომ არანორმალურია. მე ექიმი არა ვარ, მაგრამ მათ უმეტესობას ეტყობა, რომ აფრენს. გუშინ ერთ ჟურნალისტს კიდეც ვუთხარი, — არანორმალურების „სხადნიაკია“-მეთქი. ასე გამიგია, გაზაფხულზე და შემოდგომაზე სცოდნიათ ეგრე გაფრენა. ეხლაც გაზაფხულია და ამის ბრალია. მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ თბილისის დანგრევას და ქალაქის არევას არ დავუშვებთ.



ქალღობის კვალი

— ***ასეთ საშიშ ძალად ექს-პრეზიდენტის მომხრეები რატომ მიგაჩნიათ? მათ, მგონი, ქალაქის დანგრევის სურვილი არ უნდა ჰქონდეთ.***

— ქუჩას რომ კეტავენ, ქალაქში აურზაური და ქაოსი იწყება. სიგნალები და გინება ისმის. ნორმალურ ხალხსაც ხომ უნდა ცხოვრება?

— ***გუშინ ქ-ნი მანანა გარკვეული დროით გაუჩინარდა. ამის შესახებ არაფერი იცით?***

— არ ვიცი, გენაცვალე. მანანა მე შემეკითხება, — სად მიდის და რას აკეთებს? მე რუსთაველზე ვიყავი და არაფერი გამიგია. რასაც ამბობენ, განა ყველაფერი დასაჯერებელია! მეც ვიტყვი, ვიღაცამ რაღაცა მომწიამეთქი... ქ-ნი მანანა „ივერიასთან“ უნდა მოსულიყო. რომ დაიგვიანა, ზოგმა თქვა, ცუდად არისო, მერე კი ამბავი მოიტანეს, პოლიციამ წაიყვანაო. მე არსად წამიყვანია და ვინ წაიყვანა, არც ის ვიცი.

ერთხელ ოპერაში ჰქონდათ ღონისძიება. ვიფიქრე, შევალ, გავიგებ, რას ამბობენ-მეთქი, თავი გაიგიჟეს, თქვენთან არ გვინდაო. ჩვენთან არ უნდათ და ცალკე „სეტკით“ ხომ არ შემოვუღობავთ ადგილს. ახლოს ვერ მიეკარები. ხელს მოჰკიდებ და ყვირიან, — გამიშვი ბინძური ხელიო. გვწყევლიან, ზიზღით გვიყურებენ, აქლემებივით იფურთხებიან. შევაგინე, — არიქა, მღებრიშვილი იგინებაო. რომ დაგწყევლიან, შენც ეტყვი მერე — მიწა დაგაყარეო, — ამაზე სულ ირევიან, გვწყევლისო. რა გავუკეთო ამ კეთილძაღლებს, ვერაფერი გავიგე. თუ ქალაქში სეირნობა უნდათ, ჩავსვამ ავტობუსში, საჭესთან თვითონ დავჯდები და გავასეირნებ, თუ უნდათ, ქალაქგარეთაც გავიყვან. სადაც გაუხარდებათ, იქ მოვემსახურები, ოღონდ ნუ აყვირდებიან. გუშინაც ქ-ნ მანანას ოპერასთან მანქანა მივართვით, ჩაბრძანება ვთხოვეთ. არ მინდა, ფეხით უნდა გავისეირნოო. მერე უცებ იკივლეს მისმა მომხრეებმა, — საქართველო, ხუნტა, ზვიადიო და გავარდნენ ქუჩაში. იძულებულნი გავხდით, ხელით შევხებოდით და გზიდან გადაგვეყვანა.

— ***გიორგი რას ამბობს ამის თაობაზე, როგორც პოლიციის თანამშრომელი?***

— გიორგისაც არ მოსწონს, თორემ ხომ დაუდგებოდა დედამისს გვერდით? ბოდიში და, საქონელი რომ მიდის, შვილი გვერდით ხომ მიჰყვება? გიორგის რომ მოსწონდეს, მასთან იქნება. ეტყობა, გიორგი ეუბნება და ქ-ნი მანანა არ უჯერებს. ჩემთვის ხშირად უთქვამს, — გარდაცვლილ მამას მილანძღავენ, მამაჩემი ქუჩის კაცი არ იყო, რომ მის სახელს ქუჩაში იძახდნენო. ვატყობ, რომ გიორგი უხერხულ მდგომარეობაშია, ის უკვე ჩამოყალიბებული კაცია, სამეგობროდაც კარგი ბიჭია და კოლეგიალობაშიც.

> „გიორგისაც არ მოსწონს, თორემ ხომ დაუდგებოდა დედამისს გვერდით?..“



გიორგი გამსახურდია და თემურ მღებრიშვილი

*26 მაისს ექს-პრეზიდენტის მომხრეები ქ-ნ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას რესპუბლიკის მოედანზე ელოდნენ, მაგრამ ამაოდ, რადგანაც იმ დროს მათ დატყვევებულ ლიდერს კახეთისკენ მიაქროლებდნენ. ქ-ნმა მანანამ მხოლოდ ღამის 21.30 სთ-ზე შეძლო ქალაქში დაბრუნება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ექსპრეზიდენტის ქვრივს კომენტარი ვთხოვეთ:*

> მანქანებს შორის მომიმწყვდიეს და მაიძულებდნენ, მათ ნებას დავყოლოდი. რომ არ დავემორჩილე, ხელითა და ფეხებით დამიწყეს ცემა. ერთი ფეხებში მომეჭიდა და ცდილობდა, მუხლებში მოვეკეცე. გამეტებით მირტყამდნენ — თირკმლების, ნეკნებისა და ქვედა კიდურების არეში. მთელ სხეულზე სისხლჩაქცევები მაქვს.

— მე და ქალბატონი ნანა მელქაძე შინიდან ტაქსით წავედით. რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან ქალაქის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გაგვაჩერეს. დაახლოებით ექვსი „ბმვ“-ს მარკის მანქანა იყო, ხუთი შავი და ერთი ოქროსფერი. მათ ირონიით მითხრეს, — ქ-ნო მანანა, ასეთი „07“ თქვენ არ გეკადრებათ, „ბმვ“ უფრო შეგფერით, ჩვენს მანქანაში გადმობრძანდითო. წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგან ჩვენი მანქანა ალყაშემორტყმული იყო. იძულებული გავხდი, მათ მოთხოვნას დავყოლოდი.

— ***იცით, ვინ იყვნენ თქვენი დამტყვევებლები?***

— სახით ყველას ვიცნობ და თვითონაც არ დაუმალავთ, ვინც იყვნენ. დღეს კი ალავიძე და მგელაძე აცხადებენ, მანანა არჩვაძეს კახეთში გასეირნება მოუნდაო. თავიანთი ცოლ-შვილი გაასეირნონ ასე, ზნეობრივად უფრო „ამაღლებული“ იქნება.

— ***ქ-ნო მანანა, ფიზიკური ანგარიშსწორებაც ხომ არ მოგიწყეს გამტაცებლებმა?***

— მგელაძის ხალხს ქალაქში დაბრუნებას ვთხოვდი, ოთხ საათზე ოპერაში უნდა ვყოფილიყავი. ისინი თავს მიქნევდნენ, მაგრამ საქმით სხვას სჩადიოდნენ. თელავთან არ ვიქნებოდით მისული, რომ მანქანაში წყალი ადუღდა. გავჩერდით. შევატყვე, რომ დროის გაყვანას ლამობდნენ. გადავწყვიტე თბილისისკენ მიმავალი მანქანის გაჩერება, მაგრამ, ეტყობა, ავტოინსპექციის საგუშაგო გაფრთხილებული ჰყავდათ, რომ თბილისისკენ მანქანები არ გამოეშვათ. დედაქალაქისკენ მიმავალი არც ერთი მანქანა არ ჩანდა. საბედნიეროდ, თბილისი-თელავის ხაზზე მოძრაობა იყო. ხალხს დახმარება ვთხოვე, მაგრამ ჩვენი გამტაცებლები მძღოლებს ემუქრებოდნენ და აიძულებდნენ, იქაურობას გასცლოდნენ. ერთი იყო, აკაკი, მან განაცხადა — ყველა მანქანას ჩავცხრილავ, რომელიც გაჩერდებაო. ამის შემდეგ მანქანაში ჩაჯდომაზე უარი ვთქვი, რადგან არ ვიცოდი, სად მივყავდი და რამდენ ხანს ვიქნებოდი დაკავებული. მათ ორი მანქანა ერთმანეთის პარალელურად დააყენეს. წინ კახეთის რეგიონის პოლიციის „ვოლგა“ ჩადგა. მანქანებს შორის მომიმწყვდიეს და მაიძულებდნენ, მათ ნებას დავყოლოდი. რომ არ დავემორჩილე, ხელითა და ფეხებით დამიწყეს ცემა. ერთი ფეხებში მომეჭიდა და ცდილობდა, მუხლებში მოვეკეცე. გამეტებით მირტყამდნენ — თირკმლების, ნეკნებისა და ქვედა კიდურების არეში. მთელ სხეულზე სისხლჩაქცევები მაქვს.

ჩემმა გამტაცებლებმა რაღაცის გამო მანქანის საბარგული გახსნეს. ამ დროს სათადარიგო ნომრები დავინახე. ვკითხე, — მაინტერესებს რამდენი ნომერი გაქვთ-მეთქი. მიპასუხეს, — ქ-ნო მანანა, ეჭვი გეპარებათ, რომ ცალკეული ოპერაციის დროს სხვადასხვა ნომერს ვიყენებთო? ისინი ჩვენს შეკითხვებს ცინიზმითა და აგდებით პასუხობდნენ. ცემის დროს აკაკი მეუბნებოდა, — თუ არ ჩაჯდები, ძალით ჩაგაგდებ მანქანაში, შენი გულისთვის სამსახურს არ დავკარგავო.

— ***რატომ არ სცადეთ ტელეფონით დაკავშირებოდით ვინმეს?***

— ტელეფონი გამომირთეს, მხოლოდ თბილისში ჩართეს ჩემი აპარატი.

— ***რა მიზნით გაგიტაცეს? მხოლოდ თქვენი ფიზიკური ანგარიშსწორება ჰქონდათ განზრახული?***

— მათ ქალბატონ ნანას უთხრეს, — მადლობელნი იყავით, რომ კახეთში მოგიყვანეთ, რადგან თქვენი აზერბაიჯანში გადაყვანა გვქონდა დავალებულიო. ალბათ, იქ ფიზიკურადაც გაგვანადგურებდნენ.

— ***თქვენი აზრით, რატომ გადაიფიქრეს?***

— მათ ვუთხარი, რომ ჩემი დატყვევება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ჩვენს ტაქსის უკან მანქანა მოსდევდა, რომელმაც ყველაფერი დააფიქსირა.

— ***ტყვეობიდან თავის დაღწევა როგორ მოახერხეთ?***

— თბილისიდან დაახლოებით 200 კმ-ით ვიყავით დაცილებული. კახეთის პოლიციის თანამშრომელმა გამტაცებლებს ჩვენი დატოვება უკიდეგანო მინდორში ურჩია. ალბათ იცოდა, რომ იქიდან გზას ვერ გამოვიკვლევდით. ოთხი საათი ფეხით მოვდიოდით. ტრასაზე მსუბუქი ავტომანქანა გამოჩნდა. იქაურები იყვნენ. მათი დახმარებით მივედით ჩალაუბნის ავტოინსპექციის საგუშაგომდე. 9 საათი იყო დაწყებული, როცა თბილისისკენ მომავალ ავტომანქანაში ჩავსხედით. ასე დასრულდა ჩვენი „მოგზაურობა“ კახეთში.

— ***თქვენი ვაჟი პოლიციის თანამშრომელია, მან არაფერი იცოდა თქვენი გატაცების შესახებ?***

— გიორგის მთელი დღე ჩემს ბიძაშვილთან გაუტარებია. ის ამათთან რას გააწყობს, წიწილასავით წააძრობენ თავს და ისე გაუსწორდებიან, როგორც სხვებს გაუსწორდნენ. ამათ ზვიად გამსახურდია არ დაინდეს და გიორგის დაინდობენ?! ზოგიერთებმა ჩემი და გიორგის დაპირისპირებაც სცადეს, მაგრამ მათი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა.

— ***რამდენადაც ვიცი, პოლიციელები უარყოფენ თქვენი გატაცების ფაქტს.***

— მღებრიშვილმა შეურაცხყოფა მომაყენა და ამის გამო პასუხს მოვთხოვ. იმ სიტყვებს არ გავიმეორებ, რაც მან ჩემი მისამართით თქვა (იგულისხმება პრესაში გავრცელებული განცხადება: მე რომ მეკითხებით, სად არის ექს-პრეზიდენტის მეუღლე, რა, ჩემთან ხომ არ იყო წუხელო? — ი.რ.) მღებრიშვილმა თავისი გარყვნილი ლექსიკონი საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ გამოიყენოს. ჩემი და ზვიად გამსახურდიას ოჯახის შეურაცხყოფას არ ვაპატიებ. დავიღალე, ბოლოს და ბოლოს. იცით, რა უშვერი სიტყვებით მაგინებენ, საფლავში მშობლები არ დამიტოვეს და მიწაზე — ცოცხლები. მე შვიდი ადამიანი მისწორდებოდა ფიზიკურად. ზვიადს მათ ტყვია ესროლეს და მის ოჯახს დაინდობენ?! ესენი ჩემში პოტენციურ მტერს ხედავენ და სადაც მომიხელთებენ, იქ მომკლავენ. 24-25 მაისს საქართველოს რადიო და ტელევიზია აცხადებდა, — თუ ვინმე შეეცდება 26 მაისს მიტინგის ჩატარებას, სასტიკად დაირბევაო. ტექსტის ავტორები გახლდნენ შსს და თბილისის პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელები. დარბევამდე გმირები იყვნენ, როდესაც ხალხი დაასახიჩრეს და დაატყვევეს, ახლა უარყოფენ ჩადენილ დანაშაულს. მათ ისე აწყობთ ხალხის განადგურება, რომ საზოგადოებამ არ შეიტყოს, თუ რა სისასტიკით უსწორდებიან ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც მათ უკანონო რეჟიმს ამხელს. ასეთ სახელმწიფოს უწოდებენ ისინი დემოკრატიულს (სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს)?

26 მაისს ჩატარებულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რითაც მომაყენეს მორალური და ფიზიკური ზარალი, პასუხისმგებლობა ეკისრებათ ხუნტის ჯალათებს, რომელნიც ამ ოპერაციაში მონაწილეობდნენ. ამასთან დაკავშირებით, მინდა, შევახსენო მათ (რადგან მწყრალად არიან საერთაშორისო სამართალთან და კანონებთან), ნებისმიერი სახელმწიფოს პრეზიდენტი და მისი ოჯახის წევრები სარგებლობენ იურიდიული ხელშეუხებლობით, მათ სახელმწიფო იცავს. ვინაიდან საქართველო გამონაკლისია, რომელსაც მართავს უკანონო ხელისუფლება, უფლებას ვიტოვებ, მივმართო მსოფლიო საზოგადოებას, არსებული რეჟიმის მიერ ჩადენილი ყოველგვარი უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

**ნანა მელქაძე, საქართველოს დამსახურებული არტისტი.**

— ქ-ნ მანანას შინ მანქანით გავუარე. როცა რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მივედით, პოლიციის მანქანებმა ალყაში მოგვაქცია და ქ-ნი მანანა აიძულეს, მანქანიდან გადასულიყო. მათ ჩემი წაყვანა არ უნდოდათ, მანქანიდან მაგდებდნენ, მაგრამ მაინც მოვახერხე ძალით ჩაჯდომა. ვიფიქრე, მარტო არ დავტოვებ-მეთქი. ქ-ნი მანანა მოითხოვდა ქალაქში დაბრუნებას, რომ ვერაფერი გააწყო, გააღო კარი და მიმავალი მანქანიდან გადახტომაც სცადა. კახეთში კი მას ფიზიკური ანგარიშსწორება მოუწყვეს, ხელები გადაუგრიხეს და დაუნდობლად ურტყამდნენ.

**ფატიმა ფიფია, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ექიმი, თერაპევტი:**

— ქ-ნ მანანას მარცხენა მხრის ზედა მესამედში დაჟეჟილობა აქვს, ხოლო მთელ სხეულზე, მარჯვენა მხარსა და თირკმელზე სისხლჩაქცევები აღენიშნება, რომელიც ბლაგვი საგნით ან მუშტით არის მიყენებული.

**ელზა ცერცვაძე, ექიმი:**

— ასეთი შემთხვევების დროს პაციენტი ჰოსპიტალიზაციას ექვემდებარება. ქ-ნ მანანას ჰემატურია (სისხლიანი შარდი) აქვს, რაც სიცოცხლისთვის საშიშია.

**უშანგი მგელაძე, ქალაქის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსი:**

— 26 მაისის ფაქტთან დაკავშირებით ხანგრძლივი (ოთხ საათიანი) დიალოგი მქონდა ქ-ნ მანანასთან და აბსოლუტურად შევთანხმდით პოზიციებში. უამრავი გასარკვევი საკითხია, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით.

— ***უარყოფთ თქვენი თანამშრომლების მონაწილეობას მანანა არჩვაძის გატაცებაში?***

— დიახ. ორივე პოზიციას აქვს არსებობის უფლება.

— ***ქ-ნი მანანა აცხადებს, რომ მანქანის საბარგულში რამდენიმე სათადარიგო ნომერი დაინახა.***

— არ ვიცი, ანალოგიური ფაქტი მან ჩემთან საუბარშიც აღნიშნა. როცა ვინმე ოპერაციას აწარმოებს, ბუნებრივია, ის ნომრებს არ აჩვენებს. რაღაც სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე.

— ***თქვენი ვერსიით, ვინ არიან გამტაცებლები?***

— ჩვენ ვთხოვეთ ქ-ნ მანანას, გააკეთოს განცხადება შესაბამის ორგანოებში და ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური შემოწმება დაიწყება.

— ***შემოწმებაში თქვენც ჩაერთვებით?***

— რასაც დამავალებენ, იმას გავაკეთებ. შეიძლება ვიღაცამ ქვეცნობიერად გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეს ჩვენმა მხარემ ჩაიდინა; ამიტომაც აუცილებელია, საქმე მესამე მხარემ გაარჩიოს; მის გადაწყვეტილებას დავემორჩილები.

— ***მესამე მხარეში ვის გულისხმობთ?***

— ანალოგიურ შემთხვევებში, გამოძიებას აწარმოებს პროკურატურა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპარლამენტო კომისია ან უშიშროების სამინისტრო.

**P.S.** ქ-ნი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას გაუჩინარების გამო, მერაბ კოსტავას დედამ, ოლღა დემურია-კოსტავამ შიმშილობა გამოაცხადა, თუმც ხანდაზმულ მანდილოსანს დიდხანს არ მოუხდა აქციის გაგრძელება. რამდენიმე საათში ის თავად ქ-ნმა მანანამ ინახულა. განცხადებას (მე რომ მეკითხებით, სად არის პრეზიდენტის მეუღლეო, რა ჩემთან ხო არ იყო წუხელო), რომელმაც ასე აღაშფოთა მანანა არჩვაძე, „სპეცნაზის“ შეფი უარყოფს — გიორგი გვერდით მყავს, მის დედას მაგ სიტყვას როგორ ვაკადრებ, ჟურნალისტმა ცრუ ინფორმაცია გაუშვა, მაგრამ ქ-ნ მანანას ბოდიშს მაინც ვუხდიო. ხოლო მანანა არჩვაძე-გამსახურდია და საინფორმაციო სააგენტო „გეა“ ადასტურებენ, რომ თემურ მღებრიშვილმა ასეთი განცხადება ნამდვილად გააკეთა.

*იზო რჯაძე*

# ნუთუ მართლა იყიდება ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტი?

საბაზრო ეკონომიკამ მრავალი სიახლე „დაგვატეხა" თავს... ხალხმა ზოგიერთ მათგანს ეჭვის თვალით დაუწყო ყურება, ზოგიც იმედისმომცემ მომავლად დასახა, თუმცა იყო ისეთი ფაქტებიც, მღელვარება რომ გამოიწვია, რომელსაც საპროტესტო გაფიცვებიც მოჰყვა. ასე მოხდა მაშინ, როცა ოდესღაც საკავშირო მნიშვნელობის ქართულ ბალნეოლოგიური საავადმყოფოს გაყიდვა დაემუქრა, მის შენობაში კი გართობის ცენტრის მოწყობა მოისურვეს უცხოელი ინვესტორების ამ ინიციატივას (ზოგიერთ ქართველ ბიზნესმენთან შეთანხმების საფუძველზე) მედპერსონალის სასტიკი წინააღმდეგობა დახვდა და ბალნეოლოგიური საავადმყოფო გაყიდვას გადაურჩა.

გიგანტური წარმოებების ბედი ცოტა სხვაგვარად წარიმართა. უცხოელმა მყიდველმა თუკი ზოგან დიდი თანხა ჩადო მომავალში უზარმაზარი თანხის მოგების მიზნით, სხვას გვერდი ცივად აუარა და გიგანტური წარმოებების ტერიტორია (თავისი საამქროებ-დაზგა-დანადგარებიანად) ნაწილ-ნაწილ გაიყიდა. გაჩნდა შპს-ები, მაგრამ რა? დღემდე ვერც მსუბუქი და ვერც მძიმე მრეწველობა ისე ვერ გაიმართა წელში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტსაც რამე დასტყობოდა და მუშა-მოსამსახურის ჯიბესაც. გაცოცხლდა ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „საქართველო იყიდება"...

რომელიმე ბობოლამ უმეცრება რომ არ დაგვწამოს, აქვე აღვნიშნავთ, რომ ძალიან კარგად გვესმის საბაზრო ეკონომიკის არსიც და ისიც, რომ პროგრესი წინსვლასა და განვითარებას ითვალისწინებს... რა თქმა უნდა, რაც უფუნქციოდ დარჩა და რასაც მომავალი არა აქვს, თამამად შეიძლება მის ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკი, უცხოელი ინვესტორის დაინტერესება და უფრო პერსპექტიულ საქმეზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ ევროსაბჭოში გაერთიანებულ ქვეყნად ვითვლებით, სახელმწიფო ხაზინაში კი ფული ჯერ არ „გვიჩხრიალებს", მაგრამ რა ვუყოთ დიდი ტრადიციებისა და მნიშვნელობის მქონე ობიექტებს?

ამას წინათ მეხივით გავარდა ხმა — ჩაჩავას სახელობის მეან-გინეკოლოგიის ინსტიტუტი იყიდებაო. კვლავ აჩოჩქოლდა ხალხი... ინსტიტუტის დირექტორმა და მისმა 600-კაციანმა კოლექტივმა ოპერატიული შეფასება მისცა „ვაიბიზნესურ" წინადადებას და ყველგან, სადაც ჯერ არს, პროტესტი გამოთქვა შემზარავი შესაძლებლობის წინააღმდეგ.

ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამო მრავალი ვერსია (თუ გნებავთ, ჭორიც!) გამოითქვა: თითქოს ინსტიტუტის შენობა კაზინოდ და გასართობ სახლად უნდა გადაკეთდესო, ხოლო მის მიმდებარედ არსებული ბავშვთა საავადმყოფო (მელიქიშვილის ქუჩაზე) — სასტუმროდ; ფილარმონიის [illegible] სამშობიარო სახლს რა უნდა, აქ გასართობი ცენტრი უნდა იყოსო; ამჟამად შენობა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გაიყიდებაო; პირველ სართულზე კაზინო იქნება, მეორეზე კი სამშობიარო ბლოკიო(?!); ჩვენს „ჭეშმარიტ მამულიშვილებს" ერის მომავალზე მეტად საკუთარი ჯიბე აფიქრებთო; აქ გასართობი ცენტრის გასამართად უამრავი ფული დაიხარჯება უფრო მეტის მოსაგებადო...



ასეთი ჭორები სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს!

ჭორებისგან თავდასაღწევად კომენტარი ვთხოვეთ ჩაჩავას სახელობის მეან-გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორს, ბატონ **პალიკო კინტრაიას:**

— ***ბატონო პალიკო, სიმართლესთან რამდენად ახლოსაა ხალხში გავრცელებული ხმა — მართლა იყიდება ინსტიტუტი?***

— ჭორი ისე არ გავრცელდება, თუ მასში სიმართლის მარცვალი არ დევს. ვერსია, გაყიდვის შესახებ, სრული სიმართლეა, რამაც ძალზე ალგვაშფოთა. არ ვიცი, შენობა რა მიზნით სურთ გამოიყენონ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ოდითგან შენობა დაეთმო მეანობა-გინეკოლოგიის ინსტიტუტს და ვერ გამიგია, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი და კარგი აქ რა უნდა გაკეთდეს?!

— ***ვინ არის ის, ვინც ასე იოლად წყვეტს ინსტიტუტის ყოფნა-არყოფნის საკითხს?***

— „ის" კონკრეტული პიროვნება არ გახლავთ. ინსტიტუტის გაყიდვის შესაძლებლობა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით მოვიდა ჩვენამდე და ამას ყურს ვერ წავუყრუებდით. ბანკში გინეკოლოგები არ სხედან და არც იციან, რაოდენ დიდი წარსულისა და ტრადიციების მქონე ინსტიტუტს დაადგეს თვალი. გარდა ამისა, საქართველოს მასშტაბით, ყველაზე რთული სახის მშობიარობას ჩვენ ვიღებთ, სამშობიარო ხომ ის დაწესებულებაა, სადაც სიცოცხლე ჩნდება, სადაც ერის მომავალი ახელს თვალს...

კოლექტივში მაღალკვალიფიციური ექიმები გვყავს. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როცა მისი განახევრებისა და სადღაც შეხიზვნის საკითხი დადგება! ამას ჩვენ არ დავუშვებთ!

— ***და მაინც, რატომ დაადგეს თქვენს ინსტიტუტს თვალი?***

— შენობის სიძველე მოიმიზეზეს. იგი დაზიანებული მართლაც იყო. თითქოს არსებობდა მისი ჩამონგრევის საშიშროებაც. აღდგენა-გამაგრებისთვის თანხების გამოყოფის ნაცვლად სხვაგან ახალი შენობის აგება აჯობებს? დიღომში შენდება მრავალპროფილიანი საავადმყოფო. სწორედ იქ სურთ ჩვენი შესახლება. ერთი რამ გამკვირვებია, საუკუნეების წინ აშენებულ კულტურის კერებს თუ არ მოვუარეთ, მალე ხომ ნანგრევებიღა დაგვრჩება! თუკი პიზის კოშკის შენახვა მილიარდი ჯდება და მაინც არ ანგრევენ, ჩაჩავას სახელობის(!) სახელოვანი გინეკოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი რატომ ეჩხირებათ თვალში? ძველი შენობა მხოლოდ საბაბია, რომლის უკან „მავანთა გრანდიოზული გეგმა" ისახება.

— ***ბატონო პალიკო, დღევანდელ ეტაპზე რას მიაღწიეთ თქვენი პროტესტით?***

— ინსტიტუტის გაყიდვაზე, ჯერჯერობით, ლაპარაკი შეწყდა (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვგონია და ზედა ეშელონებში რა აქვთ გადაწყვეტილი, ეს არავინ იცის). თანამშრომლებთან ერთად შევხვდი ქალბატონ ნანული შევარდნაძეს. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი სატკივარი და აღგვითქვა მხარდაჭერა. რამდენჯერმე ვთქვი და ახლაც ხაზგასმით ვიმეორებ, რომ არამცთუ შესრულება, შენობის გაყიდვაზე ფიქრიც კი, საუკუნის დანაშაულია. ჩვენი ინსტიტუტი ქართველი ერის საგანძურია, იგი საქართველოში მეცნიერული მეანობა-გინეკოლოგიის ცენტრია.

სადღეისოდ თითქოს ყველაფერი მიყუჩდა; მაგრამ ეს „სიჩუმე" ავის მომასწავებელია. ხვალინდელი დღის შიში არც განელდება, მსოფლიო ბანკის კლანჭებიდან ბევრს ვერ დაუღწევია თავი და რადგან ერთხელ ითქვა, მოსალოდნელია, ეს საკითხი ხვალაც წამოიჭრას.

რაც შეეხება ამ შენობის აღდგენას, ჩვენ უკვე ვიზრუნეთ და ნგრევის საშიშროება გამორიცხულია — დიდი დახმარება გაგვიწია ზავრიევის სახელობის სეისმოლოგიის ინსტიტუტმა. შენობის დიდი ნაწილი შეკეთებულია, დანარჩენიც ახლო მომავალში განმტკიცდება და გარემონტდება. ჩვენ არც მსოფლიო, არც ევრობანკის შესანახი არა ვართ, ჩვენი ხარჯებით მოვუვლით თავს, ასე რომ, ინსტიტუტის კეთილდღეობაზე „ზრუნვის" საბაბით, სხვა ტერიტორიაზე სხვა შენობას ნურავინ შემოგვთავაზებს!

დაე, იცოდნენ, რომ ახალ წინადადებებს კიდევ უფრო მძაფრ წინააღმდეგობას გავუწევთ.

— ***რამდენიმე დღის წინ ინსტიტუტმა საზეიმოდ აღნიშნა ღვაწლმოსილი მეან-გინეკოლოგის, კონსტანტინე ჩაჩავას დაბადებიდან 80 წლის იუბილე...***

— კონსტანტინე ჩაჩავას დამსახურებებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. ერთს მაინც ვიტყვი: მაშინდელ საბჭოთა კავშირში იგი უთვალსაჩინოესი ექიმი იყო. მას ეკუთვნის უამრავი გამოკვლევა პერინატალურ მედიცინასა და მეანობა-გინეკოლოგიაში. ამიტომაც აღვნიშნეთ ასე ფართოდ ამ შესანიშნავი მკურნალისა და პიროვნების 80 წლისთავი. ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია სახელწოდებით — „პერინატოლოგია დღეს და მომავალში". იუბილეს უამრავი სტუმარი დაესწრო იაპონიიდან, უნგრეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. ასე რომ, ინსტიტუტის ისტორია და ტრადიციები კვლავაც გრძელდება.

**P.S.** თავდაპირველად გამიკვირდა კიდეც, ინსტიტუტის დირექტორმა კონფერენციის გადატვირთული დღისა და უამრავი სტუმრის მიუხედავად, დაუბრკოლებლად რომ მიმიღო, მაგრამ ინტერვიუს შემდეგ მივხვდი, რომ ბატონი პალიკო კინტრაია ეჭვის თვალით უყურებს მომავალს, მით უმეტეს, რომ საუბრისას აღნიშნა: გამორიცხული არაფერია და იმედი გვაქვს, ჟურნალისტები ისევ ამოგვიდგებით მხარშიო.

მაშასადამე, კვლავაც არსებობს დიდი კითხვითი ნიშანი: „რა იქნება ხვალ?"

ნუთუ ამ კეთილშობილ სახლში აღარ დაიბადებიან 21-ე საუკუნის მოქალაქენი ან იქნებ მემკვიდრის მოლოდინში კაზინოს თავშეფარებული ქართველი მამები კამათლის წკრიალში გაითავისებენ ახალი სიცოცხლის ძახილს?!

*მარინა ბაბუნაშვილი*

# რა მნიშვნელობა აქვს რუსული „ავჩარკის" ნაცვლად ქართული „ნაგაზის" ჩასმას?..



გია გიორგაძე და მისი აღსაზრდელები

ძლიერი, ერთგული, ჭკვიანი, ლამაზი ვის არ უნდა, ჰყავდეს ასეთი მეგობარი? არადა, ამ ოცნების ასრულება სავსებით რეალურია, თუკი გადაწყვეტთ, იყოლიოთ კავკასიური ნაგაზი, თუმცა ფრთხილად! მხოლოდ სურვილი საკმარისი ნამდვილად არ არის. საჭიროა, იცოდეთ, ხართ თუ არა მზად, თქვენც იყოთ ძლიერი, ერთგული, ჭკვიანი და... ლამაზიც.

ფსიქოლოგები გვარწმუნებენ, რომ ადამიანში მზრუნველობის ჩვევის აღზრდა შესაძლებელია და ამ პროცესს ხელს უწყობს ცხოველებთან ურთიერთობა, ხოლო ის, ვისაც სხვაზე მზრუნველობა შეუძლია, თქვენ წარმოიდგინეთ, ლამაზია!

ახლა, რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნებს: იყოს ძლიერი, — კავკასიური ნაგაზის პატრონისთვის ნიშნავს, შეეძლოს ამ ძაღლის დაჭერა მაინც. სპეციალისტები ამბობენ, კავკასიური ნაგაზი საშუალოდ 60 კგ-ზე მეტს იწონის და სიმაღლით 80 სმ-მდეაო. ნუ შეგაშინებთ სიტყვა „დაჭერა". ამ ძაღლის ბუნებიდან გამომდინარე, იგი აგრესიული არ არის და არც ისეთი უხასიათოა, გამვლელებზე გაიწიოს; მაგრამ აბა, წარმოიდგინეთ სიტუაცია: თქვენმა ძაღლმა დაინახა საპირისპირო სქესის ოთხფეხი! ამ დროს ინსტინქტი საკმაოდ ძლიერია. კინოლოგები ამტკიცებენ, რომ ძაღლის გენოფონდი დაცული უნდა იყოს, მისი შეჯვარება ნებისმიერ მეწყვილესთან ჯიშს აფუჭებსო.

თუ ჩვენ ძაღლის ნამდვილი პატრონნი ვართ, მის მომავალზეც უნდა ვიზრუნოთ — ეს უმარტივესი წესია, რომლის დაცვის მნიშვნელობა დღეს ბევრმა თურმე არ იცის.

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს — საქართველოში ძაღლების პატრონებს ჯერ კიდევ სჭირდებათ განმარტება, რომ აუცილებელია, ძაღლს ჰქონდეს პასპორტი, საჭიროა ვიცოდეთ, ვინ არის მისი წინაპარი და წყვილიც ამის მიხედვით შევურჩიოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გადარჩება ჯიში, რომელიც, თურმე, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა.

ისტორიკოსები და კინოლოგები ერთხმად აღიარებენ, რომ მთელ კავკასიაში არსებულ ნაგაზთაგან ქართული ტიპი ყველაზე მაღალი დონისაა და იგი ადრეული ხანის ისტორიულ წყაროებშია დაფიქსირებული. სპეციალისტთა აზრით, კავკასიური ნაგაზის წინაპარი ტიბეტური დოგი ყოფილა. ეს ჯიში დღეს გადაშენებულია და თავის ღირსეულ მემკვიდრედ კავკასიური ნაგაზი ჰყავს დატოვებული.

დღეს კი მდგომარეობა ასეთია: კავკასიურ ნაგაზს მსოფლიო კინოლოგია რუსულ ძაღლად იცნობს!!!

მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდგომ წლებში საქართველოდან გაუყვანიათ კავკასიური ნაგაზის მთელი გენოფონდი. ალბათ ამიტომ უკვირთ დღეს რუსებს, რომ ჩვენ კიდევ გვყავს ჩვენი ძაღლები.

ის ფაქტი კი, რომ ეს ამბავი ნამდვილად უკვირთ ჩვენს (ახლა უკვე) მეზობლებს, შევიტყვეთ კლუბ „ბომბორას" პრეზიდენტის გია გიორგაძისგან, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც კავკასიური ნაგაზის პირველი ინტერნაციონალური გამოფენა ჩატარდა.

ამ გამოფენის მოწყობის იდეა 1998 წლის 14 სექტემბერს დაბადებულა, როცა ასევე მოსკოვში, მსოფლიო კინოლოგთა კონფერენციის მონაწილეებს სურვილი გამოუთქვამთ, ჩამოეყალიბებინათ კავკასიური ნაგაზის ინტერნაციონალური კლუბი. მის პრეზიდენტად ერთხმად აურჩევიათ მოსკოველი ქართველი, რუსეთის კინოლოგიური ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რევაზ ხომასურიძე. მეორე პირად კი, ერთ მოსკოველ კოლეგასთან ერთად, დაუსახელებიათ (და აურჩევიათ კიდეც) საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის კავკასიური ნაგაზის კლუბის — „ბომბორას" პრეზიდენტი. ეს მოწმობს, რომ დღეს რუსები უკვე ანგარიშს უწევენ ფაქტს — კავკასიური ნაგაზი ქართული ძაღლია და მისი პატრონებიც ქართველები არიან!

თუმცა, აქ შემთხვევით არ მითქვამს — „ანგარიშს უწევენ". რადგან მანამდე ამ ფაქტს უარყოფდნენ, მომავალში ლოგიკურად უნდა მოვიდეს აღიარება.

ჯერ კი გასავლელია ძნელი და რთული გზა: როგორმე უნდა მივაღწიოთ, საერთაშორისო სტანდარტებში ამ ძაღლს ერქვას არა „რუსკაია ავჩარკა", არამედ „კავკასიური ნაგაზი" და ეს სახელი ასევე უნდა იწერებოდეს ყველა ენაზე. ეს კი, თურმე, არც ისეთი ადვილია!

მაგალითად, რუსებისათვის თავიდან, თურმე, ძნელად გასაგები აღმოჩნდა, რას ნიშნავს და რა არსებითი მნიშვნელობა აქვს რუსული „ავჩარკას" სანაცვლოდ ქართული „ნაგაზის" ჩასმას. ბოლოს კი, როცა მათთვის აუხსნიათ, რომ სიტყვა „ნაგაზი" წმინდა ქართულია და ნიშნავს ნაკაწრს (ეს კი ხაზს უსვამს ამ ძაღლის საბრძოლო თვისებას), რუსები ცდილან, აქაც ჩაეყოთ ცხვირი და უთქვამთ: იქნებ, ამ ძაღლს ქართულადაც იმიტომ ჰქვია ნაგაზი, რომ მისი კბილები მოჭერისას გაზს (ლურსმნის ამოსაძრობ იარაღს) მოგვაგონებს. აქედან დასკვნა: რუსები აშკარად ვერ ელევიან კავკასიურ ნაგაზს!

მოსკოვს „ცრემლების არ სჯერა" და შესანიშნავად იცის, რომ რუსეთს ძალიან ბევრი აქვს გაკეთებული (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), რათა ჩვენთვის მოპარული თუ ვინმეს ნება-სურვილით სოჭივით ნაჩუქარი ქართული ნაგაზის გენოფონდისათვის მოევლო და ეპატრონა!

მაგალითად, რუსეთში, კარგა ხანია, არსებობს და დიდი ტრადიციებითაც იკვეხნის კავკასიური ნაგაზის სოლიდური ძაღლთსაშენი „კრასნაია ზვეზდა", რომელიც ძირითადად იმიტომ დაუარსებიათ, რომ სენბერნარისა და კავკასიური ნაგაზის შეჯვარების გზით ახალი (რუსული) ჯიში გამოეყვანათ.

გამოუყვანიათ კიდეც „მოსკოვსკაია სტოროჟევაია", თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ჰიბრიდი დიდი ღირსებებით ვერ დაიკვეხნის. ალბათ სწორედ ამიტომაც, კინოლოგთა მსოფლიო ფედერაციას მისთვის რეგისტრაციის ნომერიც კი არ მიუცია.

(ცნობისათვის აქვე იმასაც გეტყვით, რომ მსოფლიოში არსებობს ძაღლის 500-მდე ჯიში).

ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც „კრასნაია ზვეზდამ" შეიწირა კავკასიური ნაგაზისა და სენბერნარების გენოფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი და ახალი ჯიშის გამოყვანა არ გამოუვიდა, ხელი მიჰყო კავკასიური ნაგაზის მოშენებას. ამის გარდა, რუსეთში, თურმე, ათასობით სხვა ძაღლთასაშენია, სადაც ყველა პირობაა დაცული ამ ძაღლის, როგორც ჯიშის, მოსავლელად და გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ რუსებს საერთაშორისო გამოფენებზე გაყვანილი ძაღლის „რუსეთის სიამაყედ" გასაღება არასოდეს გასჭირვებიათ...

არც მომავალში იქნება ეს ძნელი, თუკი ჩვენს კინოლოგებს არ ექნებათ საშუალება, მოაწყონ რუსებივით მაღალ დონეზე ორგანიზებული თუ არა, ცოტა მოკრძალებული გამოფენები მაინც. ოღონდ, ქართველებმა უნდა შევიგნოთ, რომ არ უნდა დაგვეზაროს, ძაღლი აღრიცხვაზე ავიყვანოთ, ავცრათ და გამოფენებზე ვატაროთ.

მითხრეს, რომ მოსკოვში გამოფენაზე შორეული ციმბირიდანაც კი ჩაუყვანიათ ნაგაზები, აქ კი, თურმე, როცა საჭიროა (და ძალიანაც საჭირო), თბილისის ერთი უბნიდან მეორეში ძაღლის გაყვანაზე სწყდებათ წელი.

ამას მსოფლიო კინოლოგთა წრეში ელემენტარული უკულტურობა ჰქვია და, თურმე ისეთივე ცუდ ტონად ითვლება, როგორიცაა, მაგალითად, სუფრასთან ხელით ჭამის შემდეგ თითების გალოკვა!



არ შველის, თურმე ამ პრობლემას მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოც მსოფლიო კინოლოგიური ფედერაციის წევრია, რადგან კინოლოგიაშიც და სხვა სფეროშიც, მასშტაბი კი არა, დონეა მთავარი, ბატონებო, დო-ნე!!!

ასე რომ, როგორც ზემოთ მოგახსენებდით, თუ გვნებავს, გვყავდეს ძლიერი, ერთგული, ჭკვიანი და ლამაზი მეგობარი, ჩვენც ასეთები უნდა ვიყოთ.

ძლიერებასა და სილამაზეზე უკვე მოგახსენეთ.

ახლა ორიოდ სიტყვას ჭკუაზეც გეტყვით და დავასრულებ ამბავს, რომლის მკითხველმაც, შესაძლოა, გვისაყვედუროს, რა დროს ძაღლია, ხალხი შიმშილით კვდებაო!

მე კი ვიტყოდი, რომ თუ გვინდა, ხალხი ვიყოთ, უნდა გაგვიჩნდეს ისეთი თვისებებიც, ზოგადად ხალხს რომ ახასიათებს, ანუ გული გვეტკინოს, როცა რაიმეს გვართმევენ და გვახსოვდეს, რომ უნიათობით გინდა სოჭი და სოხუმი დაგვიკარგავს და გინდა — ქართული ნაგაზი!

მაშ, მხოლოდ თითო-ოროლა კაცისათვის რატომ უნდა იყოს პრობლემა, დავიბრუნებთ თუ არა კავკასიურ ნაგაზს?

თურმე, 2000 წლის იანვარში საქართველომ კავკასიური ნაგაზის მეორე ინტერნაციონალურ გამოფენას უნდა უმასპინძლოს.

თუმცა, ჯერაც არ ვიცით, რა საშუალებით? ესეც ხომ მარტო ორიგინალური პრიზი არ არის (როგორიც მოსკოვში წაიღო „ბომბორას" პრეზიდენტმა — მეცხვარის ნამდვილი ფაფახი, ნაბადი და კომბალი), რომ საკუთარი სახსრებით და მეგობრების დახმარებით გასწვდეს კაცი?

„პედიგრის" ნამდვილად არ მოგთხოვთ ქართული ნაგაზი;

ჩააბარებთ ცხვარს — მგელსაც შეებმის და მოერევა;

სახლს დაუდარაჯებთ — თვალს არ მოხუჭავს და ეყოფა ჭკუა, მტერი მოყვრისგან გაარჩიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას თვითონ დაცვა და პატრონობა არ უნდა.

ნაგაზი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ ეს გრძნობა ხომ მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როცა ორმხრივია და უღალატო?

*ელზა ჯმუხაძე*

# ამბოხების მცდელობა...



თითქმის უკვე ჩვეულებად იქცა, რომ ყოველ წელს თითო ტერორისტული აქტი ან განხორციელდეს, ან მისი ჩატარების სურვილი გაუჩნდეს ვინმეს.

ამჯერად, საბედნიეროდ, საქმე თბილისის ცენტრში ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების სროლით არ დამთავრებულა და ტერორისტული აქტის, უფრო სწორად, მთელი სახელმწიფოებრივი გადატრიალების მცდელობა ქართველმა სამართალდამცავებმა სათავეშივე აღკვეთეს. ყოველ შემთხვევაში, ეს უკანასკნელნი სრული დარწმუნებით აცხადებენ, რომ საქმე სწორედ ასეთ დანაშაულს ეხებოდა, თუმცა, ისინი გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ფაქტებზე უფრო კონკრეტულ საუბარს, ჯერჯერობით, თავს არიდებენ.

დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტებიც არშემდგარი სახელმწიფო გადატრიალების მხოლოდ სამხედრო მხარეს შეეხებიან.

გენერალური პროკურორის განცხადებით, გადატრიალების ორგანიზატორებსა და განმახორციელებლებს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაზე თავდასხმა და ქვეყნის პრეზიდენტის განადგურება ჰქონდათ ჩაფიქრებული. პარალელურად, ტერორისტული აქტები მოეწყობოდა პარლამენტის თავმჯდომარეზე, აგრეთვე შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრებსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებზე, რისთვისაც შექმნილი იყო 7-10 კაციანი დივერსიული ჯგუფები. ამის პარალელურად, დაიწყებოდა ქალაქში წესრიგის დასამყარებლად გამოსული სამხედრო დანაყოფების გადაბირება სახელმწიფო გადატრიალების განმახორციელებელთა მხრიდან.

ნუთუ ასე ადვილია კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაზე თავდასხმა? რა თქმა უნდა, არა. პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმები თავის დროზე განხორციელდა, როგორც მის სამუშაო ადგილას (იმელის შენობა), ისე სატრანსპორტო საშუალებებით (ავტომობილი, შვეულმფრენი) გადაადგილებისას,

მზვერავის მსროლელი დანით HPC-2-ით კაცის მოკვლა 15 მეტრიდანაც შეიძლება.



მაგრამ არასოდეს საცხოვრებელ ტერიტორიაზე. ამას კი თავისი მიზეზი აქვს: გეოგრაფიულად ეს სამთავრობო რეზიდენცია ისეთ ადგილასაა განთავსებული, რომ დივერსიული ქმედება მეტ-ნაკლებად გამორიცხულია. ამასთან, 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ, სამთავრობო დაცვამ (განსაკუთრებით, მისმა ოპერატიულმა სამსახურმა) დიდი ყურადღება დაუთმო ამ ობიექტის დაცვის უზრუნველყოფას. თუმცა, იყო იმის საშიშროებაც, რომ ახლომდებარე ფერდობებიდან შეიძლებოდა ნამდვილი სამხედრო ოპერაცია ჩატარებულიყო და იერიში მიეტანათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს მიმართულება გადაკეტა შინაგანი ჯარების სპეციალურმა დანაყოფმა, ეს საფრთხეც მოიხსნა.

იარაღის იმ არსენალში, რაც სამართალდამცავებმა მშენებარე სახლიდან ამოიღეს და, რომლის პატრონადაც ერთ-ერთ დაპატიმრებულს, უშიშროების ყოფილ თანამშრომელს აცხადებენ, შემდეგი სახის იარაღი იყო: ორი „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი, ერთი პისტოლეტი „მაკაროვი“, ორი უხმო პისტოლეტი ПБ, ერთი „სტეჩკინის“ ავტომატური პისტოლეტი АПС-Б (იგივე АУ-44, რომელსაც მაყუჩი უყენდება), რამდენიმე ავტომატი და სნაიპერული კარაბინი СКС, აგრეთვე გარკვეული რაოდენობის ტროტილი, ღამის ხედვის ოპტიკური სამიზნეები, დურბინდები და სხვა საბრძოლო მასალა. მოძველებული სნაიპერული კარაბინით СКС-ით კარგ მსროლელს, მაქსიმუმ 600-900 მ-ში თუ შეუძლია (ისიც დიდი გაჭირვებით) მიზნის დაზიანება. არადა, ეს სწორედ ის რადიუსია, რომელსაც დაცვის სამსახური კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გარშემო შედარებით კარგად აკონტროლებს, რაც სნაიპერ-ტერორისტის მოქმედებას თითქმის გამორიცხავს. თუკი აღმოჩენილ არსენალში იქნებოდა თანამედროვე მსხვილკალიბრიანი შაშხანები, იგივე რუსული 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანა В-94, რომელიც 2,5 კმ-ის სიშორეზე 30 მმ-ის სისქის ჯავშანს ხვრეტს, მაშინ შესაძლებელია სნაიპერ-ტერორისტის ამოქმედების საშიშროებაც გაჩენილიყო.

თუმცა, სამართალდამცავებმა ძირითადი ყურადღება ამ არსენალში აღმოჩენილ ბევრად უფრო ახლომსროლელ იარაღზე გაამახვილეს. საუბარია მაყუჩიან პისტოლეტებსა და მსროლელ დანებზე. უშიშროების მიერ გადაღებულ ვიდეოკადრებში მართლაც ფიგურირებს რამდენიმე პისტოლეტი, მათ შორის, „სტეჩკინის“ ავტომატური პისტოლეტის მაყუჩიანი ვარიანტი АУ-44 და მზვერავის მსროლელი დანა HPC-2. „კვირის პალიტრამ“ თავის მკითხველს უკვე მოუთხრო ამ სპეციარაღის შესახებ, რომელიც ძირითადად საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვის შეიარაღებაში ირიცხებოდა და საქართველოში, მეტწილად, ლაგოდეხში განთავსებული ГРУ-ს მე-12 ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის საწყობებიდან დარჩა (სხვათა შორის, აქვე ინახებოდა იმ სპეციარაღის დიდი მარაგი, რომელიც მოსკოვის ბრძანებით საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს ომის დაწყების შემთხვევაში უნდა გადასცემოდა). 7 წლის წინ, სწორედ ამ საწყობებიდან, ასეთი იარაღის დიდი რაოდენობა პოლკოვნიკ იგორ გიორგაძის დაქვემდებარებაში მყოფ სპეციალურ სტრუქტურას გადაეცა. მას შემდეგ ამ სპეციარაღის გარკვეული ნაწილი უგზო-უკვლოდ გაქრა და ეტყობა, დღეს მზის სინათლეზე გამოდის.

არსებითად, რა თქმა უნდა, მზვერავის მსროლელი დანითა თუ მაყუჩიანი პისტოლეტითაც შეიძლება ტერორისტული აქტის განხორციელება, მაგრამ ამისთვის მსროლელი მსხვერპლს საკმაოდ ახლოს, 10-20 მეტრით უნდა მიუახლოვდეს.

არადა, დაცვის სამსახურის კორდონები უცხო ადამიანს პრეზიდენტის ახლოს, სათოფეზეც არ გააკარებენ. ბუნებრივია, ჩნდება ვარაუდი, რომ ასეთი ახლომსროლელი იარაღი (განსაკუთრებით, მცირეგაბარიტიანი მსროლელი დანაHPC-2) ვინმე ისეთ პიროვნებას შეიძლებოდა გამოეყენებინა, ვისაც ახლოს მიესვლებოდა ქვეყნის პირველ პირთან, განსაკუთრებით, სამხედრო აღლუმის ტრიბუნაზე.

წელს სამხედრო აღლუმი არ ჩატარდა, რაც უსახსრობით აიხსნა, თუმცა ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შეიძლება აღლუმის დროს ტერაქტის განხორციელების საშიშროებაც იყო. მით უმეტეს, ქუჩაში, აღლუმის მთავარ ტრიბუნასთან, ყველა მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოხელისა თუ სამხედრო პირის მეტალმძებნით შემოწმება ძალზე რთულია და ცოტა უხერხულიც. ამასთან, საინტერესოდ ჟღერს სამართალდამცავთა კიდევ ერთი განცხადება — ისეთი კრიტიკული სიტუაცია შეიქმნა, რომ ჩვენ დავასწარით მოვლენებს და დავაჩქარეთ სახელმწიფო გადატრიალებაში ეჭვმიტანილი პირების დაკავებაო. არაა გამორიცხული, რომ ეს აჩქარება სწორედ სამხედრო აღლუმის მოახლოებამ გამოიწვია (სხვათა შორის, შეიძლება ამ აჩქარებამ სამართალდამცავებს საკმაო პრობლემები გაუჩინოს მომავალში, რადგან ბევრი სამხილი, რაც ამ შეთქმულების განხორციელებას ეხებოდა, შეიძლება ველარც მოიპოვონ). არც ისაა დავიწყებული, რომ ორი ათეული წლის წინ, ეგვიპტის პრეზიდენტი — ანვარ სადათი — სწორედ სამხედრო აღლუმის დროს ოფიცრებმა ავტომატებით დაცხრილეს.

თუმცა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ყოფილი უფროსის, გენერალ-მაიორ გუჯარ ყურაშვილის დაპატიმრება და მისთვის ქვეყნის ღალატში ბრალის წაყენება.



„ბარიშევის“ 9მმ-იანი უხმო პისტოლეტი ПБ, რომლის ლულაც მაყუჩის მაგივრობასაც წევს.

გენერალი ყურაშვილი თითქმის არ გამორჩენია არც ერთ ომსა თუ ბრძოლას, რაც ქართულ მიწაზე მიმდინარეობდა და არც მხდალის სახელი დაუმსახურებია. იგი ქართულ არმიაში შემსრულებლად ითვლებოდა და ფართო მასებისთვის თავისი ეგზოტიკური გამონათქვამებით იყო ცნობილი. გენერალ ყურაშვილს ძნელად ვინმე თუ დასწამებს, რომ თანამდებობით ხელი მოითბო ან კორუფციაში გაეხვია. ხოვლელი გენერალი არც სოფელში ამბობდა უარს ვენახის დამუშავებაზე და რაც მთავარია, ჯარისკაცებს შორის დიდი სიმპათიით სარგებლობდა.

მაგრამ საქართველოში გენერალ ყურაშვილის სამხედრო კარიერას თავიდანვე საკმაოდ დამაფიქრებელი შტრიხი გასდევდა. 1991 წლის ბოლოსთვის, საბჭოთა არმიიდან წამოსული პოლკოვნიკი — გუჯარ ყურაშვილი — საქართველოს შსს შინაგანი ჯარების ახალჩამოყალიბებული ოპერატიული პოლკის, რომელიც საბჭოთა მე-8 პოლკის ადგილზე შეიქმნა — მეთაურად დაინიშნა და თბილისის ომშიც მოასწრო მონაწილეობის მიღება.

თუმცა, ყველაზე საინტერესო 1992 წლის 24 ივნისის გამთენიისას მოხდა, როდესაც ექს-პრეზიდენტის მომხრეებმა, ვალტერ შურღაიას მეთაურობით, სახელმწიფო ტელევიზიის მთავარი შენობა დაიკავეს. მათ განკარგულებაში მოულოდნელად ასობით ცეცხლმსროლელი იარაღი და თვით ტანკიც აღმოჩნდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, იმ დილას, შინაგანი ჯარების ოპერატიულ პოლკს მისი ყოფილი ოფიცრები დაესხნენ თავს და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე გაიტაცეს ერთი Т-55 ტანკი, ჯავშნიანი სადაზვერვო მანქანა БРДМ-2 და 250-მდე ავტომატი. ფაქტობრივად, ელიავას 1998 წლის 19 ოქტომბრის სენაკის სამხედრო ამბოხებამდე 6 წლით ადრე, მსგავსი რამ თბილისში, სწორედ პოლკოვნიკ გუჯარ ყურაშვილის პოლკში განხორციელდა, რაც მისი მეთაურის სასარგებლოდ სულაც არ მეტყველებს (სხვათა შორის, 24 ივნისსაც, ისევე, როგორც სენაკის სამხედრო ამბოხების დროს, ჯარისკაცები მოტყუებით წაიყვანეს ფუნიკულიორზე სატელევიზიო ანძის დაცვის მიზეზით. როდესაც მოტყუებული მებრძოლები გაერკვნენ სიმართლეში და თავად დაბრუნდნენ ნაწილში).

ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ მათგან, ვინც 1992 წლის 24 ივნისს გუჯარ ყურაშვილის ნაწილიდან გაიტაცა საბრძოლო ტექნიკა და იარაღი, ზოგიერთი პიროვნება რამდენიმე დღის წინ დააკავეს და მათაც ახალი სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეობა წაუყენეს ბრალდებად.

თავისი საბრძოლო გამოცდილებით, გენერალი ყურაშვილი, რომელმაც ეს წოდება 1993 წლის 12 ივლისს, ტამიშთან გზის გახსნის ოპერაციისათვის მიიღო, საკმაოდ აჭარბებს თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთ „პარკეტის“ გენერალს. ამიტომაც არაა გამორიცხული, როდესაც სახმელეთო ჯარების სარდლის მაღალი თანამდებობიდან უეცრად პოლიგონებისა და სასწავლო ცენტრების მთავარი სამმართველოს უფროსობამდე ჩამოაქვეითეს, გენერალ ყურაშვილს საკმაოდ დიდი წყენა გასჩენოდა, რამაც შეიძლება, შემდგომში გადამწყვეტი როლიც შეასრულა. მით უმეტეს, როგორც ამბობენ, მისი „აგდება“ და გამოყენება არცთუ ისე ძნელი იყო.

და კიდევ ერთი ნიუანსი: გუჯარ ყურაშვილი ქართული მასმედიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა თავისი არაპროფესიონალიზმის გამო, თითქმის პირველ მედესანტედ და დივერსიული ოპერაციების დიდოსტატად აღიარა.

სინამდვილეში, ლეიტენანტმა ყურაშვილმა 1971 წელს, მართლაც დაამთავრა ქ. რიაზანში სამხედრო სასწავლებელი, ოღონდ არა საჰაერო-სადესანტო ჯარების, არამედ ზურგის უმაღლესი სამეთაურო სასწავლებელი და განაწილებულ იქნა სპეციალურ ჯარებში სასამსახუროდ. ჩვენში, როგორც კი გაიგეს სიტყვა „სპეცი“, მაშინვე იმავე სადაზვერვო თუ სადივერსიო ჯარებთან გააიგივეს. რეალურად კი სპეციალურ ჯარებში ქიმიური, მილსადენების ამწყობი თუ სარკინიგზო დანაყოფები შედიან, ხოლო სადაზვერვო და სადივერსიო ჯგუფები სპეცდანიშნულების ჯარებს განეკუთვნებიან. მათ შორის კი უზარმაზარი განსხვავებაა. ამჟამინდელი გენერალი ყურაშვილი კი სწორედ სამხედრო-სარკინიგზო ნაწილებში მსახურობდა.

საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის გუჯარ ყურაშვილს იმაში, რომ აფხაზეთის სვანეთი სეპარატისტმა აფხაზებმა ვერ აიღეს. თუმცა, ერთი წლის წინანდელი გალის მოვლენების დროს, როდესაც გალის რაიონის ქვემო ზონიდან ქართველი მოსახლეობის უსაფრთხო ევაკუაცია უნდა განხორციელებულიყო, გენერალ ყურაშვილის დაქვემდებარებაში მყოფმა თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთმა დანაყოფმა, თავისი ამოცანა ვერ შეასრულა, რაშიც გუჯარ ყურაშვილს საკმაოდ ბევრი სდებს ბრალს.

როგორც არ უნდა იყოს, ამჟამად პატიმრობაში მყოფი გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი, საკმაოდ წინააღმდეგობრივი პიროვნებაა და ძალზე ცუდი იქნება, თუკი დამტკიცდება მისდამი წაყენებული ბრალდება, სახელმწიფო ღალატის მუხლით. ცუდი კი იმიტომ იქნება, რომ მთლიანად საქართველოს სამხედრო ძალებს გვარიანად გაუტეხს სახელს.

## მოლაპარაკებები ჩიხში ექცევა

### NATO მილოშევიჩის ფიზიკურ განადგურებაზე ფიქრობს?..

იუგოსლავიის პრობლემის გადაწყვეტა მორიგ ჩიხში მოექცა. რუსეთი ოფიციალურ პროტესტს გამოხატავს იმის გამო, რომ კვლავ გრძელდება სერბეთის ტერიტორიის განუწყვეტელი საჰაერო დაბომბვა. მაგრამ, რაც მთავარია, ჰააგის სასამართლომ სამხედრო დამნაშავედ გამოაცხადა პრეზიდენტი მილოშევიჩი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის მოქმედ პირველ პირს ასეთ ბრალდებას უყენებენ. ამით დასავლეთმა თვითონ ჩაიყენა თავი გამოუვალ მდგომარეობაში, რადგან სამხედრო დამნაშავედ აღიარებულ იუგოსლავიის პრეზიდენტთან სამშვიდობო მოლაპარაკებებს ველარ გამართავს, რაც, თავის მხრივ, მთლიანად გამორიცხავს ამ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.

ჩანს, ამას და საერთოდ, იუგოსლავიის ომის უფრო ფართო მასშტაბებით გაზრდის საფრთხეს მოსკოვშიც ათვითცნობიერებენ. პრეზიდენტმა ელცინმა გასცა ბრძანება — რუსეთის სამხედრო-კოსმოსურმა ძალებმა დაიწყონ იმ საჭირო ინფორმაციების მოპოვება და ანალიზი, რომლებიც NATO-ს მიერ იუგოსლავიის წინააღმდეგ კოსმოსური დაზვერვისა და მართვის სისტემების მუშაობას ეხება. ამასთან, უახლოეს დღეებში, რუსეთის მთავრობა გამოყოფს დამატებით ფინანსებს ეროვნული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის გასაძლიერებლად, რათა მან საჭიროების შემთხვევაში შეძლოს იმ სახის ზუსტი საჰაერო დაბომბვების მოგერიება, რასაც დღეს დასავლეთი იუგოსლავიის მიმართ ახორციელებს.

თავის რუს კოლეგას არც პრეზიდენტი კლინტონი ჩამორჩა და საიდუმლო გეგმა დაამტკიცა. ამ გეგმის თანახმად, აშშ სპეცსამსახურებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ კოსოვოელი ალბანელების დივერსიულ-ტერორისტულ საქმიანობაში მომზადება. ამასთან, გამოავლინონ მილოშევიჩის ოჯახის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ბანკში განთავსებული ანაბრების საიდუმლო შიფრები და ისინი ამერიკული ბანკების ანგარიშზე გადაიყვანონ. ისე, თავიდან, ვაშინგტონს, ორთვიან საჰაერო დაბომბვებში დახარჯული მილიარდობით დოლარის ერთი მეათედიც რომ იუგოსლავიის პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაციის მოსამზადებლად დაეხარჯა, NATO თავის მიზანს უკვე დიდი ხნით ადრე მიაღწევდა, თან არც ტერორისტი სახელმწიფოს სახელს მოიხვეჭდა, რადგან აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ამჟამად ასეთი ტერაქტის განხორციელება კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლთა ხელით აქვს ჩაფიქრებული.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

# დამნაშავის ასე მომზადება მხოლოდ KGB-ს შეეძლო...

**უცებ, ორი ახალგაზრდა სპორტული ჩანთიდან პისტოლეტებს იღებს და პოლიციელებს ახლო მანძილიდან სახეში ესვრის... დერეფანში იმყოფებიან მინისტრთა პირადი მცველებიც. „სპორტსმენები" 4 მათგანსაც უმოწყალოდ ხოცავენ და კონფერენც-დარბაზში იჭრებიან... იმ დღეს კარლოსმა და მისმა ხუთმა ხელქვეითმა მძევლად 72(!) ადამიანი აიყვანეს. მძევლებს შორის 11 სახელმწიფოს მინისტრი გახლდათ.**

გენერალი იგორ გიორგაძე არ გახლავთ პირველი ტერორისტი, ესაც მოსკოვი ასე სიგულდაგულოდ მფარველობს. რუსეთის (მანამდე სსრკ-ის) სპეცსამსახურებს ყოველთვის ჰყავდათ მსგავსი, რჩეული დამნაშავეები, რომელთაც საგანგებოდ უფრთხილდებოდნენ, ამზადებდნენ და საჭიროების შემთხვევაში მეტად ეფექტურად იყენებდნენ. როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე მთელი სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს ასეთი ადამიანი გახლდათ ილიჩი, იგივე — კარლოსი, იგივე — მუსტაფა, იგივე — „ტურა"... დამნაშავე, რომელიც, ინტერპოლის შეფასებით, მრავალი წლის მანძილზე მსოფლიოს ყველაზე საშიშ ტერორისტად ითვლებოდა და რომლის დასაკავებლად არაერთი უძლიერესი სპეცსამსახური მეთოდი საგულე ამაოდ იბრძოდა.

## საფრანგეთი პანიკამ მოიცვა

საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტთან, ფრანსუა მიტერანთან დაახლოებული ადამიანები ჰყვებიან, რომ ქვეყნის მეთაურისთვის ეს ყველაზე რთული გადაწყვეტილება იყო, რაც კი ოდესმე მას მიუღია... ელისეს დარბაზში გამართული საგანგებო თათბირის დებულები მრავალი წლის მანძილზე საიდუმლოდ ინახებოდა და მის შესახებ ცნობებმა მხოლოდ 1997 წლის მიწურულს გაიჟღერა, როდესაც პარიზში სენსაციური სასამართლო პროცესი დაიწყო. განსაცდელ საქმეზე იდგა ადამიანი, რომელსაც მსოფლიოს №1 ტერორისტად მიიჩნევდნენ...

სწორედ ამ ადამიანის შესახებ მსჯელობდნენ მაშინ, 1982 წელს, საფრანგეთის პრეზიდენტი და მისი რამდენიმე მინისტრი. განიხილებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი და საგანგებო საკითხი — ტერორი, რომლის ტალღამაც იმ პერიოდში მთელი ქვეყანა გადაუარა. ეს იყო სამაგიერო იმისთვის, რომ საფრანგეთის მთავრობის წევრები არ თანხმდებოდნენ ძებნილი დამნაშავის, კარლოსის ულტიმატუმებს, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინათ ასევე ცნობილი ტერორისტი, მაგდალენა კოპი, რომელიც ქვეყნის სპეცსამსახურებმა დანაშაულის ჩადენის დროს აეროპორტში შეიპყრეს.

თათბირზე მიტერანს უჩვენეს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, გასტონ დეფერის სახელზე გამოგზავნილი ულტიმატუმის ტექსტი: „გიბრძანებთ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ქალბატონი კოპი... მე საფრანგეთის მოწინააღმდეგე არ ვარ, მაგრამ იძულებული ვიქნები, მკაცრად დაგსაჯოთ და მისი პატიმრობის ყოველი დღისათვის თითო ავუდება მოგიწიოთ!" — ასე წერდა კარლოსი და მართლაც, წერილის დანერგიდან ორიოდე დღეში საფრანგეთის დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე შენობა აფეთქდა და 64 ადამიანი დაშავდა... მეორე დღეს ორი ბომბი აფეთქდა პარიზი-ტულუზის ექსპრესში, რომლითაც ჟაკ შირაკს უნდა ემგზავრა... მომდევნო ორ კვირაში ქვეყანაში 15 ტერაქტი განხორციელდა! საფრანგეთი პანიკამ მოიცვა.

შინაგან საქმეთა მინისტრი თვლიდა, რომ მთავრობას სასწრაფოდ უნდა დაეწყო მოლაპარაკებები კარლოსთან. დეფერი მზად იყო, პირადად შეხვედროდა ტერორისტს. მინისტრს იმედი ჰქონდა, რომ მეორე მსოფლიო ომში პარტიზანული რაზმის მეთაურის გამოცდილება მას ამ მოლაპარაკებებში დაეხმარებოდა... თუმცა თათბირის მთავარი მომხსენებელი — საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურის შეფი, პიერ მარიონი დარწმუნებული გახლდათ, რომ მოლაპარაკებებს აზრი არ ჰქონდა და ერთადერთი გამოსავალი ტერორისტის ლიკვიდაცია იყო, რის სანქციასაც იგი პრეზიდენტისაგან ითხოვდა. მიტერანი ჯერ მხოლოდ ისმენდა და დუმდა...

## ილიჩი

მის შესახებ წერდნენ სტატიებსა და წიგნებს, იღებდნენ ფილმებს და ამასთან, თითქმის არავინ იცოდა, ვინ იყო იგი...

ილიჩად იგი 1949 წლის 12 ოქტომბერს, საკუთარი მამის, ვენესუელელი ადვოკატის წყალობით იქცა, რომელსაც მტკიცედ სწამდა კომუნიზმის მოძღვრისა და მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, თავის სამ ვაჟიშვილს ვლადიმერი, ილიჩი და ლენინი დაარქვა.

19 წლის ილიჩი მამამ სასწავლებლად მოსკოვში გააგზავნა. პატრის ლუმუმბას უნივერსიტეტში ახალგაზრდა ვენესუელელი უახლოვდება პალესტინელ სტუდენტებს და მათთან ერთად მონაწილეობს ზოგიერთი ქვეყნის საელჩოს წინ გამართულ დემონსტრაციებში. სწორედ ამ პერიოდში ხვდება ის KGB-ს თვალთახედვის არეში. საბჭოთა სპეცსამსახურის ოფიცრები ჯერ აკვირდებიან, შემდეგ კი თითქმის ყოველდღიურად ზრდიან ილიჩს...

1970 წელს იგი სწავლას თავს ანებებს, ახლო აღმოსავლეთში მიემგზავრება და პალესტინის გათავისუფლების სახალხო ფრონტში იწყებს მოღვაწეობას. გადის სტაჟირებას სამხედრო ბანაკებში, შემდეგ მიემგზავრება კუბაში, იქიდან — სირიაში. მომდევნო 2 წელი მის შესახებ თითქმის არაფერი ისმის. ვარაუდობენ, რომ ილიჩი ამ დროს სხვადასხვა ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდა. ამასთან, ხშირად საბჭოთა კავშირის მონახულებასაც ახერხებდა.

მიუნხენის ოლიმპიადის დროს ებრაელ სპორტსმენთა მხეცურად დახოცვის შემდეგ ისრაელის სპეცსამსახურების შეფებმა ფიცი დადეს, რომ უახლოეს მომავალში გაანადგურებდნენ ამ ბარბაროსული აქციის ყველა მონაწილეს. შურისძიებამ არ დაიგვიანა: 1973 წლის მანძილზე ებრაელმა აგენტებმა ათობით მუსულმანი ტერორისტის ლიკვიდაცია მოახდინეს. მათ შორის იყო ოლიმპიელ სპორტსმენთა მკვლელობის მთავარი ინიციატორიც — ალჟირელ ტერორისტთა ლიდერი, მოჰამედ ბოუდა, რომელიც ისრაელის ბოევიკებმა პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე, მანქანაში ააფეთქეს... სულ



კარლოსი. 1975 წელი

მალე, 1973 წლის ბოლოს საფრანგეთში ჩავიდა ახალგაზრდა, შავგვრემანი მამაკაცი, ვინმე კარლოსი, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ბოუდას დამნაშავეთა ჯგუფის მეთაურობა. ამ დროიდან მოყოლებული, თავის ყველაზე გახმაურებული ტერაქტების ჩადენისას, ილიჩი საკუთარ თავს კარლოსს უწოდებს...

## მოუხელთებელი ტერორისტი

იმავე წლის დეკემბერში კარლოსს საბჭოთა კავშირის რეზიდენტურის საშუალებით ატყობინებენ, რომ მის კვალზე ისრაელის დაზვერვის, „მოსადის" აგენტები დგანან. ტერორისტი, რომელმაც პარიზში უკვე 3 ტერაქტის მოწყობა მოასწრო, მთელ თავის ჯგუფთან ერთად ლონდონში გადადის და თავის საქმიანობას იქ განაგრძობს. 29 დეკემბერს კარლოსი თავს ესხმის ბრიტანეთის სიონისტთა ფედერაციის პრეზიდენტს და საკუთარი ხელით აუღელვებლად კლავს მას. გადის 2 კვირა და ტერორისტი აფეთქებს ისრაელის ერთ-ერთი მსხვილი ბანკის ლონდონის ფილიალს. 1974 წლის თებერვალი — კვლავ კარლოსი და სამიზნედ კვლავ ებრაელები: დამნაშავე ლონდონში, ისრაელის საელჩოსთან აფეთქებს მძლავრ ბომბს... სულ მალე ისევ აფეთქება ისრაელის საელჩოსთან, ოღონდ ამჯერად უკვე პარიზში...

1974 წლის მარტში კარლოსი ასრულებს თავის „ინტერნაციონალურ მოვალეობას" და დახმარებას უწევს იაპონელ ტერორისტებს, რომელთა ერთ-ერთი ბელადიც საფრანგეთის უშიშროების სამსახურის ტყვეობაში მოხვდა.

ჰააგაში მდებარე საფრანგეთის საელჩოს დილაუთენია ორი მანდილოსანი მიადგა და შენობაში შეშვება მოითხოვა. დაცვის თანამშრომელმა ისინი ოთახში შეიყვანა და პასპორტების წარდგენა სთხოვა. ამ დროს ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩანთიდან მცირე ზომის ავტომატური იარაღი ამოიღო და მცველი ადგილზევე დახვრიტა. ხმაურზე ოთახში კიდევ ერთი მცველი შემოვიდა. ქალმა ისიც მოკლა. შემდეგ მომხდურებმა ფანჯრები გამოაღეს და შენობაში ათამდე შეიარაღებული ადამიანი შეუშვეს. კარლოსის რაზმის წევრებმა მძევლად აიყვანეს საფრანგეთის 6 მოქალაქე, საელჩოში გამაგრდნენ და ულტიმატუმი წამოაყენეს: 8 საათის განმავლობაში პარიზის ციხიდან უნდა გათავისუფლებულიყო იაპონელი ტერორისტი. ამის შემდეგ ჰოლანდიის და საფრანგეთის მთავრობებს კარლოსის რაზმისთვის უნდა გამოეყოთ თვითმფრინავი და 300 ათასი დოლარი... წინააღმდეგ შემთხვევაში, ტერორისტთა ხელმძღვანელი მძევალთა განადგურებით იმუქრებოდა და ეს მუქარა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, თავდამსხმელებმა ერთი მძევალი მოკლეს და ფანჯრიდან გადმოაგდეს.

კარლოსის მოთხოვნები მაშინვე შესრულდა. იაპონელი ჰააგაში ჩაიყვანეს და ტერორისტებთან ერთად სირიაში გადაფრენის საშუალება მისცეს...

სამთვიანი დუმილის შემდეგ კარლოსის სახელი კვლავ მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. ცნობილმა დამნაშავემ რაღაცნაირად მოახერხა საბჭოთა წარმოების სარაკეტო დანადგარების ხელში ჩაგდება და მისი საშუალებით ორჯერ ააფეთქა ისრაელის ავიაკომპანიის თვითმფრინავები... კარლოსზე ნამდვილი ნადირობაა გამოცხადებული — ევროპის ქვეყნებისა და ისრაელის სპეცსამსახურებს აქტიურად ეხმარებიან ამერიკელები, თუმცა ტერორისტის დაკავება ვერაფრით ხერხდება. მეტიც: ორი ათეული ქვეყნის საიდუმლო უწყებებმა დამნაშავის მხოლოდ მეტსახელი იციან. არაფერია ცნობილი კარლოსის ვინაობის, წარმომავლობის, წლოვანებისა თუ გარეგნობის შესახებ — ტერორისტი ფრთხილობს და ყოველი თავისი ოპერაციის დროს გრიმითა და პარიკებით ინიღბება...

1975 წლის დასაწყისში, დამნაშავის დაკავების მიზნით, ისრაელის დაზვერვამ მკვეთრად გააქტიურა თავისი მოქმედებები საფრანგეთში, რადგან ყველაზე ხშირად კარლოსი სწორედ ამ ქვეყანაში მოქმედებდა. „მოსადის" ყურადღება მიიპყრო ვინმე მოქარბელმა, ლიბანის მოქალაქემ, რომელიც ხშირად კურსირებდა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს შორის. ებრაელი მზვერავები 2 თვის მანძილზე განუწყვეტლივ უთვალთვალებდნენ მოქარბელს, მაგრამ შედეგი ნულის ტოლი იყო — არავითარი ახალი ინფორმაცია. ის იყო, „მოსადის" ხელმძღვანელობამ მისი დაკავება გადაწყვიტა, რომ მოულოდნელად მეთვალყურე ჯგუფისგან თელ-ავივში შეტყობინება მოვიდა: „მოქარბელი სირიაში საეჭვო პირებს შეხვდა. ამ უკანასკნელთა შორის სავარაუდოა, იყოს კარლოსი. გიგზავნით აღნიშნული შეხვედრის ფოტოებს". აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სპეციალისტებთან ერთად „მოსადი" გულდასმით შეუდგა ამ ფოტოების კვლევას და მალე აღმოჩნდა, რომ ფირზე აღბეჭდილი ერთ-ერთი პიროვნება წლინახევრის წინ უკვე დაფიქსირებული გახლდათ პარიზში მომხდარი ტერაქტის ადგილზე. აგენტებს კარგად ახსოვდათ ტყავის ქურთუკში გამოწყობილი შავგვრემანი მამაკაცი, რომელიც აფეთქებული ავტობუსის სიახლოვეს ტრიალებდა. მაშინ მას თითქოს უფრო გრძელი თმები ჰქონდა, მაგრამ მაინც ძალიან ჰგავდა... ნუთუ ეს იყო კარლოსი?

პლასტიკური ოპერაციის შემდეგ



მალე პარიზში დააპატიმრეს მოქარბელი. მან განაცხადა, რომ შორიდან იცნობდა სურათზე აღბეჭდილ პიროვნებას, ვინმე მუსტაფას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ერთი წვრილფეხა ვაჭარი გახლდათ. სწორედ იმ დროს, როდესაც მოქარბელი ფრანგ გამომძიებლებს ჩვენებებს აძლევდა, „მოსადმა" ზემოთ აღნიშნული პიროვნების — სავარაუდოდ, კარლოსის ადგილსამყოფელი დაადგინა. ისიც პარიზში იმყოფებოდა... გადაწყდა, სასწრაფოდ დაეკავებინათ ეჭვმიტანილი მამაკაცი.

საფრანგეთის კონტრდაზვერვის სამსახურში ოპერატიული გეგმა შედგა, რომლის თანახმადაც, სულ მალე ლათინურ კვარტალში განლაგებულ ერთ-ერთ სასტუმროს სამართალდამცავებმა მჭიდრო, რამდენიმეეშელონიანი რკალი შემოარტყეს. 6 სპეცრაზმელი შენობის მე-4 სართულზე ავიდა და №23 ოთახის კარზე ფრთხილად დააკაკუნა. იქვე, კიბეზე, 2 პოლიციელს შორის იდგა მოქარბელიც, რომელსაც უნდა ამოეცნო მუსტაფა... კარს არავინ აღებდა. ხელმეორედ დააკაკუნეს. მოულოდნელად, გასროლის ხმა გაისმა. ტყვია მოქარბელს შუბლში მოხვდა და იქვე მოკლა. ისროდნენ დერეფნის სიღრმიდან. სპეცრაზმელები და პოლიციელები იატაკზე გაწვნენ და საპასუხო ცეცხლი გახსნეს, თუმცა ხუთი მათგანი მაშინვე მძიმედ დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა. ეჭვმიტანილი კი უკვალოდ გაქრა... მოგვიანებით, პოლიციელები იხსენებდნენ მოხუც, ჭაღარაწვერიან, კოჭლ მამაკაცს, რომელიც სასტუმროს სიახლოვეს შენიშნეს, მაგრამ ბებერი ინვალიდის შეჩერება არავის მოსვლია აზრად... ასე ფანტასტიკურად მოახერხა კარლოსმა დასხლტომა, ხოლო ის, რომ გაქცეული სწორედ კარლოსი გახლდათ, უკვე არავითარ ეჭვს აღარ იწვევდა — სამართალდამცავები ამ დასკვნამდე №23 ოთახის დათვალიერების შედეგად მივიდნენ.

საფრანგეთში გრანდიოზული სკანდალი ატყდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მთელ თავის დროს, პრაქტიკულად, მხოლოდ ამ შემთხვევას უთმობდნენ. ევროპის მოწინავე გაზეთებში კარლოსის ფოტოები გამოჩნდა. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ტერორისტი ანი უკვე ველარასოდეს გაეკარებოდა ევროპას...

## ოპერაცია „11 მინისტრი"

შემდეგი 6 თვე კარლოსმა პალესტინის სამხედრო ბანაკებში გაატარა, შემდეგ საბჭოთა კავშირში გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია და... ევროპაში დაბრუნდა. მალე კარლოსმა ტერორიზმის ისტორიაში თავისი მასშტაბით, მნიშვნელობითა და თავხედობით ჯერ არნახული ოპერაცია ჩაატარა.

1975 წლის 21 დეკემბერი. კვირა. ავსტრიის დედაქალაქ ვენის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში 11 ქვეყნის მინისტრთა შეხვედრა მიმდინარეობს. განიხილება ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებული საკითხები. 12 საათსა და 30 წუთზე ჰოლში სპორტულ ფორმებში გამოწყობილ ახალგაზრდათა ჯგუფი გამოჩნდა. ისინი საკმაოდ მხიარულად არიან. იცინიან, ხუმრობენ. კიბეებით ადიან მეორე სართულზე, სადაც სამი პოლიციელი დგას. უცებ, ორი ახალგაზრდა სპორტული ჩანთიდან პისტოლეტებს იღებს და პოლიციელებს ახლო მანძილიდან სახეში ესვრის... დერეფანში იმყოფებიან მინისტრთა პირადი მცველებიც. „სპორტსმენები" 4 მათგანსაც უმოწყალოდ ხოცავენ და კონფერენც-დარბაზში იჭრებიან... იმ დღეს კარლოსმა და მისმა ხუთმა ხელქვეითმა მძევლად 72(!) ადამიანი აიყვანეს. მძევლებს შორის 11 სახელმწიფოს მინისტრი გახლდათ.

ავსტრიის პოლიციამ მყისვე ალყაში მოაქცია სასტუმრო. დაიწყო მოლაპარაკებები, რომლებმაც 21 საათს გასტანა. ტერორისტებს არაერთი მოთხოვნა ჰქონდათ და ავსტრიის ხელისუფლებაც ყველაფერზე თანახმა იყო. კარლოსმა თავდაპირველად ტელევიზიით გამოსვლა ითხოვა და როდესაც მისი სურვილი სასწრაფოდ დააკმაყოფილეს, ტერორისტმა მილიონობით ადამიანის გასაგონად ამაყად წარმოთქვა: „მე სწორედ ის კარლოსი ვარ! თუ ჩემს ულტიმატუმებს უსიტყვოდ არ დაემორჩილებით, 72 ადამიანის გვამს მოგართმევთ!"

კარლოსს ძალიან მოსწონდა პოპულარობა და ტელეკამერების წინ პოზიორობა — იმ დრამატულ საათებშიც თავზეხელაღებული დამნაშავე მძევლებსა და ჟურნალისტებს ავტოგრაფებს აძლევდა, ბევრ მათგანს კი სამახსოვრო ცარიელი ჰილზებიც დაურიგა... რამდენიმე მილიონი შოკირებული ტელემაყურებელი თვალს ადევნებდა, თუ როგორ ჩასვეს ტერორისტებმა 26 მძევალი თვითმფრინავში, რომელმაც გეზი ლიბანისკენ აიღო. მოგვიანებით, კარლოსმა ყველა მძევალი გაათავისუფლა, თუმცა სამაგიეროდ 11 ქვეყნის მთავრობისგან, გამოსასყიდის სახით, 50 მლნ ამერიკული დოლარი მიიღო. მთელი ოპერაციის მანძილზე ტერორისტები მეტად თავდაჯერებით, შეცდომების გარეშე მოქმედებდნენ. მათი ასეთ დონეზე მომზადება, ევროპის სპეცსამსახურთა აზრით, მხოლოდ საბჭოთა KGB-ს შეეძლო...

## კვლავ ევროპაში

ამ მოვლენების შემდეგ სახელგანთქმული ტერორისტი რამდენიმე თვე მოსკოვში, ბუდაპეშტსა და ბერლინში იმყოფებოდა. 1976 წლის აპრილში კი კარლოსი კვლავ ევროპაშია! იქ ის მორიგ ტერაქტებს აწყობს და ყოველთვის დაუსჯელი რჩება...

1976 წლის ივნისში კარლოსმა და მისმა 8 თანამებრძოლმა თავდასხმა განახორციელეს თვითმფრინავზე, რომელიც ასრულებდა რეისს: თელ-ავივი — პარიზი. ტერორისტებმა პილოტები აიძულეს თვითმფრინავი უგანდის აეროპორტში დაესვათ. იქ შემდეგ დამნაშავენი ისრაელის ანტიტერორისტულმა ჯგუფმა გაანადგურა, რომელსაც ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ძმა, პოლკოვნიკი ჯონათან ნეთანიაჰუ ედგა სათავეში. ნეთანიაჰუ შეტაკების დროს დაიღუპა, მაგრამ მოახერხა ყველა ტერორისტის დახოცვა... ყველასი, გარდა კარლოსისა... მომდევნო რამდენიმე წელი №1 ტერორისტის შესახებ არაფერი ისმოდა. ვარაუდობდნენ, რომ მოსკოვმა მას დასვენების საშუალება მისცა. კარლოსის სახელს მსოფლიო ნელ-ნელა ივიწყებდა, მაგრამ 1982 წელს ის კვლავ გამოჩნდა არენაზე, საფრანგეთის მთავრობას მაგდალენა კოპის გათავისუფლება მოსთხოვა და ტერაქტების გრიგალი დაატეხა საფრანგეთს...

**დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, მიტერანმა თანხმობა განაცხადა ტერორისტის ლიკვიდაციაზე, თუმცა კიდევ არაერთი წელი გრძელდებოდა კარლოსის უშედეგო დევნა. ის მხოლოდ 1994 წელს შეიპყრეს — ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მის კვალს სუდანში მიაგნო...**

**კარლოსი 1997 წელს გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს...**

*მიხეილ ჩერქეზია*

# ცხოვრებისეული კურიოზები



## მატარებელში

ოზურგეთის მატარებლის კუპეში ოთხნი ვართ: ორი ბერიკაცი, მე და ერთი მანდილოსანი. შუა ძილში ვარ, გამომეღვიძა და მოხუცების საუბარი მესმის, ცოტა ნასვამები იყვნენ.

— სიმონა, გახსომს, შოთას რომ გვართმევდნენ სომხები, რუსთაველს?

— მახსომს, მახსომს, აბდალა კი არა ვარ.

— იგი გახსომს, დათია, სოსოიას რომ გვართმევდნენ?

— ვინ სოსოიას?

— სტალინს, შე აბდალა.

— მახსომს, მახსომს.

— ერთი მაინტერესებს, ძამა, ჩვენი ედიკას წართმევა რომ დაგვიპირონ, ამეილებს ვინმე ხმაას?

ოთხივეს გაგვეცინა და ჩამოვძახე ზემოდან:

— ვერავინ ვერ წაგვართმევს-მეთქი.

— ვაი შენს პატრონს, შე მართლა აბდალა, — შემომძახა ორივემ ერთხმად.

***სიმონ კაშო, თბილისი***

## ოჯახისთვის წამებული



მამიდაჩემი ზაფხულობით ჩამოდიოდა სოფელში. ძალიან პურმარილიანი ქალი იყო. მოდიოდნენ მნახველები. ისე როგორ გაუშვებდა, დედალი ან წიწილი არ დაეკლა. შემოგველია ქათმები. დარჩა ერთი მამალი ინდაური. თუ ვინმე მოვიდოდა, არუქა, მურად, დაკალი ინდაურიო, დაუძახებდა მეზობლის ბიჭს. დაადებინებდნენ ჯირკზე თავს საბრალო ფრინველს, ამის შემხედვარე სტუმარი გააშვებინებდა განწირულს. ასე გამეორდა ბევრჯერ... ბოლოს ისე გაიწვრთნა ინდაური, რომ ეზოში შემოსულ უცხოს რომ დაინახავდა, გაიქცეოდა და თავისით დებდა ჯირკზე თავს.

***ჯვარისა დწჭალა***



ამბაკო და თერაპონა ყანას თოხნიან. დაიღალნენ, დაისვენეს ჩრდილში:

— თუ კაცი ხარ, მიფხარი, უშრომელი შემოსავლით გიცხოვრია, — ჰკითხა ამბაკომ თერაპონას.

— რას ამბობ, კაცო, არასდროს! — იუარა თერაპონამ.

— ტყუილს ნუ მეუბნები, შენ არა თქვი, ქორწილიდან ექვსი თვის თავზე შვილი შემეძინაო. ესე იგი გიცხოვრია!..

***ჯვარისა დწჭალა***

## როგორ მოგწონთ ჩემი ტაკუნები?



ერთ დღეს, დილით, სკოლაში რომ მივდიოდი, მშობელი წამომეწია — ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი. ვისაუბრეთ იქითურსა და აქეთურზე. სკოლას რომ მივუახლოვდით, ჩემმა თანამგზავრმა ძალიან ხმადაბლა მკითხა:

— ბატონო ჭაბუკი, როგორ მოგწონთ ჩემი ტაკუნები?

შევჩერდი და უკნიდან შევხედე ქალს (პასუხი ხომ უნდა გამეცა).

ქალი გვიან მიხვდა თავის შეცდომას და ხელი აელვარებულ ლოყაზე იტკიცა.

— ბატონო ჭაბუკი, ჩემს გოგონებზე გეუბნებით.

ტყუპები ჰყავდა V კლასში და თურმე მათზე მეკითხებოდა.

***ჭ. ლომაია, სენაკი***

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ოსი სვანს აბრაზებს. სვანმა ითმინა, ითმინა და ეუბნება: ახლა იცი, რას გიზამ? გაგნასკვავ და დავიგინებ, ვინც გახსნას, იმისი დედაც... თქო!..

***გოჩა ჩაგელიშვილი, გორი***



მიხო და მიტო ქუჩას მიუყვებიან.. მიხომ ქუჩის მეორე მხარეს ორი ქალი დაინახა და მიტოს ეუბნება: მიტო, აიმ ორ ქალს ხედამ? მარჯვნივ რომაა ცოლია, მარცხნივ კი ჩემი საყვარელი. მიტო გაოცდა და ამბობს: ამაი უყურე, მაგრე რა დამთხვევაა?!.. ჩემთვინ „ნაა-ბაროტ", ჯო, მარცხნივ ჩემი ცოლია, მარჯვნივ კი ჩემი საყვარელი.

***გოჩა ჩაგელიშვილი, გორი***

თებრომ მეზობელ მიხოს შესჩივლა:

— მიხო, შენმა უჭკუო ბიჭმა ჩემი გოგო მოიტაცა.

— მერე რომელმა ვიჩივლოთ, ჰა?

***მარიკა, კასპი***



მიტო დილით აღვიძებს მიხოს:

— ადე, მიხო, სკოლაში წადი.

— ერთი, რატო უნდა წავიდე? — ჩაიბუზღუნა დილის ძილგამტკბარმა მიხომ.

— ერთს კი არა, ორს გეტყვი: ჯერ ერთი, გაგვიანდება და მეორე კიდე, სკოლის დირექტორი ხარ!!!

***გიორგი ტარყაშვილი, თბილისი***

შევარდნაძესთან მივიდნენ მამათელები:

— გვცივა, ძამა, გვშია, ძამა, გვიშველე რამე!

— მდაა... ეკონომიკა ნა ნულე, ენერგეტიკა ნა ნულე...

— წამოი, ძამა, წამოი, მაგას ნანულიზა დომია ყველაფერი!..

***გ.ბ.***

ჭიჭიკიას ნაცნობებმა დაურეკეს:

— სტუმრად გვინდა თქვენთან ჩამოსვლა და გვაინტერესებს როგორი ამინდია?

ჭიჭიკიას მაინცდამაინც არ ესიამოვნა მათი მოსალოდნელი სტუმრობა და უპასუხა:

— რას ამბობთ, ბატონო?! აქ ისეთი ძლიერი ქარია, ქუდებს გვხდის და შემდეგ ტაქსებით დავდევთ დასაჭერად!

***გოჩა ფაჩუაშვილი, ქუთაისი***







ქურთი ცუდად გახდა. გამოიძახეს სასწრაფო, დააწვინეს საკაცეზე და ის იყო მანქანაში უნდა შეეყვანათ, ქურთმა ჩაილაპარაკა: „რახამ ქურთი „ბაგაჟნიკშიო?".

***გიორგი „YND", თელავი***



მასწავლებელი პატარა გურულს ეკითხება:

— აბა, მითხარი, რა ჰქვია რუსულად თაგვს?

— „მიშკა", მასწ.

— ვირთხას?

— იმას ნაღდად „მიხაილ" ერქმევა, მასწ.

***მარიკა, კასპი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს.***

# აჭარული დღიური

დიდია პიროვნების როლი ისტორიაში, თუ მოვლენათა საბოლოო დიაგნოზს მასები სვამენ? ჩვენს ახლობელ საქართველოს პიროვნებებიც ჰყავს, მასაც და ისტორიაც აქვს. ოდესღაც იმპერიის მარგალიტი თავს ვერ აღწევს შინაომებსა და სასახლის ინტრიგების ქსელში გახვეულა. ცენტრი მუქარას არ იშლის აფოფრილი პროვინციების მიმართ. მიზეზები: აფხაზეთი, სისხლით რომ მოიპოვა ნანატრი თავისუფლება და ახლა ხელში ატატებული ჩვილივით ზედ დაჰკანკალებს; ჩრდილოელ დასთან შეერთება სურს სამხრეთ ოსეთს; საერთაშორისო კავშირების სივრცეებში გაჭრილი აჭარა თავისი ბათუმური რენესანსით... ეს მხოლოდ შეუიარაღებელი თვალით შესამჩნევი პრობლემებია, მაგრამ არსებობს კიდევ საკუთარი, „კუთხური" პრობლემები, ნაღვერდლებივით რომ გიზგიზებს საქართველოს მხურვალე მიწაში. დროის თვალსაზრისით ხომ სამივე პრეზიდენტმა ერთად აიღო სტარტი — 90-იანი წლების დამდეგს, მაგრამ გარბენისათვის ყველას არ ეყო სუნთქვა. ხნიერ ოსტატ შევარდნაძეს მეორე გარბენზევე გაუჭირდა, სნაიპერ არძინბას საერთოდ არ გაუმართლა — ომში ჩაითრიეს და დისტანციას ასცდა. ლიდერობს აბაშიძე, რომელიც ყველაზე იღბლიანი და ამტანი აღმოჩნდა ამ მარათონში. იღბლიანი იმიტომ, რომ მის მშობლიურ აჭარას ომი არ შეეხო, ამტანი იმიტომ, რომ მას, ქართველ მეფეთა შთამომავალს, წინაპართაგან გენეტიკურად გადაეცა გამარჯვებისაკენ სწრაფვა.



თავის დროზე მან აჭარა ფედერალური ტანკებისაგან გადაარჩინა. ამის გამო ყველას უყვარს, მასზე თავდასხმის მცდელობას (ხუთჯერ თავს დაესხნენ); როგორც პირად ტრაგედიას, ისე განიცდიან.

ხალხში მას „აჭარის ლომს" ეძახიან, მაგრამ უფრო ხშირად გაიგონებთ — „ჩვენი პრეზიდენტი", თუმცა ოფიციალურად აბაშიძე პრეზიდენტი არ არის. თავად ასლან იბრაჰიმოვიჩი (სწორედ იბრაჰიმოვიჩი) ცივ უარზეა, რომ მას პრეზიდენტი ვუწოდოთ.

— **რუსეთის პრესა წერს, რომ ჩვენი ჯარები უახლოეს დროში დატოვებენ აჭარას.**

— რუს მესაზღვრეებთან შეხვედრისას მე მათ შევთავაზე — ვისაც სურს აქ სამსახურის გაგრძელება, შეუძლია დარჩეს, ყველანაირად ხელს შევუწყობთ. სამსახურის დამთავრების შემდეგ თუ სურთ, მრჩევლებად, სპეციალისტებად იმუშავებენ... რუსეთის სასაზღვრო ჯარების ბაზაზე უკვე მოვამზადეთ 3 ათასი აჭარელი მესაზღვრე. რაც შეეხება საბრძოლო ტექნიკას, უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე საქართველოს სასაზღვრო ჯარებს. ამაში მე ჩვენს სიამაყეს — სანაპირო დაცვის სწრაფმავალ კატერებსაც ვგულისხმობ, რომლებიც სამხედრო მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აღჭურვილი.

— **რა აზრის ხართ თავისუფალი ეკონომიკური ზონის იდეაზე?**

— 1993 წელს ჩვენ მოვამზადეთ თავისუფალი ეკონომიკური ზონის პროექტი და განსახილველად საქართველოს პარლამენტში შევიტანეთ, მაგრამ არ ყოფილა დღე, რომ არ ეთქვათ, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნით აბაშიძე არღვევს საქართველოს მთლიანობას. მის უკან კი მოსკოვი დგასო. წარმოგიდგენიათ, მოსკოვი ანგრევს საქართველოს აბაშიძის ხელშეწყობით...

— **ამბობენ, რომ რესპუბლიკას ძალიან მტკიცე ხელით მართავთ. რას აშენებთ — ფეოდალიზმს, კაპიტალიზმს, მონარქიას?**

— პარტიას, რომელიც 1991 წელს შევქმენი და დღესაც ვმეთაურობ, ჰქვია საქართველოს დემოკრატიული აღორძინების კავშირი. თქვენ მეტყვით, ეკონომიკური აღორძინება ტოტალიტარული წყობის დროსაც არის შესაძლებელიო. გიპასუხებთ — რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ხალხი არ გიყვარს, არარაობა ხარ!

— **როგორ განსაზღვრავდით რუსეთის მნიშვნელობას კავკასიისათვის, საქართველოსათვის, აჭარისათვის?**

— რუსეთის ფაქტორს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, მაგალითისთვის აფხაზეთი და იუგოსლავიაც გამოდგება.

— **თბილისში სხვა აზრისანი არიან.**

— ყველა ასე არ ფიქრობს. ეს არის ცალკეულ პოლიტიკოსთა აზრი, რომლებსაც საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური პროგრამა არ გააჩნიათ. განა შეიძლება ოკეანის ნაპირზე ცხოვრობდე და ოკეანის ძალას არ ითვალისწინებდე?

— **ბატონო ასლან, თქვენი აზრით, როგორ უნდა მოევლოს აფხაზეთის საკითხს?**

— ერთი შეხედვით, თითქოს ჩიხში შევედით, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს, არსებობენ „შეუსმენელი" ადამიანები... თავის დროზე ოფიციალურ სტრუქტურათა შორის მხოლოდ ჩვენ გამოვედით აფხაზეთში შესვლის წინააღმდეგ. ვფიქრობ, საჭიროა მოლაპარაკების დაწყება, შექმნილი მდგომარეობის ყველა ნიუანსის გათვალისწინება.

...აეროპორტში ასლან აბაშიძემ გაგვაცილა. ჩვენს უკანასკნელ კითხვაზეც გვიპასუხა — „მათ საქართველო ჩიხში შეიყვანეს, არჩევნებში გამარჯვების შანსი არა აქვთ, თუ არ გააყალბეს ან საგანგებო მდგომარეობა არ შემოიღეს!!!"

*იბეჭდება შემოკლებით*
*პ. გუსევი, ა. კოლპაკო*
*მოსკოვსკი კომსომოლეცი №99*

## სოხუმი ცდილობს

# საპარლამენტო კრებაზე თავისი დამკვირვებლები გაგზავნოს

დღეს, როცა თბილისის პოზიცია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ განსაკუთრებით გააქტიურდა, ხოლო რუსეთის როლმა კი ამ კონფლიქტის გადაწყვეტაში საგრძნობლად იკლო, სოხუმი ცდილობს იპოვოს საქართველოსა და საერთაშორისო შუამავლებზე ზემოქმედების ახალი ფორმები. 21 მაისს აფხაზეთის პარლამენტმა ბელორუსიისა და რუსეთის საპარლამენტო კრებას (სკ) გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც ითხოვს, სოხუმის წარმომადგენლებს სკ-ის დამკვირვებლების სტატუსი მიანიჭონ. მიმართვას ხელს აწერს აფხაზეთის სახალხო კრების სპიკერი სოკრატ ჯინჯოლია. თავის თხოვნას სოხუმი იმით ხსნის, რომ „ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების" საქმეში ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით ვერ წყვეტენ სადავო პრობლემებს. საქმე ის არის, რომ აფხაზეთის მხარე, რომელიც თავს არ მიიჩნევს საქართველოს ნაწილად, მოითხოვს, რომ მოლაპარაკებები მიმდინარეობდეს სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მიმართებით.

მიუხედავად ამისა, სკ-ში განაცხადეს, რომ აღნიშნული დოკუმენტი ჯერ არ მიუღიათ. სამდივნოში ივარაუდეს, რომ მიმართვა შესაძლოა განსახილველად უდევს სკ-ს თავმჯდომარეს, რფ გოსდუმის სპიკერს გენადი სელეზნიოვს, რომელიც ამჟამად მივლინებაშია. საერთოდ კი სკ-ს თავმჯდომარემ მხოლოდ უნდა შესთავაზოს დოკუმენტი განსახილველად. ამასთან, სკ-ს სამდივნოში განაცხადეს, რომ სელეზნიოვი ძალიან სწრაფად განიხილავს ხოლმე დოკუმენტებს და არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში მიმართვა განსახილველად მოხვდე საგარეო პოლიტიკის საკითხების კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ბელორუსიის პარლამენტის დეპუტატი ნიკოლაი ჩერგინეცი. ამის შემდეგ დოკუმენტი შესაძლოა განსახილველად გაიტანონ კოლეგიალურ ორგანოებში — სკ-ს საბჭოზე, შემდეგ კი სკ-ს სესიაზე.

სამდივნოში გაუჭირდათ ეთქვათ, რამდენად რეალურია მიმართვაზე დადებითი გადაწყვეტილების გამოტანა — მიიღონ აფხაზი დამკვირვებლები სკ-ში. თუმცა აღნიშნეს, რომ არსებობს ამგვარი ნევრობის პრეცედენტი იუგოსლავიისა და სომხეთის სახით. რამდენად გამართლებულია ამგვარი შედარება, ძნელი სათქმელია. სომხეთი და იუგოსლავია ხომ, აფხაზეთისაგან განსხვავებით, მსოფლიო საზოგადოებრიობის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებადაა ცნობილი. ამასთანავე, არ არის გამორიცხული, რომ სოხუმის თხოვნა არ გაახარებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, თუმცა, საეჭვოა, უმაღლესი პოლიტიკური უწყების ჩინოვნიკებმა ზეგავლენა მოახდინონ სკ-ს რუსეთის წარმომადგენელთა უმრავლესობაზე და, მით უმეტეს, ბელორუს პარლამენტარებზე.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით აფხაზ პარლამენტართა თხოვნა არცთუ წარმოუდგენლად შეიძლება მივიჩნიოთ. ამასთან ნათელია, რომ ორი სლავური სახელმწიფოს ფრთებქვეშ შეფარებას სწორედ ისინი ლამობენ, ვინც ომის ან მისი განახლების საშიშროების წინაშე დგას. არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ ის ფაქტი, რომ თუმცა სკ ორთა კავშირის კანონმდებელი ორგანოა, მაგრამ მისი გადაწყვეტილებების ან რეკომენდაციების სარეალიზაციოდ საჭიროა მნიშვნელოვანია დრო და აღმასრულებელი ხელისუფლების მხარდაჭერა. ამიტომ სკ-ის სახით მეკავშირეც რომ გაიჩინოს, საეჭვოა სოხუმმა მოსკოვისა და მინსკისაგან სერიოზული მხარდაჭერა მიიღოს.

*ნეზავისიმაია გაზეტა №87*

## ქართულ თემებზე

# „ენა, მამული, სარწმუნოება" –

ეს აფორიზმად ქცეული სიტყვები ყველა ჩვენგანის საფიცარია, ამიტომაც გადადის თაობიდან თაობაში, როგორც ხელშეუხებელი სიწმინდე...

თბილისის 128-ე საშუალო სკოლის მე-6ა კლასის მოსწავლეებმა, პედაგოგ ქეთევან ძნელაძის ხელმძღვანელობით, მშვენიერი ღონისძიება წარმოადგინეს, რომლის თემაც გახლდათ „ენა, მამული, სარწმუნოება". სასიამოვნო მოსასმენი იყო მოსწავლეების მიერ ხოტბა მამულისა, რომელსაც ენაცვლებოდა ქება-დიდება ქართული ენისა, „მამაო ჩვენოს" კი — იესოს ცხოვრების ეპიზოდები, მრწამსი და საგალობლები... ბოლოს, წმინდა მიხეილ ტვერელის ეკლესიის მოძღვარმა, მამა ზურაბმა დალოცა მოსწავლეები.

ღონისძიების შემდეგ რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ ბოდბელ ეპისკოპოსს, მეუფე ნიკოლოზს.

— **მორწმუნე ადამიანის პატრიოტიზმი რით განსხვავდება ჩვეულებრივი მოკვდავის პატრიოტიზმისგან.**

— „პატრიოტიზმი" ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მამულიშვილობას. მორწმუნე ადამიანისთვის სამშობლოს სიყვარულის მოტივაცია აბსოლუტური ღირებულების მატარებელია: მას სამშობლო უყვარს უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ღმერთმა ასე დაუწერა; ამ აზრით მამულის მსახურება მისთვის ღმრთის მსახურების ტოლფასია. ჩვეულებრივ მოკვდავსაც შეუძლია უყვარდეს სამშობლო, მაგრამ სრულყოფილი და ჭეშმარიტი პატრიოტიზმი შეუძლებელია სარწმუნოების გარეშე.

— **როგორ ფიქრობთ, ჩვენში მორწმუნეობა თავისთავად ნიშნავს ხალხის სიყვარულს, ენის სიყვარულს?**

— ეს თვით ღმერთმა დაგვიდგინა. გწამდეს — ნიშნავს გიყვარდეს. არ არის გამორიცხული, რომ როდესაც ილია ჭავჭავაძემ თქვა, — „ენა, მამული, სარწმუნოება" — ის დაესესხა გრიგოლ ხანძთელს, რომელიც ამბობს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების".

აქ მამული და ეროვნება განმარტებულია იმის მიხედვით, თუ რა ენაზე ხდება ღმერთთან კავშირის დამყარება.

— **ალბათ, პატრიოტ, მორწმუნეთა ცხოვრებიდან უამრავი ისეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელიც უკეთ გამოხატავს [illegible] მათგანის ცხოვრებისეულ მრწამსს. თქვენ რომელს გაიხსენებდით?**

— მოვიყვან ერთ მაგალითს სახარებიდან: ერთი, არაებრაელი ქალი მივიდა იესოსთან და ავადმყოფი შვილის განკურნება სთხოვა. იესომ მოგვიანებით მართალია, განკურნა ამ ქალის შვილი, მისი დიდი სარწმუნოების გამო, მაგრამ მიუგო: „არაკეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა". ღმერთმა იესო მოავლინა ქვეყნად ისრაელის წარწყმედილი ცხვრების გადასარჩენად. როცა იესომ შეასრულა თავისი მისია ებრაელთა მიმართ, შემდეგ ქრისტიანობა მთელ მსოფლიოს უქადაგა.

— **ილიას აფორიზმად ქცეული სიტყვები: „ენა, მამული, სარწმუნოება", შეიძლება თუ არა წმინდა სამებასთან გავაიგივოთ?**

— მე ვიტყოდი, შეიძლება შედარება. მაგალითად, წმინდა სამებას ზოგჯერ ადარებენ მზეს. მზე ერთია, მაგრამ შედგება ბირთვის, სინათლისა და სითბოსგან. ადამიანი შედგება სულისგან, სხეულისა და სამშვინველისგან, რომელიც სულს და სხეულს ერთმანეთთან აკავშირებს. ასევე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერი. სარწმუნოება — როგორც მისი სული, მამული — სხეული, ენა კი — სხეულისა და სულის დამაკავშირებელი, ანუ სამშვინველი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეროვნულობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანთვისება არის ის ენა, რომლითაც ადამიანი აღავლენს ლოცვას ღმრთისადმი. სხვაგვარად როგორ შეიძლება ეროვნების ზუსტი განმარტება? შეიძლება, მაგალითად, ვინმემ თქვას, რომ ვახტანგ გორგასალი არ არის ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ ის ტომით სპარსი იყო? ან შეიძლება ვთქვათ, რომ შუშანიკი არ არის ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობით სომეხი გახლდათ? თუ ძალიან ღრმად ჩავეძიებით, შეიძლება ჩვენშიც ერიოს სხვა ტომის სისხლი. ქართველია ის, ვინც ქართულად აღავლენს ლოცვას. სრულყოფილებას პატრიოტიზმი იძენს სწორედ რელიგიურობაში.

— **ალბათ თქვენი სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ გამონათქვამში: „ენა, მამული, სარწმუნოება", თითოეული თავისთავად პირველია და არა ისე, როგორც ზოგიერთს ჰგონია, თითქოს მამული მეორე ადგილზე დგას და სარწმუნოება — მესამეზე.**

— ეს არის ზოგადი ფორმულა, რომელშიც პირადად მე, ერის მთლიანობას ვხედავ. ჩვენდა საამაყოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჩვენ გვაქვს ქართული ენის დღე, დამოუკიდებლობის აღდგენის დღე, რომელიც ორი დღეა, რაც ვიზეიმეთ, პირველი ივნისი, როცა აღვნიშნავთ წმინდა ნინოს შემობრძანებას საქართველოში (ფარავნის ტბასთან) — ამით ჩვენ კიდევ ერთხელ ვამტკიცებთ ენის, მამულის და სარწმუნოების განუყოფლობას.

*ნინო შევარდნაძე*

# «საკანში ორი «ტერორისტი» ვართ და ახალი ტერაქტის გეგმას ვაწყობთ»...

(დასაწყისი იხ. გვ. 5)

— **თქვენი ყველაზე მძიმე ბრალდება 9 თებერვლის ტერაქტის ორგანიზებაა. პროკურატურა აცხადებს, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობთ, მაგრამ არ უარყოფთ, რომ იყავით ჩეჩნეთში 1997 წლის ნოემბერში იმ სამხედრო ბანაკში, სადაც ტერაქტში ბრალდებულნი ემზადებოდნენ.**

— ჩეჩნეთში ვიყავი ოფიციალური ვიზიტით. იქ გავიგე ქართველების ყოფნაც, რომლებიც, მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანონიერი ხელისუფლების სახელით მოქმედებდნენ. ამიტომ გადავწყვიტე მათი ნახვა, რადგან ვალდებული ვიყავი, გამერკვია, ვინ იყვნენ და რატომ მოქმედებდნენ კანონიერი ხელისუფლების სახელით. ასეც მოვიქეცი. გოჩა ესებუას გადმოცემით, ისინი აფხაზეთში პარტიზანული მოძრაობის გაჩაღების მიზნით ვარჯიშობდნენ.

ჩემთვის არავის უთქვამს, რომ ისინი ტერორისტები იყვნენ და შევარდნაძეზე თავდასასხმელად ემზადებოდნენ. სულ 15 წუთი ვესაუბრე მათ მხოლოდ აფხაზეთის პრობლემებზე. პროკურატურას არავითარი მტკიცებულება არ გააჩნია ჩემს წინააღმდეგ, ამიტომ იძულებულია, ცრუინფორმაციის გავრცელებით შექმნას საზოგადოებრივი აზრი.

— **თქვენი დაკავება როგორ მოხდა, დაირღვა თქვენი უფლებები?**

— ძალად არავის დავუჭერივარ. ამიტომ არავითარი უფლებები არ დარღვეულა. რაც შეეხება ექსტრადიციას, იგი განხორციელდა კანონის უხეში დარღვევით, თუმცა ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

— **წინასწარი გამოძიების დროს იყო თუ არა თქვენზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა?**

— ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ფსიქოლოგიურს, იყო ამის მცდელობები, მაგრამ ამ თამაშში ყოველთვის კოზირი მეკავა ხელში.

— **თუ დაგაპირისპირეს ისეთ პიროვნებასთან, ვინც გამხელთ?**

— სულ ორ პიროვნებასთან დამაპირისპირეს. არც ერთს არაფერში არ ვუმხელივარ, ვინაიდან „სასამხელო" არაფერი მჭირდა. ერთმა გამამართლა კიდეც.

— **თქვენ თავს უდანაშაულოდ ცნობთ. რა დაინტერესება იყო, რომ დაეპატიმრებინეთ?**

— ფაქტობრივად, ხელისუფლების „დაინტერესება" მარტო ჩვენს დაპატიმრებაში არ გამოიხატება. ეს ხელისუფლება ცდილობს, დევნილი კანონიერი ხელისუფლების მოსპობას და ამ მიზანს მიაღწევენ მაშინ, როდესაც დევნილი ხელისუფლების ხელმძღვანელებს ციხეებში ჩაამწყვდევენ ან ფიზიკურად გაანადგურებენ. მათ მშვენივრად იციან, რომ სანამ არსებობს დევნილი კანონიერი ხელისუფლება, დღევანდელი ხელისუფლება ითვლება უკანონოდ, რადგან ისინი სისხლიანი გადატრიალების გზით მოსული უკანონო ხელისუფლების სამართალმემკვიდრენი არიან. საქართველოს ფაქტობრივი პრეზიდენტი კი იმ გადატრიალების მთავარი ორგანიზატორია. ამიტომ არ აძლევთ ხელს ჩვენი ხელისუფლების არსებობა.

— **თქვენი აზრით, ვინ მოაწყო 9 თებერვლის ტერაქტი?**

— ეს ყველამ იცის. ისინი, ერთის გარდა, სამეგრელოს მკვიდრნი, კოლხური მოდგმისანი არიან. ხოლო რაც შეეხება მთავარი ორგანიზატორის ვინაობას, მაგას სასამართლო პროცესზე გაიგებთ.

— **როგორ ფიქრობთ, უზენაესი სასამართლო თქვენს მიმართ ობიექტურ განაჩენს გამოიტანს?**

— ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს საქმე გაერჩია უზენაეს სასამართლოს, სადაც მათი ყურმოჭრილი მონები სხედან. ვინც ჩემს საქმეს „გაარჩევს", მას კიდევ ექნება გარანტირებული ათი წლით სავარძელი. ამიტომ ილუზიებით თავს არ ვიმშვიდებ, ყველანაირი განაჩენისთვის მზად ვარ. უფრო მეტიც, იმ პოლიტპატიმრებზე ნაკლები თუ მომისაჯეს, ვინც დღეს ციხეებში იტანჯება, შეიძლება პროტესტიც განვაცხადო, მაგრამ როცა საქმე ეხება კონკრეტულ დანაშაულს, იმ სიმართლის დამტკიცებისთვის ბრძოლის გზაზე არავის დავინდობ.

— **მარტო ხართ საკანში? როგორ გაგყავთ დრო?**

— საკანში ჩინებულ ქართველთან, თემურ გოგინაშვილთან ერთად ვზივარ. მას საბიუჯეტო „ტერორში" ედება ბრალი. ასე რომ, ორი „ტერორისტი" აღმოვჩნდით ერთ საკანში. ძირითადი სამუშაო დრო მომავალი „ტერორისტული" აქტის განხორციელების გეგმის შედგენაში გაგვყავს — ღამით, როცა ყველას სძინავს, ვთხრით გვირაბს მე-5 იზოლატორიდან ბომბეიმდე.

*მარინა მამისაშვილი*



## თარაზულად:



**7** ახლახანს მოსკოვში გაიხსნა სასულიერო აკადემია „ცოცხალი თორა" (რელიგია)

**8**



„ბორჯომის" მინერალური წყლების კომპანიის მიერ რუსეთში დაწესებული მთავარი პრიზი

**10**



ახალი მონაცემებით დახრილი კოშკი სწორდება (ქალაქი)

**11** რუმინელი გრაფი, რომლის სახელიც სისხლისმსმელის სინონიმი გახდა

**12**



(რიცხვითი მნიშვნელობა)

**15**



საცხოვრებელი ოთახი

**16**




წარწერა კადრზე

**18**



მე-16 საუკუნის ფლორენციელი მოქანდაკე, იუველირი და მწერალი

**19**



მცენარეული რძეწვენი, რომლისგანაც იღებენ ნატურალურ კაუჩუკს და იყენებენ საღებავების დასამზადებლად

**20**



იტალიელი ანატომი და ფიზიოლოგი, რომლის სახელიც ეწოდა ვოლტას მიერ აღმოჩენილ დენის ახალ წყაროს

**22**



მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, მელოდია, ჰანგი

**24**



თვალის ფერადი გარსი

**25**



ქალაქი ავსტრალიაში, სადაც ბავშვობისას სწავლობდა მსახიობი, რომელმაც თავის სკოლას უსაჩუქრა 640.000 დოლარი

**29**



უბანი თბილისში

**31**



ფრანგი მეფეების ქალაქგარე სამეფო რეზიდენცია

**32**




აუცილებელი კომპონენტი

**33**



შვეიცარიის პირველი პრეზიდენტი ქალი (1999 წლის 1 იანვრიდან)

**34**



დეპარდიეს პერსონაჟი

**13**



დასაკეცი სამფეხი

**14** მუხლის მოდრეკა და წელში ღრმად მოხრა ლოცვა-ვედრების დროს

**16** ამოცანა გონებრივი განვითარების შესამოწმებლად

**17** ძალღონე, არაქათი

**21**



სამხედრო ალამი, რომელსაც აღმართავენ მაღალი რანგის გემებზე ღუზით დგომის დროს

**23**




ყველაზე პატარა ძაღლი მსოფლიოში (ირლანდიური ნაირსახეობა)

**26** მცირე განსხვავება რაიმეში, ელფერი

**27** გამოძიების ერთ-ერთი მიმართულება

**28** უუფლებო, პიროვნულად თავისუფალი ადამიანი ძველ რომში

**30**



სურ. ანტვერპენი (ქვეყნის ფულის ერთეული)

**32**



სურ. ბრუნეის სულთანათი (კონტინენტი)

## შვეულად:

**1**



ცხოველი



**2** „არავის ვუყვარვარ" - 1946; „შეიარაღებული მოჩვენებანი" - 1947; „ვარდები ნისიად" - 1956 წ. „სული" - 1963წ. „ბუღლბული განთიადისას დუმდება" - 1970წ. (მწერალი)

**3**



მიმართულება რომელიც ქადაგებს შიშველი სხეულის კულტს

**4**



ამონაფრქვევი

**5**



**6**



მზე, მთვარე, ვარსკვლავი



**9** საბჭოთა პიონერის ამერიკელი ანალოგი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

„კვირის პალიტრა" №21 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7.ლოკომოტივი; 8. პროდიუსერი; 10. ზმანება; 11. გრილაჟი; 12. ფიბრინი; 14. რეცეპტი; 17. მტრედი; 18. კატერი; 19. პინოჩეტი; 20. ტრაპეცია; 24. სეტერი; 25. ტრანსი; 26. ალილუია; 31. პაროდია; 32. ძუნძული; 33. ასტურია; 34. ბიუროკრატი; 35. პრეფერანსი.

**შვეულად:** 1. კოსმონავტი; 2. კორნეტი; 3. ავენიუ; 4. ორდენი; 5. ქსილიტი; 6. პროჟექტორი; 9. პორტფელი; 13. მდინარე; 14. „როვენტა"; 15. ინვაზია; 16. კარცერი; 21. ტელესტუდია; 22. ტელეფონი; 23. ასკლეპიოსი; 27. უინძორი; 28. სამურაი; 29. კარატი; 30. სიგარა.

### იყიდება ბინები

2-ოთახიანი, გარემონტებული ბინა აივნით, ტელეფონით, ცხელი და ცივი წყლით, მუდმივი დენით, 1 სართულზე. კარ-ფანჯარა შეცვლილია. მის: გორგასლის ქ. №111. მე-4 კორპ. ბინა 4. ტელ: 75-00-82. ცინცაძე

სასწრაფოდ! სუფთა ბინა, მიშენების პერსპექტივით. მის: დ/მას. მე-5 კვ. 22-ე კორპ. ბინა 16. ტელ: 899 57-28-94; 52-27-94. გოგა

ვერაზე – პრესტიჟულ და პერსპექტიულ რაიონში, კაპიტალური, კერძო სახლი (ურემონტო), ტელეფონით, დიდი, მზიანი ოთახებით. ტელ: 52-66-41

### რაიონები

სასწრაფოდ, ქ. გორში: 1) ევროპული სტანდარტით გარემონტებული არასაცხოვრებელი ფართი, 90 კვმ, ყველა საჭირო სათავსოთი; 2) ცენტრში მშენებარე ობიექტი – ორი სართული სარდაფით, პატარა ეზოთი. I სართულის ფართი – 200 კვმ; 3) სასწრაფოდ! 32 მეასედი ხეხილიანი ბაღი სოფელ ორთაშენში, ხელმისაწვდომ ფასში. მის: ქ. გორი, სტალინის პროსპ. №9 (სპორტმაღაზია). იკითხეთ გურამი. ტელ: 8(270) 2-40-48; 2-19-76

აგარაკი საკურორტო ზონაში, ბორჯომის რ-ის სოფელ ზანავში, მთის ძირას, – ხეხილიანი მიწის ნაკვეთი – 1100 კვმ, მუდმივი წყლით, გაუმართავი პატარა კაპიტალური სახლით, ბუხრით და ავტოფარეხით. შემოღობილია კაპიტალური გალავნით. საწყისი ფასი 6000$. ტელ: 877 42-66-40; 899 57-84-12

### ქირავდება

1-ოთახიანი ბინა დიდი აივნით და კარგი პირობებით (ლიფტი მუშაობს). მის: იოსებიძის ქ. №66. მე-2 სად. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22 მანანა

2-ოთახიანი ბინა მაღალი ჭერით (5მ) და ევრორემონტით, ლეონიძის (ყოფ. კიროვის) ქუჩაზე. ტელ: 99-90-66

2,5-ოთახიანი, იზოლირებული, ახალგარემონტებული, ტელეფონიანი ბინა ყველა საჭირო ავეჯით. მის. გოთუას ქ. №20, IV სად. 4(9), ბინა 73. ფასი 200$. ტელ: 38-06-20

### მომსახურება

შპს „კინოვიდეორემონტაჟი". ვაწარმოებთ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოს, ვამზადებთ ხის კარ-ფანჯარას და სხვა ნაწარმს. ტ: 96-94-72; 37-00-65; 37-02-24; მობ. 97-11-69

„ცხრაკლიტული" გთავაზობთ საიმედო საკეტებს: დამატებას, შეცვლას, შეკეთებას. ასევე, რკინის კარზე ტყავის გადაკვრას, რომელიც პრესტიჟულობის, სიმყუდროვის და ხმის გაუსვლელობის გარანტიაა. ტ: 53-34-69, 899 56-39-69

შევაკეთებ და დავამონტაჟებ „ვიატკას" და „ვიატკის" ტიპის უცხოურ, ავტომატურ სარეცხ მანქანებს შეღავათიან ფასად. გამოძახება უფასოა. ტელ: 30-84-41; 899 50-54-68

„სიახლე თქვენს ფანჯრებზე" – ყველაზე იაფად! შპს. „საფარა" გთავაზობთ ლითონის ჟალუზებს მექანიკურად მბრუნავი ფირფიტებით (ფირფიტის სისქე – 2მმ), აგრეთვე ჩვეულებრივ ჟალუზებს; ვშტამბავთ ფირფიტებს ჟალუზებისათვის. ტელ: 64-77-54. ვახო (საღამოს)

გთავაზობთ რკინის კარზე ძველი საკეტების შეცვლას განსხვავებული საკეტებით, სამუშაოს ასრულებს პროფესიონალი ხელოსანი. ტ: 79-90-68

ყველა სახის „ატმორის", ავზის, ჭაღის, ბრის, გენერატორის, ელგაყვანილობის, ელექტროქურის, მრიცხველის ჩამრთველ-ამომრთველების მონტაჟი, შეცვლა-შეკეთება, დაზიანების აღმოფხვრა ოპერატიულად; თერმექსის, არისტონის და კრისტალის ტიპის ავზების გაწმენდა, გამორეცხვა და ტენის შეცვლა. ტელ: 899 57-41-34; 98-07-87. ნუგზარ თოხაძე

სილამაზის სალონი „ირინა ჯანაშია" – თმის მოდელური შეჭრა ვარცხნილობის შერჩევით, ფასი – 5-6 ლარი; დავარცხნა-გასწორება – 5-7 ლარი; მელირება – 10 ლარი; შეღებვა მცენარეული და WELLA საღებავებით – 7-12 ლარი; ქიმიური დახვევა – 10-15 ლარი. პარიკმახერ-დიზაინერები. თმის მოცილება სახესა და ტანზე ყველანაირი მეთოდით (კანის გაღიზიანების გარეშე). წინასწარი ჩაწერით თქვენ მოგემსახურებათ საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ირინა ჯანაშია. მის: აღმაშენებლის 115. კაბ. №20 (ეზოს დასაწყისში). სილამაზის სალონი „ირინა ჯანაშია". მიღება ყოველდღე, 10-19 სთ. ტელ: 95-83-18; 96-22-89; 94-01-82

### მკურნალობა

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსაგან, მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს მალამოებს. მკურნალობს: რევმატიზმს, მარილების დაგროვებას, ოსტეოქონდროზს, სამწვერა ნერვის ანთებას, რადიკულიტს, ქალისშიდა წნევას, გინეკოლოგიურ ანთებებს. მის. გორის ქ.№3. I სად. I სართ. ტ: 34-05-69

პროსტატიტის, ქლამიდიოზის, ტრიქომონიაზის, უშვილობისა და სქესობრივი პოტენციის დაქვეითების მკურნალობა უახლესი მეთოდების და აპარატურის გამოყენებით. მკურნალობას ატარებს პროფესორი რევაზ სალაყაია. მის. მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა №1. მიღება 18-20სთ-მდე, შაბათს 12-16სთ-მდე. ტ: 35-20-06

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით, ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე, მორჩენის 100%-იანი გარანტიით; ვმკურნალობ სახეზე ნებისმიერ გამონაყარს, ვაკეთებ ნაოჭების საწინააღმდეგო ნიღბებს, მასაჟს და სხვა. მის. უნივერმაღი „თბილისი", II სართ. ტელ: 92-32-21. კოსმეტოლოგი ნანა

ფიტოთერაპევტი ვმკურნალობ: ხველას, ფილტვებს, თირკმლებს, მარილებს, პროთრომბინს, შაქარს, ნერვის ანთებას, ნევროზს, კუჭის წყლულს, ნაღვლის ბუშტს, ღვიძლს, კენჭოვან დაავადებებს, ჰაიმორიტს, მასტიტს, პროსტატას, ბუასილს. მის. კოსტავას I შეს. №19. ტელ: 36-83-45. გ. ბექაური

ქალური დაავადებების პროფილაქტიკა და მკურნალობა, კანის გაახალგაზრდავება უახლესი მეთოდით. მის: ა. ჭავჭავაძის ქ. №2 (ოპერის პირდაპირ), ოთახი №24, მე-13 პოლიკლინიკა (მიღება 10-17 სთ)

ექიმი-კოსმეტოლოგი მაია ფიფია გთავაზობთ ელექტროეპილაციას (1 სთ – 7 ლარი); სახის გაწმენდას (10 ლარი), სხვადასხვა კოსმეტიკურ პროცედურებს და ნატურალურ მასალაზე დამზადებულ მალამოებს. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №113 (ეზოს ბოლოში). სილამაზის სალონი „პოდიუმი-777". ტელ: 95-08-83 (სამს); 52-45-29 (ბინა)

მოგემსახურებათ კოსმეტოლოგი უმაღლესი ხარისხით: ეპილაცია ვოლფრამის ნემსით, უმტკივნეულოდ, კანის გაღიზიანების გარეშე, თმის გაქრობის სრული გარანტიით; სახის გაწმენდა, საუკეთესო ნელსაცხებლები ნებისმიერი კანისათვის; სახეზე გამონაყარის გაქრობა ინდივიდუალური მეთოდით. მის: „თავისუფლების მოედანი" (შესასვლელი გრიბოედოვის თეატრის უკანა მხრიდან, ეზოდან). ოთახი №110. ტელ: 99-77-06. კოსმეტოლოგი ციალა

საუკუნეა ვმკურნალობთ შესანიშნავი შედეგებით: ფსორიაზს, მუნს, ეგზემას, ნეიროდერმიტს, სებორეას. ენდეთ ჩვენს გამოცდილებას. ტელ: 39-02-98

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით. განიკურნებით უმოკლეს ვადაში, ყოველგვარი შეშუპებისა და გაღიზიანების გარეშე. არ დაგეტყობათ არც ერთი ნანემსარი. მოგემსახურებით ინდივიდუალური ნემსით. მის: იოსებიძის 66. მე-8 სართ. ბინა 46. ტელ: 37-74-22 მანანა

ვმკურნალობ ალკოჰოლიზმს დაჩქარებული მეთოდით, დროის ფაქტორის კოდირებით. პროცედურები ტარდება ამბულატორიულად, ერთ დღეში; კონსულტაციას ვუტარებ ფსიქიკის აშლილობით დაავადებულ პაციენტებს. მის: ვაჟა-ფშაველას №27, რესპუბლიკური პოლიკლინიკა. ტელ: 39-15-79 (სამს); 37-16-49 (ბინა)

**სამედიცინო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

### ვასწავლი

კომპიუტერული კურსები, სწრაფად და ხარისხიანად. სწავლება ინდივიდუალურია. MS DOC, NC, WINOWS-98, WORD, EXSEL, PAGE MAKER. ტელ: 34-32-79

ISA – ინტერნაციონალური სასწავლო სააგენტო გთავაზობთ სწავლას და დასაქმებას იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში. მის: წერეთლის გამზ. №95ა (მანეჟი). მიღება ოთხშაბათს, პარასკევს (13-15 სთ)

კომპიუტერის შემსწავლელი კურსები. „პერსონალური კომპიუტერი თანამედროვე ოფისში". განათლების სამინისტროს კომპიუტერული ცენტრი „მზიური", თანამედროვე ტექნიკა, საუკეთესო მეთოდიკა, ქართულენოვანი ლიტერატურა, მაღალკვალიფიციური მასწავლებელი, სერტიფიკატი. მის. ჭავჭავაძის 25. ტ: 29-48-61, 29-48-60

### გთავაზობთ სამუშაოს

გამომცემლობას ესაჭიროება კომპიუტერზე კვალიფიციური ტექსტის ამკრეფი (2 ადგილი), კორექტორი მუშაობის გამოცდილებით (2 ადგილი). ასაკი – 20-35 წლამდე. გასაუბრება ოთხშაბათს, 2 ივნისს და პარასკევს, 4 ივნისს, 11 სთ-ზე. მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), II სართული.

### სხვადასხვა

თხოვნა-მიმართვა: ი.ს. ფირმა „ნება" ეკლესიის მშენებლობისთვის გთხოვთ დახმარებას კეთილ, ღვთისნიერ ადამიანებს. იურიდიული და კერძო პირების სავალუტო ანგარიში – №№; ეროვნულის და უცხოურის – 01287 თბილკრედიტბანკი. მის: დ. აღმაშენებლის 79. ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი. მოყვასის სიყვარულით, ლევანი. ტელ: 63-33-49

ხდება შპს. „ტრანსპრეტენზიის" ლიკვიდაცია.

ვეძებ კომპანიონს პრესტიჟულ ზამთრის კურორტზე ბენზინ-გასამართი სადგურის ასაშენებლად. ტელ: 53-40-64 (21-22 სთ). ბაკური

### იყიდება

არასაუწყებო ფართი – 100 კვმ. მის: ბახტრიონის 22. ტელ: 38-18-23

ახალი დახლ-მაცივარი, რუსეთის გამოშვება. სიგრძე – 2 მ, სიმაღლე – 90 სმ, სიგანე – 85 სმ. ზემოდან დახურულია პლასტიკატით, იკეტება გასაღებით. ფასი 900 ლარი. ტელ: 66-40-83. ინგა

უვნებელი, ადვილად მოსახმარი მცენარეული ნაყენი ბოლომდე და სწრაფად ასუფთავებს თმას ტილებისა და წილებისაგან. წილები ეფექტურად სცილდება სხვა სინთეტიკური პრეპარატებისაგან განსხვავებით. მის: იოსებიძის ქ, №53, კაბინეტი „ლუიზოლი", 11-18 სთ, კვირის ჩათვლით. ტელ: 37-38-13

უნიკალური ტერფსაფენი „ბიომაგი" სპილენძის ფირფიტებით, მაგნიტებით. „ბიომაგი" აცილებს ფეხს ოფლს, სუნს, აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, არეგულირებს წნევას, ნივთიერებათა ცვლას, ამაღლებს პოტენციას, აუმჯობესებს მეხსიერებას, იძლევა გასაოცარ ეფექტს. ფასი ხელმისაწვდომია. მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. №3. ტელ: 38-50-19

„ლუიზოლი" (Louize-all) – ჭარბთმიანობის საწინააღმდეგო კრემი, ლოსიონი (ნებისმიერი საშუალებით თმის ფესვიანად ამოღების შემდეგ); „ელჯეი" (LJ) – სახის კრემი, ლოსიონი (ნაოჭები, გამონაყარი, ლაქები). მის: იოსებიძის ქ. №53 „ლუიზოლი", ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 37-38-13

### შევიძენ

ახალ გორკას, დესაუს ან სერვანდს, ან ძველებურს კარგ მდგომარეობაში. ტელ: 38-91-28

შევისყიდით ადამიანის გრძელ თმას. მის: ცენტრალური რკინიგზის სადგური, მე-2 სართ. მაღაზია „ესთეტი". 12-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. ტელ: 68-19-80

### ხსოვნა

**ვასო (პაკული) მაჩიტაძის გახსენება**

ოთხი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გვერდით აღარა ხარ, გაუსაძლისი ოთხი წელი... ჩვენს ოჯახში ყოველი დღე შენით იწყება და შენით მთავრდება.

დედა იტანჯება შენი მონატრებით, მას ხომ



ბავშვობიდან არ გაუხარია. რეპრესიების, ომის წლებმა მის თვალწინ გაირბინეს, უსაყვარლესი ადამიანების დაკარგვით. ბოლოს შენც, ჩვენი დუხჭირი ცხოვრების და არეულობის მსხვერპლი გახდი. მშობლიურ მიწაზეც არ გეღირსა სიკვდილი...

დედა იძინებს იმ ნატვრით, რომ სიზმარში მოელანდო, მაგრამ – არც ერთხელ... დილა თენდება ცრემლებშემშრალი თვალების გახელით.

იაკოს და შაკოს ბაბუა უწევს მამობას, მათთან ერთად თამაშსა და გართობას თან სდევს მწარე ხვნეშა: „ვაი შვილო!"

ვერიკო გვიწევს ყველას შენს მაგივრობას, გამუდმებით მარხულობს და ლოცულობს, ყველაფერს აკეთებს ერთგულად.

30 მაისი შენი დაბადების დღეა, გილოცავთ ყველა შენი ახლობელი ნათესავი, მოსიყვარულე ცოლ-შვილი, გულმოკლული დები და სიძეები. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო ალალმართალო და პატიოსანო კაცო!

**უზომოდ გვაკლიხარ და გვენატრები.**

**თამრიკო ხატიაშვილის გახსენება**



თამრი! უკვე ერთი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარა ხარ. ეს დრო საუკუნედ მეჩვენება, ისე ძალიან მომენატრე. უშენობა ყველგან იგრძნობა.

პოლიკლინიკაში ხალისი ჩაკვდა, თითქოს კედლებიც ტირიან. შენი სახით მთავარი მამოძრავებელი ძალა დაიკარგა, უშენოდ არ კეთდებოდა არც ერთი დიდი საქმე, ყველაფრის თავი და ორგანიზატორი, უნაკლო და ერთგული იყავი საქმეში, მეგობრობაში, სიყვარულში...

თამრი! როგორ მინდა, რომ უფრო მეტი რამ გითხრა, მოგეფერო, მაგრამ სიტყვები არ მყოფნის. შენ ისეთი კარგი და სრულყოფილი იყავი, ამის გამომხატველი სიტყვებიც კი არ არსებობს...

ღმერთსაც კარგები უნდა და ამიტომ არის შენი ლამაზი სული მარადიულ ზეციურ სასუფეველში... მინდა, რომ შენი სული მშვიდად იყოს, შენი ოჯახი ყველაფერს აკეთებს ამისათვის...

მე თავს ვხრი შენი მშვენიერი სულის წინაშე და ყოველთვის ვილოცებ შენი სახელის უკვდავსაყოფად...

**შენი უმცროსი მეგობარი ბელა ჩხაიძე**

**ზვიად კობაიძის ხსოვნას!**



ორმოცი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარა ხარ და საუკუნედ გვეჩვენა იგი. გაუსაძლისია უშენოდ გატარებული ყოველი წუთი. გვენატრებით და ვლოცულობთ შენზე. მარადიულად დარჩები ჩვენს ხსოვნაში, საყვარელო ზვიად!

**შენი მეგობრები მირანდა, ლალი, ლიკა.**

### ნეკროლოგი



შვილები მამია და თემური, ძმა კარლო, დები ეთერი და ნათელა აბზიანიძეები, რძლები – მზია ხაბეიშვილი, ნათელა ბოხუა, მული ნორა რუხაძე, სიძეები – ზურაბ მახარაძე, ნოშრევან მიქაძე, გიორგი ებრალიძე, ირაკლი ჩომახიძე, მძახლები – ნუნუ სოხაძე, ავთო და ქეთო ხაბეიშვილები, შვილიშვილები – მაიკო, ალიკო, დათო და გიორგი რუხაძეები, შვილთაშვილები – ლევანი, დემიკო, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები და მაზლისშვილები იუწყებიან, რომ

გარდაიცვალა **მერი ვასილის ასული აბზიანიძე-რუხაძე.**

პანაშვიდი 1, 2 ივნისს, 17 სთ.

გამოსვენება 3 ივნისს, 14 სთ.

მის: გლდანის V მ/რ, V კორპ. I სად. ბინა 1.



# ღარიბს პრეზიდენტად არ ირჩევენ

ამერიკის საარჩევნო კანონების თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადი უნდა გააკეთოს თავისი ქონების შესახებ. ერთნი ამას ყველას გასაგონად აკეთებენ, მეორენი კი ინფორმაციას ფედერალურ საარჩევნო კომისიას აწვდიან. ამერიკის დემოკრატიული პარტიის კანდიდატმა, ნიუ ჯერსის ყოფილმა სენატორმა ბილ ბრედლიმ და ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა ალ გორმა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატებმა, უკვე გააკეთეს პრესაში განცხადება. ბრედლის მთლიანი ქონება 5,1 მლნ დოლარია, ამ თანხაში შედის სხვადასხვა კორპორაციის წევრობის სახით მიღებული ხელფასი, წიგნების ავტორობასა და ლექციების კითხვაში მიღებული ჰონორარები.

ალ გორსა და მის მეუღლეს 1,4 მლნ დოლარის აქტივი გააჩნიათ. ამაში შედის უძრავი ქონების ღირებულება, მისი ახლანდელი ხელფასი — 175.400 დოლარი და სხვადასხვა საბანკო ანგარიში.

თავიანთ ფინანსურ მდგომარეობაზე განაცხადი რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატებმაც — ელიზაბეთ დოლემა და ლამარ ალექსანდერმა გააკეთეს. სენატის უმრავლესობის ყოფილი ლიდერის ცოლის აქტივი 6,5 მლნ დოლარს შეადგენს, ძირითადი შემოსავალი კომპანიების — „ულეთ დისნეის", „მაიკროსოფტის" და „პეპსიკოლას" აქციებიდან აქვს. ლამარ ალექსანდერს არ განუცხადებია საზოგადოებრიობისათვის, რამდენი „ღირს", მაგრამ არც ის დაუმალავს, რომ შარშან მილიონი დოლარი მიიღო, როგორც სხვადასხვა კორპორაციის გამგეობების წევრმა, კიდევ ერთი მილიონი — საკუთარი კომპანიის გაყიდვამ მოუტანა.

*ფინანსოვიე იზვესტია №84*

# 50 მილიარდი ევრო იუგოსლავიის აღსადგენად

იუგოსლავიის ომი ალბათ შეცვლის ევროკავშირის გაფართოების მიმართულებას. ნაგებაში იქნებიან, უპირველეს ყოვლისა, ბალტიის ქვეყნები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ 2002 წელს კავშირის წევრები გახდებიან. მათ ნაცვლად პირველი რიგის კანდიდატები არიან ბალკანეთის ქვეყნები. მაკედონიისა და ალბანეთის მიღება შესაძლოა ბალკანეთში „სტაბილიზაციის პაქტის" ნაწილი გახდეს. ბალტიის ქვეყნების მიღების რიგი კი გადაიწევს. ბალკანეთში გაეროს წარმომადგენელმა შვედეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა: „ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ერთდროულად ორ ამოცანას — ევროკავშირის გაფართოებას და დანგრეული იუგოსლავიის აღდგენას." მისი აზრით, რეგიონში ეკონომიკის აღმავლობა შეძლებს ეთნიკური ომების აღკვეთას მომავალში. ანგარიში, რომელიც ბილდტმა ევროკავშირს წარუდგინა იუგოსლავიის აღსადგენად, 50 მლრდ ევროს (დაახლოებით 55 მლრდ დოლარს) შეადგენს. აღდგენა 2004 წლისათვის უნდა დამთავრდეს. ბილდტი ფიქრობს, რომ დახმარებას მარტო კოსოვო კი არა, სერბეთიც საჭიროებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მილოშევიჩი კვლავაც ქვეყნის მეთაური იქნება. სერბეთში გზებისა და ხიდების დაბომბვამ მწყობრიდან გამოიყვანა მთელი რეგიონის საკომუნიკაციო სისტემა. ამან არა მარტო მაკედონია, ბულგარეთიც კი დააზარალა. თუ არ დაიწყება აღდგენითი სამუშაოები, მთელი რეგიონი სიღარიბეში ჩაეფლობა, რაც ახალ კონფლიქტებს გამოიწვევს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, მიიღებენ თუ არა ევროკავშირი და აშშ კარლ ბილდტის გეგმას, რადგან დასავლეთის ზიზღი მილოშევიჩის მიმართ შესაძლოა, ჯანსაღ აზრზე ძლიერი აღმოჩნდეს. მაგრამ ის კი ცხადია, რომ ევროკავშირის თავისუფალი რესურსები ამ რაიონში გადაინაცვლებს, ასე რომ, შედარებითი კეთილდღეობის ლოდინი კარგა ხანს მოუწევთ ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას.

*ნოვიე იზვესტია №89*

# კოსმეტიკა იხსნის ტაძარს



ბერლინში კაიზერ ვილჰელმის მემორიალური ტაძრის ერთ-ერთ კოშკზე, რომელსაც სამშენებლო ხარაჩოები არტყია გარს, კლაუდია შიფერის უზარმაზარი პლაკატი გამოჩნდა. იგი რეკლამას უკეთებს ერთ-ერთი კოსმეტიკური ფირმის პროდუქციას. ამერიკულმა კომპანიამ ტაძარზე თავისი რეკლამის განსათავსებლად 53 მეტრიანი კოშკის სარესტავრაციოდ 130 ათასი დოლარი გაიღო. ბევრ ბერლინელს არ მოეწონა ამგვარი სპონსორობა, ქუჩებში დემონსტრანტებიც კი გამოვიდნენ პლაკატებით ხელში, მაგრამ ლუთერანული ეკლესიის ეპისკოპოსმა ვოლფგანგ ჰუბერმა დააწყნარა თავისი მრევლი — იძულებული ვიყავით, ეს ნაბიჯი გადაგვედგა, კოშკის აღდგენის შემდეგ აქ ვერანაირ რეკლამას ვერ იხილავთო.

*იტოგი №20*

# XX საუკუნის კაპიტალისტური სასწაული

ბილ გეითსმა ახლახან განაცხადა, რომ კიდევ 25 მლნ დოლარით დააფინანსებს შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას. მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანი ბოლო დროს აქტიურად ეხმარება მედიცინის განვითარებას, თუმცა თვითონ არ უჩივის ჯანმრთელობას. „მაიკროსოფტის" მამამთავრის ქონების ზრდის ტემპი რუსეთის ბიუჯეტის შემოსავალზე ორჯერ მეტია. შარშან გეითსი 51 მლრდ დოლარი „ღირდა", ამჟამად მისი ქონება 100 მლრდ დოლარს აღემატება. თუ ასე გაგრძელდა, 2004 წლისთვის იგი ცხრანულიანი ციფრით აღნიშნული კაპიტალის მფლობელი გახდება. გეითსი XX საუკუნის კაპიტალისტურ სასწაულს წარმოადგენს. ჯერ კიდევ 14 წლისამ შექმნა პირველი კომპიუტერული პროგრამა; 20 წლის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტმა პირველი კომპანია დააფუძნა, რომელშიც თავისი დანაზოგი 900 დოლარი ჩადო. 31 წლისა ის უკვე მილიარდერია, 10 წლის შემდეგ თავისი კაპიტალი 9 მლრდ-მდე გაზარდა. მას შემდეგ გეითსი ყოველწლიურად აორმაგებს შემოსავალს. შარშან საათში საშუალოდ 4,5 მლნ დოლარს ლებულობდა. მას ეკუთვნის „მაიკროსოფტის" აქციების 21% და პერსპექტიული კომპანიების ფასიანი ქაღალდები. ალბათ იკითხავთ, რისთვის სჭირდება ადამიანს ამდენი ფულიო. გეითსს, ბრუნეის სულთნისაგან განსხვავებით (რომელიც ადრე პლანეტის უმდიდრეს ადამიანად ითვლებოდა, არა აქვს არც 2.400 ოთახიანი სასახლე, არც ასობით ავტომობილიანი ავტოფარეხები, არც ათასობით რემა და მრავალრიცხოვანი ჰარამხანა. იგი უბრალოდ შრომისმოყვარე ადამიანია, რომელიც ყოველდღიურად 14 საათს მუშაობს, მისი სადილია — პიცა და ვახშმობს მეუღლესთან (ბავშვობის მეგობართან) მელინდა ფრენჩთან ერთად.

გეითსმა ორი წლის წინათ თავისი საოცნებო სახლი აიშენა სიეტლის მახლობლად, რომლის პროექტზე, დაახლოებით 40 მლნ დახარჯა. უნდა ითქვას, რომ სახლი პატრონის გემოვნების შესატყვისად არის მოწყობილი. კედლებში ჩამონტაჟებულია ტელეეკრანები, რომლებიც მსოფლიოს ფერმწერთა შედევრების კოლექციას უჩვენებს; საერთოდ, სახლის ყველა მოწყობილობა მეპატრონის ხმას ემორჩილება. ბილმა თავისი „იაგუარი" ახლახან გაცვალა 800 ათასიან „პორშეზე" და, როგორც იქნა, საკუთარი თვითმფრინავი შეიძინა. მანამდე კი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანი ჩვეულებრივი ავიარეისით მოგზაურობდა; სანამ ხულიგანმა კომპიუტერისტებმა ევროპაში იგი აბუჩად არ აიგდეს, მანამ პირადი მცველიც არ ჰყავდა.

*კომსომოლსკაია პრავდა №86*

# უნდა შეგეძლოს ანალიზი



ლონდონური ყოველკვირეული „ეკონომისტი" აშშ ეკონომიკის მდგომარეობისა და პერსპექტივების ანალიზის შედეგად იტყობინება, რომ უკანასკნელ წლებში ოდესღაც პოპულარული ეკონომიკური განვითარების ყველა მოდელი — შვედური, გერმანული, იაპონური და ე.წ. აღმოსავლურ-აზიური ვეფხვების მოდელი ეჭვქვეშ დადგა. ამასობაში აშშ ეკონომიკა სულ უფრო ძლიერდება და დამკვიდრდა თვალსაზრისი, რომ ამერიკული მოდელი საუკეთესო შედეგებს უზრუნველყოფს. ნამდვილად ასეა ეს თუ არა? 1992-1998 წლებში აშშ-ის საერთო შიდა პროდუქტის მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ 3%-ზე მეტით იზრდება, რაც 4-ჯერ აღემატება იაპონიის საერთო შიდა პროდუქტს და დაახლოებით 2-ჯერ გერმანიისას. აშშ ეკონომიკა მორიგი ეკონომიკური ციკლის აღმავლობას განიცდის, გერმანია და იაპონია კი რეცესიის პერიოდშია.

თუ ავიღებთ ეკონომიკური ზრდის უფრო ზუსტ მაჩვენებლებს — საერთო შიდა პროდუქტის მოცულობას ერთ სულ მოსახლეზე, ირკვევა, რომ უკანასკნელ ათწლეულში მისი ყოველწლიური ზრდის ტემპი აშშ-სა და იაპონიაში ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ გაცილებით დაბალი იყო, ვიდრე გერმანიაში.

ამჟამად შრომის ნაყოფიერების დონე აშშ-ში შეუდარებლად მაღალია. მიუხედავად ამისა, გასულ ათწლეულში ეს პროცესი ოდნავ ნელა მიმდინარეობდა, ვიდრე იაპონიაში და ორჯერ ნელა, ვიდრე გერმანიაში. მხოლოდ ერთ სფეროში მიაღწიეს აშშ-ში უდავო და შთამბეჭდავ წარმატებას — ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. აშშ-ში უმუშევრობის დონე 4,2%-ს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ეჭვს იწვევს მტკიცება იმის თაობაზე, რომ ამერიკული ეკონომიკა ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოში. ბევრი ექსპერტი მიუთითებს, რომ მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში შემოსავლები, მათი სწრაფი ტემპით ზრდის მიუხედავად, ძალზე განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამერიკული ეკონომიკური მოდელის უკრიტიკოდ მიღება არ ღირს და კარგი იქნებოდა, თუ მისი მომხრეები ყურადღებით გააანალიზებდნენ სტატისტიკას.

*ფავორიტი №9*

# კითხვა-პასუხი



*რა ღირს რუსეთიდან შემოყვანილი მანქანების განბაჟება?*

*მკითხველი*

რუსეთიდან შემოყვანილი მანქანის განბაჟების თანხის დასადგენად გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი, კერძოდ, მანქანის ძრავის კუბური მოცულობა, მანქანის ღირებულება, ექსპლოატაციაში ყოფნის (წლების) ხანგრძლივობა. საბაჟო გადასახადი იანგარიშება მანქანის ძრავის მოცულობიდან 5%-ის ოდენობით. ყოველ 1 სმ/კუბ-ზე ემატება გამოანგარიშებული თანხის 5%, ექსპლოატაციაში ყოფნის ყოველ წელზე აქციზი განისაზღვრება 10 თეთრით. ყოველ კუბურ სანტიმეტრზე დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) — 5 თეთრით. მანქანის საბაჟო ღირებულებიდან გამომდინარე განბაჟება ითვალისწინებს საბაჟო მოსაკრებელს 0,3%-ის ოდენობით.

*ფინანსთა სამინისტროს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის დეპარტამენტი*

*გთხოვთ, გვიპასუხოთ, რომელი ქვეყნის საელჩოებია გახსნილი თბილისში და სად?*

*მოქალაქეთა ჯგუფი*

თბილისში შემდეგი საელჩოებია: ამერიკის შეერთებული შტატების — ათონელის ქ. №25; აზერბაიჯანის — მუხაძის ქ.№4; გერმანიის — დავით აღმაშენებლის გამზ. №166; დიდი ბრიტანეთისა და ჩრდ. ირლანდიის — თელავის ქ. №20 (სასტუმრო მეტეხი); თურქეთის — დავით აღმაშენებლის გამზ. №61; ირანის — ზოვრეთის ქ. №16; რუსეთის — მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №90; საბერძნეთის — არაყიშვილის მეორე ჩიხი №5; საფრანგეთის — გოგებაშვილის ქ. №15; სომხეთის — ტეტელაშვილის ქ. №4; უკრაინის — ონიაშვილის №75; ისრაელის — დავით აღმაშენებლის გამზ. №61; ჩინეთის — ბარნოვის ქ. №52; ვატიკანის — ნუცუბიძის პლატო, II მ/კ რ. ულენტის ქ. 40.

*ამერიკის საელჩო*

*აქვს თუ არა შეღავათი სამამულო ომის მონაწილეს ელექტროენერგიის გადასახადზე?*

*ილია ასკილაშვილი*

სამამულო ომის მონაწილისთვის ელექტროენერგიის გადასახადზე შეღავათი განისაზღვრება ასაკის მიხედვით. 70 წლამდე ასაკის მქონენი გადაიხდიან დახარჯული ენერგიის 50%-ს, ხოლო 70 წელს გადაცილებულნი თავისუფლდებიან ამ გადასახადისაგან.

*თელასის იურიდიული განყოფილება*

*ვმუშაობთ თბილისის ერთ-ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ჯანმრთელობის დაცვის ფონდში ყოველთვიურად ირიცხება ინსტიტუტის მთლიანი ხელფასის 3% და თითოეული თანამშრომლის ხელფასის 1%. გვეკუთვნის თუ არა რაიმე შეღავათი სამედიცინო მომსახურებაზე?*

*სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები*

სამედიცინო მომსახურებაზე შეღავათი ინსტიტუტის თანამშრომლებს არ გეკუთვნით. ამგვარი პრივილეგიით სარგებლობენ მხოლოდ სამედიცინო პროგრამით გათვალისწინებული პირები, ისინი, ვინც სოციალურად დაუცველთა კატეგორიას განეკუთვნებიან.

*სოცუზრუნველყოფის სამინისტრო*

*ვარ ქვრივი, სამი შვილის დედა, შვილები არ მუშაობენ. მეკუთვნის თუ არა შეღავათი კომუნალურ და სხვა გადასახადებზე?*

*ბელა სუხიტაშვილი*

ამ კატეგორიის პირთათვის შეღავათი კომუნალურ და სხვა მომსახურებაზე, ჯერჯერობით, გათვალისწინებული არ არის.

*სოცუზრუნველყოფის სამინისტრო*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 29 მაისიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | | |
|---|---|---|
| აშშ დოლარი | | 1.970 |
| გერმანული მარკა | | 1,049 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | | 3,144 |
| ფრანგული ფრანკი | | 0,313 |
| რუსული რუბლი | | 0,070 |
| თურქული ლირა | (10.000) | 0,048 |
| შვეიცარიული ფრანკი | | 1,292 |

ინდივიდუალური საწარმო
NGA
დაგიმზადებთ:
ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.
მის: დუმბაძის გამზ. კორპ. 4
ტელ: 63-53-05; 877-41-87-75

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით. მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით", რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არა აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის პოლიკლინიკა, კაბ. №20-ე (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

რკინის კარები, გისოსები, ჟალუზები, ავტოფარეხები ნებისმიერი ანგარიშებით
899-50-92-92
899-57-92-92
38-83-87
37-07-78
37-46-55

•ფირმის გახსნა
•აუდიტი
•საბუღალტრო მომსახურება
უფასო კონსულტაცია ნებისმიერ დროს 10-10სთ-მდე
32-16-96

დაგიმზადებთ ყველა სახის რკინის ნაწარმს:
კარები ავტოფარეხი ჟალუზი და ა.შ.
32-83-68; 30-25-12

# სტეპაშინმა კაბინეტი ჩამოაყალიბა

ევგენი პრიმაკოვის გადაყენებისა და იმპიჩმენტის ჩავარდნის შემდეგ მოულოდნელობათა მარაგი რუსეთში ერთი შეხედვით ამოწურული ჩანდა, მაგრამ სოჭში პრეზიდენტისა და პრემიერის შეხვედრას მაინც მოჰყვა ვნებათა ღელვა. ბევრი დამკვირვებელი ჯერაც საყვედურობს პრეზიდენტს, რატომ გაუშვი ასეთი მაღალი რეიტინგის მქონე პრემიერიო. მაგრამ სოციოლოგიური გამოკვლევის თანახმად, თუ საქმე პოპულარობაზე მიდგა, თეთრ სახლში სავარძლის დაკავების ყველაზე მეტი შანსი ალა პუგაჩოვას ან ევგენი კაფელნიკოვს აქვს.. თუ საქმიანობის შედეგების მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ ფაქტები ცხადყოფს, რომ პრიმაკოვის მთავრობის ეკონომიკური საქმიანობა უშედეგო იყო. რა მდგომარეობაა დღეს? შეძლებს ნორმალურ მუშაობას პრემიერი, რომელსაც უპირატესობა თავად პრეზიდენტმა მიანიჭა? ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა სოჭში მისსავე დანიშნულ პრემიერს პირველი ვიცე-პრემიერი ნ. აქსენენკო დაახვედრა (თუმცა, სტეპაშინი პირველ ვიცე-პრემიერად ალ. ჟუკოვს სთავაზობდა), იმაზე მეტყველებს, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, როგორც სურს, ისეთი სიურპრიზი მოუწყოს პრემიერს, რომელსაც თითქოსდა, ჯერჯერობით, შეცდომა არ დაუშვია. ისიც საკითხავია, რაში დასჭირდა ელცინს აქსენენკო-სტეპაშინის პოლიტიკური მატჩის ყაიმით დამთავრება, ალბათ, იმისათვის, რომ ყველასთვის ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა, რომ ბატონ-პატრონი და ყველა საკითხის გადამჭრელი თავადაა.

ს. სტეპაშინის განცხადებით, რუსეთის მთავრობა თითქმის დაკომპლექტდა — პრემიერს 2 პირველი ვიცე-პრემიერი ჰყავს — ნ. აქსენენკო და მ. ზადორნოვი — სოციალურ საკითხში ვიცე-პრემიერად დანიშნა ვალენტინა მატვიენკო.

*ნეზავისიმაია გაზეტა №92*

# ინდონეზიაში სუკარნოს კლანი ბრუნდება



ინდონეზიაში უკანასკნელი 40 წლის მანძილზე, პირველად ჩატარდება საპარლამენტო არჩევნები, დემოკრატიული პრინციპებით. სუჰარტოს ავტორიტარული მმართველობის დროს რეჟიმის კრიტიკა ქვეყნის ღალატს ნიშნავდა და მკაცრად ისჯებოდა. ხელისუფლებამ შარშან დაშვებული შეცდომების გამო პატიება სთხოვა თავის ხალხს. ამჟამად იგი პოსტიდან გადადგა. ინდონეზია მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე ქვეყანაა. იგი 17 ათას კუნძულზეა განლაგებული, შუაზე ჰყოფს ორ ოკეანეს (ინდოეთისას და წყნარს) და ორ კონტინენტს — აზიასა და ავსტრალიას. პრეზიდენტობის მთავარი პრეტენდენტია ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, სუკარნოს ქალიშვილი — მეგავატი სუკარნოპუტრი; ეს ნაზი ქალბატონი წამყვან ოპოზიციურ დემოკრატიულ პარტიას ხელმძღვანელობს. ინდონეზიელებს მობეზრდათ განამაწია და კინკლაობა. ამიტომ, მხარს უჭერენ სამი შვილის დედას, თანამედროვე ინდონეზიის ფუძემდებლის, სუკარნოს ქალიშვილს. სუკარნოს დღემდე მონიწებით მოიხსენიებენ ამ ქვეყნის მკვიდრნი. პოლიტიკური ვნებათა ღელვანი არ შეეხება იავას კუნძულის მცხოვრებთ. კუნძულის 44 სოფელი ბადუის ტომის სამკვიდროა. ბადუელები უკვე სამი საუკუნეა საკუთარი რელიგიური კანონებით ცხოვრობენ, უარს ამბობენ თანამედროვე ცივილიზაციაზე, გაუნათლებელნი არიან. რელიგია უკრძალავს მათ საპნის, კბილის პასტის თუ ელექტროობის გამოყენებას, ხის მოჭრას და, რაც მთავარია, არჩევნებში მონაწილეობას. ამ აკრძალვათა დარღვევისათვის დამნაშავეს თემიდან განდევნიან, რაც სიკვდილის ტოლფასია. სუჰარტოს დროს ბადუელებს აიძულებდნენ, მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. მათ კი სწამდათ, რომ ამ გაუგონარი მკრეხელობის გამო, ღმერთი მათ დასჯიდა და მთელი ტომი ამოწყდებოდა. ახლანდელმა არჩევნებმა პატივი სცა ბადუელთა წეს-ჩვეულებებს.

*რუსული პრესის მიხედვით*

# მალაიზიას ახალი მეფე ჰყავს



მალაიზიის ტახტზე ავიდა 73 წლის სალაჰუდინ აბდულ აზიზ შაჰი, წარსულში სელანგორის შტატის სულთანი. ტახტზე მან შეცვალა ტუანკუ ჯააფარა, რომელიც თავისი უფლებამოსილების დასრულების შემდეგ ადრინდელ მოვალეობას დაუბრუნდება — იგი ნეგრი-სემბილიანის შტატის სულთანია. ახალმა მონარქმა ფიცი დადო ეროვნულ სასახლეში, სადაც მეფე და მის 27 წლის მშვენიერ მეუღლეს მიესალმნენ მთავრობის წევრები. სალაჰუდინ აბდულ აზიზ შაჰი 5 წელიწადს იმეფებს. ახალ მეფეს შრომითი ბიოგრაფია აქვს. ვიდრე 1960 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, სულთანის ტიტულს მიიღებდა, იგი სკოლის მოკრძალებული ინსპექტორი იყო. 9 წლის წინ შაჰმა კოლეჯის მოსწავლე შეირთო, რომელმაც მხოლოდ შარშან მიიღო დედოფლის ტიტული. ისევე როგორც ინგლისში, აქაც მონარქი მეფობს, მაგრამ არ განაგებს. მისი მთავარი დანიშნულებაა, დაიცვას ძირეული მოსახლეობის — მალაიზიელების ეროვნული ტრადიციები.

*ეხო პლანეტი №19-20*

# ამერიკელები ბალკანეთის ჭაობში იხრჩობიან

ვაშინგტონის შიდა პოლიტიკურ ელიტაში განხეთქილებაა ბალკანეთში აშშ-ის გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებით. „მემკვიდრეობის ფონდის" ექსპერტებს არ მოსწონთ სახმელეთო ომში ჩარევის გეგმა.



ფონდი 1974 წელს შეიქმნა და ემსახურება რესპუბლიკელთა პარტიას. ფონდის ექსპერტებს რონალდ რეიგანის მმართველობის დროს სამთავრობო თანამდებობები ეკავათ. ფონდის აზრით, კლინტონის ადმინისტრაცია ჩაება უპერსპექტივო ომში (ჰაერში), რომელსაც არ ძალუძს მიაღწიოს მიზანს — ბოლო მოუღოს სერბების რეპრესიებს კოსოვოში ეთნიკურ ალბანელთა უმრავლესობის წინააღმდეგ. ნატოს კამპანიამ — კოსოვოს დაბომბვამ, ფაქტობრივად, ნეგატიური შედეგები გამოიღო და მხოლოდ გააუარესა ალბანელ კოსოვოელთა მდგომარეობა. მდგომარეობის გადასარჩენად აშშ ადმინისტრაცია განიხილავს ბალკანეთში სახმელეთო ომის გაჩაღების საკითხს. ეს იქნება ძვირადღირებული და რთული საქმე, რომლის შედეგადაც აშშ-ის ჯარი, მშვიდობისმყოფლის სახით, მრავალი წლით აღმოჩნდება ომში ჩათრეული. ამ ოპერაციამ, შესაძლოა, ყურადღება მოუდუნოს აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც გაცილებით მეტი საშიშროება ემუქრება ერაყისა და ჩრდილო კორეისგან. ასეთ პირობებში ამერიკა არ უნდა ჩაერიოს კოსოვოს სახმელეთო ომში. ეს ომი არ არის აშშ-ის ინტერესების საგანი და ამიტომ არ ამართლებს ხარჯებს და რისკს, რომელიც მას უკავშირდება. აშშ-ს სხვა ალტერნატივა აქვს...

ეს ომი ვერ დაიცავს ალბანელ კოსოვოელებს...

*ნიუზუიქ, 24 მაისი*

# რაიხსტაგი აღდგა



1949 წლის 23 მაისს, 50 წლის წინათ, გერმანია ორად გაიყო — ევროპის რუკაზე გამოჩნდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. დღეს გაერთიანებულ გერმანიას ახალი დღესასწაულები და ახალი ამბიციები აქვს. მათი სიმბოლო გახდა ბერლინში აღდგენილი რაიხსტაგი.

რაიხსტაგი — „იმპერიის პარლამენტი", ეს სახელწოდება კაიზერ ვილჰელმის დროიდან არსებობს. თანამედროვე გერმანელი კანონმდებლები ფიქრობდნენ, შეეცვალათ თუ არა სახელი, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტეს, დაეტოვებინათ. ეს გასაგებია, რაიხი არ არსებობს, მაგრამ უხილავად მაინც არსებობს. რაიხი ეს არის გერმანელი ერი, გერმანული სული, გერმანული წესრიგი, გერმანული ერთიანობა. ჰიტლერს სურდა, რაიხსტაგის ადგილზე დიდი სამთავრობო კომპლექსი აეგო, რომელსაც უზარმაზარი გუმბათი დაამშვენებდა. ნახევარი საუკუნის შემდეგ რაიხსტაგს 3000კვმ ფართის მქონე მინის გუმბათი დაადგეს. აღდგენილი რაიხსტაგის გახსნისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე გაერთიანებული გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრედერმა ბრძანა, — ეს გუმბათი გერმანული პოლიტიკის გამჭვირვალების სიმბოლოაო.

ომის შემდგომ წლებში გერმანიის საგარეო პოლიტიკა ძალზე სპეციფიკური ცნება იყო. გამარჯვებული ქვეყნები უკრძალავდნენ გფრ-ს მის ქონას, გერმანიის ნაცვლად საკითხებს სხვები წყვეტდნენ. თავის მხრივ, გერმანიაც მეზობლებს აშინებდა, რადგან მის საგარეო პოლიტიკურ აქტივობას მუდამ გერმანული ერთიანობის მიღწევის .იდეა ასულდგმულებდა.

1991 წლის ივნისში გადაწყდა, ბერლინს დაბრუნებოდა დედაქალაქის ტიტული. ამით გერმანიამ განაცხადი გააკეთა დიდი ევროპული სახელმწიფოს აღდგენაზე. ჯერჯერობით, ბერლინი ნომინალური დედაქალაქია — პარლამენტი და მთავრობა ისევ ბონში იმყოფება. მაგრამ რაიხსტაგი უკვე რესტავრირებულია.

დიდი ხნის განმავლობაში გაეროში, ნატოსა და ევროკავშირში გერმანია გამოდიოდა „დამნაშავე ძიძის" როლში, რომელმაც ევროპულ სახლში ავეჯი დაამტვრია და ახლა ნანობს. ამიტომაც მზადაა, თითქმის ხმისამოუღებლად გახსნას ქისა. უკანასკნელ ხანს ამგვარი როლი სულ უფრო ნაკლებად აძლევს ხელს გერმანიას. დღეს შრედერის მთავრობა აკრიტიკებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ბირთვულ დოქტრინას და ეკამათება ვაშინგტონს. გერმანიის ტანკები დგანან მაკედონიაში, გერმანიის საზღვართან და ელიან ბალკანებზე ნატოს სახმელეთო ოპერაციის დაწყებას.

ევროკომისიის ახალმა მეთაურმა რომანო პროდიმ განაცხადა, — ევროკავშირს ძალუძს, ყოველწლიურად 5 მლრდ ევრო გამოჰყოს ბალკანებზე სტაბილურობის შესანარჩუნებლადო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გერმანიას ევროკავშირში მეტი შეაქვს ვიდრე დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ერთად, ცხადი ხდება, ვის ექნება გადამწყვეტი ხმა ევროპული უსაფრთხოების ახალ სისტემაში.

*ვლასტი №19*

# მოსალოდნელია გრანდიოზული სკანდალი

ვაშინგტონში გამოქვეყნდა კონგრესისთვის წარდგენილი მოხსენება „აშშ-ში ჩინელთა ბირთვული და კოსმოსური შპიონაჟის" შესახებ. აშშ ჩინეთს ადანაშაულებს ბირთვული და კოსმოსური საიდუმლოებების მრავალწლიან ქურდობაში, რომელიც დღემდე გრძელდება. ეს საქმე, შესაძლოა, წლის საერთაშორისო სკანდალად იქცეს. აი, რამდენიმე ციტატა მოხსენებიდან: „ჩსრ-მ ათეული წელია, რაც ჩვენს ეროვნულ ლაბორატორიებში შეაღწია... სამომავლოდ, ჩინეთის თერმობირთვული შეიარაღება აშშ-სგან მოპარულ ინფორმაციას დაეფუძნება. მოპარული აქვთ საიდუმლო ინფორმაცია თერმობირთვული იარაღის დიზაინის შესახებ. დიზაინის მისაღწევად კი აშშ რამდენიმე ათეული წელი მუშაობდა, ჩინეთს ბირთვული გამოცდების ჩატარება ასობით მილიონი დოლარი დაუჯდა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის განაცხადით, ჩინეთს არასოდეს მოუპარავს საიდუმლოებანი არც ერთი ქვეყნის და ე.ი. არც აშშ-სთვის". საერთაშორისო კვლევის სპეციალისტმა იან სუეტუნმა დასვა ლოგიკური კითხვა: — როგორ და საიდან მიიღეს ამერიკელებმა თანამედროვე ჩინური ბირთვული და კოსმოსური კვლევების მონაცემები და, საერთოდ, ვინ ვის უთვალთვალებს? მოკლედ, ამ ვითარებას, როგორც იტყვიან, ცუდი პირი უჩანს. ცნობილმა სენატორებმა და კლინტონის ადმინისტრაციის მომხრე დემოკრატებმა ერთხმად მოითხოვეს იუსტიციის მინისტრის ჯანეტ რინოს გადაყენება. მას ადანაშაულებენ ამერიკის ბირთვულ ლაბორატორიებში შპიონაჟის საქმის გამოძიებაში ჩადენილი შეცდომებისათვის.

*სეგოდნია №114*

# კონგოში მაროდიორობა გრძელდება



სამოქალაქო ომის დროს სავსებით განადგურდა კონგოს დედაქალაქი — ბრაზავილი. ბრაზავილი ქვეყანაში ერთადერთი ქალაქია, შედარებით მდიდარი, ვინაიდან აქ ცხოვრობდნენ მსხვილი მეწარმეები თუ წვრილი ვაჭრები. ომს და ქაოსს მაროდიორობა მოჰყვა, მაგრამ ძვირფას ნაძარცვს მუშტარი არა ჰყავს, ამიტომ ჩალის ფასად იყიდება ავეჯი, სამკაული თუ ბევრი სხვა რამ.

თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ საქონელი ბაზარზე უბრალო ვაჭრებს კი არ გამოაქვთ, არამედ პრეზიდენტ სასო ნგუესოს ჯარისკაცებსა თუ ოფიცრებს. სხვადასხვა სახალხო სამხედრო ფორმირებების რაზმელების გაუფასურებულ საქონელს კლიენტი მეზობელი ქვეყნებიდან — ზაირიდან და ანგოლიდან გამოუჩნდა. ის კი არა, ბოლო დროს ქუვეითელებმაც გაახშირეს ბრაზავილის ბაზრებში სიარული. მრავალი ავტომობილი საერთოდ ამორტიზებულია, ზოგს ძრავიც კი არა აქვს, მაგრამ მაინც ახერხებენ მოხერხებული შეიარაღებული კონგოელები საქონლის გატანას ამ ტრანსპორტით. მეზობლები იძენენ ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლება, ვინაიდან ხვალ შესაძლოა, ასეთი იაფი აღარ იქნეს.

პრეზიდენტი სასო ნგუესო ცდილობს გზა გადაუკეტოს საქონლის გადინებასა და მოროდიორობას და მოუწოდებს მოსახლეობას, არ გაალატაკონ ქვეყანა, შეაჩერონ დაგორებული ქვა.

*ფოკუსი №12*

# დღესასწაულს მიუძღვნეს

ინდოეთის საჰაერო სამხედრო ძალებმა დაბომბეს ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც პაკისტანს ედავებიან — აზად ქაშმირის რაიონი, სადაც თავმოყრილნი არიან მუსულმანი სეპარატისტები. საჰაერო თავდასხმებში მონაწილეობა მიიღო რუსული წარმოების 100-მა საბრძოლო ერთეულმა. საარტილერიო დუელი აქ მთელი წლის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მაგრამ სამხედრო მოქმედებების ყველაზე მაღალმთიანი თეატრი ყველაზე მეტად თოვლის დნობის დროს გამოცოცხლდება ხოლმე. მაშინ, როცა ინდოეთისა და პაკისტანის სადავო ტერიტორიის საკონტროლო ხაზი ადვილად გადასალახი ხდება „ქაშმირის თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის". წლევანდელი სეზონი, ადრეული გაზაფხულის გამო, ჩვეულებრივ ადრე დაიწყო. მოჯაჰედებმა ინდოელებს სიურპრიზი მოუმზადეს. ბრძოლის ახალი ტაქტიკა გამოიყენეს. ისინი ცდილობენ, მტკიცედ მოიკიდონ ფეხი ინდოეთის საკონტროლო ხაზს იქით მდებარე პატარა გორაკებზე, რაც მათ დამხმარე ძალების თავისუფლად განლაგების საშუალებას აძლევს. ამ გზით დაიკავეს მათ 600კვ კილომეტრი. მოჯაჰედების გაძევება ინდოეთის ტერიტორიიდან გაძნელდა, ამიტომაც აამოქმედა ამჯერად დელიმ ავიაცია. იმ დღეს, როცა პაკისტანი თავისი პირველი ბირთვული მოწყობილობის გამოცდის წლისთავს აღნიშნავდა, ინდოეთმა სამჯერ დაბომბა პაკისტანის ტერიტორია — პაკისტანის სამხედრო ძალები საბრძოლველად არიან მზად.

*ნოვიე იზვესტია №89*

## მოკლედ

**გერმანიის** პრეზიდენტად აირჩიეს 68 წლის იოჰანეს რაუ. 30 ივნისს რაუ შეცვლის ჯერჯერობით მოქმედ სახელმწიფო მეთაურს რომან ჰერცოგს.

**ჰონკონგში** გამოფინეს ბუდიზმის ერთ-ერთი მთავარი რელიკვია — ბუდას კბილი. ეს კბილი ჰონკონგს ჩინეთის ხელისუფლებამ გადასცა.

**პაკისტანს** საშინელმა ციკლონმა გადაუარა. დაღუპულია 400 ადამიანი, 6 ათასი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

**ბავარიაში** ისევ წყალდიდობაა. უსახლკაროდ დარჩენილი ათასობით ადამიანი დახმარებას ითხოვს. ბავარიის 7 ოლქში საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

# ტირანს უკანასკნელი ორეული გაექცა



თითქმის 20 წლის მანძილზე ხალხს ის სადამ ჰუსეინი ეგონა... სინამდვილეში მას ჰქვია მიქაელ რამადანი, 56 წლისაა და ახლა ამერიკაში ცხოვრობს. ბელადთან მსგავსებამ მიქაელს სიცოცხლე მოუწამლა, ოჯახი დაუნგრია. აიძულა, მუდმივი შიშით ეცხოვრა...

რამადანი 1979 წელს ჰუსეინის ერთ-ერთ რეზიდენციაში მიიწვიეს. ტირანი მას მხიარულად შეხვდა, გადაკოცნა და წამოიძახა, — ნუთუ სარკეში ვიყურები?

რამადანი სასახლეში დააბინავეს. იგი სწავლობდა ბელადივით ლაპარაკს, სიარულს, მოძრაობას. ჰუსეინმა გერმანიიდან მოიწვია პლასტიკური ქირურგიის კორიფე, რომელსაც საიდუმლოს შენახვაში მილიონი დოლარი გადაუხადა. ქირურგის ჩარევით, მიქაელს ოდნავ შეუცვალეს გარეგნობა და იგი ჰუსეინის ნამდვილ ორეულად იქცა.

რამადანის „ჰუსეინური" დებიუტი ორი წლის შემდეგ შედგა — მან, ვითომდა ჰუსეინმა, ბავშვთა საავადმყოფო მოინახულა. მას მერე ის სულ უფრო ხშირად ჩნდებოდა საზოგადოების წინაშე. უმცირესი შეცდომაც კი შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ირან-ერაყის ომის დროს რამადანი იძულებული იყო, ფრონტის წინა ხაზი მოენახულებინა ჯარისკაცთა საბრძოლო განწყობილების ასამაღლებლად. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტისას დაიჭრა და სანამ საავადმყოფოში მიიყვანდნენ, კინაღამ სისხლისგან დაიცალა. სამაგიეროდ, სადამმა მედლით დააჯილდოვა და „ძმა" უწოდა.

ერთხელ რამადანის ავტომობილს ქურთები დაესხნენ თავს. ამოხოცეს მცველები და მძღოლი, თავად „ჰუსეინი" თან წაიყვანეს. ტერორისტები იმედოვნებდნენ, ძვირფას ტყვეში მილიონ დოლარს მოგვცემენო, მაგრამ როცა გაიგეს, ნამდვილი ჰუსეინი საღ-სალამათი იყო და ტელევიზიით გამოდიოდა, ჩანაფიქრის განხორციელებაზე ხელი აიღეს. თუმცა, რამადანთან განშორებას არ ჩქარობდნენ, ყოველი შემთხვევისათვის, 4 თვე დაიტოვეს ტყვე. ბოლოს, რამადანი ერაყის ჯარის პატრულმა გაათავისუფლა. ერაყელებმა ტყვედ ჩაიგდეს ქურთი ტერორისტების ხელმძღვანელი მულა ალ-ბარზინჯი. სადამმა მულა თავის ერთ-ერთ ქიმიურ ქარხანაში მიიყვანა და მხარგაკრული ნელ-ნელა ჩაუშვა შხამიან სითხეში... ამ წამების მხილველმა რამადანმა ჰუსეინს პირობა ჩამოართვა, თუ ოდესმე ჩემს თავიდან მოშორებას განიზრახავთ, ასე სადისტურად არ მომექცეთო.

რა იცოდა საბრალომ, რომ არანაკლებ საშინელი წამება ელოდა...

ჰუსეინის ბრძანებით, რამადანს დაუხოცეს ცოლი და შვილები — 2 წლის სალიხი და 5 წლის ნადი, რადგან ბელადს ამბავი მიუტანეს, რამადანის ცოლი იმ ორგანიზაციის წევრია, რომელიც დიქტატორის რეჟიმს ეწინააღმდეგებაო...

და მაინც, მომხდარის შემდეგ რამადანი სადამის როლში კიდევ დიდხანს გამოდიოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა გაქცევა და აშშ-ში დასახლდა...

*პოსლედნიე ნოვოსტი №18*

# ისრაელში წყალქვეშა მუზეუმები აშენდა



მალე ისრაელში გაიხსნება 4 ახალი მუზეუმი. ეს იქნება ხმელთაშუა ზღვის ფსკერზე განლაგებული არქეოლოგიური პარკები, რომლებიც მნახველს თვალწინ გადაუშლის ბიბლიური ხანის ნივთიერ დოკუმენტებს. მუზეუმში შეცურვა (აკვალანგისტთან ერთად) უფასო იქნება. ჩვეულებრივი ილუსტრირებული გზამკვლევი შეიცვლება პლასტიკატის წყალგამძლე მანათობელი ფირფიტით. პარკებს დაცვა არ ეყოლება. გამოფენის ორგანიზატორების თქმით, ექსპონატების მოპარვა შეუძლებელია — იქ თავმოყრილია უძველესი ღუზები, ჩაძირული გემების ნამსხვრევები, ქვის ხანისა და ნეოლითის დროინდელი ნივთები (ჩვ. ერამდე 8-3 ათასი წლისა), ქვის კოლონები, რომლებიც წმინდა მიწაზე 2200 წლის წინ ჩაიტანეს იტალიიდან (ძალიან მძიმეა ქურდებისათვის). ყველა ექსპონატი ორიგინალურია.

*სეგოდნია №87*

# ნიკოლო პაგანინის ცხოვრება

ნაწილი II

...კრემონაში პაგანინებს ვიტორიო პაგანინი მასპინძლობს. იგი ცრემლებს მწვანე ცხვირსახოცით იწმენდს. ასეთი ცხვირსახოცი ჰქონდათ მხოლოდ სასულიერო პირებს ან მათ, ვინც სოლიდური თანხა შესწირა ეკლესიას. სწორედ მათგან შეიტყო ნიკოლომ პაოლო სტრადივარიუსის შესახებ, რომელიც ეკლესიის მოედნის მახლობლად ცხოვრობდა და ჯიუტად უარყოფდა, რომ მისი წინაპარი ვიოლინოების ოსტატი იყო.



ნიკოლოს დედა ეკლესიაში მხურვალედ ლოცულობდა ვიოლინოს დამკვრელი ანგელოზის ფრესკის წინაშე. მოგვიანებით, ავადმყოფმა ქალმა უთხრა ნიკოლოს, — სიცხიანს ის ანგელოზი გამომეცხადა და მამცნო, — შენი შვილი მსოფლიოში საუკეთესო მევიოლინე იქნებაო. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ სწორედ კრემონაში, სადაც ცხოვრობდნენ ვიოლინოს საუკეთესო ოსტატები — ამატი, გვარნერი, სტრადივარიუსი, დედამ პაგანინის პირობა ჩამოართვა, რომ არასოდეს მიატოვებდა ვიოლინოს.

....ნიკოლომ სამი საათი აბრახუნა კარზე. ბოლოს, ხეზე შეხტა და პირდაპირ ფანჯრიდან შეაღწია ოთახში.

სენიორ პაოლოს სურდა, ჯოხით მოეგერიებინა „ქურდი", მაგრამ პატარა მაიმუნმა დაუჩოქა, — გემუდარებით სენიორ, ნუ მცემთ!.. მე მიყვარს ვიოლინო, თუმცა მამა ყველაფერს აკეთებს, რომ შემაძულოს იგი. მხოლოდ მსურდა გამეგო, როგორ აკეთებენ ვიოლინოებს ბატონი სტრადივარიუსებიო. სენიორ პაოლო განრისხდა, — ვიოლინოს ამბავი ჭორია, ჩემი წინაპრები სენატორები იყვნენ; ადრე არავის აინტერესებდა ეს ხარახურა, ახლა კი ახირებული ინგლისელები სისხლს მიშრობენ ვიოლინოებზე ყბედობითო და ბიჭი გრაფ კოზიოსთან, ვიოლინოების კოლექციონერთან გაგზავნა.

...გრაფი კოზიო ახარხარდა — ეს ლეკვი ხომ უფრო პატარაა, ვიდრე ჩემი ყველაზე პატარა ვიოლინო, მაშ, რაზე დაუკრავო. რაზეც სენიორი მიბრძანებსო, — მიუგო ყმაწვილმა.

კოზიო კედელთან მივიდა და ყაითანი ჩამოსწია. ჟოლოსფერი ფარდის უკან, მინიან კარადაში, აელვარდა ყვითელი, მომწვანო, ალუბლისფერი, ოქროსფერი, ყავისფერი ათობით უბრალო და სადა, შნოიანი და შელამაზებული, მარგალიტებით და სადაფებით მოოჭვილი, ქამანჩებიანი ვიოლინო. სახელურებზე ვიოლინოს ოსტატებს გამოესახათ ადამიანისა და ლომის თავები. პაგანინიმ დაინახა უცნაურად მახინჯი ვიოლინოც, რომელსაც სახელურად ბულდოგის თავი ჰქონდა.

კოზიოს კოლექცია გახლდათ მსოფლიოში მუსიკალურ ინსტრუმენტთა პირველი კოლექცია, იგი შეიცავდა 600 ვიოლინოს. სხვათა შორის, კოზიომ ჩაიდინა „გაუგონარი დანაშაული" — მან დაშალა სტრადივარიუსის 4 ვიოლინო, რათა დარწმუნებულიყო, რომ თითოეული ფიცარი გამოსცემდა კამერტონის ხმას! კოზიოს კოლექციაში ინახებოდა სტრადივარიუსის უკანასკნელი ნამუშევარი — ვიოლინო „გედის სიმღერა".

...კოზიო მოითხოვდა, პაგანინის სენიორ როლასთან ესწავლა, მაგრამ სენიორ ანტონიოს შვილის სწავლაში ფულის დახარჯვა არ სურდა: ნიკოლო მიხვდა, რომ მამა მას ფულის საშოვნელ მანქანად მიიჩნევდა. შვილი მამისთვის უფრო ცოტას ნიშნავდა, ვიდრე თუთიყუში — მეარღნისთვის... ეშმაკეული ოჯახი გენუაში დაბრუნდა. მოხუცი პაგანინის საქმეები საკმაოდ აიწენა.

გაძვალტყავებული ნიკოლო სისხლს ახველებდა, მაგრამ მაინც მეცადინეობდა ჯოვანი სექვეტოსთან, რომელსაც მამამისი ერთ გროშსაც კი არ უხდიდა. გაკვეთილები შეწყდა. დედის ძალისხმევით, ნიკოლოს მოუსმინა გენუის კაპელის მასწავლებელმა ჯაკომო კოსტამ, მეორე დღეს ნიკოლო უკვე ტაძარში უკრავდა. პარალელურად კოსტასგან გაკვეთილებს იღებდა, ნიკოლოს კონცერტში აღებული ფულის გამო კოსტამ გასამრჯელოზე უარი თქვა, მაგრამ ანტონიო პაგანინისთვის მალე გახდა ცნობილი ამგვარი კეთილშობილების მიზეზი და პედაგოგს სკანდალი მოუწყო. მორიგ გაკვეთილზე მისულ პატარა მევიოლინეს სილით გაუმასპინძლდნენ. კიბეზე დაგორებული ბიჭუნა ვილაც უცნობმა შეაჩერა. იგი განთქმული კომპოზიტორი ნიეკო აღმოჩნდა, რომელმაც ვიოლინოიანი ეშმაკუნა გაკვეთილებზე დაიბარა. იგი არ ზღუდავდა პაგანინის ფანტაზიას, თავისი ნაწარმოებების შესრულებისასაც კი. ნიეკო პატრიოტულ თემებზეც ესაუბრებოდა ბიჭს. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ ნიკოლომ „კარმანიოლას" ახლებური ვარიაციაც შექმნა.

ნიკოლოს უჩვეულო ნიჭში ხედავდნენ დემონსაც და ანგელოზსაც. განაწყენებულმა სენიორ კოსტამ კი ბავშვის დაბადების, ნათლობის, ბებია ქალის წყევლის საფუძველზე დაასკვნა, რომ ნიკოლოს საოცარი მუსიკალური მონაცემები, ნიჭი, ასაკისთვის წარმოუდგენლად ვირტუოზული ტექნიკა შეუძლებელია აიხსნას ღვთაებრივი ჩარევით და, უეჭველია, დემონური გავლენა აქვსო. ნიეკო იცნობდა მილანურ ქრონიკებს, იცოდა, რომ ადგილობრივი გლეხები განგებ ამახინჯებდნენ შვილებს, რათა ისინი კარის ხუმარებად მიეყიდათ ჰერცოგ სფორცისთვის. დაახლოებით იგივე ბედი ელოდა ნიკოლოს. ტირანი მამა ცდილობდა, დაემახინჯებინა მისი ნიჭი, შეექმნა მისგან ბაზრის იაფფასიანი ჯამბაზი, — მაგრამ იყო მეორე, არანაკლებ სერიოზული ზაფრთხეც — ეკლესია. უკვე პატარა პაგანინის პირველივე საერო კონცერტის შემდეგ იეზუიტმა ნოვიმ განაცხადა, რომ უწმინდური ძალის გარეშე შეუძლებელია ადამიანმა, მით უფრო ბავშვმა, მოიპოვოს ესოდენ დიდი გამარჯვება მკვდარი ხის ნაჭერზეო. ამჯერად მეორე საფრთხეს გადარჩა, პირველს — ვერა.

მამამ, დედის თანხმობის გარეშე, წაიყვანა ნიკოლო ფოჩეში, შემდეგ ნერვში, ბოლოს კიავარში. ნიკოლო უკრავდა სამიკიტნოებში, სასტუმროებში, ეკლესიებში... მოხუცი ანტონიო შემოსავლით კმაყოფილი გახლდათ და განცხრომის ნებასაც აძლევდა თავს, თუმცა... თამაშობდა და უგროშოდაც რჩებოდა.

...პაგანინი თავგამოდებით შრომობდა. ერთხელ, მეცადინეობისას, ვიოლინოს სიმი გაუწყდა. სიჩქარეში ალტის და ჩელოს სიმი გაუბა. შეცდომა მალევე შენიშნა, მაგრამ სიმები როდი გამოცვალა — ვიოლინო ააჟღერა ბგერათა გასაოცარი სიუხვით. მოგვიანებით, ვიოლინოს მსგავსი „გამოცდა" პაგანინის აღმოჩენად იქცა; ნიკოლო ერთ სიმზეც უკრავდა, სპეციალურად ქმნიდა ნაწარმოებებს ერთი სიმისთვის. მისი კონცერტების შემოსავალი მთლიანად ოჯახს ხმარდებოდა.

მალე ნოკოლო გაემგზავრა ლუკაში, ახალი საუკუნის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ ეს საბაბი იყო.

პაგანინის მიაჩნდა, რომ მუსიკამ უნდა გარდაქმნას მსოფლიო, ადამიანთა ურთიერთობის ფორმები. იგი ეძებდა ამ მუსიკას.

მან შექმნა „დაკარგული სიმების მუსიკა". ეს გახლდათ მუსიკალური თემების უცნაური ნაერთი, რომელიც გამოხატული იყო ისეთი რთული ფორმით, რომ პაგანინის სიკვდილის შემდეგ მისი შესრულება ველარავინ შეძლო. ამ ურთულესი ნაწარმოების საინტროდუქციო ნაწილი სრულდებოდა ოთხივე სიმზე, ვარიაციები შეუმჩნევლად გადადიოდა ერთ სიმზე. რომ შეიძლებოდეს რონდოს უსიმოდ დაკვრა, — ამბობდა პაგანინი, — ეს იქნებოდა ჩემს სულში წარმოშობილი ჰანგების უწმინდესი განხორციელება.

დიახ! ქვემეხები კი ქუხდნენ, მაგრამ მუზები არ დუმდნენ.

მოკლე, მშრალი საგაზეთო ცნობები იუწყებოდნენ ნაპოლეონის დანიშვნას კუნძულ გობის გუბერნატორად, იეზუიტთა ორდენის აღდგენას...

პაგანინის თავზე საავდრო ღრუბლები გროვდება, მაგრამ აქტიური საკონცერტო პროგრამა გრძელდება.

*(გაგრძელება იქნება)*

# კოსმოსში სხვა დედამიწაც ყოფილა



ოქსფორდში, რის რეზერფორდის ლაბორატორიის უძლიერესი ტელესკოპის საშუალებით, ინგლისელმა ასტრონომებმა აღმოაჩინეს „მზის სისტემა". კოსმოსური მასშტაბებით მასთან მისაღწევად 44 სინათლის წელიწადია საჭირო, — განაცხადა ლაბორატორიის ექსპერტმა ალან პენიმ, — კოსმოსურ სივრცეში კაშკაშა ვარსკვლავის გარშემო სამი დიდი პლანეტა ბრუნავს. ისინი თავიანთი „მზისგან" იმ ოპტიმალური მანძილით არიან დაშორებულნი, რომლის წყალობითაც ამ მანათობელი სხეულის სხივები კი არ წვავს პლანეტებს, არამედ მხოლოდ ათბობს. მეცნიერთა აზრით, პლანეტაზე არის წყალი, რაც ხელს შეუწყობს სიცოცხლის არსებობას.

*მირორი*

# რევოლუცია ნარკობიზნესში

ნარკობიზნესში ბევრი სისხლი და ფულია, მაგრამ ძალიან ცოტა სამეცნიერო სენსაციები. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთმა სენსაციამ ახლახან ამერიკის პრესა დაიპყრო.

კოლუმბიელ ნარკობარონებთან მომუშავე მეცნიერებმა შეძლეს შავი ფერის კოკაინის მიღება. ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ახლა ამ საწამლავის შენახვა შეიძლება ქილებში, დაფქულ ყავასთან ერთად ან სხვადასხვა კოსმეტიკურ საშუალებასთან, თუნდაც ქვანახშირთან ერთად ტომრებით გადაზიდვა. რომელი მესაზღვრე მოიფიქრებს ქვანახშირში ეძებოს აქამდე მისთვის ცნობილი თეთრი ფხვნილი.

შავი ფერის კოკაინს მეცნიერებმა „კოკა ნეგრა" დაარქვეს. სუფთა კოკაინს უმატებენ კობალტის განსაზღვრულ პროპორციას და რკინის ქლორიდს; ნარკოტიკს ფერის გარდა, მეცნიერებმა სუნიც შეუცვალეს.

ძალიან გაუჭირდებათ სუფთა კოკაინის სუნზე დაგეშილ ძაღლებს „კოკა ნეგრას" პოვნა.

*ნიუზუიქ, 24 მაისი*

# ნაყინი თქვენი ხასიათის სარკეა

**თურმე, ქალის ხასიათს იოლად დაადგენთ, თუ იცით, რომელ ნაყინს ირჩევს ის.**

**შოკოლადიან პლომბირს** ეტანებიან მერყევი ხასიათის მანდილოსნები. ისინი დახარბებულნი არიან ყველანაირ სიამოვნებას, მუდამ მზად არიან, ახალ-ახალი რომანების დასაწყებად. თავიანთი ცვალებადი ხასიათით ძალიან სასიამოვნონი არიან დროებითი ურთიერთობისას.

**ჭიქის ნაყინის** მოყვარულთ უპირველესად სიმშვიდე სურთ. ისინი აფასებენ ცხოვრების რომანტიკულ მხარეს. მოსწონთ სანთლის შუქზე ვახშმობა, ყვავილები... იდეალური პარტნიორები არიან. გულთან ახლოს მიაქვთ სხვისი გასაჭირი, მაგრამ მათი ამ თვისებით მამაკაცებმა ბოროტად არ უნდა ისარგებლონ.



**ვაფლის** ფირფიტებსშუა მოქცეული (სანდვიჩისებრი) ნაყინი უყვართ პრაქტიკულ ქალბატონებს. ისინი შესანიშნავი დიასახლისები არიან, ამასთან, მათ მთვარის შუქზე შესრულებული სერენადებით ვერ მოხიბლავთ.

**ხილის ნაყინის** მოყვარული ქალები ეგოცენტრულები არიან. ცოლად არ გამოგადგებათ, ისინი ცხოვრებით ტკბებიან და ცდილობენ, მისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ. მამაკაცებს უყურებენ, როგორც ცხოვრების ნაწილს.

**ესკიმოს** ეტანებიან მიზანდასახული, ცივი ქალები, რომლებიც მამაკაცებს თავიანთ ჭკუაზე ატრიალებენ. მხოლოდ 40 წლის ასაკში ფიქრობენ ოჯახის შექმნასა და შვილის (ან შვილების) ყოლაზე. მათი რჩეული მამაკაცი მატერიალურად მაქსიმალურად უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

**იოგურტიანი** ნაყინის მოყვარულები მხოლოდ საკუთარ გარეგნობაზე ზრუნავენ. დიეტას მისდევენ. ამ სახის ნაყინიც იმიტომ უყვართ, რომ მასში ნაკლები კალორიებია.

ვისთვისაც სულერთია, რა სახის ნაყინს მიირთმევს, მხიარულია, ყველაფერს იოლად უყურებს, მამაკაცებსაც იოლად ინადირებს. ამგვარ ქალებს შეუძლიათ გულიანად იცინონ რაღაც წვრილმანზეც კი.

*ჟენსკიე დელა*

# მსოფლიოს ყველაზე ლაქლაქა

გინესის რეკორდების წიგნში შევიდა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული მსოფლიო მიღწევა — რეკორდი ლაქლაქში.

64 წლის ახალზელანდიელი მაიქლ მორელი ყველაზე ქაქანა ადამიანად შერაცხეს. ეს ახლებური მარათონი მაიქლმა დილაადრიან დაიწყო. მას უნდა ეჯობნა წინა რეკორდისთვის — 24.19 სთ, რომელიც 1957 წელს დაამყარა ყველაზე ენატარტარა ამერიკელმა პოლიტიკოსმა სთორ ტურმონდმა. დამკვირვებლები თვალყურს ადევნებდნენ მომავალ რეკორდსმენს. ის წუთითაც არ უნდა გაჩერებულიყო და არც შერჩეული თემიდან გადაეხვია. პირველი 10 საათი მორელი მხნედ იყო. ყოველი 8 საათის შემდეგ მას 15 წთ-იანი შესვენება ეკუთვნოდა, ყოველ 4 სთ-ში ტუალეტში შესვლა შეეძლო. მისი ლაპარაკი ვიდეოკასეტაზე იწერებოდა. 11 სთ-ის შემდეგ გაუჭირდა, რამდენჯერმე ენა დაება, თემის ძაფიც დაეკარგა, მაგრამ მალე ძალ-ღონე მოიკრიბა და ძველი შემართებით „შეუბერა". 25 სთ-ის შემდეგ რეკორდსმენი გააჩერეს, უფრო სწორად, გაჩერება სცადეს, მაგრამ ამაოდ. მორელს დასამშვიდებელი წამლების დალევა დასჭირდა, რომ გაჩუმებულიყო.

*თაიმი №88*

# მიწიერი ვარსკვლავი — მიშელ პფაიფერი

ყოველკვირეულმა ჟურნალმა „PEOPLE“-მ გამოაქვეყნა მსოფლიოს 50 ულამაზესი ქალის ნუსხა; მას სათავეში უდგას მიშელ პფაიფერი.

მიშელი პირად ცხოვრებაში ძალიან ბედნიერია, რაც მის გარეგნობაზეც ახდენს გავლენას.

მსახიობმა გადაწყვიტა, უპირველესი ადგილი ოჯახს, ქმარ-შვილს მიანიჭოს, ამიტომ ისეთ ფილმებს ირჩევს, რომ მეუღლესა და ორ შვილს არ მოშორდეს. საკუთარი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად კი პროდიუსერობას მოჰკიდა ხელი. ახლახან გამოვიდა მის მიერ დაფინანსებული ფილმი „ოკეანესავით ღრმა“, რომელშიც თავადვე თამაშობს, განასახიერებს შვილდაკარგულ დედას.

მიშელი ახლა 42 წლისაა.

მას შემდეგ, რაც ჩვეულებრივი ქალივით ცხოვრობს, თითქოს ცა გაეხსნა, ბოლოს და ბოლოს, ნამდვილი სინათლეც იხილა და ტკბება კიდეც ბედნიერებით...





სანამ ვარსკვლავი გახდებოდა, დიდი ჭაპან-წყვეტა გადახდა. მუშაობდა ჯინსების გამყიდველად, სუპერმარკეტის მოლარედ, სასამართლოს მდივნად...

ჰოლივუდში რომ გამოჩნდა, ყველა გააკვირვა მისმა მომხიბვლელობამ; სფინქსს ჰგავდა, ხელშეუხებელი, ულამაზესი, ციური...

ურთიერთობაც მხოლოდ კერპებთან ჰქონდა (ალ პაჩინო, ჯეკ ნიქოლსონი, მალკოვიჩი), ქალებს მისი სიძულვილი არ შეეძლოთ. საარაკოდ ლამაზი, ჭკვიანი და სიახლეებს დახარბებული, თითქოს თავისკენ იზიდავდა სცენარებს. მიშელ პფაიფერი 80-იანი წლების მამაკაცთა ოცნების საგანი გახდა.

ერთი რეჟისორის თქმით, მიშელს უიშვიათესი თვისება აქვს ეკრანზე — იდუმალება. ეს იდუმალება კი მსახიობს სევდის დასაფარავად სჭირდება. ჰოლივუდი დარწმუნდა, მიშელის მონაწილეობა ფილმის წარმატების საწინდარი იყო. სკორსეზე ამბობს: „მიშელი საოცრად მტკიცეც არის და იმავდროულად — საოცრად ნაზიც. ამ თვისების გამო იგი ჭეშმარიტად დიდი ვარსკვლავია“.

მიშელის ჰონორარებმა თითო ფილმში 7-10 მლნ დოლარს მიაღწია, მაგრამ რატომღაც ბოჰემის ნაცვლად უფრო გაწონასწორებულ ცხოვრებას ეძებდა, ბედნიერებისკენ ისწრაფოდა...

1978 წელს გადაიღეს ფილმში „ხელიდან წასული გოგონების კუნძული“. მალე ცოლად გაჰყვა ახალგაზრდა მსახიობ პიტერ ჰორტონს. იფიქრა, გადავრჩიო, მაგრამ პიტერთან გატარებული იმ შვიდი წლის გახსენება დღესაც ზარავს... შვება ფიშერ სტივენთან იგრძნო, რომელზეც ამბობდა, — სხვები სულ მატირებდნენ, ეს კი მაცინებსო. განხეთქილება მაინც მოხდა. იმედგაცრუებული თავდავიწყებით მიეძალა სამუშაოს. ფიქრობდა, — სხვადასხვა პერსონაჟის განსახიერება სატკივარსა და ნევროზს დამავიწყებსო. მოყირჭდა წარმატებებიც კი. მოაგონდა მამის ნათქვამი, — მიშელ, ბოლოს მაინც დედა გახდები, თითო მუხლზე თითო ბიჭუნა გეჯდებაო და გადაწყვიტა, ცხოვრების წირი შეეცვალა. 1993 წელს პატარა მეტისი გოგონა კლაუდია როზი იშვილა. შვილად აყვანის პროცესის დროს ბედი გაეხსნა.

ყოფილი ადვოკატი, დევიდ კელი თავისი თაობის ყველაზე ნიჭიერი პროდიუსერია. მისი 30 მილიონიანი კონტრაქტი „ფოქსთან“ ტელევიზიის ისტორიაში ყველაზე მსხვილი გარიგებაა. მიშელმა და დევიდმა 1993 წელს იქორწინეს, ცხრა თვის შემდეგ ბიჭუნა შეეძინათ — ჯონ ჰენრი.

უიღბლობისგან თავდაღწეული მიშელი ქმარ-შვილის სიყვარულს ყველაფერს ამჯობინებს: „ადრე ჩემთვის მხოლოდ საკუთარი თავი და კარიერა იყო უმთავრესი. წლების განმავლობაში ცხოვრების მხოლოდ ბნელ მხარეს ვხედავდი. შვილების წყალობით, ნათელი გამოჩნდა. როცა გოგონა ვიშვილე, მინდოდა, ფარდები გამეწია და შინ შუქი შემომეშვა“.

მიშელს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მსახიობი (ხელობა) ატყუებდა ქალს, ხელს უშლიდა. ამიტომაც ამიერიდან ქალი მართავს მსახიობს, — შეუძლიათ ძალღივით მამუშაონ, მაგრამ არ დავუშვებ, რომ შვილებს დამაცილონ, — ამბობს იგი. მართლაც, მანამდე როლებს დახარბებულმა მიშელმა ერთიმეორის მიყოლებით უარი თქვა ისეთ ფილმებში მონაწილეობაზე, რომლებიც ოჯახს დიდი ხნით მოსწყვეტდა („ტელმა და ლუიზა“, „კრავთა დუმილი“, „მთავარი ინსტინქტი“, „ევიტა“...). ურჩევნია, იმ სურათებში ითამაშოს, რომელთა პროდიუსერიც თვითონ არის.

მიშელმა გაახმოვანა პოპულარული მულტფილმის „ეგვიპტელი პრინცის“ პერსონაჟი, ბრუს უილისთან ერთად ითამაშა ფილმში „შეერთებული შტატების ისტორია“.

მიშელის აზრით, მისმა მსახიობურმა კარიერამ სულ სხვა ელფერი შეიძინა შვილის შეძენის შემდეგ. „ნარცისიზმს მოვეშვი, ტრივიალური ამბებიც ნაკლებად მიტაცებს. დიდებაც ისე აღარ მხიბლავს. ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს. მას შემდეგ, რაც ამდენი დრო მოვანდომე ჩემი შვილების მამის პოვნას, შეცდომის უფლება არა მაქვს“.

მალე ეკრანებზე გამოვა მიშელ ჰოფმანის ფილმი „ზაფხულის ღამის ზღაპარი“. რეჟისორი გაოგნებულია მსახიობის გონიერებითა და უჩვეულო სილამაზით. „მიშელი თითქმის ღვთაებრივად მომხიბვლელია, საოცრად სრულყოფილი, ჰარმონიული. რაც უფრო ახლოს მიდის კამერა, მიშელი მით უფრო ლამაზდება!“

ალბათ მიშელ პფაიფერი ჯერ კიდევ დიდხანს იმეფებს ვარსკვლავთა სამყაროში.

*პარი მატჩი №26/07*

# კანში არაფრად ჩააგდეს

## ცნობილი რეჟისორები



ძმები დარდენები როზეტას როლის შემსრულებელ ე. დეკენთან ერთად

1999 წლის კანის ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის დევიდ კრონენბერგისგან მოულოდნელობებს, რა თქმა უნდა, ელოდნენ. „ბუზების“, „ვიდეოდრომის“, „ავტოკატასტროფების“ ავტორი ხომ მეტად არაორდინარული რეჟისორია, მაგრამ მისი გადაწყვეტილება მაინც ყველას გაუკვირდა, რადგან კანის ფესტივალის მთავარი პრიზი, რომელზეც დიდი რეჟისორები ოცნებობენ, საშუალო დონის ფილმს ხვდა წილად. ეს მით უმეტეს საწყენია, რადგან წლევანდელ ფესტივალზე მართლაც ძლიერი ფილმები იყო წარმოდგენილი.

ჟურნალისტები ნაძლევს დებდნენ, ვის დარჩებოდა „ოქროს პალმა“, მაგრამ ვერავინ გამოიცნო. პრიზების გადაცემის ცერემონიალის დაწყებამდე ბევრმა იგრძნო, რომ სენსაცია მზადდებოდა. დარბაზში არ იყვნენ ფავორიტები: ატომ ეგოიანი, ტაკესი კიტანო, ჯიმ ჯარმუში, დევიდ ლინჩი. კანის ფესტივალი ხომ მოსკოვისა არ არის, რომ შესაძლებელი იყოს დაჯილდოებულის გამოუცხადებლობა.. მეტრების დარბაზში არყოფნამ ცხადი გახადა, რომ მათ არაფერი ელოდათ.

„ოქროს პალმის რტო“ ხვდა ბელგიურ ფილმს „როზეტა“. მისი ავტორები არიან ძმები ლუკ და ჟან-პიერ დარდენები. „როზეტა“ გვიამბობს გოგონაზე, რომელსაც ვერაფრით დაუღწევია თავი სიღარიბისთვის. სურათის ერთადერთი ღირსება ის გახლავთ, რომ ხელის კამერა ფეხდაფეხ დაჰყვება თავის გმირს და გულისტკივილით, თანაგრძნობით აფიქსირებს მის სულიერ მდგომარეობას. მაგრამ არც ამგვარი ესთეტიკა გახლავთ ახალი. ამიტომ სრულიად გაუგებარია ჟიურის არჩევანი.

ფესტივალის გრან-პრი მიიღო ბრუნო დიუმონის „ადამიანურობამ“.

საუკეთესო რეჟისორის ტიტული ხვდა პედრო ალმოდოვარს სურათისთვის „ყველაფერი დედაჩემის შესახებ“.

საუკეთესო სცენარისტის პრიზი დაიმსახურეს ი. არაბოვმა და მ. კორენევამ ფილმისთვის „მოლოქი“.

*რუსული პრესის მიხედვით*

# კოლომბო ცეკვას სწავლობს

საქვეყნოდ ცნობილმა კინოგმირმა — პოლიციის მომხიბლავმა ინსპექტორმა კოლომბომ თავისი იუბილე გადაიხადა. ზუსტად 30 წლის წინ ამერიკის ეკრანებზე გამოჩნდა სერიალი დაბნეულ და სასაცილო პოლიციის ინსპექტორზე, რომელსაც მთელი ამ წლების მანძილზე განასახიერებდა პიტერ ფალკი.

მიუხედავად იმისა, რომ მსახიობმა 70-ს გადააბიჯა, იგი კვლავ მონაწილეობს პოპულარულ დეტექტიურ ეპოპეაში.

რა ცვლილება განიცადა კოლომბომ 30 წლის მანძილზე?

— თითქმის არავითარი. იგი არც უფრო ელეგანტური გამხდარა, არც ნაკლებ ცნობისმოყვარე და ძველებურად უყვარს იდუმალებით მოცული ამბების გახსნა, — თქვა პიტერ ფალკმა.

თითოეული სერია ერთი და იმავე სქემითაა აგებული: მაყურებელი ხედავს, ვინ და როგორ ჩადის დანაშაულს, შემდეგ კი თვალს ადევნებს გამოძიების მსვლელობას, რომელსაც კოლომბო აწარმოებს.

70 წლის მსახიობი დასვენებაზე არც კი ფიქრობს. იგი ოცნებობს, ისწავლოს სიმღერა და ცეკვა, განსაკუთრებით კი ტანგო, რათა ღირსეული პარტნიორობა გაუწიოს 23 წლის ახალგაზრდა შერის — თავის ცოლს, რომელიც პროფესიონალი მოცეკვავეა.

— თუ არ გამომივა, ხატვას ვისწავლი. მხატვრობა — ჩემი მთავარი ჰობია. მე უკვე საკუთარი ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვე და რამდენიმე სურათიც გავყიდე — გამოტყდა პიტერ ფალკი.

*ოტდოხნი №19*

# გამოჩენილ ხელოვანთ პოლიტიკაც იტაცებს...



ცნობილი მსახიობი **ალეკ ბოლდუინი** ქაბუკობიდან მონაწილეობს დემოკრატიული პარტიის მუშაობაში. მას დღესაც არ განელებია პოლიტიკისადმი ლტოლვა. ამის დასტურია თუნდაც პრეზიდენტ კლინტონის მხარდასაჭერად („მონიკაგეითი“) გამართული დიდი შეხვედრა. ბოლდუინის გატაცებას სერიოზულად მიიჩნევენ.

რუსეთის ესტრადის სუპერვარსკვლავი **იოსიფ კობზონი** დიდი ხანია სახელმწიფო დუმის დეპუტატია. მას ხშირად შეხვდებით ლუჟკოვის კამპანიაში, მაგრამ მოსკოვის ჰიმნს, რატომღაც გაზმანოვი მღერის. ამ უკანასკნელს კი ნაკლებად აინტერესებს პოლიტიკა.

ყველამ იცის, რომ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი, **რონალდ რეიგანი** ცნობილი მსახიობი იყო, მხოლოდ გვიან იქცა იგი მგზნებარე ანტიკომუნისტად და რესპუბლიკელების ლიდერად. პოლიტიკურ ცხოვრებაშიც მონაწილეობდა, მაგრამ პირველი ადგილი არასოდეს მიუნიჭებია მისთვის.

**ნიკიტა მიხალკოვის** „პოლიტიზაცია“ თუ შემდეგშიც ასეთი ტემპით გაგრძელდება, რუსი რეიგანი გვეყოლება. წინასწარ ამის განჭვრეტა ძნელია.

**ტომ ჰენქსს** მობეზრდა კომიკოსობა და სერიოზული იმიჯის შექმნა დაიწყო. მისი პროგრამის ძირითადი პუნქტია — დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერა. საბედნიეროდ, ტომი სუპერვარსკვლავად იქცა და პოლიტიკა მიავიწყდა.

*მკ ბულვარი №21*

# მშვენიერი ურჩხული



მსახიობი ემანუელა ზაიგნერი ჭირვეულია და ხარბი. მას დიდი რეჟისორის რომან პოლანსკის ცოლობა ეცოტავება და უფრო მეტი უნდა.

სანუწუნო ნამდვილად არაფერი ჭირს ემანუელას. იგი მართლაც ბედის ნებიერია. ფუფუნებაში ცხოვრობს. 15 წლისა იყო, როცა ფოტოგრაფებმა შეამჩნიეს და ამის შემდეგ იგი ნინა რიჩის სუნამოებს უწევდა რეკლამას. „ბრუკ შილდსი მეუბნებოდა, რაღაც განუმეორებელი ხიბლი გაქვსო. ყველაფერი კარგად მიდიოდა. რეკლამას ვუწევდი თითქმის ყველაფერს, შანელსაც კი. ბედნიერი ვიყავი მანამ, ვიდრე კინოში არ ამოვყავი თავი“, — ამბობს ემანუელა.

ეს კი ასე დაიწყო: კინოში ორი პატარა როლი ითამაშა. მერე კი, 19 წლის გოგონამ, მასზე 33 წლით კაცი, სახელად რომან პოლანსკი გაიცნო. უკვე ცნობილმა კინორეჟისორმა ემანუელა თავის თრილერში „ფრანტიკი“ მთავარ როლზე მიიწვია. ფილმში მისი პარტნიორი ჰარისონ ფორდი იყო. შემდეგ კი ქალი თავის რეჟისორს ცოლად გაჰყვა. ქმარმა იგი გადაიღო ფილმებში: „მწარე მთვარე“ და „მეცხრე ჭიშკარი.“ შეეძინათ ორი შვილი — მორგანი და ელვისი.

ემანუელას აზრით, ადამიანები ბოროტები არიან: „პოლანსკის ქმნილებად მთვლიან. გასაკვირი არ არის, რომ ერთნაირი გემოვნება, შეხედულებები გვაქვს. ჩვენ ხომ უკვე 14 წელიწადია, ერთად ვცხოვრობთ, ეს კი თითქმის ჩემი სიცოცხლის ნახევარია. ხშირად მეუბნებიან, პოლანსკივით ფიქრობო, რაზეც გუნებაში გავივლებ ხოლმე... მირჩევნია, პოლანსკივით ვიფიქრო, ვიდრე შენსავით, შე იდიოტომეთქი. ის, რომ მე, უმშვენიერესი ქალი, პოლონელი გენიის ცოლი ვარ, ფრანგებისთვის მეტისმეტია. იქ მხოლოდ უფერული, ნაცრისფერი ვირთხების მაგვარი ქალები აღწევენ წარმატებას. ეს ახალი მოდაა. ამერიკაში, ადამიანი თუ ლამაზია, მას ყველაფერი აქვს. საფრანგეთი კი პირიქით, შურიანი ქვეყანაა“. ემანუელაზე ამბობენ, მეტისმეტად ჭირვეული და თავნებააო, ამიტომაც რეჟისორები, განსაკუთრებით კი ამ პროფესიის ქალები, იშვიათად იწვევენ ფილმებში სათამაშოდ. მაგრამ ახლა საფრანგეთის ეკრანებზე გადის ქალი კინორეჟისორის, ნიკოლ გარსიას დეტექტივი „ვენდომის ადგილი“, სადაც არა მარტო ზაიგნერი, არამედ კატრინ დენიოვი — ფრანგული კინოს უპირველესი ქალბატონი თამაშობს. ზაიგნერი ფილმში ინტრიგან, ამბიციურ, ლამაზ, მაგრამ საძაგელ ქალს განასახიერებს. „მართლაც შესანიშნავი ვარ ამ როლში“, ამბობს ემანუელა. კატრინ დენიოვიც ამაზრზენ ქალბატონს თამაშობს, რომელიც უიღბლო სიყვარულის გამო სასმელს მიეძალა. მაგრამ იგი გალოთებულიც კი ძალიან მშვენიერია, მეტისმეტადაც კი. „მალალი საზოგადოებისაკენ ვისწრაფოდი, კატრინ დენიოვი, მართალი გითხრათ, არ მომწონს, მაგრამ ამბობენ, რომ მას რაღაცით ვგავარ. მსახიობებს შორის ყველაზე მეტად ჯონი დეპი მხიბლავს. იგი საოცრად თანამედროვეა...“

— ჩემი აზრით, ძალიან კარგი ვარ გარსიას ფილმში, ხოლო პოლანსკის სურათში შესანიშნავი, — ამბობს ემანუელა. და პოლონელი გენიოსის ლამაზი ცოლი კარუსელზე შემომჯდარი პატარა ბავშვივით იცინის.

— ბედნიერების კალთა ღმერთმა უხვად დამაბერტყა. კარგია, არა?!

*შტერნი №19*

# ოჯახური ბიზნესი — კინო



მეუღლეთა ერთად მუშაობა უფრო სასიამოვნოა, მაგრამ თუ ერთი მეორეს ჯობნის ან მეტი თაყვანისმცემელი ჰყავს, ძალზე ძნელია, მეტოქეობამ არ იჩინოს თავი. მაგალითად, ჰოლივუდის სუპერვარსკვლავებს, **ბრიუს უილისსა და დემი მურს** თითქმის ყოველდღე ჩხუბი და კამათი ჰქონდათ გაჩაღებული პროფესიულ საკითხზე, მაგრამ როგორც კი რესტორნების ქსელის „პლანეტა ჰოლივუდის“ თანამფლობელნი გახდნენ და საერთო ინტერესები გაუჩნდათ, სადავოც გამოელიათ. ყოველი ჩხუბის შემდეგ ისეთი ტემპით ცილდებოდნენ და შემდეგ ურიგდებოდნენ ერთმანეთს, რომ ნებისმიერი ინფორმაცია — გაიყარნენო, უკვე ყალბი იყო და ვარსკვლავები უმალ სასამართლოში უჩიოდნენ რედაქციებსა თუ ჟურნალისტებს და სანამ მართლაც საბოლოოდ გაიყრებოდნენ, ამ გზითაც ბლომად ფულს შოულობდნენ.

**ტომ კრუზსა და ნიკოლ კიდმანს** არ უყვართ შინ პროფესიული საკითხების განხილვა. ტომი ჰოლივუდის ულამაზესი მამაკაცია და დარწმუნებულია, მისნაირი მსახიობი მეორე არ დადის დედამიწაზე, ამიტომ გამოჰყავს წონასწორობიდან სხვის ქებას. ცოლ-ქმარს სტენლი კუბრიკი იღებდა ფილმში „ფართოდ დახუჭული თვალები“ და იმდენად ულიმღამონი გამოდგნენ ლოგინის სცენაში, რომ რეჟისორი იძულებული გახდა, სექსოლოგი მოეწვია... მერე ჰოლივუდში ჭორაობდნენ, — ისე საქმიანები არიან, რომ „სხვა რამისთვის“ დრო აღარ რჩებათო...

**ალეკ ბოლდუინი და კიმ ბესინჯერი**, სხვათაგან განსხვავებით, ერთმანეთს ეხმარებიან კინოს ბიზნესში. კიმი ძალიან ნუხდა, მშობიარობის გამო ცოტა ხნით კინოს რომ ჩამოშორდა. ამიტომ დიდი სიხარულით დასთანხმდა, ეთამაშა ფილმში „ლოს-ანჯელესის საიდუმლოებანი“. დღე და ღამეს ასწორებდა, შინაც კი როლს ხვეწდა. ქმარიც ძალიან ეხმარებოდა და ამ თანადგომას შედეგიც შესანიშნავი მოჰყვა — კიმი ამ როლისთვის „ოსკარით“ დააჯილდოეს.

**ანტონიო ბანდერასიც** ძალიან დაეხმარა მეუღლეს („გიჟი ალაბამაში“). მართალია, **მელანი გრიფიტს** პროფესიული რჩევა-შენიშვნები არ სჭირდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ, ესპანელი ბანდერასი ნახევარი წელიწადი შინ იჯდა და ბავშვებს უვლიდა, ასწავლიდა... რაც მთავარია, ანტონიოს ისე მოეწონა თავისი „ახალი“ როლი, რომ კიდევ აპირებს შვილების ყოლას...

იდეალურ წყვილადაა აღიარებული **სიუზენ სარანდონი და თიმ რობინსი**. ქალი ყოველთვის ცდილობს, შინ კომფორტი და შემოქმედებითი გარემო შეუქმნას მეუღლეს; სამაგიეროდ, თიმი ახალ-ახალ როლებს არ აკლებს ცოლს. ეს გარიგება ორივეს მოსწონს. ქმარი მშვიდად წერს სცენარებს, იღებს ფილმებს, სიუზენი კი კარგი თამაშისთვის „ოსკარებს“ ღებულობს. ჭეშმარიტად შეხმატკბილებული წყვილია.

*მკ ბულვარი №19*

## უშურველობა

აკადემიკოსი ომარ ნემსაძე ყოფილ მე-8 (ახლა მე-4) საავადმყოფოს ყბა-სახის ქირურგიულ განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობს, გაჭირვებულ, უფულო და უპოლისო კაცს კარებისკენ არ მიუთითებს. ამ კლინიკაში იხდის ის, ვისაც საშუალება აქვს; ვისაც გადახდის თავი არა აქვს, უფასოდ უკეთებენ ოპერაციებს თუ სხვა სახის მანიპულაციებს.

ამავე განყოფილებაში ექიმთა დახელოვნების გარდა, პრაქტიკას გადიან სტომატოლოგიური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის სტუდენტები, ისინი ასისტენტებად მონაწილეობენ ოპერაციებში, გამორჩეულები კი გამოცდილი ქირურგების ზედამხედველობით, თავად აკეთებენ ოპერაციებს.



საქართველოს მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სტომატოლოგთა და ყბა-სახის ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ომარ ნემსაძე თბილისის ფასიანი სტომატოლოგიური ინსტიტუტის რექტორი გახლავთ.

სტომატოლოგიურ ინსტიტუტს უფასო კლინიკა აქვს გახსნილი. დაწესებულება გერმანელი კოლეგების მიერ ნაჩუქარი თანამედროვე მაღალხარისხოვანი დანადგარებითაა აღჭურვილი. აქ ორი წლის მანძილზე 7 ათასმა კაცმა მიიღო დახმარება უანგაროდ და არა მარტო ლტოლვილებმა, ომის ინვალიდებმა, საპატრიარქოს თანამშრომლებმა და უპატრონო ბავშვთა სახლების აღსაზრდელებმა. მარტში ახალარჩეულ საკრებულოს და პირადად ლადო კახაძეს, პროფესორმა ნემსაძემ შესთავაზა კიდევ ერთი მძლავრი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი უფასო სტომატოლოგიური კლინიკის გახსნა. ამისთვის სთხოვდა, გამოეყოთ 300-400 კვ.მ ფართობი. დანადგარებს, ინსტრუმენტებს, მედიკამენტებსა და სპეციალისტთა უფასო მომსახურებას ინსტიტუტი თავად კისრულობდა. უარი მიიღო — ამდენ დაცარიელებულ შენობაში ერთი უფასო კლინიკისთვის ფართობი ვერ გამოინახა.

საქართველოს სტომატოლოგთა და ყბა-სახის ქირურგთა ასოციაციას და პირადად, ბატონ ომარს მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობები აქვთ, ყველაზე მეტად კი ქართველ კოლეგებს გერმანელები ეხმარებიან.

ერთ-ერთი ყველაზე საიმედო და ერთგული პარტნიორი გერმანელი პროფესორი ჰოლგერ ბურკელი ქართველმა კოლეგამ 10 წლის წინ გაიცნო. ბურკელი დაინტერესდა საქართველოთი და მას შემდეგ აქაურობასთან კავშირი აღარ გაუწყვეტია ქართველი კოლეგების ხელშეწყობით, მანვე დააარსა თბილისში პირველი სტომატოლოგიური იმპლანტაციის ცენტრი, რომელმაც ფუნქციონირება გასული წლის ბოლოს დაიწყო. სადღეისოდ, აქ მკურნალობა და კბილის იმპლანტაცია ძვირი ჯდება, იმიტომ, რომ ტიტანის იმპლანტანტი გერმანიიდან შემოაქვთ და იქ კი 400 დოლარი ღირს. თუმცა დამფუძნებლებს იმედი აქვთ, რომ ერთ-ერთი გერმანული ფირმა დასთანხმდება, იმპლანტანტის წარმოების ფილიალი საქართველოში გახსნას და მაშინ ერთი იმპლანტანტი 400-ის ნაცვლად შეიძლება 40 დოლარი დაჯდეს, რადგან ჩვენში მუშახელი გაცილებით იაფია.

თავად ჰოლგერ ბურკელმა საქართველოში რამდენიმე ოპერაცია გააკეთა და თავის შრომაში გროშიც არ აუღია. გერმანელ პროფესორს ბატონ ომარისთვის ერთ-ერთი მორიგი ოპერაციის შემდეგ უთქვამს — პაციენტს კი არა, მთელი ოპერაციის მანძილზე შენ გიყურებდი და ცოდვით ვიწვოდი, ჩვენ, გერმანიაში ერთ მანიპულაციას ასი ინსტრუმენტით ვაკეთებთ, შენ კი ას მანიპულაციას — ერთით, თანაც დაჟანგული ინსტრუმენტით. ამის შემდეგ სწორედ იმ ბურკელს, რომელიც თავისი შრომით ნაშოვნ ფულს ზოგავს და იაფფასიან სასტუმროში ცხოვრობს, ყბა-სახის ქირურგიის კლინიკისათვის 15 ათას დოლარად ღირებული აპარატურა და ინსტრუმენტები შეუძენია...

სტომატოლოგია და ყბა-სახის ქირურგია საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზეა და როგორც კი საერთო ეკონომიკური აღმავლობა დაიწყება, არა მარტო ამ დარგების, არამედ მედიცინის ყველა სხვა დარგის დონე ერთბაშად აიწევს და მსოფლიო სტანდარტებს გაუტოლდება. — ასე მიაჩნია ბატონ ომარს. საამისოდ უკვე დღეს არსებობს მყარი საფუძველი — ურთიერთობა საზღვარგარეთთან, სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციის დახმარებით, სტუდენტთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა უცხოეთში, მონაწილეობა მაღალი რანგის საერთაშორისო კონგრესებსა თუ სხვა სახის ფორუმებში (სხვათა შორის, როცა ბატონ ომარს ვესაუბრეთ, იგი ახალი დაბრუნებული გახლდათ ვაშინგტონის სტომატოლოგთა და ყბა-სახის ქირურგთა XIV საერთაშორისო კონგრესიდან, სადაც ორ კოლეგასა და ერთ სტუდენტთან ერთად იმყოფებოდა).

თურმე შვედეთში უკბილო კაცი ინვალიდად ითვლება და სახელმწიფო მას უფასოდ მკურნალობს (საქართველოშიც რომ ასე მიაჩნდეთ, რარიგად გაიზრდებოდა ინვალიდთა ისედაც დიდი არმია!). სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაშიც, მკურნალობა მთლიანად უფასოა სახელმწიფო პროგრამირებისა და სადაზღვევო მედიცინის ხარჯზე (რა თქმა უნდა, ამ ქვეყნების მოქალაქეებისთვის).

ომარ ნემსაძეს, როგორც ჩანს, ევროპული სენი გადაედო, თუმცა ამისათვის მას მარტო პაციენტები და ჟურნალისტები ემადლიერებიან.

*ნინო ლურსმანაშვილი*

## მამაკაცებო, მოერიდეთ ზედმეტ ნერვიულობას!

ბრაზილიელმა ექიმმა რობერტ ტრუდმა სამწლიანი ექსპერიმენტების შემდეგ დაასკვნა, რომ მუდმივი სტრესული მდგომარეობა მამაკაცებს უუარესებთ ჯანმრთელობას და მამაკაცურ ღირსებაზეც უარყოფითად მოქმედებს — ეკონომიკური კრიზისის, უმუშევრობის, სამსახურისა და ავტორიტეტის დაკარგვის შიში მნიშვნელოვნად „ამოკლებს" სასქესო ორგანოს (დაახლოებით 2,5 სმ-ით). ქალებში მსგავსი პათოლოგია არ დაფიქსირებულა.

*ფრანჩენე ტაიმ*


ხალხური მედიცინა – მაქსიმალური გარანტია!!!

* „ნერვის ანთება";
* „რადიკულიტი";
* „ოსტეოქონდროზი";
* „სახსრების დაავადებები" (ანთება, მარილები).

მკურნალობას უძღვება ფიტოთერაპევტი მანანა ალექსიშვილი

☎61-02-97; 39-39-97 (საღ.)


## ენდემური ჩიყვი

ენდემური ჩიყვი უმეტესად მთის მკვიდრთა დაავადებაა, ასევე იმ რეგიონებისა, სადაც იოდის ნაკლებობა იგრძნობა.

დაავადება ტოქსიკურია და აზიანებს სხვადასხვა ორგანოს, უწინარესად, ნერვულ და გულ-სისხლძარღვთა სისტემას. ვითარდება ტაქიკარდია, არითმია, სულის ხუთვა, უძილობა, ასთენია, ტკივილი თვალისა და ღვიძლის არეში, ავადმყოფი ადვილად ღიზიანდება.

ენდემური ჩიყვის თავიდან ასაცილებლად კვების რაციონში უნდა შევიტანოთ, რაც შეიძლება მეტი იოდის შემცველი პროდუქტი: იოდიანი მარილი, შაქარი, რძე, ზღვის თევზი, ზღვის კომბოსტო, მჟავე ვაშლი, ლიმონი და ხურმა.

ფარისებრი ჯირკვლის უმნიშვნელო გადიდების შემთხვევაშიც კი, მიზანშეწონილი არ არის მზის აბაზანები.

ხალხური მედიცინა გვირჩევს:

5-6 ალუბლის ახალ ან გამხმარ ფოთოლს დაასხით ადუღებული წყალი, თავდახურულ ჭურჭელში გააჩერეთ არაუმეტეს ნახევარი საათისა, შემდეგ გადაწურეთ და დალიეთ დღეში ერთი ჩაის ჭიქა (200 გრ).

სასარგებლოა ყელის დაბანა მუხის ქერქის ნაყენით ან ყელზე მუხის ქერქის საფენების ხმარება კვირაში ორჯერ მაინც (1 სუფრის კოვზი მუხის ქერქი 5 წუთით გააჩერეთ ერთ ჭიქა ადუღებულ წყალში).

იოდით ყველაზე მდიდარია შავი ცირცელი. ცირცელის ახალი კენკროვანი ნაყოფი გავხეხოთ შაქართან ერთად და მივიღოთ დღეში სამჯერ, თითო 1 ჩაის კოვზი.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №28*

## გართობა შაკიკის წინააღმდეგ

ხშირად გტკივათ თუ არა თავი? დადებითი პასუხის შემთხვევაში, იცოდეთ, რომ თქვენ ერთი იმათგანი ხართ, ვისაც შაკიკი ტანჯავს. სხვათა შორის, არ იფიქროთ, რომ შაკიკი და ძლიერი თავის ტკივილი ერთი და იგივეა. სინამდვილეში შაკიკი საკმაოდ სერიოზული ნეიროქირურგიული დაავადებაა. ამიტომაც ექიმის კონსულტაცია სავალდებულოა, მაგრამ ჩვენი რამდენიმე რეკომენდაციაც გაითვალისწინეთ.

— დღე ისე დაგეგმეთ, რომ ფიზიკურად და გონებრივად ძალზე არ გადაიტვირთოთ. ყველაფერი საღამოს მოიმზადეთ, მეხსიერება რომ არ დაგეძაბოთ, თან უბის წიგნაკი ატარეთ.

— შეძლებისამებრ აიცილეთ გარე გამღიზიანებლები — ტელეფონი, პეიჯერი, ფიჭური ტელეფონი. თვით კარის ზარის ღილაკიც გააუქმეთ დროებით, თუ არავის ელოდებით.

— მუდამ თან იქონიეთ ტკივილის მოსახსნელი აბები. სხვათა შორის, თუ ექიმმა შაკიკის დიაგნოზი დაგისვათ, გაარკვიეთ — რომელი პრეპარატის მიღებაა თქვენთვის მიზანშეწონილი. გამორიცხული არ არის, რომ ანალგინი ან ციტრამონი უფრო გიმძაფრებდეთ შეტევას. ამიტომ ალბათ ექიმი გირჩევთ ახალი თაობის, ტრიპტანების ჯგუფის პრეპარატებს, მაგალითად, „ზომიგს", რომელიც სახელდობრ შაკიკის შეტევისათვის არის რეკომენდებული.

ხშირად ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და რაც შეიძლება სისხლსავსე ცხოვრებით იცხოვრეთ. ესტუმრეთ გამოფენებს, თეატრებს. და ბოლოს, უბრალოდ ყურადღებით მოეპყარით საკუთარ ჯანმრთელობას, რათა მორიგი შეტევა აიცილოთ თავიდან.

*სობესედნიკი №17*

## ARSENICUM ALBUM

პრეპარატი მზადდება დარიშხანის ჰომეოპათიური დამუშავების შედეგად. ადამიანს, რომელსაც ეს პრეპარატი შეესაბამება, ასე ახასიათებენ: არისტოკრატი, პედანტური, პასუხისმგებელი თავის თავთან და მომთხოვნი სხვების მიმართ.



ხშირად ალერგიულები არიან. ფსიქიკურად მოუსვენარია, სულ რაღაცას ეძებს. ნერვიულია, წყობიდან მალე გამოდის, განცდების შემდეგ ტკივილები ეწყება. ხშირად ეუფლება სასოწარკვეთილების გრძნობა, აფორიაქებულია. ისწრაფვის სრულყოფილებისკენ. ინტელექტუალურია, გამუდმებით იძენს ცოდნას, იღებს ინფორმაციას, ავტორიტეტულია, ექსტრემისტია. ბავშვობაში კარგად სწავლობს, მოწესრიგებულია.

ARSEN-ის შესაბამისი კონსტიტუციური ტიპის ადამიანი დიდ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობას. სულ მცირე პრობლემის დროსაც კი მიდის ექიმთან. თუმცა ექიმისა არ სწამს. უყვარს ჰომეოპათია და სხვა არატრადიციული „ნატურალური" მედიცინა. დანიშნულებასა და მითითებას ზედმიწევნით, ზუსტად ასრულებს. მაგრამ ბოლომდე არც მათი სჯერა. ის ტკბება თავისი ავადმყოფობით, ეძებს მიზეზებს, რომ მივიდეს ექიმთან. ჯანმრთელიც კი იტარებს გამოკვლევებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს პროფილაქტიკური ღონისძიებები და აკურატულობა ეხმარება მას ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, რადგან სულ მცირე პრობლემასაც კი მდგომარეობიდან გამოჰყავს.

ARSEN-ი დიდ ყურადღებას აქცევს სხვის ჯანმრთელობასაც. ახლობლების მიმართ განცდის მოსალოდნელი უბედური შემთხვევის შიშს (ოჯახის წევრების დაგვიანებისას ისტერიკაშივარდება), ქურდების ეშინია, აქვს შიმშილის შიში — ყოველთვის იმარაგებს პროდუქტებს. აგრეთვე აქვს უმუშევრად დარჩენის შიში, ამიტომ პროფესიასთან ერთად სხვა რამესაც სწავლობს — „საჭიროების დროს რომ გამოადგეს".

უყვარს სპორტი, სირბილი, ვიტამინებითა და ცილებით მდიდარი პროდუქტები (მწვანილი, სალათები...) უყვარს ფული და არ ხარჯავს მას. ვალს არ აიღებს, ან აბრუნებს დროულად, უსაქმურობისგან [illegible]ოდად ხდება, სტრესული სიტუაციიდანაც კი მხოლოდ მუშაობის წყალობით გამოდის.

ძალიან მოკლედ აღვწერთ იმ პათოლოგიურ მდგომარეობებს, რომლის დროსაც ვიყენებთ ამ ჰომეოპათიურ პრეპარატს: დასუსტებული, მოდუნებული ავადმყოფები, რომლებიც თავს მიიჩნევენ განუკურნებლად, აწუხებთ შიშები ღამით (რის გამოც ვერ ჩერდებიან საწოლში), წვის შეგრძნება ლოკალურად ან მთელ ორგანიზმში, ხშირად ზარავთ საკვების დანახვა, ვერ იტანენ მის სუნს. აწუხებთ კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ცივი სასმლის ან საჭმლის მიღების შემდეგ ემართებათ ფაღარათი. ეს პრეპარატი წარმატებით გამოიყენება ბრონქალური ასთმის მკურნალობის დროს.

*რამაზ ჭილაძე*
*ექიმი-ჰომეოპათი*


SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების სრული გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის:
„პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე



შეგაწუხათ სტომატიტმა?
პროთეზმა გაგიღიზიანათ ღრძილები?
კბილები ამოსდის თქვენს პატარას?
„მუნდიზალ გელი" — ეფექტური ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებაა
მისი მოქმედება იწყება 2-3 წუთში და გრძელდება რამდენიმე საათს
„მუნდიზალ გელი" –
იკითხეთ აფთიაქებში




რეგისტრირებულია ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ

# ჩემპიონთა ლიგა. ფინალი
## მანჩესტერ იუნაიტედი — ბაიერნი 2:1

**გოლები — ბასლერი 6 (0:1); შერინგემი 90 (1:1); სოლსკიაერი 90 (2:1)**

ჩემპიონთა ლიგის ფინალი ფეხბურთის ყველა მოყვარულმა ნახა. მას შემდეგ თითქმის ერთი კვირა გავიდა და ამ ზღაპრული სანახაობის პერიპეტიების აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, მოკლედ გაგაცნობთ, რა გამოხმაურება მოჰყვა ბარსელონაში დატრიალებულ დრამას, რომელსაც მსოფლიოს მორიგი საოცრება ეწოდა!

„ინგლისმა აჩუქა მსოფლიოს უილიამ შექსპირი, „ბითლზი" და „მანჩესტერ იუნაიტედი".

„ფედერიკო ფელინი, ისევე როგორც ყველა იტალიელი, აღმერთებდა ფეხბურთს, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გენიოსი იყო, არ გარისკა და ფეხბურთისთვის ერთი სიუჟეტიც არ მიუძღვნა, რადგან იცოდა, როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს რეჟისორი და როგორი მსახიობიც არ უნდა ჰყავდეს, შეუძლებელია, ეკრანზე გადაიტანოს ის, რასაც დიდი ფეხბურთი ჰქვია".

„ვინ თქვა, რომ ფეხბურთი დედამიწაზე ბის განცდის და ძალისხმევის უზენაესი ხვედრია? მაშინ ნახოს მთელმა პლანეტამ უკანონო ბარსელონას „ნოუ კამპზე" გამართული ჯენტლმენური ბრძოლა, ბრძოლა გმირებს შორის, რომელსაც არ შეიძლება დამარცხებული ჰყავდეს".

„ჯეიმს კამერონმა „ტიტანიკის" ტრაგედიიდან მრავალი წლის შემდეგ, პოლიგლური მასობრივი დახმარებით, იგი გააცოცხლა. საინტერესოა, შეძლებს თუ არა ვინმე, თუნდაც მრავალი წლის შემდეგ, ეკრანზე გადაიტანოს ის, რაც 26 მაისს ბარსელონაში მოხდა?"

„XIX საუკუნის შუა ნახევარში ინგლისელებმა გამოიგონეს ფეხბურთი, გამოიგონეს იმისათვის, რომ XX საუკუნის ბოლოსთვის ამ სპორტს მსოფლიო დაეპყრო და ადამიანები ერთურთ უპრეცედენტო მღელვარებით გაეხარებინა".

ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა ევროპული პრესა 26 მაისს ბარსელონაში მომხდარ სანახაობას. ეს იყო საუკუნის უკანასკნელი ღირსეული ფინალი, რომელიც უთუოდ იმსახურებს ისტორიაში შესვლას. „ფეხბურთი საგიჟეთია, დიდებიდან დაცემამდე კი მხოლოდ ერთი გაელვებაა" — ასეთი კომენტარი გაუკეთა მომხდარს ერთ-ერთმა ესპანურმა გაზეთმა და ძნელია, არ დაეთანხმო ამ სიტყვებს. მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ მთელი ბარსელონა წითლად შეიღება. კატალონიის დედაქალაქში მთელ ღამეს ზეიმობდნენ „იუნაიტედის" ქვეყნიდან გადასული ფანები. მანჩესტერს კი ალბათ ასეთი ბედნიერი ღამე არ ჰქონია. მთელი ქალაქი ქუჩაში გამოეფინა, ეს იყო ეროვნული დღესასწაული, ვისაც როგორც შეეძლო, ისე აღნიშნავდა „წითელი ეშმაკების" ზღაპრულ გამარჯვებას. ინგლისელთა მწვრთნელს — ალექს ფერგიუსონს ეროვნულ გმირად აღიარებენ, მოსალოდნელია, რომ რაინდის ტიტულსაც მიანიჭებენ და ამიერიდან სერ ალექს ფერგიუსონად მოიხსენიებენ.




ახლა კი დამარცხებულებზე: „ბავარიული მიწა ცრემლით დაინამა", — წერია ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში. სოლსკიაერის გოლის შემდეგ მთელი გერმანია შოკურ მდგომარეობაში ჩავარდა, მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილ 40.000 ფანს ხმა ჩაუწყდა. „ფეხბურთი 90-წუთიანი თამაშია, სადაც ერთ ბურთს 22 კაცი დასდევს, ბოლოს კი მაინც გერმანელები იგებენ" — ეს სიტყვები ახლო წარსულის ინგლისელ ვარსკვლავს — გარი ლინეკერს ეკუთვნის. რა იცოდა მაშინ ლინეკერმა, თუ ასე მწარედ ცდებოდა, მისი ნათქვამის უმართებულობას კი მისივე თანამემამულენი დაამტკიცებდნენ.

საინტერესოა, რა კომენტარები გაუკეთეს მატჩს უშუალოდ მონაწილეებმა:

**პიტერ შმაიხელი** — („მანჩესტერის" მეკარე) — „დაუჯერებელია, ასეთ ზღაპარს ჩვენი დიდი მეზღაპრე — ჰანს კრისტიან ანდერსენიც კი ვერ მოიფიქრებდა".

**ალექს ფერგიუსონი** — „თითქმის დაკარგული მქონდა გამარჯვების იმედი, დღეს „მანჩესტერი" ღმერთმა იხსნა".

**ფრანც ბეკენბაუერი** („ბაიერნის" პრეზიდენტი) — „ეს დღე ჩემს ცხოვრებაში არ დამავიწყდება, ასეთი ზღაპარი ნუთუ ვინმეს არ გაუგონია, ყველაზე მძიმე დღე იქნება ფეხბურთელებს გული გაუტეხეს, რასაკვირველია, ოღონდ დაძლევა მოახერხეს".

**ოტმარ ჰიტცფელდი** — „დღეს „ბაიერნი" გამარჯვებას იმსახურებდა, მაგრამ ბურთი მრგვალია, ძნელია გაუგებარი გავხდეთ, მე ვიმეორებ, რომ ჩემმა გუნდმა ულამაზესი ფეხბურთი ითამაშა, მიღწევით დაიმსახურა „ბაიერნმა" და „მანჩესტერმა" დიდებული სანახაობა აჩუქეს, ჩვენ თავისებურად მოვიგეთ".

**ლოთარ მათეუსი** — „საშინელება მოხდა, თავი კოშმარულ სიზმარში მგონია, ამ წუთში მომავალზე ფიქრიც კი არ შემიძლია".

**სერ ბობი ჩარლტონი** — „ინგლისური ფეხბურთი კვლავ მწვერვალზეა, „ბაიერნი" ასეთ დასასრულს ნამდვილად არ იმსახურებდა, თავად მატჩი კი — დიდებული გამოდგა".

საქართველოს კარატე-დოს ფედერაცია

თბილისი, 380002 ... GKF

ა.წ. 17 მაისს გაზეთ „კვირის პალიტრაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ეს ფეხბურთის ფედერაცია არ არის და არც მე ვარ ახალკაცი, რომ გული გამიხეთქონ", დაშვებული იქნა უზუსტობა ოლიმპიური კომიტეტისა და მისი პრეზიდენტის ბ-ნ ჯანო ბაგრატიონის მიმართ, რომლის მიმართაც საქართველოს კარატე-დოს ფედერაციას არავითარი პრეტენზია არ გააჩნია. პუბლიკაციის შეცდომით დაბეჭდვისათვის ვიხდით ბოდიშს.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და ფედერაციის ურთიერთობა მეტად ნაყოფიერად მიმდინარეობდა წლების განმავლობაში და იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ინციდენტი ხელს არ შეუშლის ჩვენს შემდგომ ურთიერთობას.

*საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია*

# ვინ სად მიდის?

საკმაოდ სენსაციური ცნობა გაავრცელა ერთ-ერთმა ესპანურმა საინფორმაციო სააგენტომ: შესაძლებელია, რომ მომავალი სეზონიდან მადრიდის „რეალი" დატოვოს კლუბის მთავარმა მწვრთნელმა — უელსელმა ჯონ ტოშაკმა და თურქეთის ნაკრები ჩაიბაროს. შეგახსენებთ, რომ ტოშაკი რამდენიმე თვის წინ ჩაუდგა სათავეში „სამეფო კლუბს". ამის შემდეგ „რეალი" ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა და ვერც ესპანეთის ჩემპიონატში მიაღწია სასურველ შედეგებს.

იტალიის უმაღლესი დივიზიონის კლუბ „ვენეციას" წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კლუბს მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი — ლუჩანო სპალეტი უხელმძღვანელებს. რაც შეეხება ვენეციელთა ყოფილ მწვრთნელს — ვალტერ ნოველინოს, — იგი ამიერიდან სერია B-ს ბინადარ „ნაპოლის" ჩაუდგება სათავეში.

ამსტერდამის „აიაქსმა", რომელიც ტრადიციულად ახალგაზრდა ფეხბურთელებს ყიდულობს, ავსტრალიის ნაკრების 18 წლის ნახევარმცველი — ჯეისონ კულინა შეიძინა, რომელიც აქამდე „სიდნეი ოლიმპიკის" ღირსებას იცავდა.

იტალიურმა „რომამ" 19 მილიონ დოლარად შეიძინა „რივერ პლეიტის" არგენტინელი მცველი — სამუელი, ხოლო „პარმამ" — 15 მილიონი დოლარი გადაიხადა „ბოკა ხუნიორსის" ახალგაზრდა მცველ აიმარში. ჯერჯერობით უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას „ლაციოს" ჩილელი ვარსკვლავი — მარსელო სალასი. მას „ინტერი", „იუვენტუსი" და „პარმა" ეპატიჟებიან.

# „აიაქსიდან" „იუვენტუსში"



ამსტერდამის „აიაქსის" პრესსამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ ჰოლანდიური კლუბის მეკარე — ვან დერ საარი, მომავალი სეზონიდან ტურინის „იუვენტუსის" ღირსებას დაიცავს. ვან დერ საარი ამჟამად 28 წლისაა, იგი 1989 წლიდან იცავდა „აიაქსის" ღირსებას, 5-ჯერ იყო ჰოლანდიის ჩემპიონი, 3-ჯერ თასის მფლობელი, მოგებული აქვს უეფას თასიცა და ჩემპიონთა ლიგაც. საინტერესოა, რომ ედვინ ვან დერ საარის გადაბირების სურვილი ჰქონდათ „მანჩესტერ იუნაიტედსა" და რომის „ლაციოს", თუმცა ჰოლანდიელმა ტურინული კლუბი ირჩია. საინფორმაციო სააგენტოები არ ასახელებენ თანხას, რომელიც „აიაქსმა" ყოფილი მეკარის საფასურად აიღო. ჰოლანდიური კლუბების წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს მეკარეს კლუბის წინაშე დიდი დამსახურებისათვის და მსოფლიოს უძლიერესი გოლკიპერი უწოდეს.

# შუმახერის გოლმა ფორმულა-1-ის ნაკრებს ვერ უშველა

მონაკოში ლუი II-ის სახელობის სტადიონზე ტრადიციული საფეხბურთო მატჩი გაიმართა, ე.წ. პრინც ალბერის ნაკრებსა და ფორმულა-1-ის ვარსკვლავებს შორის. ამჯერად, პრინცმა თავის გუნდში მიიწვია სახელგანთქმული სამთო მოთხილამურენი — ალბერტო ტომბა და მარკ ჟირარდელი, მოტომრბოლელი მაქს ბიაჯი, ველოსიპედისტი ტონი რომინგერი, მძლეოსანი კორი ტერპენინგი, აგრეთვე ფორმულა-1-ის ვეტერანები. მეტოქე გუნდს ფორმულა-1-ის დღევანდელი ვარსკვლავები წარმოადგენდნენ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის — მიჰაელ შუმახერის მეთაურობით. იმისათვის, რომ სანახაობა მოსაწყენი არ ყოფილიყო, ორივე გუნდს დამატებული ჰყავდა ახლო წარსულის საფეხბურთო ვარსკვლავები — ალესანდრო ალტობელი, ფრანკ რაიკაარდი, დანიელ მასარო და ჟან ეტორი.


ჟან ალეზი ფრანკ რაიკაარდის წინააღმდეგ

თავიდანვე ნათელი გახდა, რომ პილოტთა გუნდს გამარჯვების შანსი თითქმის არ ჰქონდა. მრბოლელებმა მხოლოდ მე-17 წუთზე მიაღწიეს მეტოქის საჯარიმო მოედნამდე, მაშინ, როდესაც 0:2-ს აგებდნენ. თამაში საბოლოოდ პრინც ალბერის გუნდმა — 5:2 მოიგო. გამარჯვებულთაგან ყველაზე აქტიურნი, რასაკვირველია, რაიკაარდი და ალტობელი გახლდნენ. მეტოქე გუნდში კარგად ითამაშეს ჟან ალეზიმ და დევიდ კულტჰარდმა. რაც შეეხება მიჰაელ შუმახერს, იგი პირველი ტაიმის მანძილზე რამდენჯერმე შეეხო ბურთს, თუმცა მეორე ნახევარში გოლიც კი გაიტანა. მონაწილეებს წამითაც არ დავიწყებიათ, რომ მატჩისათვის შოუს სახე უნდა მიეცათ და მხიარული სცენაც მრავლად მოეწყოთ. შედეგით პრინციც კმაყოფილი დარჩა და მისი სტუმრებიც.

# საქართველოს თასი — ქუთაისის „ტორპედოს"

26 მაისს თბილისშიც გაიმართა თასის ფინალი, თუმცა ბარსელონას ფინალთან შედარებით — ბევრად მოკრძალებული. ქუთაისის „ტორპედომ" და წყალტუბოს „სამგურალმა" საქართველოს ეროვნული თასის მფლობელი გამოავლინეს. სპეციალისტთა ნაწილი ქუთაისელთა იოლ გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, თუმცა „სამგურალმა" ტოლი არაფერში დაუდო მეტოქეს და მხოლოდ პენალტების სერიით დამარცხდა, თანაც ისე, რომ მთელი 120 წუთის მანძილზე გოლი არ გაუშვა. ვინაიდან მომავალი წლიდან თასების მფლობელთა თასის გათამაშება აღარ გაიმართება, ქუთაისელები, ისევე როგორც ლოკომოტივი უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმებიან. ინტერტოტოს თასზე ითამაშებს კიდევ ერთი ქართული კლუბი — ფოთის „კოლხეთი".

# არველაძის „ბრედა" გავარდა, გახოკიძის „ეინდჰოვენი" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს

ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლო ტურში არჩილ არველაძის „ბრედა" ამსტერდამის „აიაქსს" დაუზავდა, თუმცა, უმაღლეს დივიზიონში ადგილის შესანარჩუნებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. „ბრედა" გავარდა, არჩილ არველაძის მომავალი კლუბის ვინაობა კი ჯერ კიდევ დასადგენია. ბუნებრივია, მას ჰოლანდიის მეორე დივიზიონში თამაში არ სურს და უკეთეს კლუბს ეძებს. სავარაუდოა, რომ არჩილი მომავალი სეზონიდან ტიტულოვან ბელგიის „ანდერლეხტში" გადავა, ან ჰოლანდიაში დარჩება და თბილისის „დინამოს" გამანადგურებლის — ვილემ II-ის, იმავე, „ტილბურგის" ღირსებას დაიცავს. რაც შეეხება კიდევ ერთ ქართველ „ჰოლანდიელს" — გოგა გახოკიძეს, მისი კლუბი — „ეინდჰოვენი" გაისად ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს. ამრიგად, შოთა არველაძისა და კახი კალაძის შემდეგ გახოკიძე კიდევ ერთი ქართველი იქნება, ვინც ევროპის საკლუბო ფეხბურთის უმაღლესი ჯილდოსათვის ბრძოლაში ჩაებმება.

# მერდოკმა ოლიმპიელებზე შური იძია

სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს გაუთვალისწინებელი და დამატებითი ხარჯების გაღება მოუწევთ. საქმე ის არის, რომ ველოტრასა, რომელიც სპეციალურად ოლიმპიადისთვის ააშენეს, გადის კინოსტუდია „ფოქსის" შესასვლელთან. კინოსტუდია ავსტრალიელ მილიარდერს — რუპერტ მერდოკს ეკუთვნის, რომელმაც განაცხადა, რომ „მის ტერიტორიაზე" გამართული რბოლები მის თანამშრომლებს მუშაობაში ხელს შეუშლის. მერდოკმა კომპენსაციის სახით მრავალი მილიონი დოლარი მოითხოვა, ოლიმპიადის ორგკომიტეტმა ამ ხარჯის გადახდაზე უარი განაცხადა და ახალი ტრასის აშენება გადაწყვიტა, რაც ბევრად იაფი დაუჯდება. საინტერესო და გასაკვირი ის გახლავთ, რომ მერდოკმა მშვენივრად იცოდა ტრასის მშენებლობის შესახებ და სანამ მშენებლობა არ დასრულდა, კრინტიც არ დაუძრავს. ფაქტია, რომ მილიარდერის საქციელი მხოლოდ და მხოლოდ შურისძიების სურვილით შეიძლება აიხსნას. სპორტის მოყვარულებმა იციან ისტორია, რომელიც ავსტრალიელ მაგნატსა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას გადახდა ოლიმპიადის ტელეტრანსლირებების უფლების მოპოვებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ თითქმის გადაწყვეტილი იყო, — ოლიმპიადის ტრანსლირების უფლება მერდოკის ერთ-ერთ ტელეკომპანიას ეყიდა, მაგრამ ბოლო მომენტში სოკ-მა მერდოკთან სიტყვიერი შეთანხმება დაარღვია და გადაცემების უფლება ტელეკომპანია NBC-ს დაუთმო. მერდოკს არაჯენტლმენურად მოექცნენ და მილიარდერმაც თავისებურად იძია შური.

# მშრალი კანონი სოლტ ლეიკ სიტიში?

საკმაოდ სერიოზული პრობლემის წინაშე დადგა სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი. თამაშების მსვლელობისას აიკრძალება სპირტიანი სასმელების გაყიდვა. იუტას შტატის მორმონული კანონების მიხედვით, სპირტიანი სასმელების მიღება აკრძალულია. გამოდის, რომ ტურისტებს, ჟურნალისტებსა და სოკ-ის წევრებს მრავალი საათის განმავლობაში, ყინვაში ყოფნის შემდეგ, გასათბობად სხვა საშუალების მოძებნა მოუწევთ. ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნეს იუტას შტატის მმართველ ორგანოებს, სადაც თხოვნით მიმართავენ მათ, რომ მცირე შეღავათები მაინც დაუწესონ. ამერიკელები კანონის დარღვევას არ აპირებენ. შეგახსენებთ, რომ შტატში იყიდება მხოლოდ ლუდი, ისიც — სპეცმაღაზიებში.

გვერდი მოამზადა მათე კბილაძემ

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. კd1!

მოსიაშვილი




თეთრები იწყებენ და აგებენ მათს ორ სვლაში.

# ვინ არიან ისინი?

რუსეთის ტელევიზიის პროგრამა „ნოვოსტის“ ერთ-ერთ თანამშრომელს უცნაური რამ შეემთხვა: სოხუმის მახლობლად ისვენებდა ნათესავებთან. ერთხელ საკმაოდ შორს გასცურა. მზიანი დღე იყო და ზღვის სიღრმეში გარკვევით ჩანდა თევზების გუნდი. უეცრად მისი ყურადღება მიიპყრო ადამიანის მსგავსმა რამდენიმე არსებამ.



„ჯერ აკვალანგისტები მეგონა, რადგან კიდურები ადამიანის კიდურებს უგავდათ, მაგრამ არანაირი აღჭურვილობა არ გააჩნდათ, — იგონებდა შემდეგ ვასილი, — არსებებს ეცვათ სხეულზე შემოტმასნილი ღია ფერის სამოსი. როგორც კი შეამჩნიეს, დაჟინებით ვათვალიერებდი, ზღვის სიღრმეს მისცეს თავი. სახეები ვერ გავარჩიე, მაგრამ თავები კი ნამდვილად ადამიანისა ჰქონდათ.“

წყალქვეშ მობინადრე ადამიანის მსგავსი არსებების შესახებ ცოტა რამაა ცნობილი. ბევრი იწერება ხმელეთზე ნანახ ჰუმანოიდებზე. „მფრინავი თეფშები“ კი თავისუფლად სხდებიან წყლის ზედაპირზე ან ამოცურდებიან ხოლმე ზღვის სიღრმიდან. ფიქსირებულია ასეთი შემთხვევა — 1992 წელს ხარკოველმა ექიმმა არკადი ბორზენკომ პირველი დახმარება გაუწია ახალგაზრდა ქალს, რომელიც კინალამ დაიხრჩო და ნაპირზე მაშველებმა გამოიყვანეს. გონს მოსვლის შემდეგ ქალმა ექიმს მოუთხრო, — რაღაც ადამიანის მსგავსმა არსებამ დამიჭირა და სიღრმისკენ მექაჩებოდაო.

ქალი თურმე შეებრძოლა, კბილები მაჯაში ჩაავლო და მხოლოდ ასე დაიხსნა თავი. ნაპირზე გამოყვანილ ქალს პირიდან გადმოუვარდა ხორცის უხეში ნაგლეჯი, რომელიც ვეშაპის კანს ჰგავდა. იმ არსებას ღია ფერის კანი, გრძელი თითები და მელოტი თავი ჰქონდაო, — თქვა ქალმა.

კანმა ფორმალინის ხსნარში ვერ გაძლო. ექიმ ბორზენკოს ღრმად სწამს, რომ ის ადამიანისა იყო.

მრავალი კითხვა ჩნდება. „ადამიანი-ამფიბიები“ მხოლოდ ზღვაში არ გვხვდებიან. მდინარეში მობანავენიც (მდინარისა და ზღვის წყალი ძალზე განსხვავდება ურთიერთისგან) ხშირად ხდებიან ასეთი თავდასხმის მსხვერპლნი, უმეტესად ქალები (სექსუალური კავშირის მიზნით ხომ არა?).

რა თქმა უნდა, ჯერჯერობით, არავითარი ხელჩასაკიდი საბუთი არ არსებობს იმისა, თუ ვინ არიან ეს თავდამსხმელები. არავის მოსდის აზრად მათი დაკავშირება ამოუცნობ ობიექტებთან. მუშაობა ამჟამად მხოლოდ ფაქტების დაგროვებით და განზოგადებით იფარგლება.

*ტაინაია ჟიზნ №21*

## უცხოპლანეტელი კენგურუები



აშშ-ის რამდენიმე შტატი აივსო ავსტრალიური კენგურუებით. მათი წარმომავლობა მეცნიერებისთვის საიდუმლოა. არც ერთ ზოოპარკს არ განუცხადებია ცხოველების დაკარგვის შესახებ. თუმცა ამდენი კენგურუ შეუძლებელია, ყოფილიყო ამერიკის ზოოპარკებში. გარდა ამისა, ამერიკელი ჩანთოსნები უფრო აგრესიულები არიან, ვიდრე მათი ავსტრალიელი ძმები. თავს ესხმიან კატებს, ძაღლებს, ციყვებს, ფრინველებს, ქალაქების მოსახლეობას, სადაც მიგრაციის დროს ხვდებიან. ერთმა კენგურუმ, რომელიც ქალაქ კოლდოპუს პარკში გამოჩნდა, რამდენიმე გამვლელი კუდით სცემა. არიზონის ერთ-ერთ ტრასაზე მანქანამ გაიტანა ემიგრანტი კენგურუ. შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციას ცხოველის ლეში არ დახვდრია, — გასაკვირია ის ფაქტიც, რომ კენგურუსთან ერთად ავტომობილის მძღოლიც გამქრალიყო. ცხოველებს კოსმოსის წარმომადგენლებად მიიჩნევენ. შტატებში უცნაურ ცხოველთა მოძალება მოხდა ზუსტად 100 წლის წინ, 1899 წელს.

„უცხოპლანეტელმა“ კენგურუებმა გული „ხულიგნობით“ რომ იჯერეს, ერთსა და იმავე დროს სადღაც გაუჩინარდნენ.

*ვაშინგტონ პოსტი*

## სულებთან მოუბარნი



ზოგიერთ პიროვნებას შეუძლია გარდაცვლილთა სულებთან კავშირის დამყარება. 65 წლის ბეტი პალკო ხუთი წლის მანძილზე იყო პრინცესა დაიანას მედიუმი. სწორედ მისი საშუალებით უკავშირდებოდა პრინცესა გარდაცვლილ მამას, ერლ სპენსერს.

პალკოს გაზეთის კორესპონდენტი ეწვია. თავის განსაკუთრებულ უნარში ჟურნალისტი რომ დაერწმუნებინა, მედიუმმა გაშალა კარტი და რამდენიმე წუთის შემდეგ ქალიშვილს განუცხადა, — დიდედათქვენს დავუკავშირდიო. ცოტა ხნის წინ დაბადების დღე გქონიათ თურმე, ტყუპისცალი დაც გყავთ, ტყუპები თქვენს ოჯახში ხშირად ჩნდებიან, ბიძათქვენი ფინანსური პრობლემების გამო, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოხვდა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდება და შინ დაბრუნდებაო. ეს ყველაფერი სიმართლე იყო.

კორესპონდენტი უფრო განაცვიფრა მეორე ცნობილმა მედიუმმა ქრისტოფერ ჰიტმა. ისინი ერთმანეთს ლონდონის ერთ-ერთ ბარში უნდა შეხვედროდნენ. ჰიტმა ცოტა დაიგვიანა, მაგრამ შემოსვლისთანავე უყოყმანოდ მიაშურა ქალიშვილს, ხელი ჩამოართვა და ჰკითხა, — როგორ არის თქვენი და ელიზაბეთიო. დის სახელის გაგონებისას კორესპონდენტი კინაღამ ჩაიკეცა. ჰიტმა აუხსნა, შინიდან წამოსვლისას დავუკავშირდი სულთა სამყაროს. მათ მითხრეს, — ბარში შეხვდები სანდომიან ქალიშვილს, რომელიც მეხუთე სკამზე ზისო. ისიც მითხრეს, მას ჰყავს ტყუპისცალი და ელიზაბეთიო. დიდედამ მოგიკითხათ და მთხოვა გადმომეცა, — მუცლის არეში ტკივილი აღარ მაწუხებსო. ამან მთლად გააოგნა კორესპონდენტი — მუცლის ტკივილის შესახებ მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ.

ჰიტმა უსაყვედურა, — რატომ არ გამიმხილე, თუ გაზეთში მუშაობდიო და აუწყა, მალე დიდ თანხას იშოვიო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ბოშა ქირომანტმა უწინასწარმეტყველა, — გაზეთში დიდ კარიერას მიაღწევ, მაგრამ პირად ცხოვრებაში ბედნიერი არ იქნებიო.

ჟურნალისტს ბევრი რამ აუსრულდა.

*ნიუზ ზე უორლდი*

## ადამიანის თმის ოინები

ადამიანის თმა — მისი აურის გაგრძელება, ფიზიკურ და მიღმიერ სამყაროს შორის გადებული ხიდია. გრძელი თმა ანტენის მსგავსად იღებს სიგნალებს გარესამყაროდან. ამიტომაც გრძელთმიანებს უფრო ადვილად შეუძლიათ მოვლენათა წინასწარგანჭვრეტა, ახალი აზრების აღქმა, ვიდრე მოკლეთმიანებს. შესაძლებელია, სწორედ ეს განაპირობებს შემოქმედი ადამიანების სიყვარულს გრძელი თმისადმი. მის მაგიურ ენერგეტიკაზე მიუთითებს ზაპოროჟიელი კაზაკების ჩვევა, თავის შუაგულში ქოჩრის (კოწოლი) დატოვებისა. სახელდობრ, თავის ამ წერტილშია უმაღლესი ჩაკრა, რომელიც კოსმოსთან კავშირზე პასუხს აგებს. მიღმა სამყაროსთან კონტაქტისთვის კუდიანებიც საგანგებოდ იზრდიან თმებს. იქნებ გაშლილი თმა უფრო ეხმარებათ ფრენაში? თმაგაშლილი ქალი ადვილად „იპყრობს“ მამაკაცს. ისიც ნიშანდობლივია, რომ უწინ პარიკმახერის ფუნქციებს მკურნალ-დალაქი ასრულებდა, რადგან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორი ადამიანი გაჭრით თმას — კეთილი თუ ბოროტი ძველად კი ფიქრობდნენ, რომ მკურნალი აუცილებლად კეთილი უნდა ყოფილიყო.

*ნლო №18*

## ნივთის მაგია



ალექსანდრ ტრეტიაკოვი 30 წელია, ძველი, ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობს. მათ უმეტესობას რუსეთის შორეულ სოფლებში შოულობს, რესტავრაციის შემდეგ კი ძალზე ხელსაყრელ ფასად ყიდის.

— ერთი ძველებური სავარძელი ჩამივარდა ხელში, „ტეტ-ა-ტეტ“, ორ ადგილიანი, შუაში პატარა ყავის მაგიდა ჰქონდა დატანებული, — გვიამბო ტრეტიაკოვმა, — თითქმის მთელი წელი მოვუნდი მის რესტავრაციას და სარფიანადაც მივყიდე „ახალ რუსს“.



სამი დღის შემდეგ ახალმა პატრონმა მომაკითხა, — არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა — ვჯდები სავარძელში, აღარც არაყი მინდა, აღარც არაფერი. ვიცინი, ვიცინი, ვიხრჩობი სიცილით... ძალზე გამიკვირდა, ნეტავ, რა აცინებს-მეთქი...

ეს ამბავი ჩემს მეგობარ ექიმს მოვუყევი. არც გაჰკვირვებია, — კი, არსებობს ასეთი ალერგიული რეაქცია, ძველი ნივთების მტვერი ზოგზე ნარკოტიკულ ნივთიერებასავით მოქმედებსო.

ზოგ ძველ ნივთს ცუდი აურა აქვს. ამის გამო წლობით არ იყიდება ხოლმე. ამას მყიდველიც გრძნობს. ერთხელ იუველირთან ვიყიდე მეტად ლამაზი, ბრილიანტებით შემკული ყელსაბამი. დიდი ფასი მივეცი. მაგრამ გაყიდვით კი ველარ გავყიდე, მუშტარი არ ეკარებოდა. მეც რაღაც მემართებოდა, უცნაური სევდა მთანგავდა, სხეული მტეხდა, დავწვებოდი და — ძილი ცხრა მთას იქით მეკარგებოდა.

ერთხელ წამთვლიმა და ძილ-ბურანში ჩამესმა, — სანამ გვიან არ არის, დივოევოს მონასტერში წადიო.

მონასტერი საკმაოდ შორსაა. დილაადრიან ჩავჯექი მანქანაში და გავეშურე. მწუხრის ლოცვას ვერ მივუსწარი. ვიფიქრე, დავრჩები, ღამეს მანქანაში გავათევ და ცისკრის წირვას მოვისმენ-მეთქი.

ვილოცე და თითქოს ერთი ხელის გაქნევით მომეხსნა ყველანაირი უსიამოვნება და სადარდელი...

როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ყელსაბამი მძიმე სენით შეპყრობილი ქალისა ყოფილიყო. სიკვდილის წინ ქალიშვილისთვის უთხოვია, საფლავში თან ჩამატანეო. ქალიშვილს დანანებია და იუველირისთვის მიუყიდია...

კარგა ხნის შემდეგ შვილმა დედას ანდერძი აუსრულა.

თხუთმეტიოდე წლის წინ სოფელ ბერეუკაში, ერთ ოჯახში ვნახე ყაზანის ღვთისმშობლის ხატი. მასპინძელს შევეხვეწე, — მომყიდე-მეთქი. დიასახლისმა არაფრით არ ქნა.

წლების განმავლობაში ეს ხატი მეხსიერებიდან დროდადრო ამოცურდებოდა და თვალწინ დამიდგებოდა ხოლმე. სულ მახსოვდა, ხშირად მესიზმრებოდა კიდეც.

ერთ დღეს ჩემი მაღაზიის წინ გამოფენილ ნივთებს ვყიდდი.

მომიახლოვდა ორი მღვდელი. მთხოვეს, — რამე შემეწირა ეკლესიისთვის.

აირჩიეთ, რაც გინდათ-მეთქი.

დიდი, ძვირფასი, მომინანქრებული ჯვარი შეარჩიეს.

უსასყიდლოდ მივეცი.

საღამოს მაღაზიაში შევედი, ვხედავ, კედელზე ყაზანის ღვთისმშობლის ხატი კიდია.

გაოცებულმა შევხედე თანამშრომელს.

გუშინ ერთმა მთვრალმა გლეხმა მოიტანაო, — მითხრა.

ეს ამბავი სწორედ იმ საათებში მომხდარა, როცა მე ჯვარი ვაჩუქე მღვდლებს.

*მეგაპოლის-ექსპრესი №18*

## რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

31 მაისი — 6 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი




### ვერძი

გელით საინტერესო და საქმიანი შეხვედრები, მიიღებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, სამსახურში დაგაწინაურებენ, მიხედეთ ოჯახს.




### კურო

სასწრაფოდ მოაგვარეთ ფინანსური საქმეები, უსათუოდ წადით წვეულებაზე, ახალ პარტნიორებს ან სპონსორებს შეიძენთ. დაისვენეთ ბუნებაში.




### მარჩბივი

რაც უფრო ენერგიული იქნებით, მეტ წარმატებებს მიაღწევთ. მთელი კვირის განმავლობაში ბედი გიღიმით, ოღონდ ოთხშაბათს ფრთხილად იყავით.




### კირჩხიბი

ვალს მოგთხოვენ... ოთხშაბათს ყველა საქმეში წარმატება გელით. ფრთხილად იყავით პარასკევს, იგი უიღბლო დღეა.




### ლომი

ენერგია სასარგებლო საქმეში დახარჯეთ, თავს ნუ გადაიღლით. მეტი თავდაჯერება გმართებთ, განმარტოვდით, დაისვენეთ ბუნებაში...




### ქალწული

პასუხისმგებლობას დაგაკისრებენ და დიდ გასამრჯელოსაც გადაგიხდიან. ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებსა და ძველ მეგობრებს.




### სასწორი

საოცნებო ადგილებს მოინახულებთ, ძალზე სასიამოვნო შეხვედრები გექნებათ საინტერესო ადამიანებთან. გელით ფინანსური წარმატება.




### ღრიანკალი

ინტუიცია დაგეხმარებათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მეტი მოთმინება გმართებთ. ნუ მოგერიდებათ რჩევა და დახმარება ძველ მეგობრებს სთხოვოთ.




### მშვილდოსანი

გელით დიდი სიხარული, ახალი ნაცნობობა; წარმატებები. ხუთშაბათს თავი შეიკავეთ ყოველგვარი ხარჯისგან. კვირას პოეზიით დატკბით.




### თხის რქა

უამრავი საზრუნავი გაქვთ. თუ არ გალიზიანდებით, ყველაფერს მოაგვარებთ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და მშობლებს.




### მერწყული

პირად ცხოვრებაში დიდი ცვლილებები გელით. თქვენს სექსუალურ ნდომას ზღვარი არა აქვს. ყველა სურვილი გისრულდებათ.




### თევზები

ყველაფრის თავიდან დაწყება მოგიხდებათ. დიდ წარმატებებს ნუ ელოდებით. მოსმენილის კრიტიკული გააზრება თქვენი მთავარი კოზირია.

გისურვებთ წარმატებებს!

ლითონნაკეთობათა საამქრო
ლითონის კარი — 350 ლარი; ავტოფარეხი „ბარმოშკა“, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის ჟალუზი, 1კვ.მ — 80 ლარი;
ფანჯრის უძრავი გისოსი, 1კვ.მ — 50 ლარი.
ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი;
მის: ბარნოვის 84,
29-39-81 (9-19 სთ-მდე); 877-41-87-75

ცნობილი მკურნალი ირინა ლომთათიძე თაფლთა მანძილზე გამოცდილი მცენარეული ნაკრებით მკურნალობს:
ბოტკინით დაავადებულებს: A, B, C;
ორგანიზმში დაგროვილ სითხეს;
პირის ღრუში უსიამოვნო სუნს;
კანის დაავადებებს; ფრჩხილების სოკოს;
თმის ცვენას; სებორეას;
ბუასილს; თამბაქოს მისატოვებელი; ფეხის ოფლიანობა; ორგანიზმის განწმენდა მავნე ნივთიერებისგან.
მკურნალობის კურსი 5-დან–10 დღიანია.
ეფექტი გარანტირებულია 1 დღიდან
ხდება ირიდოდიაგნოსტიკით ორგანიზმის გამოკვლევა.
ფასი 20 ლარი
აღმაშენებლის გამზ. №115.
იკითხეთ ლომთათიძის აფთიაქი. ტელ: 77-68-50 (საღ.)

და შტამპების ბეჭდების დამზადება
რუსთაველის 22
☎ 99-86-09; 99-00-37
38-37-89 (საღამოს)

ქაღალდი
ნაგაზეთი
60სმ
კონდოპოგა,
ოფსეტური
რუსეთის, თურქეთის, ფინეთის
ცარცის. მუყაო
სხვადასხვა
ფორმატისა და სიმკვრივის
☎: 33-78-07; 877403866



## კოლექცია ლუპისათვის



ესპანეთის ქალაქ ტოლედოს მკვიდრი, 56 წლის მანუელ უსია უჩვეულო კოლექციას აგროვებს. მის ექსპონატებს მხოლოდ ლუპის საშუალებით თუ ნახავს კაცი. მაგალითად, პაწაწინა ბალლინჯოს ტორეროს ტანსაცმელი აცვია, თათებში — ბანდერილიასი (შუბის ნაირსახეობა) უჭირავს და ციცქნა ხარს ულერებს.

მანუელ უსიას მიერ შექმნილი 25 ექსპონატი უნიკალურია. განსაცვიფრებელია მინიატურული ნამუშევარი, რომელიც ცხადყოფს, რა უსაზღვრო შესაძლებლობები აქვს ადამიანს. ავიღოთ, თუნდაც ელ გრეკოს ცნობილი ტილოს „გრაფ ორგასის დაკრძალვა" (მისი ზომა 4X5მ-ია) რეპროდუქცია, რომელიც ბრინჯის მარცვალზეა დახატული. ადამიანის თმის ღერზეა შექმნილი მერილინ მონროს პორტრეტი.

ტოლედოს მუზეუმში მნახველები დიდხანს ათვალიერებენ ალკასარისა და საკათედრო ტაძრის მაკეტებს, რომლებიც ხორბლის მარცვალზეა განლაგებული. თავისუფლების ქანდაკება ნემსის ყუნწშია ჩასმული, თმის სარჭის წვერზე კი კორიდის სცენებია გამოსახული.

*ფავორიტი №9*

## სამარცხვინო მედალი



ლოთობას რუსეთში ძველთაგანვე ებრძოდნენ. მემთვრალეებს საპყრობილეში აგდებდნენ, წკეპლავდნენ, მაგრამ, როგორც მემატიანენი ირწმუნებიან, ეს საშუალებანი ნაკლებეფექტური ყოფილა. პილატეს ცრემლთან ბრძოლაში წარმატებას მხოლოდ პეტრე I-მა მიაღწია.

თავადაც სიამოვნებით მიირთმევდა არაყს დიდი მონარქი და უნდა ითქვას, რომ არამსმელებს ერთგვარი უნდობლობითაც ეკიდებოდა. ასამბლეებზე არა მარტო ბოიარებს, უცხოქვეყნელ სტუმრებსაც ძალით ათრობდა; მაგრამ ბრალი მისი, ვინც უდროო დროს შეუდგებოდა ქეიფს. ასეთთათვის პეტრეს საგანგებო მედალი ჰქონდა დაწესებული — რვაკილოგრამიანი თუჯის ლუგვი წარწერით — „ლოთობისთვის". ამ მედლით ჯილდოვდებოდნენ მხოლოდ მეფესთან დაახლოებული პირები, რომლებსაც სმის დროს მიასწრებდნენ, დანარჩენებს ძველებურად წკეპლავდნენ და წოდებას ართმევდნენ.

საყურადღებო ის არის, რომ არც ერთ ბოიარს მეორედ აღარ მიუღია ჯილდო. არც არის გასაკვირი — ვის ეხალისებოდა რვაკილოგრამიანი მედლის თრევა ერთი კვირის განმავლობაში (ასეთი იყო მეფის მიერ დადგენილი ვადა), თანაც ეს დიდ სირცხვილად ითვლებოდა...

დღეს ამ თეფშისოდენა მედლის ხელში ჩაგდებას ყველა კოლექციონერ-ფალერისტი ცდილობს..

*ობიჩია ი ნრავი*

## გონიერი გლეხები

ზიმბაბველი ბავშვები განათლებას ვერ ელირსებოდნენ, მათ თანამემამულეებს რომ არ ეყოჩაღათ.

ჯუნგლებში გაშენებული სოფლების ახოებში სკოლები კი გამართეს, მაგრამ ქაღალდი არ ჰქონდათ და ქვაზე ნახშირით ხომ არ დაიწყებდნენ წერას? აღარც ფული გააჩნდათ, სხვა სახელმწიფოში რომ შეეძინათ. რას იზამდნენ საწყალი ზიმბაბველები, ჩამოყარეს ყურები — დაგვრჩნენ შვილები უცოდინარებიო.

მაგრამ ჭკვიან კაცს რა დალევს ქვეყანაზე?!

სოფელ ჩსენგას მკვიდრმა ექსმა გლეხმა ლამე ფიქრით გაათია და დილაადრიან ხელისუფლებას მოახსენა, — მალე ისეთ ქაღალდს დავამზადებთ, უცხოელები ხელიდან გამოგვტაცებენ, ჩვენს მომავალ თაობას ხომ არ მოვაკლებთ და არაო...

ცქვიტეს ყურები უფროსებმა — როგორ და რანაირადო?

აგერ გვყავს ცოცხალი ფაბრიკები. ნახევარფაბრიკატებს ისინი დაგვიმზადებენ და მერე ჩვენ ვიცითო.



მივიდნენ სპილოების ნადგომთან. იმდენი ნეხვი დახვდათ, ცხენიანი კაცი ვერ გადაახტებოდა — ესეც ქაღალდის მასაო!

თურმე, ის შეჩვენებული სპილო დღეში სულ ცოტა, 250 კგ მცენარეულს მიირთმევს და 20 კგ ნაკელს გამოყოფს, რომელიც უხვად შეიცავს ბოჭკოს.

ადგნენ ეს ჩვენი მარჯვე ნსენგელები, სათანადო წესით მოხარშეს სპილოს ექსკრემენტი, დაპრესეს და ისეთი ქაღალდი დაამზადეს, საფოსტო ბარათებსაც ბეჭდავენ ზედ და კოხტა-კოხტა წიგნებსაც.

საწერად ხომ თავსაყრელად აქვთ პატარ-პატარა ზანგუნიებს.

*პლანეტა №19*

## „მზვერავის გმირობა"

ეს ამბავი... სულაც არ მომხდარა ერთ ულრან ტყეში, მოსკოვში მოხდა, რუსეთის დედაქალაქში.

მწყაზარმა, კოხტა ქალიშვილმა ახოვანი, სანდომიანი ჭაბუკი გაიცნო. უმალ მოეწონათ ერთმანეთი. დადიოდნენ რესტორანში, კინოში, თეატრში, მოდურ გამოფენებზე...

ერთხელ ვაჟი გამოუტყდა — მზვერავი ვარ, მტრის ზურგში გასაგზავნად მამზადებენ. დავალების შესასრულებლად, ერთგული, ჭკვიანი მეგობარი მჭირდება. ასეთად შენ მიმაჩნიხარო და ჯიქურ ჰკითხა, — ჩემი თუ გახდებიო.



ქალმა იფიქრა, იფიქრა და — გავხდებიო, — მიუგო. მერე ვაჟმა განცხადება დააწერინა სუკ-ის უფროსობის სახელზე, — გთხოვთ, მიმიღოთ დაზვერვაში სამუშაოდ, შემიძლია სამხედრო საიდუმლოების შენახვაო. ერთ კვირაში პასუხი მოუფრიალა, — ბაიბურშიც არ იყავი, ისე შეგამოწმეს და შეგისწავლეს. შენ სწორედ ისა ხარ, ვისაც ვეძებდითო.

ახლა უკანასკნელი მძიმე გამოცდა დაგრჩა, ხალხში გამოსვლა, — ახარა ვაჟმა, — იმ წრეში, სადაც მოხვდები, შენი მომავალი უფროსები იქნებიან, ისინი საკუთარი თვალით უნდა დარწმუნდნენ, როგორ შეგიძლია საზოგადოებაში თავის დაჭერა, სათანადოდ გამოიყურები თუ არაო.

ქალიშვილი უზადოდ ჩაცმულ-დახურული უნდა მისულიყო იმ შეხვედრაზე, თანაც ყალბი ზიზილ-პიპილები არ უნდა გაეკეთებინა.

მოირბინა მეგობრები, მოაგროვა, ვისაც რა ჰქონდა. ზოგს კაბა გამოართვა, ზოგს — ქურქი, ზოგს — ოქროულობა...

წავიდნენ კინოს სახლში. დასეირნობენ ხელკავით, მაღალი საზოგადოებისთვის შესაფერისი წყვილის როლს თამაშობენ. ყველა თვალს აყოლებს — იუდაშკინის კაბაში გამოკვანწულ ქალიშვილს პირდაპირ ხატავს კალჩუგინის სამკაული!

შინ რომ ბრუნდებოდნენ, ვაჟმა უთხრა, — ხვალ გამოცდა გაქვს სირბილსა და სროლაში. აგრეთვე იმაშიც, თუ რამდენ ხანს მოანდომებ მერვე სართულზე ულიფტოდ ასვლას. მოდი, შევამოწმოთ, შეგიძლია თუ არა დროში ჩატევაო.

ცხრასართულიან სახლთან ვაჟმა წამმზომი მოიმარჯვა და ქალიშვილი შეაგულიანა — აბა, ჰეო! გავარდა ქალი. მიქრის ტყვიასავით კიბეზე, გული ამოვარდნაზე აქვს. უკან ლიფტით დაბრუნდა. ვაჟი წამმზომს დასცქერის და თავს იქნევს, — სამი წამი დაგაკლდა ნორმატივის შესრულებამდეო. მოდი, კიდევ ვცადოთ, — შესთავაზა ვაჟმა, — ოღონდ ხელი რომ არ შეგიშალოს, ქურქი გაიხადე, დაგიჭერ, ჩანთაც მომეციო.

ქალმა ყველაფერი ჩააბარა, მთელი ოქროული ჩანთაში ედო. გაქანდა ისევ, მაგრამ...

მისი მზვერავი „მტრის ზურგში" ნადავლით წავიდა, მარტო.

*ია ტელოხრანიტელი №7*

## უჩვეულო ენციკლოპედია

ამას წინათ დიდ ბრიტანეთში გამოვიდა უჩვეულო წიგნი — „ყოფით უზნეობათა ენციკლოპედია". იგი უკვე ითარგმნა თითქმის ყველა ევროპულ ენაზე და მსოფლიო ბესტსელერად იქცა. ეს არნახული წარმატება იმითაა განპირობებული, რომ მისმა ავტორმა კარლ შომ წიგნში თავი მოუყარა უამრავ უმსგავს ფაქტს ცნობილ პიროვნებათა თუ ერების ცხოვრებიდან. ყველას არ ჰყოფნის ძალა, ბოლომდე ჩაიკითხოს წიგნი. ბევრი გულისრევის შეტევების გამო წყვეტს კითხვას.

კარლ შოს თაყვანისმცემელთა რიცხვი მთელ მსოფლიოში მატულობს. მხოლოდ „ენციკლოპედიის" მკითხველს შეუძლია იცოდეს, რომ:

— დიდი კომპოზიტორის ფრანც იოზეფ ჰაიდნის თავი ინახება ვენის ერთ-ერთი მუზეუმის საგანგებო საცავში.

— ნაპოლეონ ბონაპარტეს ფალოსი 1977 წელს ლონდონის აუქციონზე 3.800 დოლარად შეიძინა ამერიკელმა უროლოგმა, როგორც თვალსაჩინოება თავისი პაციენტებისთვის.

— ალბერტ აინშტაინის თვალები მოიპარა ოფთალმოლოგმა ჰენრი ადამსმა 1955 წელს, ცნობილი მეცნიერის გვამის გაკვეთის დროს. 1994 წელს თვალები აუქციონზე გაიტანეს გასაყიდად. ის შეიძინა უცნობმა, შუამავლის მეშვეობით.

— მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი ყავით უმასპინძლდებიან ტოკიოს საუკეთესო რესტორნებში. ფინჯანი — 25 დოლარი ღირს. ეს სასმელი კი ამგვარად მზადდება: იაპონური ონდატრის ჯიშის კატები მარცვლებს ჯერ „ღეჭავენ", შემდეგ კი ამოარწყევენ...

„ენციკლოპედიის" გერმანელმა მთარგმნელმა წიგნის წაკითხვის შემდეგ ველარ მოითმინა, თარგმანის დამკვეთ გამომცემლობას სამივლინებო ფული სთხოვა და ტოკიოში გაემგზავრა, რომ ავტორი ტყუილში ემხილა. სამწუხაროდ, ფული ამაოდ დახარჯა, რადგან გაირკვა, რომ ყავას იაპონიაში მართლაც ამგვარად ამზადებენ. ბევრი სხვა ამდაგვარი მცდელობაც იყო, მაგრამ საბოლოოდ ყველა აღიარებდა წიგნში მოყვანილი ფაქტების სიმართლეს.

კარლ შო პროფესიით ექიმი-პროქტოლოგია, მუშაობს ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ კლინიკაში. „ყოფით უზნეობათა ენციკლოპედიაზე" წლების განმავლობაში მუშაობდა, სამსახურიდან თავისუფალ დროს. ენციკლოპედიის პირველ თავში აღწერილია ათი შემთხვევა უნიტაზზე სიკვდილისა, მეორეში — თუ როგორ აშენებენ სპილოს ნაკელისგან ქოხებს კონგოს ხეობაში მოსახლე აფრიკელი ტომები. ამას მოჰყვება თავი ამაზრზენი სასმელების შესახებ, ბოლოს აღწერილია ათი შემთხვევა სიკვდილით დასჯისა. შოს აქ მოჰყავს საზარელი ფაქტები ისტორიიდან, როცა ხელსაწყოების უვარგისობის გამო ჯალათები აქტს ხელით ასრულებდნენ.

*პოსლედნიე ნოვოსტი №19*

## პრინცესას ჰარაკირი ემუქრება



იაპონიის იმპერატორის წინაშე სერიოზული პრობლემა დგას — დრო გადის, მის მემკვიდრეს, პრინც ნარუჰიტოს კი დღემდე არა ჰყავს შვილები. პრინცის მეუღლეს, მომხიბლავ პრინცესა მასაკოს დიდი ხანი არ არის, რაც 35 წელი შეუსრულდა.

ნარუჰიტომ დიპლომატ მასაკოს ქალიშვილი ჯერ კიდევ 80-იან წლებში გაიცნო. მასაკომ მოხიბლა ტახტის მემკვიდრე. მან იმპერატორის ოჯახში შესვლისთანავე აითვისა სამეფო კარის ეტიკეტი. მილებებზე იგი ქმარს სამი ნაბიჯის მოშორებით მორჩილად მიჰყვებოდა.

არაოფიციალურ გარემოში ნარუჰიტო და მასაკო სავსებით თანამედროვე წყვილია, რომელიც იაპონელთა დიდ სიმპათიას იმსახურებს.

მემკვიდრის უყოლობამ, შესაძლოა, პრინცის ბედნიერი ოჯახი დაანგრიოს. ძველი იაპონური ტრადიცია ხომ ბერწი ცოლის მოცილებას და იძულებით თვითმკვლელობასაც კი მოითხოვს! იმპერატორის დინასტია არ უნდა შეწყდეს და ამას სიყვარულმაც კი არ უნდა შეუშალოს ხელი. ამიტომ პრინცესასთვის ძალზე მნიშვნელოვანია ქვეშევრდომთა სიყვარული და მხარდაჭერა, განსაკუთრებით, ახალგაზრდობისა. მას იმედი აქვს, რომ საზოგადოებრივი აზრი ნებას არ მისცემს ტრადიციების მომხრეთ, დასაჯონ იგი უნაყოფობისთვის.

*ოტდოხნი №19*

## ასოციაცია



**თარაზულად:** 5. ერბო, პური; 6. ოთარ გაბელია, ბარტეზი; 9. კალინინი, მთაწმინდის რაიონი; 10. ბენდელიანი, „ზაპოროჟეცი"; 11. გაზეთი, რუბრიკა; 12. ნინო ანანიაშვილი, „ჟიზელი"; 13. ჭყვიში, ალორძინება; 16. ჰიტლერი, „ადიდასი"; 17. ლეონარდო დი კაპრიო, კატასტროფა; 18. ფიროსმანი, პიკასო; 20. „წითელი და შავი", ბეილი; 23. ლეონიდ კუჩმა, კიევი; 25. თალგამი, გოჭი; 27. ჩაქაფული, ელდარის საძოვრები; 29. კურკა, ზაფხული; 30. წითელი მოედანი, კურანტი; 31. ნანგი, ტირილი; 32. ყურძენი, შემოდგომა.

**შვეულად:** 1. კონახური, ირისი; 2. ცომი, საფუარი; 3. მოცხარი, კუნელი; 4. თიხა, სახლი; 7. ვარდი. ფურისულა; 8. ცხრა აპრილი, გაფიცვა; 14. თბილისის „დინამო", ჩოგბურთი; 15. ნუცა, გაკვეთილი; 19. „მუდამ „კოკა-კოლა", „დაემორჩილე წყურვილის გრძნობას"; 21. გემი, ნავთობი; 22. ბანქო, მაუდი; 24. მინდორი, ნარკოტიკი; 26. მულატი, მეტისი; 28. ტოგა, პერანგი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. ციცერონი; 6. ბალერინა; 9. პიზა; 10. კირკოროვი; 11. იაქე; 13. აიათოლა; 17. ნობელი; 19. დისნეი; 20. სპორტი; 21. ტუნდრა; 25. ელენე; 26. აკორდი; 27. ირტიში; 28. ნიქოზია; 30. ფარი; 32. გამზრდელი; 33. ბაია; 34. ლიანდაგი; 35. აისბერგი.

**შვეულად:** 1. აცრა; 2. გორილა; 3. ოლივია; 4. ტირი; 5. ცაიტნოტი; 7. არქიმედე; 8. პორთოსი; 12. კელაპტარი; 14. ინგლისელი; 15. ლეონტიევი; 16. ასპირანტი; 18. იკარუსი; 19. დიონისი; 22. შოკოლადი; 23. მეკობრე; 24. მუშტაიდი; 28. ნანგი; 29. ატლასი; 31. იენა; 33. ბერი.

# თემურ ვანსკი აბანოში დაიჭირეს

მოსკოვის მილიციამ დააკავა ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი კანონიერი ქურდი თემურ გაბუნია (თემურ ვანსკი). ვიაჩესლავ ივანკოვის (იაპონჩიკის) მეგობარს — თემურ ვანსკის იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვაში ადანაშაულებენ. 18 წლისა იყო გაბუნია, როცა მანქანის ქურდობისათვის პირველად დააპატიმრეს, მაშინ 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 1974 წელს, ციხიდან გამოსვლისთანავე ძარცვისთვის კვლავ ციხეში შეაბრუნეს, ამჯერად 6 წლით. 2 წელზე მეტი არ მჯდარა, თუმცა არც თავისუფლებით დამტკბარა დიდხანს, მეგობართან ერთად საშინელი სისასტიკით სცემა მილიციელი და 12 წელი მიუსაჯეს.



თემურ ვანსკი იმ დროისათვის უკვე კანონიერ ქურდად იყო აღიარებული და სასჯელს ირკუტსკის მახლობლად, სიმკაცრით განთქმულ კოლონიაში იხდიდა. მასთან ერთად იხდნენ იაპონჩიკი და არანაკლებ ავტორიტეტიანი ქურდი, ამჟამად გარდაცვლილი სერგეი ბოიცოვი (ბოეცი). ისინი ძალიან დამეგობრდნენ, რამაც კიდევ უფრო გაზარდა თემურ ვანსკის ავტორიტეტი კრიმინალურ სამყაროში.

ციხიდან ვადაზე ადრე გამოსული გაბუნია საქართველოში არ დაბრუნებულა, ჯერ მოსკოვის მახლობლად ლიუბერცში დასახლდა, მერე ქალაქ ჩეხოვში გადავიდა.

მილიციის ინფორმაციით, გაბუნიამ ცხოვრების წესი შეიცვალა და ბიზნესში ჩაება. კომერციულ სტრუქტურებს აკონტროლებდა, ბანდიტთა დაჯგუფებებს საქმეებსაც ურჩევდა. ახლახან ჩეხოვის რაიონის სოფელ კრიუკოვოში აგარაკის მშენებლობა დაიწყო. პოლიტიკური საქმიანობაც წამოიწყო, საოლქო და ადგილობრივ დეპუტატებად თავისი ხალხის გაყვანა მოინდომა. საჭირო კანდიდატების „კრიშის" უზრუნველსაყოფად, გაბუნიამ ავტორიტეტი გამოიყენა და არჩევნებზე დასასწრებად ირკუტსკის დაჯგუფების წევრები მოიწვია. ოპერატიული მუშაკებიც თავის მხრივ გააქტიურდნენ. მოწოდებული ინფორმაცია ადასტურებდა, რომ გაბუნიას მშენებარე აგარაკზე იარაღი და ნარკოტიკები ჰქონდა შენახული. მილიციისთვის არც აბანოში მყოფ გაბუნიას (აგარაკის მშენებლობის დროს ეზოში მდგარ აბანოში ცხოვრობდა) და არც მის ნათესავს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. აგარაკზე იპოვეს კალაშნიკოვის უნომრო ავტომატი, ტყვიები, ორი დანა, ნარკოტიკები.

გაბუნიამ მაშინვე განაცხადა — ნარკოტიკები და ავტომატი შემომიგდესო. თუმცა არც მილიციელების გამოჩენას აუღელვებია მაინცდამაინც, მზად ვარ მორიგი პატიმრობისათვისო, განაცხადა.

*კომერსანტი №88*

# თავდასხმა ბრეჟნევზე



კოსმონავტ გიორგი ბერეგოვოის საოცარი მსგავსება ლეონიდ ბრეჟნევთან კინაღამ ტრაგედიად ექცა. თავდასხმა, შესაძლოა, სულ არ მომხდარიყო, რომ არა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. სუკ-ის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. კ. ცვიგუნმა დაშიფრული დეპეშა მიიღო ლენინგრადიდან. იტყობინებოდნენ, რომ „ლენინგრადის ოლქის ქ. ლომონოსოვიდან გაქრა უმცროსი ლეიტენანტი ვიქტორ ილინი. იგი შეიარაღებულია „მაკაროვის" ტიპის ორი პისტოლეტითა და 4 მჭიდით. ნაპოვნია მისი დღიური, რომელშიც ციტირებულია აბრაამ ლინკოლნის მკვლელის სიტყვები. შესაძლოა, მას მთავრობის წევრებზე თავდასხმა ჰქონდეს განზრახული".

1969 წლის 22 იანვარს მილიონობით საბჭოთა მოქალაქე უყურებდა ტელევიზიით კოსმონავტებთან საზეიმო შეხვედრის ცერემონიალის ტრანსლაციას. „ვნუკოვო-2"-ის აეროპორტიდან წამოსული მთავრობის მანქანების კორტეჟი უკვე უახლოვდებოდა ბოროვიცკის ალაყაფს... უეცრად გადაცემა შეწყდა... და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ განახლდა. ეკრანზე ჩანდა პოდგორნი..., რომელიც ჯილდოებს გადასცემდა კოსმონავტებს. მოსკოვში გავრცელდა ჭორი, ბრეჟნევი მოკლესო.

...როდესაც მთავრობის კორტეჟი მიუახლოვდა ბოროვიცკის შესასვლელს, მილიციელთა მწკრივიდან გამოვარდა მილიციელი, გაატარა პირველი მანქანა და სროლა აუტეხა მეორეს. ერთი ტყვია მოტოციკლისტს მოხვდა ბეჭში, მან მოაბრუნა მოტოციკლი, დაეტაკა თავდამსხმელს და წააქცია. როცა მიხვდა, რომ მეორე მანქანაში არ ისხდნენ ბრეჟნევი, კოსიგინი და პოდგორნი (ტყვიები მათთვის ჰქონდა განკუთვნილი), მკვლელმა გონი დაკარგა. მანქანაში კი, რომელსაც თავს დაესხნენ, ისხდნენ ბერეგოვოი (იგი ძალიან ჰგავდა ბრეჟნევს), ნიკოლაევი და ტერეშკოვა. ნიკოლაევს ტყვია მხარში მოხვდა, მაგრამ არ დაიბნა, გამოსტაცა საჭე მძღოლს და მანქანა გვერდზე მიაყენა.

დაიწყო გამოძიება. ილინმა ყველაფერი აღიარა. იმ წლებში სახელმწიფო უშიშროების თავმჯდომარე ი. ანდროპოვი იყო. ბრეჟნევმა მას მოადგილედ სემიონ ცვიგუნი დაუნიშნა (იგი ბრეჟნევთან ერთად მუშაობდა მოლდავეთში და ნათესავიც იყო — მისი ქვისლი გახლდათ). ანდროპოვი ცვიგუნს ცუდად ექცეოდა, გრძნობდა, ამ უკანასკნელს მეტი გამოცდილება ჰქონდა სუკ-ში მუშაობისა.

ლენინგრადიდან ჩამოსვლის შემდეგ ილინი თავის ბიძას, ყოფილ მილიციელს ეწვია და უთხრა, რომ სურს დაესწროს კოსმონავტების ჩამოსვლას, ასეთი შემთხვევა ხომ ყოველთვის არ ეძლევა ადამიანს, თან სთხოვა, შენი ფორმა, რომ გეთხოვებინა, უფრო ახლოს მივიდოდიო... ბიძამ უარი უთხრა... დილით ილინი მილიციელის ფორმიანად გაქრა. როცა ბრეჟნევი, კოსიგინი და პოდგორნი სამთავრობო მანქანაში სხდებოდნენ, გაისმა სატელეფონო ზარი — ცვიგუნმა გააფრთხილა ბრეჟნევი — მისი მანქანა „მესამე" უნდა ყოფილიყო; ცვიგუნი არ ჩქარობდა ილინის სურათების გავრცელებას, რათა ანდროპოვი „ჩაეშვა". მან მართლაც ვერ მოასწრო საჭირო ზომების მიღება, თუმცა, ბრეჟნევს კი დაურეკა, სასწრაფოდ შეცვალეთ ადგილი მანქანების კორტეჟშიო. ბრეჟნევმა ხუმრობით უთხრა კოსიგინსა და პოდგორნის — ჩვენ ხომ არ გვხვდებიან, კოსმოვტებთან არის შეხვედრაო, შემდეგ კი მძღოლს უბრძანა, — ჩვენ ბოლოში უნდა მოვექცეთო.

როცა სროლა შეწყდა, სამეულის მანქანა გაქანდა წინ და „სასწრაფო დახმარების" მანქანას შეასკდა. ბრეჟნევი წინ გადავარდა და წარბი გაიხეთქა. აი, რატომ გადასცა ჯილდოები კოსმონავტებს პოდგორნიმ.

**P.S.** ყოველივე ამის გაგება შესაძლებელი გახდა 30 წლის შემდეგ, როცა საიდუმლო საბუთები გაიხსნა.

*ოჩნაია სტავკა №5*

# უკანასკნელი ათწლეულების ყველაზე ცნობილი დაქირავებულები

## რევოლუციის ექსპორტიორი

**ერნესტო ჩე გევარა**. არგენტინელი რევოლუციონერი 1959 წლის კუბის რევოლუციის მონაწილე. 1965 წელს შექმნა სპეციალური ბრიგადა რევოლუციის საექსპორტოდ, მებრძოლებს კუბის რევოლუციურ სამხედრო ძალებში ირჩევდნენ და სპეციალურ ბანაკებში წვრთნიდნენ. ჯგუფი 120 მებრძოლისაგან შედგებოდა. ოპერაციის ჩასატარებელ ადგილებში ისინი შეიარაღებულ ძალთა საშუალებით გადაჰყავდათ. ჯგუფის მომზადებას აფინანსებდნენ კუბა, ეგვიპტე, საბჭოთა კავშირი.



1965 წლის გაზაფხულზე ჩე გევარას მებრძოლებმა ყოფილ ბელგიის კონგოს სამოქალაქო ომში მიიღეს მონაწილეობა. ისინი ამბოხებულთა მხარეზე იბრძოდნენ. კონგოს სამთავრობო ჯარს თეთრკანიანი დაქირავებულები უჭერდნენ მხარს. 1965 წლის დეკემბერში ჩე გევარა მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა მის მებრძოლებს აღარ შეეძლოთ და ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო. ჩე გევარას შემდეგი ოპერაცია ბოლივიაში რევოლუციის მოხდენის მცდელობა იყო. ცუდად მომზადებული მეომრები ზედიზედ მარცხდებოდნენ, ერთ-ერთი ბრძოლის დროს ტყვედ აიყვანეს ჩე გევარა და მეორე დღესვე დახვრიტეს.

## მწერალი-მკვლელი

**მაიკლ ჰორი**, მეტსახელად ცოფიანი მაიკი. წარმოშობით ირლანდიელი, ბრიტანეთის ავიასადესანტო სამსახურის გადამდგარი პოლკოვნიკი. 1960 წელს შექმნა დაქირავებულთა ჯგუფი „კომანდო-9". ძირითადად, ცენტრალურსა და სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში მოქმედებდა ბობ დინარის ჯგუფთან ერთად (ამჟამად პარიზში მიმდინარეობს 70 წლის ბ. დინარის სასამართლო). მას ბრალად ედება კომორის კუნძულების პრეზიდენტის ა. აბდალას მკვლელობა. „კომანდო-9"-ის ჯგუფში 200-მდე მებრძოლი შედიოდა. ჰორი მებრძოლებს ბრიტანეთისა და სამხრეთ აფრიკის სპეცსამსახურების ვეტერანებიდან ირჩევდა. მომზადებას ჰორის ბანაკებში გადიოდნენ, აშშ და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა აფინანსებდათ.

ცოფიანი მაიკი მონაწილეობდა კონგოს (ზაირი), ნამიბიის, ნიგერიის, უგანდას, მოზამბიკის ოპერაციებში, მადაგასკარისა და სეიშელის კუნძულებზე. მაიკ ჰორი ავტორია ბესტსელერებისა: „გზა კატამატუსაკენ", და „სეიშელის საქმე". ამჟამად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იხდის პატიმრობას, როგორც დაქირავებულთა ჯგუფის ორგანიზატორი.

## უჩინარი ფრონტის მეთაური

**ებენ ბარლოუ**. სამხრეთ აფრიკის სამხედრო ძალთა ელიტარული ქვედანაყოფის გადამდგარი ოფიცერი. მან ნამიბიაში 1989 წელს დააარსა ჯგუფი, რომელიც ითვლებოდა დაქირავებულთა ყველაზე დიდ ჯგუფად მსოფლიოში. ბარლოუს თქმით, მის ბაზაზე ყოველთვის იმყოფებოდა 2 ათასზე მეტი მებრძოლი, რომლებიც მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ. დაქირავებულებს წვრთნიდნენ სამხრეთ აფრიკასა და დიდ ბრიტანეთში. ჯგუფს საკუთარი სამხედრო-საჰაერო ძალები, სატრანსპორტო თვითმფრინავები ბოინგი-727 და „ანდოვერი" ჰყავდა. მათ განკარგულებაში იყო შვეულმფრენები მი-8, მი-17 და მი-24.

მათ პირველ სერიოზულ ოპერაციად იქცა 1991 წლის ანგოლელ ამბოხებულთა ორგანიზაცია „უნიტას" ბოევიკების განდევნა ანგოლის ერთ-ერთი პროვინციიდან. ნავთობის კომპანიების შეკვეთით, 1994 წელს ბარლოუმ კონტრაქტი დადო ანგოლის მთავრობასთან „უნიტას" წინააღმდეგ საბრძოლველად.

1995 წელს ბარლოუმ კონტრაქტი გააფორმა სიერა-ლეონეს მთავრობასთან ადგილობრივ ამბოხებულებთან საბრძოლველად. ებენ ბარლოუს ჯგუფს იწვევდნენ ეთიოპიისა და ზამბიის მთავრობებიც. ოპერაციაში 40-100 მილიონ დოლარს უხდიდნენ. 1997 წელს ებენ ბარლოუს ჯგუფმა არსებობა შეწყვიტა.

## საერთაშორისო სამხედრო კონსულტანტი

**ტიმოთი სპაისერი**. ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალთა საერთაშორისო სამხედრო კონსულტანტი, გადამდგარი პოდპოლკოვნიკი, ფოლკლენდის ომის ვეტერანი სპაისერი მის მიერ ბაჰამის კუნძულებზე რეგისტრირებულ დაქირავებულთა კომპანიის თავკაცი იყო. თავად სპაისერი თავის ორგანიზაციას „საერთაშორისო სამხედრო საკონსულტაციო კომპანიას უწოდებს". სპაისერი მებრძოლებს ბრიტანეთისა და ამერიკის სამხედრო ძალთა ვეტერანებიდან ირჩევს. ჩვეულებრივი იარაღის და სპეცსაშუალებების გარდა, მათ აქვთ რაკეტა „დედამიწა-ჰაერი" და „დედამიწა-დედამიწას" გამშვები სისტემები, აგრეთვე სამხედრო შვეულმფრენები მი-17 და მი-24. სპაისერის დაქირავებულთა ჯგუფი ცნობილი გახდა პაპუა-ახალი გვინეის მოვლენების შემდეგ, როცა ისინი სეპარატისტული მოძრაობის ჩასახშობად გამოიყენეს. პაპუა-გვინეის მთავრობამ ტიმოთი სპაისერის ჯგუფს 36 მილიონი დოლარი გადაუხადა.

*ვლასტი №18*

# სისხლიანი კონვერტით

1947 წელს ისრაელმა დაიწყო „საფოსტო ომი". სიცოცხლისთვის საშიში გახდა წერილებისა და ბანდეროლების გახსნა. პირველი აფეთქება ლონდონში მოხდა. ამბობენ, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრს ანტონი იდენს, პორტფელით რამდენიმე დღე დაჰქონდა ფეთქებადი კონვერტი. აფეთქებებმა შემდგომ გერმანიაში გადაინაცვლა. გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკებში ხომ მილიონობით ებრაელი დაიღუპა...

1962 წ. გფრ-ის კანცლერ ადენაუერსა და ისრაელის პრეზიდენტ ბენ-გურიონს შორის დაიდო საიდუმლო შეთანხმება: „ჩვენი ქვეყნები მტრები კი არა, მოკავშირეები არიან".

„საფოსტო ომის" ახალი აფეთქება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოიწვია პლასტიკატის ასაფეთქებელი ნივთიერების გამოგონებამ. ისევ დაიწყო სერიული აფეთქებები. ამას ხელმძღვანელობდა ისრაელის სპეცსამსახურები და „მოსადის" სადაზვერვო-დივერსიული სამსახური „კიდონი" („ხიშტი"). სახიფათო გახდა, აგრეთვე კავშირგაბმულობის სხვა სფეროც — ტელეფონის ყურმილის აპარატში ათავსებენ თავაკს, რომელიც იწვევს ულტრაბგერის გამოსხივებას. როგორც კი აბონენტი ყურმილს ყურთან მიიტანდა, მავთულის მეორე ბოლოს მყოფი პიროვნება აჭერდა თითს კონტაქტური გამოსხივების ღილაკს და მსხვერპლი უსულოდ ეცემოდა იატაკზე.

1991 წ. „კიდონმა" განიზრახა მადრიდში, ახლო აღმოსავლეთის საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე კონფერენციაზე ჩასული აშშ-ის პრეზიდენტ ბუშის მოკვლა და ამ აქციის „არაბი ტერორისტებისათვის" გადაბრალება. ცნობილია, რომ ისრაელის ისტებლიშმენტს, მიუხედავად გაეროს მიერ მიღებული უამრავი რეზოლუციისა, იმის გაგონებაც კი არ სურს, რომ შეიქმნას პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბუშის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი „კიდონმა" ამერიკული სპეცსამსახურების ჩარევის წყალობით ვერ განახორციელა. 70-იან წლებში, ისრაელის სპეცსამსახურებმა მოახერხეს, რომ პრეზიდენტი ნიქსონი სწორედ მაშინ გადამდგარიყო, როცა იგი შეეცადა ჟენევაში პალესტინის პრობლემაზე მოლაპარაკება დაეწყო.

ისრაელის ტოტალური ტერორიზმი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ისლამური ორგანიზაციების წინააღმდეგ მხოლოდ კავშირგაბმულობით როდი შემოიფარგლა... 70-იან წლებში ისრაელელებმა ლიბანში მიმოფანტეს ასაფეთქებელი ნივთიერებით დამუხტული სათამაშოები, რის გამოც უამრავი ბავშვი დაიღუპა. იყენებდნენ აგრეთვე, მინი-ხაფანგებსაც.

1997 წლის სექტემბერში, ყალბი პასპორტებით იორდანიაში ჩასულმა „მოსადის" აგენტებმა სცადეს მოეწამლათ პალესტინის სამხედრო ფრთის ლიდერი ხალედ მაშალი და ყურში საწამლავი შეუშხაპუნეს. იორდანიის მეფეს ჰუსეინს ისრაელის მთავრობისთვის ბოდიშის მოხდა დასჭირდა. „მოსადის" დირექტორი დენი იაატომი იძულებული გახდა, ეღიარებინა დანაშაული და სკანდალიც მიაჩუმათეს. მიუხედავად ყველაფრისა, არც კი დამდგარა საკითხი იმის შესახებ, რომ „მოსადს" გაეუქმებინა ლაბორატორიები, სადაც საწამლავებს ამზადებდნენ.

როგორ უნდა ვებრძოლოთ მოულოდნელ „საჩუქრებს"? მსხვილი ბანდეროლები, ამანათები და წერილები რენტგენით მოწმდება. ასევე იყენებენ ასაფეთქებელ ნივთიერებებზე დაგეშილ ძაღლებს. განსაკუთრებით დიდი ზომის საეჭვო გზავნილებს ათავსებენ სპეციალურ კამერებში და სხივების საშუალებით ამოწმებენ.

მსოფლიოში იზრდება ტერორიზმის ტალღა და სრულყოფილი ხდება მისგან დაცვის საშუალებებიც, თუმცა გარკვეული რისკი ყოველთვის არსებობს.

*ნოვოსტი რაზვედკი ი კონტრრაზვედკი №9-10*


ფირმა „ბერმუხა"

შეგისრულებთ ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს, როგორც ადგილობრივი, ასევე ბელგიური, გერმანული და იტალიური უმაღლესი ხარისხის მასალებით, ყველაზე იაფად. საგარანტიო სერტიფიკატით. გარანტია 10 წელი. სამუშაოს ვასრულებთ რესპუბლიკის ყველა რაიონში.

მის: წერეთლის გამზ. 55, ბინა 53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

სარეალიზაციოდ გვაქვს უცხოური უმაღლესი ხარისხის საიზოლაციო მასალები



იაფად და ხარისხიანად!

დაგიმზადებთ:

ფარდა-ჟალუზს; ლითონის კარს — 350 ლარი; „გარმოშკას", 1კვ.მ — 80 ლარი; ჟალუზებს, 1კვ.მ — 80 ლარი; ფანჯრის უძრავ გისოსებს, 1კვ.მ — 50 ლარი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს, 1კვ.მ — 250 ლარი; ავტოფარეხს.

მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.

ტელ: 63-67-52; 877-41-87-75

ფირმა «გარანტი-97»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით, საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.



მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის" შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

„მესამე ტაიმი" დამოუკიდებელ ლატარიად გამოდის. ბილეთების შეძენა შეგიძლიათ საგაზეთო ჯიხურებში თბილისსა და საქართველოს რაიონებში *(ლატარიის ტირაჟი იმართება კვირაში ერთხელ. ბილეთები გაყიდვაში გამოდის ყოველ ორშაბათს. მათი მოთავსება „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ იმავე კვირის კვირადღის 13 საათამდე).*

„მესამე ტაიმის" ბილეთის შესავსებად აუცილებელი არ გახლავთ ფეხბურთში კარგად ერკვეოდეთ. თქვენს მიერ გაკეთებული, თუნდაც შემთხვევითი, მაგრამ ზუსტი პროგნოზი მოგებისათვის სრულიად საკმარისია.

## თამაშის წესები იხილეთ ბილეთის უკანა მხარეს

## „მესამე ტაიმში" მოგების რეკორდი ჯერჯერობით 1500 ლარია

№3 გათამაშებაში 10 შედეგის გამოცნობისათვის დაწესებული 3000 ლარი თანაბრად განაწილდა ორ გამარჯვებულზე, ერთი მათგანი თბილისელია, მეორე კი ქუთაისელი. ყველაზე მცირე მოგება კი დაფიქსირდა №4 გათამაშებაში 10 შედეგის გამოცნობისათვის 23-მა ბილეთმა მოიგო 152 ლარი. საინტერესოა, რომ 11 შედეგი ჯერ არავის გამოუცვნია, თუმცა მოსალოდნელია, რომ ნავსი ამ გათამაშებაში გატყდება.

## №7 გათამაშება. საპრიზო ფონდი 4.000-დან 11.000 ლარამდეა

სპორტპროგნოზი

მესამე ტაიმი

ფასი 33 თეთრი

ტირაჟი: №07 000000 ა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 08.06.99 | შესარ. ტურნ. | შვეიცარია | | იტალია |
| 2 | 08.06.99 | შესარ. ტურნ. | უელსი | | დანია |
| 3 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | საბერძნეთი | | ლატვია |
| 4 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | ალბანეთი | | სლოვენია |
| 5 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | მოლდოვა | | ფინეთი |
| 6 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | სომხეთი | | უკრაინა |
| 7 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | რუსეთი | | ისლანდია |
| 8 | 08.06.99 | შესარ. ტურნ. | ბულგარეთი | | ინგლისი |
| 9 | 08.06.99 | შესარ. ტურნ. | უნგრეთი | | სლოვაკეთი |
| 10 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | ესტონეთი | | ლიტვა |
| 11 | 09.06.99 | შესარ. ტურნ. | ჩეხეთი | | შოტლანდია |

№7 გათამაშების ბილეთები „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში შეგიძლიათ მოათავსოთ კვირადღის (6 ივნისის) 13 საათამდე. ყურადღება: „კვირის პალიტრაში" დაბეჭდილი ბილეთის ნიმუში გათამაშებაში არ მონაწილეობს.

## №5 გათამაშების შედეგები

№05 000000 ბ

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1) | 1:2 | 1 | 26.05.99 | ჩ.ლიგა ფინ. | ბაიერნი | 2 | მანჩესტერი |
| 2) | 0:2 | 2 | 29.05.99 | გერ. | მიუნხენგლადბახი | 2 | დორტმუნდი |
| 3) | 6:1 | 3 | 29.05.99 | გერ. | ჰერტა | 1 | ჰამბურგი |
| 4) | 1:2 | 4 | 29.05.99 | გერ. | ნიურნბერგი | 2 | ფრაიბურგი |
| 5) | 0:0 | 5 | 29.05.99 | რუს. | ტორპედო | X | სპარტაკი |
| 6) | 4:1 | 6 | 29.05.99 | რუს. | ლოკომოტივი(მ) | 1 | ალანია |
| 7) | 5:2 | 7 | 29.05.99 | რუს. | როტორი | 1 | ჩერნომორეცი |
| 8) | ? | 8 | 30.05.99 | ესპ. | რეალი(მ) | ? | მალიორკა |
| 9) | 1:4 | 9 | 30.05.99 | ესპ. | ბილბაო | 2 | ბარსელონა |
| 10) | ? | 10 | 30.05.99 | ესპ. | სელტა | ? | ტენერიფე |
| 11) | ? | 11 | 30.05.99 | შესარ. ტურნ. | ნორვეგია | ? | საქართველო |

„მესამე ტაიმის" 5-ე გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 14.855-მა ბილეთმა. შეგახსენებთ, რომ საპრიზო ფონდი შეადგენდა 7.000 ლარს. გაზეთის ბეჭდვის დროს ცნობილი არ იყო სამი მატჩის შედეგი (რეალი- მალიორკა, სელტა-ტენერიფე, ნორვეგია-საქართველო) დარჩენილი 8 წყვილიდან ყველა შედეგი გამოცნობილია **16** ბილეთში, ხოლო 7 შედეგი–**219** ბილეთში. გაზეთის გამოსვლის დროს სამივე ამ მატჩის შედეგი ცნობილი იქნება.

## გათამაშების საბოლოო შედეგები იხილეთ ოთხშაბათის (2 ივნისი) გაზეთ „სიტყვა და საქმეში"

№5 გათამაშების მატჩების უმრავლესობა ლოგიკური შედეგებით დასრულდა (შეგახსენებთ, რომ გაზეთის ბეჭდვის დროს 3 შედეგი უცნობი იყო), ბაიერნისა და მანჩესტერის ფანტასტიკური ფინალი ყველამ ნახა და მასზე ლაპარაკით თავს არ შეგაწყენთ. დორტმუნდისა და ჰერტას გამარჯვებები თითქმის ეჭვს არ იწვევდა, შედარებით ნაკლებად მოსალოდნელი გახლდათ ფრაიბურგის გამარჯვება სტუმრად ნიურნბერგთან და უკვე გაჩემპიონებული ბარსელონას მოგება ბილბაოში. ლოკომოტივი წელს ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე ალანია. მონაწილეთა უმრავლესობამ მოსკოველთა გამარჯვება იწინასწარმეტყველა და არც შემცდარა. ლოგიკური იყო ტორპედო-სპარტაკის ფრეც. აზრები თანაბრად გაიყო ბაიერნი-მანჩესტერისა და ბილბაო-ბარსელონას მატჩების პროგნოზირებისას, ყველაზე მეტი შეცდომა კი ნიურნბერგი-ფრაიბურგის მატჩშია დაშვებული. რაც შეეხება იმ ბარათებს, რომლებსაც 10 და 11 შედეგის გამოცნობის შანსი აქვთ, უმრავლეს მათგანში დარჩენილ შეხვედრებში მასპინძლების, რეალის, სელტასა და ნორვეგიის ნაკრების მოგებებია აღნიშნული.




## „კვირის პალიტრა" დაგეხმარებათ სწორი პროგნოზის გაკეთებაში

### I ჯგუფი

#### 1. შვეიცარია-იტალია

იტალია და შვეიცარია I-II ადგილებს იყოფენ შესაბამისად 10 და 7 ქულით. მათ ამჟამად 4-4 მატჩი აქვთ გამართული, თუმცა იტალია 8 ივნისამდე კიდევ ერთ მატჩს ატარებს შინ უელსის გუნდთან და თუ მოიგო, მეორე ადგილზე მყოფ შვეიცარიას 6 ქულით გაასწრებს. ამ შემთხვევაში მასპინძლებს მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს პირველი ადგილისათვის საბრძოლველად. ამ გუნდების პირველი შეხვედრა იტალიელებმა შინ 2:0 მოიგეს და ალბათ სტუმრადაც ფავორიტად უნდა ჩაითვალონ.

25%-35%-40%

#### 2. უელსი-დანია

დანიის ნაკრები მიმდინარე შესარჩევ ციკლს საკმაოდ სუსტად ატარებს, 4 მატჩიდან მხოლოდ 2 ქულა აქვს და ბოლო ადგილზე იმყოფება. თუმცა ამ მატჩამდე დანიელები 5 ივნისს მასპინძლობენ ბელარუსის გუნდს და ჯერჯერობით უცნობია, რა მდგომარეობა იქნება ჯგუფში 8 ივნისისათვის. რაც შეეხება უელსელებს, მათ ორ მოგებასთან ერთად 2 წაგება აქვთ და პრაქტიკული შანსიც გააჩნიათ მაღალი ადგილისათვის საბრძოლველად. ამ გუნდების პირველი შეხვედრა კოპენჰაგენში სენსაციური შედეგით დასრულდა, უელსმა 2:1 მოიგო. ასე რომ, სტუმრებს რევანშის აღებაც მართებთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ დანია ასე თუ ისე მაინც უფრო მაღალი კლასის გუნდია, ვიდრე უელსი და თანაც სტუმრად თამაშობს, შანსები დაახლოებით თანაბრად უნდა შეფასდეს.

35%-30%-35%

### II ჯგუფი

#### 3. საბერძნეთი-ლატვია

ამ მატჩის პროგნოზის გაკეთება უფრო გაგიადვილდებათ მას შემდეგ, რაც ორივე ეს გუნდი თითო შესარჩევ მატჩს გამართავს 5 ივნისს. მოგეხსენებათ, საბერძნეთი 5-ში თბილისში თამაშობს, ლატვია კი შინ ხვდება სლოვენიას. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ბერძნებს 8 ივნისისათვის უკვე დაკარგულიც ჰქონდეთ პირველი ადგილის დაკავების პრაქტიკული შანსი, რაც ნაკლებად სავარაუდოა. ყველა ვარიანტში ლატვიასთან საშინაო მატჩში ფავორიტად საბერძნეთის ნაკრები უნდა ჩაითვალოს.

60%-20%-20%

#### 4. ალბანეთი-სლოვენია

ამ მატჩამდე ორივე გუნდი თითო მატჩს გამართავს. სლოვენია ლატვიაში თამაშობს, რაც შეეხება ალბანეთს, იგი შინ ხვდება ნორვეგიას. ამ გუნდებს ჯგუფში ყველაზე ნაკლები — 4-4 მატჩი აქვთ ჩატარებული და დაკარგული ქულების მიხედვით შესაბამისად 4 და 3 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს — ნორვეგიის ნაკრებს. ორივე გუნდი თანაბარი კლასისაა და თუ გავითვალისწინებთ, რომ ალბანეთი შინ თამაშობს, მცირე უპირატესობა ალბათ მაინც მასპინძლებს უნდა მიენიჭოს.

40%-30%-30%

### III ჯგუფი

#### 5. მოლდოვა-ფინეთი

მოლდოვას ნაკრები ჯგუფის აუტსაიდერია და როგორც თავიდანვე იყო მოსალოდნელი, მაღალი ადგილის დაკავების არანაირი შანსი არ გააჩნია. 8 ივნისამდე მოლდოვა გერმანიაში თამაშობს და სასწაული უნდა მოხდეს, იქიდან ქულაც რომ წამოიღოს. რაც შეეხება ფინეთის ნაკრებს, ისინი 5 ივნისს უშუალო კონკურენტს — თურქეთის გუნდს მასპინძლობენ და მათი საბრძოლო განწყობა მოლდოვას წინააღმდეგ ბევრად იქნება დამოკიდებული სწორედ ამ თამაშის შედეგზე. თუ ფინელებმა გაიმარჯვეს, საეჭვოა, სტუმრად მოლდოვასაც რომ ვერ მოუგონ.

20%-30%-50%

### IV ჯგუფი

#### 6. სომხეთი-უკრაინა

უკრაინის ნაკრები ფრანგებთან ერთად ჯგუფის ერთ-ერთი უპირველესი ფავორიტია. სტუმრები ამჟამად პირველ-მეორე ადგილს იყოფენ მსოფლიო ჩემპიონებთან აბსოლუტურად თანაბარი მაჩვენებლებით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ მატჩამდე ფრანგებს საკმაოდ რთული მატჩი ელით შინ რუსეთის ნაკრებთან, უკრაინა კი შინ ხვდება ანდორას და, რადგან ბურთების ფარდობას ამ ჯგუფში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს, ეცდება, რაც შეიძლება დიდი ანგარიშით გაანადგუროს. იგივე შეიძლება ითქვას სომხეთთან მატჩზეც, ყველა საფეხბურთო წესისა და კანონის მიხედვით, უკრაინამ სომხეთს უნდა მოუგოს, მით უმეტეს, რომ ქულის დაკარგვა საბოს გუნდისათვის შეიძლება დამღუპველიც აღმოჩნდეს.

10%-15%-75%

#### 7. რუსეთი-ისლანდია

გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ ამ გუნდების პირველი შეხვედრა, როცა ისლანდიამ, ყველასათვის მოულოდნელად, სძლია რუსებს და ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკული შანსიც დააკარგვინა. გარდა ამისა, ისლანდია კიდევ უფრო დიდი სენსაციის ავტორიც შეიქმნა, როცა კიევში ფრედ 1:1 ეთამაშა უკრაინას. ისლანდიელებს ამჟამად 2 მოგება და 3 ფრე აქვთ და ჯერ თამაში არ წაუგიათ. სავარაუდოა, რომ 5 ივნისს შინ სომხებს დაამარცხებენ და რუსეთშიც თავგანწირვით ითამაშებენ. რუსეთის ნაკრებს, იმისათვის რომ კიდევ ჰქონდეს მაღალი ადგილის დაკავების შანსი, ჯერ აუცილებლად მოგება სჭირდება საფრანგეთთან და ეს თუ მოახერხა, ალბათ არც ისლანდიის ძლევა უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ რევანშის აღებაც მართებს. საფრანგეთ-რუსეთის მატჩის შედეგის მიუხედავად, მასპინძლები მაინც უდავო ფავორიტები არიან.

70%-20%-10%

### V ჯგუფი

#### 8. ბულგარეთი-ინგლისი

ამ მატჩამდე ინგლისელები 5 ივნისს შვედებს მასპინძლობენ, ბულგარელები კი სტუმრად ხვდებიან პოლონეთს. ამ ჯგუფში ისეთი მდგომარეობაა შექმნილი, რომ ბულგარელებს თითქმის აღარ დარჩათ პირველობის შანსი, ინგლისელებს კი ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვთ, რადგან 5 ივნისს რომც მოუგონ ლიდერს — შვედეთის ნაკრებს, დაკარგული ქულების მიხედვით მაინც ორი ქულით უკან იქნებიან. ასე რომ, ჯგუფის ფავორიტს — ინგლისის ნაკრებს შესაძლოა ქულების დაკარგვა ევროპის ჩემპიონატის საგზურის დაკარგვის ფასად დაუჯდეს.

20%-20%-60%

### VII ჯგუფი

#### 9. უნგრეთი-სლოვაკეთი

დღეისათვის ორივე ამ გუნდს 5-5 მატჩი და 8-8 ქულა აქვთ. უნგრელები მხოლოდ ბურთების სხვაობით სჯობნიან მეტოქეს. 5 ივნისს უნგრეთსაც და სლოვაკეთსაც ურთულესი გასვლითი მატჩები აქვთ, შესაბამისად, რუმინეთთან და პორტუგალიასთან. საერთოდ, ძალიან საეჭვოა, ან უნგრეთმა, ან სლოვაკეთმა სერიოზული კონკურენცია გაუწიონ რუმინეთსა და პორტუგალიას. მათ უშუალო შეხვედრაში უპირატესობა, ალბათ, მაინც მასპინძლებს უნდა მიენიჭოთ.

50%-30%-20%

### IX ჯგუფი

#### 10. ესტონეთი-ლიტვა

IX შესარჩევი ჯგუფი, სადაც ეს გუნდები თამაშობენ, ალბათ ყველაზე სუსტია სხვა ჯგუფებთან შედარებით. ჩეხეთის ნაკრებს 5 მატჩში ყველა მოგება აქვს და თითქმის განაღდებული აქვს პირველი ადგილი. მეორე ადგილისათვის კი ალბათ შოტლანდიელები და ესტონელები იბრძოლებენ. ესტონეთი საკმაოდ მებრძოლი გუნდია და, თუ გავითვალისწინებთ, რომ სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე მას უფრო სჭირდება გამარჯვება, მეზობელი ლიტვის ძლევა წესით არ უნდა გაუჭირდეს. ისე კი, როგორც არ უნდა მოხდეს, ალბათ მაინც შოტლანდია დაიკავებს მეორე ადგილს, მით უმეტეს, რომ ბრიტანელებს სამი ქულით ნაკლები აქვთ დაკარგული ესტონელებთან და ბოსნიელებთან შედარებით.

50%-30%-20%

#### 11. ჩეხეთი-შოტლანდია

ალბათ გახსოვთ ამ გუნდების პირველი შეხვედრა, რომელიც ჩეხებმა სტუმრად 2:1 მოიგეს. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ფრე ორივე გუნდს ხელს აძლევს, რადგან ძალიან საეჭვოა „სკოტებმა" ჩეხებთან" 8 ქულიანი სხვაობა, გააბათილონ. პირველი შეხვედრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ფავორიტად მასპინძლები უნდა ჩაითვალონ, თუმცა შოტლანდიელები სტუმრად ტრადიციულად ძლიერად თამაშობენ, და არც სათამაშო კლასით ჩამოუვარდებიან ბევრად ჩეხებს.

35%-40%-25%

## №21 (138) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 524 მკითხველი გამოეხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 187-მა ქალმა და 325-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რის წარმავლობას (დაკარგვას) განვიცდით ადამიანები ყველაზე მტკივნეულად?"**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ადამიანები ყველაზე მეტად ჯანმრთელობის დაკარგვას ვერ ეგუებიან. „ჯანმრთელობა" 7,16 საშუალო ქულით პირველ ადგილზეა. მკითხველთა 54%-მა დაუწერა მას მაქსიმალური — 8 ქულა, მინიმალური კი — მხოლოდ 1%-მა. რესპონდენტთა 34%-ის აზრით კი, ყველაზე მტკივნეულად ახალგაზრდობის წლების წარმავლობას განვიცდით. 6,34 საშუალო ქულით „ახალგაზრდობა" მეორე ადგილზეა. სიყვარულის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, ჯანმრთელობასა და ახალგაზრდობასთან ერთად, სიყვარული ძალიან სჭირდებათ ადამიანებს, სჭირდებათ თუნდაც იმიტომ, რომ ერთმანეთს ცხოვრება გაუადვილონ და მარტონი არ დარჩნენ ამ ქვეყანაზე. ამიტომაც მის დაკარგვას მეტად მტკივნეულად განიცდიან ისინი. 5,00 საშუალო ქულით „სიყვარული" მესამე ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, თუ ზემოთ ჩამოთვლილი „ღირსებანი" სრულად გაგაჩნია, მატერიალური კეთილდღეობის წარმავლობას შედარებით იოლად გადაიტანს კაცი.

ძალაუფლების, ავტორიტეტისა და პოპულარობის დაკარგვასაც, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლებმტკივნეულად მიიღებენ ჩვენი მკითხველები. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა „პოპულარობამ" დაიმსახურა (36%) და 2,44 საშუალო ქულით რეიტინგში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

ეს მხოლოდ რესპონდენტთა განზოგადებული აზრია. აქ ჩამოთვლილ ფასეულობათა შორის, როგორც ვნახეთ, ჯანმრთელობა ყველაზე უფრო ძვირფასია მათთვის. მაგრამ, საინტერესოა, როგორი იქნება ღირებულებათა შკალა ძალაუფლებადაკარგული მეფისათვის ან მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანისათვის, ქონება რომ დაკარგოს?




საპრიზოს ზუსტად დაემთხვა ორი ბარათი-რეიტინგი. ჩვენი გამარჯვებულები არიან: 35 წლის **ვლადიმერ ფოფხაძე** და 37 წლის **პაატა ბაკურაძე** (ორივე თბილისიდან).

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 1 ივნისს, 17 საათზე.

## №22 (139) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ უპასუხოთ „დამატებით კითხვას"

№22 (139) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ სამშაბათის, 1 ივნისის 17 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 3 ივნისის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №22 (139)

თვის მოვლენა

თქვენი აზრით, მაისში რომელი მოვლენა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოში (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

№22(139) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| № | მოვლენა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | თამარ მეფის ძეგლის გახსნა ახალციხეში | |
| 2 | სკანდალი საბაჟოზე | |
| 3 | სავალუტო ფონდის მისიის სტუმრობა | |
| 4 | არშემდგარი ტერაქტი | |
| 5 | მერაბ კოსტავას ბიუსტის გახსნა | |
| 6 | «სოციალისტების» სარჩელი | |
| 7 | თენგიზ კიტოვანის შეწყალება | |
| 8 | ზოგი თოფაძე-მამუკა ხაზარაძის დაპირისპირება | |

დამატებითი კითხვა

**მიგაჩნიათ თუ არა იგორ გიორგაძე მაისის არშემდგარი ტერაქტის ავტორად?**

| დიახ | არა | არ ვიცი |
|---|---|---|
| | | |

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

## დამატებითი კითხვის შედეგები *

„დამატებით კითხვას" 486-მა მკითხველმა უპასუხა. კითხვა ასეთი იყო: **„წინასაარჩევნო პერიოდში მასმედია უმეტესად იქნება: ობიექტური (თავისუფალი), თუ არაობიექტური (გამოხატავს გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა ინტერესებს)?"**

ამ კითხვაზე მკითხველთა 28%-მა ვერ შეძლო დაეფიქსირებინა განსაზღვრული პასუხი. რესპონდენტთა 31%-ის აზრით, მასმედია ობიექტური იქნება — ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლისაგან თავისუფალი; მკითხველთა 41%-ის აზრით კი, მასმედია უმეტესად იქნება არაობიექტური და გამოხატავს გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა ინტერესებს.

ზოგიერთი მკითხველი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებები აუცილებლად მმართველი პარტიის ინტერესების გამომხატველად მოგვევლინება, თავისუფალი კი ობიექტური იქნება.

**P.S.** ერთ-ერთმა მკითხველმა განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ყველაზე ობიექტური „კვირის პალიტრა" იქნება. დიდი მადლობა მას.




## · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)



დავით სალარიძე და კახა თარგამაძე

გ. აბდალაძის ფოტო საქ. კორ.



ვაჟა ლორთქიფანიძე

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას" 179 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**ვ.ლ.** — ვაიმე, მგონი სიბრძნის კბილი ამომდის. ისე, ამ ბოლო დროს ჭკუის მატებასაც ვგრძნობ და, თუ გამიგეს, მოქკავშირიდან ნაღდად გამრიცხავენ.

***რამაზ შალამბერიძე, თბილისი***

**ვ.ლ.** — აბა რა ვქნა, თუ დიდი ლუკმები არ ჩავყლაპე, ცოტა ხანში შესაჭმელიც არაფერი დარჩება.

***ნ. ბარათაშვილი, თბილისი***

კადრი ფილმიდან „მუმუ" (თანამედროვე ვარიანტი). გერასიმის როლში ვ. ლორთქიფანიძე. (კინოსტუდია „მოსფილმი").

***მამუკა ჩხიროძე, სამტრედია***

**ვ.ლ.** — როგორ მოვიქცე?! მეორე ლოყაც მივუშვირო ამ პირუტყვს, თუ რჩეულიშვილისეული ილეთი ჩავუტარო?!

***რატი ზაუტაშვილი, გორი***

ოჰ, ისევ სომხური ბორჯომი, ისევ ზურას ოინებია.

***დათო კალანდია, წალენჯიხა***

სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსე.

***ბუბუკა, თბილისი***

„ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების"

(შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანი")

***ზაზა ყოლბაია, „პოლ. აკადემია"***

**ვ.ლ.** მომავალ „ფოტო-პალიტრაში" ჟვანია იქნება, ღმერთო ჩემო, რა დავარქვა?

***ა.ე. რუსელი***

რა გავაკეთო, მეც აღარ ვიცი. ვიტყვი თუ არა „მოქალაქეთა კავშირს" ხმამაღლა, გულისრევა მეწყება. ეს რომ ბაბუმ გაიგოს, ხომ დავილუპე? ე, კიდო! ვახსენე და...

***სოფიკო გოგოლაძე, ნათია ტაბატაძე, სურამი, ხაშური***

„ვაიმე, ჩემო ტანია და
ვაიმე, ჩემო გალია,
მე და თქვენი დაშორება
შევარდნაძის ბრალია..."

(სიმღერიდან „ტანია და გალია".)

***მამუკა კობახიძე, ზესტაფონი***

ერისა და ქვეყნის ბევრი
საიდუმლო ვიცი,
ფრთხილად ვიყო,
ფრთხილად ვიყო,
არ გავტეხო ფიცი.

***თემურ თურმანიძე, ბათუმი***

**ვ.ლ.** (კოლეგებს) — დაურიგეთ ამ ხალხს პენსიები და ხელფასები, თორემ მდუმარე საპროტესტო აქცია ხომ გამოვაცხადე, მალე პირსაც ამოვიკერავ და გეყოლებათ მერე პირამოკერილი პრემიერ-მინისტრი.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***



ჩვენი პლანეტის ულამაზეს ქალად წელს ჟიურიმ 19 წლის აფრიკელი მპულე კველაგოში დაასახელა. ახალმა მშვენებამ თავისი თავი „ამბიციურ და რისკიან“ ქალად მოიხსენია და ფიქრობს, რომ მისი ტიტული ბოსტვანას (მისი სამშობლო) ბედს შეცვლის — მე ფანჯარა გავუჭერი მას მთელი მსოფლიოსკენო.

***



ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ უყვარს ინგლისის დედა-დედოფალს თავსაბურავები. მისი ბრწყინვალება გაღვიძებისთანავე ქუდს იხურავს. შემდეგ, დღის განმავლობაში 5-6-ჯერ იცვლის ქუდებს, ხოლო ძილის წინ ბატისტის მაქმანებიან საბურავს ირგებს.

ჰოლივუდის კინემატოგრაფისტებმა გადაწყვიტეს დედა-დედოფალზე კლიპის გადაღება. მათ სამი კანდიდატურა ჰყავთ — ჯულია რობერტსი, მერილ სტრიპი და გვინეთ პელთროუ.

## ფოტო განწყობისთვის



**ვგავართ ახლა ჩვენ რუსებს?**

### იცით თუ არა, რომ

❖ ფორთოხლის წვენი უნდა მიიღოთ მხოლოდ და მხოლოდ ჭამის შემდეგ და არა წინ. ჭამის შემდეგ მიღებული წვენი ხელს უწყობს საჭმლის მონელებას.

❖ თუ თქვენი სამზარეულოსათვის ნარინჯისფერ ნივთებს შეიძენთ: სუფრას, ფარდებს, წინსაფარს... ნაკლებად დაიღლებით, ამტკიცებენ ფრანგი მედიკოსები.

❖ გერმანელი მედიკოსები წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ ერთსა და იმავე დროს წვებოდეთ დასაძინებლად. დროდადრო უყურეთ ფილმებს ტელევიზორში, იარეთ სტუმრად ან თავად მიიწვიეთ ისინი შინ, — გვირჩევენ ისინი.

## „კვირის პალიტრის“ მკითხველის საყვარელი სიმღერა

კომპანია „რადიო საქართველო“, რადიოსადგურები „ფორტუნა“ და „ერა“ ატარებენ XX საუკუნის ქართული სიმღერის ფესტივალს, რომელიც 23 ივნისამდე გასტანს.

„კვირის პალიტრა“ უერთდება ქართული სიმღერის ფესტივალს და აწესებს პრიზს — საყვარელი სიმღერის შემსრულებლისთვის... საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგს ამ თემაზე უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

კვირის პალიტრის უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).
**„კვირის პალიტრაში“** კი, ქვეყნდება მხოლოდ **ფასიანი განცხადების ქვითრით** შემოსული განცხადებები, **რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).**

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება ყოველ სამშაბათს 17 საათზე, ხუთშაბათსა და კვირას, 13 საათზე. მათი განთავსების ადგილებია —* ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ*: მეტროების – „მარჯანიშვილი“; „ვაგზლის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ღრმაღელე“; „ნაძალადევი“; „ახმეტელი“; „ავლაბარი“, „300 არაგველი“, „ვარკეთილი“; „სამედიცინო ინსტიტუტი“, „პოლიტექნიკური“, „ისანი“; „სამგორი“; „გოცირიძე“; – მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე – იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში – გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 – სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ – ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში – მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში – კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში – გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქუთაისში:** 1) თამარ მეფის ქ. უნივერსიტეტი; 2) კინო „საქართველო“ წერეთლის ქ.; 3) ჯაჭვის ხიდის ავტოსადგური; 4) ბაზრის წინ; 5) კულტურის სახლის წინ; 6) ნინოშვილის ქ. ბაღში; 7) ნიკეას ქ. ბირჟა; 8) ავტოსადგური, კეჩის ბაზარი; 9) ავტოქარხანა; 10) ავტოქარხნის ბაზარი; 11) უნივერსამი; 12) რკინიგზის სადგური. (განცხადებები მიიღება ტელეფონითაც 4-34-36)*

***რუსთავში:** 1) ქაშაკაშვილის ქუჩა; 2) შარტავას გამზ. 14/2; 3) მე-16 მ/რ ე.წ. სტამბულის ბაზრის წინ.*

***ქალაქებში:** რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი (სტამბასთან), წნორი (ბაზრის შესასვლელთან) ლაგოდეხი (წიგნების მაღაზიასთან), ყვარელი, გურჯაანი (კინოთეატრთან), თელავი (სამხატვრო სკოლასთან) — **არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება სამშაბათობით, 17 საათიდან.***

**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ: „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ (ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ) ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ (ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ) ᲧᲣᲗᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲗ.©**

(22) **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*
*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

PS. №22 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 3 ივნისის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

# კროსვორდი



**თარაზულად:** 3. პატარა ფიცრული სავაჭრო; 5. ქალაქი ლიტვაში; 7. ლაბორატორიული ჭურჭელი; 8. ქართველი მღვდელი — თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირი (XVI-XVIIIს.); 12. სოფელი-კურორტი სოხუმის მახლობლად; 13. გამოტოვებული სიტყვა პოპულარული ლექსის ფრაგმენტში: „რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ და იმ... დღეს გაუმარჯოს, როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!“ 14. ქართული საესტრადო ანსამბლი; 15. მცირე, უმნიშვნელო; 22. ძველად გამოყენებული ფულადი ლითონი; 23. ავადმყოფობის შებრუნება; 24. მომხრე ამყოლი (ცუდ საქმეში); 25. დაბა საქართველოს სამხრეთ მთიანეთში; 26. მოწყობილობა ცხენის სამართავად; 28. მოფარებული, უქარო (ადგილი); 29. სასულიერო პირი; 30. ფუჭი ოცნება; 32. მდგომარეობა ბურთით შეჯიბრებაში, როცა ბურთი გადის სათამაშო მოედნიდან ხაზს გარეთ; 34. საპატიო პირი, თავკაცი სპარსეთის შაჰის კარზე; 36. ისტორიული მხარე შუა საუკუნეების საქართველოში (ჩრდ. კავკასიაში), რომელსაც XIII საუკუნიდან თანდათან იკავებდა მონღოლთაგან ლტოლვილი ოსური მოსახლეობა; 37. წინათ; 41. გეომეტრიული სხეული; 42. გერმანიის ერთ-ერთი უმსხვილესი და უძველესი (დაარსდა 1911წ.) სამრეწველო მონოპოლიის დამაარსებლის გვარი; 43. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 44. ზედა და ქვედა ყბა ერთად; 45. ბიბლიური პერსონაჟი.

**შვეულად:** 1. მარჯვე, აუცდენლად მსროლელი; 2. მხარე საქართველოს მთიანეთში; 4. ავსტრალიელი კოვბოების დღესასწაული, მრავალფეროვანი პროგრამით შედგენილი; 6. ცხოველი; 8. საქართველოს მთიანეთში ძველად გავრცელებული მამაკაცის სახელი; 9. ჰაერცვლა სათავსებში; 10. ყველაზე ხელსაყრელი; 11. ზედაპირი შუქურ გამოსახულებათა მისაღებად; 16. რკალი ცაზე; 17. ჩუმი, ეშმაკი; 18. ოპერაში მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი; 19. პატიოსანი, მართალი (სასაუბრო სიტყვა); 20. უსამართლო შეთანხმება ერთი ქვეყნის მიერ მეორისთვის თავს მოხვეული; 21. მიწის ნაკვეთი, სახნავ-სათესად გამოყენებული; 27. არაჩვეულებრივი, შეუდარებელი; 28. ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდება; 29. პირადი მტკიცებულება; 31. ვარსკვლავთმისანი; 33. ხუროთმოძღვრული ძეგლი დავით გარეჯის კომპლექსში; 35. შეუპოვარი, მოურიდებელი; 38. ქვეყანა, რომლის საზღვართან ჯომოლუნგმაა — დედამიწის უმაღლესი მწვერვალი; 39. რთული სიტყვის ნაწილი, რომელიც აღნიშნავს გონებასთან კავშირს; 40. ფრინველი; 41. ხის მოზრდილი, სინისმაგვარი ჭურჭელი.

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 7. ნოსტალგია; 9. მარგარინი; 11. კაიუტა; 12. ექსტრემიზმი; 16. ულუმბა; 17. ბურვაკი; 23. პეპელა; 24. ზნეობა; 26. ქალთამზე; 29. ანომალია; 31. ნუნა; 32. კონტინგენტი; 33. ისლი; 34. ბერნი; 35. კვოტა; 37. სექსოლოგია; 38. ტექსტოლითი; 43. ანიონი; 44. კომუნა; 45. ჟინი; 47. ალყა.

**შვეულად:** 1. ლეონტიევი; 2. არგუმენტი; 3. მერიდიანი; 4. ბენჟამენი; 5. შანდალი; 6. მარწუხი; 8. ტუხტი; 10. რუბლი; 13. საბძელი; 14. ეკვივალენტი; 15. ზვიგენი; 18. კათალიკოსი; 19. სპაზმი; 20. საუნჯე; 21. კრიმანჭული; 22. სალათა; 25. შალითა; 26. ქურა; 27. კომუნიკე; 28. მტკაველი; 30. ალვა; 34. ბლოხინი; 36. ატამანი; 39. ძია; 40. ყორანი; 41. ომბალო; 42. სულ; 46. ია; 48. ყე.

***



მეგობარი ქალები:
— მოგწონს ჩემი ახალი ქუდი?
— ძალიან... მთელ სახეს გიფარავს...

***



პატარა დრაკონი ცრემლად იღვრება.
— რა გჭირს?
— ობოლი ვარ. დედაც შევჭამე და მამაც...

***



— ბრალდებულო, თქვენ აფერისტობაში გედებათ ბრალი. თქვენ ხალხს მიჰყიდეთ ვითომდა მარადიული ახალგაზრდობისა და უკვდავების ელექსირი. ადრე თუ გვიან ყოფილხართ გასამართლებული?
— დიახ, თქვენო აღმატებულებავ: 1351, 1637, 1876 და 1909 წლებში.

***

— რა იყო XX საუკუნის ყველაზე დიდი ტრაგედია?
— ის, რომ ჩაიძირა „ტიტანიკი“ და არა „ავრორა“...

***



სამრეცხაოში:
— რას გავს ეს? — ჩხუბობს კლიენტი.
— მშვენივრად გარეცხილ მაქმანებს, — პასუხობენ მშვიდად.
— მაგაშია საქმე... ეს კი ზეწრები იყო.

**არ გამოგრჩეთ!**
ყოველ ხუთშაბათს
ახალი გასართობი
გაზეთი
ᲙARUSELI
KARUSELI
**კროსვორდებით,**
კურიოზებით,
ტესტებით,
გამოცანებით,
რებუსებით,
და სხვა მრავალი გასართობით.
ყოველ ნომერში თამაშდება 200 ლარი

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
სარედაქციო კოლეგია
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ. რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
სარეგისტრაციო № 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.